

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის

სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ფილოლოგია (თარგმანმცოდნეობა)

თინათინ სიხარულიძე

ლორდ ბაირონის პოეზია XIX-XXI საუკუნეების ქართულ პრესაში,

როგორც ტრანსლატოლოგიური კვლევის ობიექტი

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ინესა მერაბიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი, აკადემიკოსი

თბილისი

2024

ანოტაცია

ცნობილი ინგლისელი რომანტიკოსი პოეტის ჯორჯ გორდონ ბაირონის პიროვნება და შემოქმედება ქართულ საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშივე იყო ცნობილი. მას კითხულობდნენ ფრანგული, თუ რუსული გამოცემებიდან და თარგმნიდნენ ქართულ ენაზეც.

XIX საუკუნის დასასრულისათვის მთარგმნელობითი საკითხები, უცხოური ენიდან ქართულ ენაზე თარგმნის არეალის გაფართოების გამო, ნელ-ნელა იხვეწება უშუალოდ წყარო ტექსტიდან სამიზნე ენამდე. შესაბამისად, თემის სათაურად შეირჩა „ლორდ ბაირონის პოეზია XIX-XXI საუკუნეების ქართულ პრესაში, როგორც ტრანსლატოლოგიური კვლევის ობიექტი.“

ნაშრომი შედგება შესავლისაგან, რომელშიც ჩამოყალიბებულია კვლევის მიზანი, აქტუალობა, სამეცნიერო სიახლე და მეთოდოლოგია, რაც გამოყენებულ იქნება ანალიზის პროცესში. დისერტაციის ძირითადი ნაწილი იყოფა ორ თავად: 1) თარგმანის თეორიის შესწავლის საკითხისათვის; 2) ქართულ პრესაში დაბეჭდილი ბაირონის თარგმანების ტრანსლატოლოგიური ანალიზი. თითოეული თავი დაყოფილია პარაგრაფებად, ნაშრომს ერთვის დასკვნები და გამოყენებული ლიტერატურის სია.

ნაშრომში, ძირითადად, მიმოხილულია სამი საუკუნის მანძილზე (XIX,XX,XXI) განხორციელებული ბაირონის პოეზიის თარგმანები ქართულ არეალში. ამავე დროს წარმოდგენილია თარგმანთმცოდნეთა თუ მკვლევართა სხვადასხვა პერიოდის ნააზრევი ბაირონის პოეზიის ქართულ თარგმანებთან დაკავშირებით. განსაკუთრებით, ყურადღება გამახვილებულია საქართველოში ბაირონის სკოლის ფუძემდებლის, მკვლევარისა და მთარგმნელის, აკადემიკოს ინესა მერაბიშვილის მიერ შექმნილ ლინგვისტური ხატის“ მეთოდოლოგიაზე, რომლითაც ვხელმძღვანელობდით სხვადასხვა პერიოდის ქართული თარგმანების ანალიზ-შეფასებისას და დედანთან შეჯერებისას ეკვივალენტურობის დასადგენად.

ყოველივე ეს კი სიახლის საშუალებას იძლევა თარგმანთმცოდნეობაში ბაირონის პოეზიის ქართულად თარგმნის საკითხებზე.

Abstract

The personality and works of the famous English romantic poet George Gordon Byron were known to Georgian society even during his lifetime. His greatest works were read through French or Russian editions and translated into Georgian as well.

By the end of the 19th century, translation issues, due to the expansion of the area of translation from a foreign language into the Georgian language, are slowly improving directly from the source text to the target language. Accordingly, it was chosen as the topic title "Lord Byron's poetry in the Georgian press of the 19th-21st centuries as an object of translational study".

The thesis consists of introduction including the purpose of study, relevance, scientific novelty and methodology, the main part and conclusion. The main part integrates two chapters: 1. For the study of translation theory. 2. Translational study on the pieces of Byron in the Georgian press; Each chapter is divided into sub-chapters.

The work mainly reviews the translations of Byron's poetry in the Georgian area during three centuries (XIX, XX, XXI). At the same time, the thoughts of translators and researchers of different periods regarding the Georgian translations of Byron's poetry are presented.

It is noteworthy that attention is focused on the methodology of the "Linguistic Image" produced by academician Innes Merabishvili, the founder of the Byron School in Georgia, scholar and translator in Georgia. The latest method guided us in the analysis-evaluation of Georgian translations of different periods and in comparing them with the source text to determine equivalence.

All studied by us is the novelty for translation studies on the issues of translating Byron's poetry into Georgian.

სარჩევი

შესავალი.....	1
თავი I. თარგმანის თეორიის შესწავლის საკითხისათვის	26
§1. მთარგმნელობითი პრინციპები XIX საუკუნეში	27
§2. მთარგმნელობითი პრინციპები XX საუკუნეში.....	31
§3. მთარგმნელობითი პრინციპები XXI საუკუნეში	39
თავი II. ბაირონის ქართული თარგმანების ტრანსლატოლოგიური ანალიზი.....	47
§1. XIX საუკუნის ბაირონის ქართული თარგმანები და მათი შეფასებები თარგმანმცოდნეთა მიერ.....	47
§2. ბაირონის თარგმანების კრიტიკული ანალიზი	92
დასკვნები	225
გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.....	232

შესავალი

ლორდ ბაირონის პოეზია XIX-XXI საუკუნეების ქართულ პრესაში, როგორც ტრანსლატოლოგიური კვლევის ობიექტი

ყოველი ერის ლიტერატურაში მოიაზრება როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი ნიმუშები, რაც უდავოდ ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს, აგრეთვე, სრულყოფს ინტელექტუალური მასალის მიწოდებას მკითხველისათვის. ამ თვალსაზრისით თარგმნილ მხატვრულ ლიტერატურას ეკისრება ორი ფუნქცია: ერთი მხრივ, უცხო ქვეყნის მწერლობის გაცნობისა და, მეორე მხრივ ხელშეწყობა, მკითხველის აღქმითი მრავალფეროვნების არეალის გასაფართოებლად. ამავდროულად, თარგმნილი ტექსტის ანალიზის შეფასება წარმოადგენს თარგმანთმცოდნეობის სრულყოფის პროცესს, რასაც ემსახურება ტრანსლატოლოგია.

ტრანსლატოლოგია თარგმანის და ინტერპრეტაციის თეორიისა და პრაქტიკის შესწავლაა, განსაკუთრებით, აკადემიურ კონტექსტში, რომელიც აერთიანებს სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების შემადგენელ ნაწილებს. ტრანსლატოლოგია ცნობილია ასევე, როგორც თარგმანთმცოდნეობა ანუ ტრადუქტოლოგია. (*Translatology Definition & Meaning/YourDictionary* (2022, December 9)).

რამდენადაც თარგმანი უშუალოდ უკავშირდება დედნისა და სამიზნე ენების სემანტიკას, მისი გარკვევისათვის აუცილებელია თარგმნის პროცესის თვალის მიდევნება ისტორიულ ჭრილში. ქართულ მთარგმნელობით სივრცეში, კერძოდ, XIX საუკუნესა და XX საუკუნეების პირველ ნახევარში თარგმანი მიიჩნეოდა „კარგ“ ან „ცუდ“ ნამუშევრად. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან კი, კერძოდ, 1960 წლიდან, თარგმანთმცოდნეობა ჩამოყალიბდა როგორც აკადემიური დისციპლინა და მიიღო მეცნიერული სახე, რომელიც განსაკუთრებით ვითარდება XXI საუკუნეში.

XX საუკუნეში თარგმანი ასე განისაზღვრებოდა: **“Nida and Taber see translating as a process of reproducing in the receptor language the closest natural equivalent of the source language message, first in terms of meaning and secondly in terms of style“.** (Nida, Taber, 1982:12). ამერიკელი ლინგვისტის, თარგმანთმცოდნეობის თეორეტიკოსის, ნაიდას

(1914-2011) აზრით, „სტილისტურ-სემანტიკურ-ეკვივალენტური თარგმანი „სამიზნე ენაზე“ მოითხოვს კომპლექსურად დამუშავების პროცესს, კერძოდ, ანალიზს, ტრანსფერს და რესტრუქტურირებას“ (Nida, 1969:483). იუჯინ ნაიდას აზრით, „ეკვივალენტური თარგმანი დამოკიდებულია ავტორთა რაოდენობაზე, სათარგმნ მასალაზე; ამა თუ იმ თარგმანის გამოქვეყნება კი განსხვავებულ მიზანსა და მკითხველთა განსხვავებულ საჭიროებებს ითვალისწინებს. გარდა ამისა, თარგმნისას გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ცოცხალი ენები და სტილისტური არჩევანის სფერო მუდმივ მოდიფიცირებას განიცდის“ (Nida, 1982:15). აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტრანსლატოლოგიური კვლევის შესწავლას ამა თუ იმ ენაზე თარგმნილ ლიტერატურაში.

იმისდა მიხედვით, თუ როგორია მთარგმნელობითი სივრცე და პრინციპები ლინგვისტურ-კოგნიტიურ ჭრილში, შესაძლებლობა იქმნება, ენათაშორისი თარგმანის მეშვეობით და ვერბალური ნიშნების ინტერპრეტაციით გავერკვეთ როგორც მთარგმნელობითი საქმიანობის განვითარების პროცესში ამა თუ იმ პერიოდის განმავლობაში, ისე უცხოური ტექსტების ავტორების შესახებ ფართო სპექტრით ინფორმაციის მიღებაში. ეს კი დაკავშირებულია ტრანსლატოლოგიურ კვლევასთან.

ამ კუთხით საყურადღებოა, XIX საუკუნის დიდი ინგლისელი რომანტიკოსი პოეტის, ჯორჯ გორდონ ბაირონის (1788-1824) ნაწარმოებთა ქართულ ენაზე აჟღერების პროცესში მიზანმიმართული კვლევა თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში, რაც მეტ-ნაკლებად შესწავლილი იყო სხვადასხვა დროს თარგმანმცოდნეთა მიერ (მ. კუჭუხიძე, ნ. ზედგენიძე, გ. გაჩეჩილაძე, ი. მერაბიშვილი, ი. ადამია).

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი კი მიზნად ისახავს სამი საუკუნის განმავლობაში ბაირონის ნაწარმოებთა ქართულ ენაზე თარგმანების ტრანსლატოლოგიურ შესწავლა-განხილვას თანამედროვე უახლესი მეთოდოლოგიისა და პრინციპების გათვალისწინებით. მანამდე კი მოკლედ მიმოვიხილოთ ჯორჯ გორდონ ბაირონის ცხოვრების გზა, რაც საშუალებას მოგვცემს წარმოვაჩინოთ მისი შემოქმედების ზოგიერთი პრობლემა, რომელიც გათვალისწინებული იქნება თარგმანების ტრანსლატოლოგიური ანალიზისას.

ჯორჯ გორდონ ბაირონის ბობოქარი, ქარიშხლიანი და თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრება მეტ-ნაკლებად მისი წინაპრებისგანაც მომდინარეობს; ერთი მხრივ, ინგლისის მეფე ჩარლზ I-ის ერთგული სერ ჯონ ბაირონის, რომელმაც პერის ტიტული მიიღო, შთამომავლის, პიროვნულად სასტიკი, უხეში უილიამისა და, მეორე მხრივ, შოტლანდიის მეფის, იაკობ I-ის ქალიშვილის, ანა-იზაბელა სტიუარტის შვილიშვილის შვილის, ეკატერინე გორდონ ოფ-ჰაიტის შთამომავალი, თავადაც ჰგავდა მათ. ადმირალი ჯეკ ბაირონი თავის არაჩვეულებრივ თავგადასავლებს აღწერს მოგონებებში. აქ მწერლური ნიჭის უნარიც ჩანს, რაც თვალსაჩინოვდება ჯორჯ გორდონ ბაირონთან, რომელიც ქვეყნიერებას მოევლინა 1788 წლის 22 იანვარს. გაკოტრება და ფინანსური სიდუხჭირე თან სდევდა ფუფუნებას მიჩვეულ ბაირონების ოჯახს, რომელიც ნიუსტედის სააბატოში ერთხანს განაგრძობდა ცხოვრებას. 1791 წლის აგვისტოში გარდაიცვალა ბაირონის მამა ჯონი 36 წლის ასაკში, მაგრამ გარდაცვალებიდან სულ რაღაც 7 წლის შემდეგ მას მიაკუთვნეს მეექვსე ლორდ ბაირონის ტიტული და ნიუსტედის სააბატოც. პატარა ჯარდის (ასე ეძახდნენ ბავშვობაში) ერთადერთი სიხარული - ძიძა მისის გრეი იყო. რაც შეეხება განათლებას, ბაირონი თავდაპირველად აბერდინის სკოლაში სწავლობდა. აქ გაიცნო მასწავლებელი, ჰკვიანი მოძღვარი როსსი (ვინოგრადოვი, 1973:8).

„აბერდინის სკოლაში ერთ-ერთი მეცადინეობის დროს ფეხის ძლიერი ტკივილი ბავშვს სახეზე დასტყობია და მასწავლებელს თანაგრძნობა გამოუხატავს. „ყურადღებას ნუ მომაქცევთ. ამიერიდან თქვენ ვერ შეიტყობთ, მტკივა თუ არა“, – მიუგო ბიჭუნამ. და მართლაც, იქიდან მოყოლებული ტკივილს ბაირონი ყოველთვის ნებისყოფით იხშობდა“ (მერაბიშვილი, 2002:94).

1799 წელს ბაირონის დედას დაენიშნა სამეფო პენსია, რაც ოჯახს დიდად წაადგა. ერთხანს პატარა ბაირონი ლონდონშია. 1801 წელს ის შეჰყავთ ჰაროუს სკოლაში, მერე კი სწავლას განაგრძობს კემბრიჯში (1808), უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი სახლდება ნიუსტედის სააბატოში.

ბაირონისა და მათი ოჯახის მოსისხლე მტრის, ჩავორტების, ოჯახებს შორის შუღლი დიდი ხნის წინათ დაიწყო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ჭაბუკი ჯორჯისათვის შეჰყვარებოდა მერი ჩავორსი. ეს სიყვარული დამთავრდა მერის სხვაზე

გათხოვებით, თუმცა ამ უიღბლო სიყვარულისგან არაერთი პოეტური შედეგია შემორჩენილი.

ლორდთა პალატაში სხდომაზე დასწრებამ ბაირონს უკეთ დაანახა თავისი წრის საზოგადოება და კიდევ უფრო გაუმძაფრა ზიზღი ამპარტავანი ლორდების მიმართ.

შემდეგ იწყება ბაირონის მოგზაურობანი ჰობზაუზის თანხლებით ჯერ პორტუგალიაში, ესპანეთის კადიქსამდე, მერე მალტაზე, ალბანეთში, ათენში, ჰელესპონტის სრუტის გადაცურვა და აქტიური შემოქმედებითი საქმიანობა. მისი ცხოვრება და შემოქმედება მჭიდროდაა გადახლართული ერთმანეთთან. თემას პოეტი ხან საკუთარ ცხოვრებაში პოულობს, ხან წარსულიდან ამოსულ ლეგენდას ასხამს ხორცს. უყვარს სატირულ-პამფლეტური ჟანრის ნაწარმოებების შექმნა („ინგლისელი ბარდები და შოტლანდიელი მიმომხილველნი“, „მინერვას წყევლა“). თავად მომხილავი და მაცდური, ხშირად იქცევს ქალთა ყურადღებას, ზოგს უძღვნის პოეტურ შედეგებს. 1811 წელს ბაირონს გარდაეცვალა დედა და ერთადერთ ნუგეზად ნახევარდა, ავგუსტადა, დარჩა, რომელსაც ხშირად უზიარებს თავის გულის დარდს.

1812 წლის 27 თებერვალს ბაირონი გამოდის ლორდთა პალატაში ნოტინჰემის ფეიქრების დასაცავად. ამავე დროს მუშაობს პოემაზე „ჩაილდ-ჰაროლდი“¹. მეგობარი გამომცემლები ბეჭდავენ მის ნაწარმოებებს. თანდათან იზრდება მისი პოპულარობაც. ბაირონს უხარია და გული სიამაყით ევსება, როდესაც აწყდება გამომცემებზე საკუთარ გვარს. 1807 წელს გამოვიდა ვრცელი კრებული “Hours of Idleness“ („მოცალოების ჟამს“), რომელიც სულ მალე ითარგმნა რუსულ ენაზე და სხვადასხვა ავტორთა თარგმანებთან ერთად დაიბეჭდა ნ. გერბელის მიერ გამოცემულ რუსულ კრებულში. სწორედ აქედან იღებენ ქართველი მთარგმნელები ბაირონის ლექსებს სათარგმნად.

1812 წელს ლონდონში დიდი ბუმი – დენდიზმის ბუმი. ვინ იქნება ევროპაში პირველი ჯენტლმენი? – მშვენიერი აღნაგობის, გრაციოზული პოეტი, რომელიც ნება-ნება, კოჭლობით დასეირნობს არისტოკრატთა სასახლეების დარბაზებში, უმაღვე ქალთა ყურადღებითაა გარემოცული. უგზავნიან მას წერილებს, იწვევენ სატრფიალო შეხვედრებზე. თუმცა, როგორც ბაირონის ბიოგრაფები შენიშნავენ, იგი არასოდეს იპყრობდა ქალებს, პირიქით, ქალები ცდილობდნენ მის ხელში ჩაგდებას, რისი ერთი

1. ორივე ნაწარმოებს – „ჩაილდ ჰაროლდი“ „დონ ჟუანი“,- დეფისით წერს – თ. ს.

მაგალითია მაღალი წრის დედოფლად წოდებული ლედი კაროლინა ლემიცი. ამ სკანდალური ურთიერთობის დასასრულს, სწორედ კაროლინას დედამთილმა, ლედი მელბურნმა, რომელსაც კეთილი დამოკიდებულება ჰქონდა ბაირონთან, გააცნო თავისი ძმისშვილი – ანა იზაბელა მილბენკი. ამავე დროს ბაირონს თვით კაროლინამ გადასცა ანას ლექსების კრებული. ბაირონი მოიხიბლა ამ ქალიშვილის განათლებითა და გულწრფელი რელიგიურობით, ორი წლის შემდგომ კი მათი ურთიერთობა ქორწინებით დაგვირგვინდა.

თუმცა ეს ქორწინება საკმაოდ უიღბლო აღმოჩნდა. ანაბელა მილბენკი ვერ ეგუებოდა ბაირონის დენდიზმს, თავისუფლებისმოყვარეობას. პურიტანულად აღზრდილმა ქალმა სცადა როგორმე შეეზღუდა ბაირონის ბოხოქარი ბუნება. მალე მათ შორის დაიწყო უთანხმოება. 1815 წლის 10 დეკემბერს ბაირონს ქალიშვილი შეეძინა, რომელსაც ადა-ავგუსტა დაარქვეს, მაგრამ უკვე 1816 წლის იანვარში, ბაირონის მეუღლე მამის ოჯახში დაბინავდა და ჯორჯს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აცნობა, რომ აღარასოდეს დაუბრუნდებოდა. ამას მოჰყვა ბაირონის მოშუღართა თავდასხმებიც. მას ადარებდნენ სარდნაპალს, ნერონს, სატანას... ის არ პასუხობდა თავდამსხმელებს, თავს არავის წინაშე იმართლებდა, პირიქით, ამაყად და ზიზღნარევი დუმილით ეგებებოდა გამოხდომებს.

ბაირონმა დატოვა ინგლისი; იმოგზაურა ერთხანს ბელგიაში, შვეიცარიაში, სადაც პოეტ შელისთან ერთად ისვენებდა ერთხანს. შილონის ციხის ნახვის შემდეგ იქმნება მისი ცნობილი პოემა „შილონელი ტუსადი“. პოეტი შვეიცარიას მალევე ტოვებს და მიემგზავრება იტალიაში. იწყება ბაირონის ცხოვრების ახალი, იტალიური ეტაპი. 1816 წლის შემდგომ, საბერძნეთში გამგზავრებამდე, ბაირონი საფუძვლიანად ეცნობა იტალიას, მის კულტურას; 1819 წელს განსაკუთრებულად ინტერესდება რავენათი. დანტეს შემოქმედების გაცნობის შემდგომ ებადება აზრი, შექმნას ნაწარმოები დანტეს სიუჟეტზე. სწორედ ასე შეიქმნა პოემა – „დანტეს წინასწარმეტყველება“ (“The Prophecy of Dante“, 1819)².

²ბაირონის „დანტეს წინასწარმეტყველება“ მიძღვნისა და ოთხი სიმღერისგან შედგება. ნაწარმოებში დანტე, როგორც პერსონაჟი, გამოხატავს თავის აზრს, აფრთხილებს იტალიელ ხალხს, რომ გაერთიანების გარეშე ერს დიდი უბედურება ელის. ბაირონის ეს პოემა დაწერილია დანტესეული სალექსო ზომით, იტალიური სახელწოდებით “Terza Rima” და ერთგვარად წარმოადგენს მეტრულ ექსპერიმენტს.

1823 წლის მაისში, საბერძნეთში გამგზავრებამდე, სადაც მგზნებარე პოეტმა თითქოს ჰპოვა საკუთარი თავი. იგი იღებს მიწვევას ბერძნული კომიტეტისაგან, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღოს საბერძნეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ის მართლაც მიემგზავრება საბერძნეთში გემი „ჰერკულესით“.

ჩასვლისთანავე ბაირონმა ვითარების ზუსტი ინფორმაციის მისაღებად საბერძნეთის დროებით მთავრობას დელეგატი გაუგზავნა. დროებითი მთავრობა განიცდიდა ფინანსურ სიდუხჭირეს, მრავალრიცხოვანი მოთავეები კი ერთმანეთში პაექრობით ასუსტებდნენ მოძრაობას. ბაირონი ელოდა მათ დაცხრომას; მოუწოდებდა ყველას, რომ შეეწყვიტათ უთანხმოება და თავიანთი ქვეყნის გათავისუფლებისათვის ებრძოლათ. გასაჭირში ჩავარდნილი საბერძნეთი ვერ ახერხებდა გაეთავისუფლებინა თავისი ნავსადგურები თურქეთის ხომალდებისაგან. ბაირონმა მთავრობას დიდი თანხა შესთავაზა ფლოტის შესაქმნელად და სესხის აღებაშიც შუამდგომლობდა. დღითიდღე იზრდებოდა მისი პოპულარობა საბერძნეთში.

1823 წლის ბოლოსათვის ბაირონის ფულით დაქირავებული ფლოტის მეშვეობით, საბერძნეთის მდგომარეობა გაუმჯობესდა. თურქულ ხომალდებს უნდა დაეტოვებინათ მისოლონგი და მათი ადგილი დაეკავებინა ბერძნულ ფლოტს. დასავლეთ საბერძნეთის გუბერნატორმა, პრინცმა მავროკოროდატოსმა მადლიერებით აღსავსე წერილი გაუგზავნა ბაირონს. მისოლონგში პოეტს დიდი მიღება მოუწყვეს. მთელი მოსახლეობა შეიკრიბა ნაპირთან, ღუზაჩაშვებული გემები ესალმებოდნენ მის გემს სალუტებით. ასე მიიღეს ბაირონი და მიაცილეს მისთვის საგანგებოდ გამოყოფილ სახლში. აქ გაატარა პოეტმა რამდენიმე თვე.

პოემა „დანტეს წინასწარმეტყველების“ შექმნა დაკავშირებული იყო დიდ სირთულეებთან. ქართულ ენაზე ეს ქმნილება არ არის თარგმნილი (არსებობს მხოლოდ მისი ანონიმური, რუსული თარგმანი, რომელიც გამოცემულია როგორც ელწიგნი „მულტიმედიური სტრუქტურისა“ და მოითხოვს საავტორო უფლების მკაცრ რეგულაციას), თუმცა ძალიან საინტერესოა ბაირონის მგზნებარე სულისკვეთების, თავისუფლებისმოყვარეობის ახლებური გააზრების თვალსაზრისით.

ბაირონი, როგორც აღნიშნავს მიძღვნილი, პოეტურ მუხად დიდი იტალიელი მგოსნის მიზამკას ასახელებს. თუმცა დიდი რომანტიკოსი პოეტი ამ პოემით თავად გვთავაზობს სრულიად ინდივიდუალურ ინტერპრეტაციას.

იხ. ჩვენი პუბლიკაცია „დანტე და ბაირონი მთარგმნელობით სივრცეში - ქართული ნარატივი“-დანტე ალიგიერის გარდაცვალებიდან 700 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თსუ, 27 ოქტომბერი 2021, საქართველო. გვ.51-56; <https://dSPACE.TSU.GE/items/397fa647-a4cd-4cb6-abe8-d4ac6d8bc52c>

1824 წლის 9 აპრილს მისოლონგში ბაირონი გაციების გამო შეუძლოდ გახდა, 1824 წლის 19 აპრილს კი, აღდგომა დღეს, პოეტის აღსასრული დადგა. საბერძნეთმა მწუხარებით დაიტირა ბაირონი.

„ტირილსა და გლოვას თურმე ცა შეუერთდა. საშინელი ჭექა-ქუხილი, თითქოსდა, რისხვის დატეხით ემუქრებოდა იქაურობას. მის ცხედართან ბერძენი ხალხი, ახლა უკვე გამოფხიზლებული და ამაღლებული, ერთ მუშტად შეიკრა. მან სიკვდილით გააკეთა ის, რისთვისაც სიცოცხლეში იღვწოდა და რამაც საბერძნეთი საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანა. ეს როლი მან შეასრულა არა იმდენად მის მიერ ჩადენილი გმირობით, არამედ თავგანწირვითა და თვით სიკვდილის ფენომენით. ბაირონი იქცა უანგარო პატრიოტიზმის სიმბოლოდ და საბერძნეთის ეროვნულ გმირად“ (მერაბიშვილი, 2002 :220).

ბერძნებს სწადდათ, ბაირონის სხეულის ნაწილი საბერძნეთში დარჩენილიყო, ასეც აღსრულდა: პოეტის გული და ფილტვები სან-სპირიდონის ეკლესიამ მიიბარა, ხოლო ცხედარი ნიუსტედში დაიკრძალა.

„ჩვენ ის დავკრძალეთ, როგორც დიდგვაროვანი, რადგან ვერ შევძელით დაგვეკრძალა, როგორც პოეტი“, – უთქვამს ჰობზჰაუსს (მერაბიშვილი, 2002:221).

საბერძნეთში, ათენის ცენტრალურ ადგილას, დგას ძეგლი ბაირონისა, პოეტურ მუზასთან ერთად, რომელზედაც ამოტვიფრულია სტრიქონები „ჩაილდ-ჰაროლდიდან“: „ვიცი, ვიცხოვრე მე ამქვეყნად არაამოდ“.

და მართლაც, ის, რითაც ბაირონმა პოეტური შედეგებით გაამდიდრა ინგლისური რომანტიზმი, საქმისადმი თავგამოდებით აღასრულა საბერძნეთში. ესეც კიდევ ერთი დიდი დამსახურებაა რომანტიკოსი პოეტის.

ბაირონის პოპულარიზაცია, ცნობადობის ამაღლება მეტ-ნაკლებად უკავშირდება საქართველოში XIX საუკუნიდან პრესის დაარსება-განვითარებას.

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა სიახლე იყო ერის ისტორიაში, როგორც ვახტანგ კოტეტიშვილი აღნიშნავდა, 1800 წლიდან უნდა დაიწყოს ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის თხრობა, რადგან ქართველი ერის ცხოვრებაში ეს წელი ერთგვარი უღელტეხილია, როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულად (ჯოლოგუა, 2013:5). 1801 წელს დამოუკიდებლობადაკარგულია და რუსეთის

იმპერიის ნაწილადაა გამოცხადებული, ჯერ აღმოსავლეთი, შემდგომ დასავლეთი საქართველო. ლიტერატურისა და ხელოვნების კუთხით, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მდიდარი მემკვიდრეობა ჰქონდა წარსულში, ბაირონის გაცნობას ვერ ახერხებდა ფართო მკითხველი საზოგადოება პერიოდული გამოცემებისა და პრესის არარსებობის გამო. ამდენად, პირველმა ქართულმა გაზეთებმა („საქართველოს გაზეთმა“/ „ქართულმა გაზეთმა“ 1818-1819.) და ჟურნალებმა ხელი შეუწყო მის პოპულარიზაციას მკითხველ-საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ქართული გაზეთი რუსული რეჟიმის ინტერესებს ემსახურებოდა, მან მაინც საფუძველი ჩაუყარა ქართულ ჟურნალისტიკას. როგორც თამაზ ჯოლოგუა შენიშნავს, გაზეთის დამსახურება ისაა, რომ მან თავიდანვე აიღო ევროპული ორიენტაცია (ჯოლოგუა, 2013:31), რაც შემდგომ დაიხვეწა პირველ ქართულ ჟურნალში „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ (1828-1832). უკვე ამ ორგანოში იბეჭდება უცხოური ლიტერატურის თარგმნილი ნიმუშები, რაც ძირითადად შუალედური ენიდან (რუსული ენიდან) სრულდებოდა. ჟურნალში პირველად იბეჭდებოდა „სიტყვიერების“ შემდგომ განყოფილებად „აღმოსავლეთის ლიტერატურა“, რაც ძირითადად ძველი ქართული მწერლობის ტრადიციის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა აქვე გვხვდება ესპანური ლიტერატურის ნიმუშების თარგმანები, თუ მიბაძვანი. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს ქართველი მკითხველის დაინტერესებას უცხოური ლიტერატურით, რაც შედეგი იყო რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოქცეული ქვეყნის ჩართვისა ევროპული ლიტერატურის არეალში. ესაა პირველი ჟურნალი, რომელმაც ერთგვარი სისტემური სახე მისცა საქართველოში საზოგადოებრივი აზრის „ევროპეიზაციის“ პროცესს, თუმცა ჭეშმარიტი სრულყოფა ამ პროცესმა განიცადა გიორგი ერისთავის მიერ დაარსებულ ჟურნალ „ცისკარში“ (1852-1853). სწორედ აქ წარმოჩნდა ევროპული ლიტერატურის ნიმუშები თუ მიბაძვები. ჟურნალ „ცისკარის“ პირველ განყოფილებას მხატვრული ლიტერატურა ავსებდა როგორც ქართული ორიგინალური, ასევე რუსული და უცხოური ლიტერატურის თარგმანებითაც (ფ. შილერი, ა. მიცკევიჩი, ა. ბესტუჟევი-მარლინსკი, ბერნარი, პ. კორნელი და სხვანი).

ჟურნალ „ცისკარში“ მოგვიანებით ივანე კერესელიძის (1829-1892) რედაქტორობისას (1857-1875) იბეჭდებოდა რომანტიკოსი პოეტის, ჯორჯ გორდონ ბაირონის პიროვნების შესახებ ევროპაში მოარული ინფორმაციები, აგრეთვე მის ნაწარმოებთა თარგმანები. აქვე, 1859 წლის „ცისკარის“ მე-9 ნომერში დაიბეჭდა ბაირონის „ებრაული მელოდიებიდან“ ილია ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი „სტიროდეტ“.

სწორედ ქართულმა პრესამ, მწერლობასა და საზოგადოებრივ ინიციატივებზე დაფუძნებულ საზოგადოებრივ-კულტურულ ორგანიზაციებთან ერთად, მოახერხა ხელი შეეწყო დასავლური სამყაროდან აქამდე იზოლაციაში მყოფი ლიტერატურის შემოდინებისთვის, რაც თავიდანვე ისახავდა ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით დასახულ მიზანს – თავისუფლებისმოყვარე შემოქმედთა წარმოჩენას.

უცხოური ენებიდან ქართველთა მთარგმნელობითი მოღვაწეობა მხოლოდ ცალმხრივი არ არის. აღმოსავლეთისადმი, კერძოდ კი საქართველოსადმი, ინტერესმა განაპირობა ქართული ნაწარმოებების ინგლისურ ენაზე თარგმნა. ასეთი იყო ინგლისელი ქალბატონი მარჯორი უორდროპი (1868-1909). და-ძმა უორდროპებმა შეისწავლეს საქართველოს ისტორია და გადაწყვიტეს, ეს ქვეყანა ევროპელ მეცნიერთა შესწავლის სპეციალურ საგნად ექციათ. მარჯორი უორდროპმა განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა ქართული ენისა და ლიტერატურისადმი; თავდაპირველად, როგორც მისი მეტყველებიდან ჩანდა, მან შეისწავლა ძველი ქართული ენა, არქაული სიტყვებით ურთიერთობდა მის თანამედროვე ქართველებთან. საქართველოში ჩამოსვლის შემდგომ, 1894 წელს, მარჯორი უორდროპმა თარგმნა ქართული ხალხური ზღაპრები, ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ და სხვა. მოგვიანებით უორდროპი გულმოდგინედ გაეცნო ახალ ქართულ სალიტერატურო ენას და შესაბამისად, სათანადოთაც საუბრობდა ქართულ საზოგადოებაში. აშკარაა, ქართველი მწერლების ინგლისელი მკითხველისათვის მიწოდების საქმეში მნიშვნელოვანი იყო XIX საუკუნის ქართული სალიტერატურო ენის პრინციპების ცოდნა, რაც ინგლისელმა ქალბატონმა განახორციელა კიდევაც (თაქთაქიშვილი-ურუშაძე, 1965:21-23).

ამდენად უცხოური ლიტერატურის თარგმნამ ახალი ასპარეზი გაუხსნა „ევროპეიზაციის“ პროცესს საქართველოში. შემდგომი პერიოდის ჟურნალ-გაზეთებში

(„საქართველოს მოამბე“, „ივერია“, „დროება“ თუ „კვალი“) მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოური ლიტერატურიდან თარგმნა-გადმოკეთების ხვედრითი წილი. თუმცა მთარგმნელობითი პრინციპები XIX საუკუნის შუა წლებიდან დაექვემდებარა შუალედური ენიდან გადმოღება-გადმოკეთებას, რაც ნაკლები მხატვრულობით გამოირჩეოდა მთარგმნელობით სივრცეში.

ამ პერიოდის ჟურნალ „ცისკრიდან“ იწყება ბაირონის შემოქმედების თარგმანების პუბლიკაციაც, რაც უკავშირდებოდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იოსებ ბაქრაძისა და სხვა ქართველ მწერალთა მთარგმნელობით საქმიანობას. ბაირონის შემოქმედების თარგმანებმა, შესაბამისად, გზა გაიკაფა ქართველი მკითხველისაკენ.

ამდენად, XIX საუკუნის ქართულმა პრესამ დიდი როლი შეასრულა „ევროპეიზაციის“ დამკვიდრების საქმეში, კერძოდ, თარგმნილი ლიტერატურის გამომზეურებით, რომელმაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ახალი ლიტერატურული მიმართულებების („რომანტიზმის“, „რეალიზმის“ და სხვათა) პოპულარიზაციას საქართველოში.

ერთ-ერთი ასეთი მიმართულება იყო რომანტიზმი (ხაზი ჩვენია – თ. ს.), რომელიც, მკვლევარ ზაზა აბზიანიძის აზრით, ისტორიულ ნიშანსვეტად იქცა XIX საუკუნის იმ ქართული სინამდვილისათვის, ქართული კულტურის ევროპული ორიენტაციის მაძიებელი რომ იყო (აბზიანიძე, 2012, 5).

ამდენად, ქართული კულტურის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „ევროპეიზაციის“ პროცესის წარმოჩენას, რაც ბაირონის პოეზიის ტრანსლატოლოგიური კვლევის ობიექტია და რისი წარმოჩენის მცდელობაცაა წარმოდგენილი წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში.

ჯერ კიდევ ბაირონის სიცოცხლეშივე მკვიდრდება ქართულ ცნობიერებაში ბაირონი, ბაირონიზმი, რაც საბოლოოდ ყალიბდება ერთ მთლიანობად. ტრანსლატოლოგიური კვლევის ობიექტად XIX-XXI საუკუნეების ქართულ პრესაში ლორდ ბაირონის პოეზიის თარგმანების სახით. აღნიშნული საკითხების მონოგრაფიული შესწავლა და კომპლექსური კვლევა მჭიდროდ უკავშირდება მკვლევარ ინესა მერაბიშვილის ნააზრევს და პირველად ხორციელდება ჩვენ მიერ.

XX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული 1970-იან წლებამდე გრძელდება მუშაობა ჯორჯ გორდონ ბაირონის ცხოვრება-შემოქმედების შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე, რაც ძირითადად ხორციელდებოდა რუსულ ენაზე არსებულ პუბლიკაციებზე დაყრდნობით. თარგმნის პროცესის მიმდინარეობის პარალელურად, როგორც შუალედურ ენაზე არსებული თარგმანებიდან, ისე ინგლისურ ენაზე არსებული ორიგინალებიდანაც. თარგმნის გალაკტიონ ტაბიძეც (თუმცა, როგორც გალაკტიონოლოგები მიიჩნევენ, ნაწარმოების ნაწილს ქართველი პოეტი თარგმნის, შემდგომ ნაწილს კი თავისას უმატებს იდეის, სახის გავრცობის თვალსაზრისით).

1970-იან წლებში უკვე ჩნდება ბაირონი, ბაირონიზმი - ევროპეიზმის პარალელურად ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობების ჭრილში (დ. ლაშქარაძე). 1977 წელს მკვლევარი მაყვალა კუჭუხიძე იცავს დისერტაციას ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის კვალიფიკაციის მისაღებად თემაზე: „ბაირონი XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკასა და თარგმანებში“. ეს ნაშრომი ჯერ ნაწილ-ნაწილ დაიბეჭდა სხვადასხვა კრებულში და შემდგომ ცალკე წიგნადაც გამოიცა.

1888 წელს საბერძნეთში, ბაირონის პიროვნებისა და შემოქმედების თაყვანისმცემელთა ქვეყანაში, საფუძველი ჩაეყარა ბაირონის ლიტერატურულ ასოციაციას. 1888 წელს ლონდონში, ბაირონის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, საბერძნეთის მეფის, გეორგ I-ის სტუმრობით და ინგლისის პრემიერ-მინისტრის, უინსტონ ჩერჩილის თანადგომით აღინიშნა პოეტის გარდაცვალების 100 წლისთავი.

ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში ბაირონის საზოგადოება გადის საერთაშორისო ასპარეზზე, რაც უმთავრესად დაკავშირებულია ცნობილი ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწის, მწერლისა და ბაირონოლოგის, ქალბატონი ელმა დეინჯერფილდის სახელთან. მისი ძალისხმევით მოხერხდა ცალკეული ქვეყნების საზოგადოებების გაერთიანება საერთაშორისო ასოციაციად, რომელიც დღეს 40 დამოუკიდებელ საზოგადოებას აერთიანებს. მათ შორისაა ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფო, ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, იაპონია, ავსტრალია, ახალი ზელანდია და ა. შ. (ლორდ ბაირონი, 2013:50,51).

ბაირონის საზოგადოების პრეზიდენტია მისი შთამომავალი, XIII ლორდი რობინ ბაირონი, ხოლო ნიუსტედის ბაირონის საზოგადოებას ხელმძღვანელობს პოეტის ქალიშვილის, ადას შთამომავალი, ლორდი ლიტონი. ბაირონის საერთაშორისო საზოგადოებას სათავეში უდგას მწერალი და საზოგადო მოღვაწე უილიამ სენტ-კლერი. 1991 წელს ბაირონის საერთაშორისო ასოციაციამ თავის წევრად ცნო საქართველოს ბაირონის საზოგადოება. თავისი არაერთი ვიზიტის დროს დიდ ბრიტანეთში ინესა მერაბიშვილი დაუკავშირდა ბაირონის საერთაშორისო საზოგადოების საპატიო დირექტორს, ქალბატონ ელმა დეინჯერფილდს; გაეცნო ბაირონის მეგობრისა და გამომცემლის, ჯონ მარეი II-ის შთამომავალს. ამ თვალსაზრისით, საქართველოს ბაირონის საზოგადოების პრეზიდენტს შეექმნა პირობები ახლოს გასცნობოდა ყველა საჭირო უნიკალურ გამოცემასა თუ ახალ პუბლიკაციას. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისათვის მკვლევარს დაუგროვდა საკვლევი მასალა, განსაკუთრებით ბაირონის საქართველოსთან კავშირის კუთხით, რაც 1991 წლიდან მოყოლებული გაცხადდა ბაირონოლოგთა არაერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, კერძოდ: ლონდონში, 1994 წელს- ათენში, 1996 წელს- დუისბურგში, 1997 წელს- ვერსალში, 1999 წელს -მისოლონგში, 2000 წელს- ნოტინგემში, 2001 წელს- კიოტოში, 2005 წელს - დუბლინში, 2007 წელს- ვენეციაში, 2008 წელს- სენტ-ენდრიუსში, 2009 წელს – ათენსა და მისოლონგში, 2011 წელს – ვალიადოლიდში.

1994 წელს, პირველად, ათენის კონფერენციაზე, მეცნიერმა ინესა მერაბიშვილმა წაიკითხა მოხსენება „ბაირონი, საბერძნეთი და საქართველო“. ამას მოჰყვა მისი უამრავი პუბლიკაცია საერთაშორისო კრებულებში და ორენოვან გამოცემებში ბაირონის თარგმანებითა და გამოკვლევებით.

ჯერ კიდევ 1980 წლიდან ინესა მერაბიშვილი აქვეყნებდა ბაირონის ლექსების თარგმანებს ჟურნალ „ლიახვის“ ფურცლებზე, ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ბაირონის პოპულარობას საქართველოში განსაკუთრებით შეუწყო ხელი აკადემიკოსმა ინესა მერაბიშვილმა. საქართველოს ბაირონის საზოგადოების საერთაშორისო ასოციაციის წევრად აღიარების შემდგომ, საფუძველი ეყრება

ბაირონოლოგიას საქართველოში. 1988 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფუძნდა საქართველოს ბაირონის საზოგადოება.

ბაირონოლოგიას, როგორც მეცნიერებასა და უახლესი მთარგმნელობითი კვლევის ობიექტად მის აღიარებას, მჭიდროდ უკავშირდება ბაირონის სკოლის დაარსება - 1995 წელს და აგრეთვე უამრავი კვლევითი სამეცნიერო საქმიანობა, რომელსაც თაოსნობს ათეული წლების განმავლობაში აკადემიკოსი ინესა მერაბიშვილი. ბაირონის 150-ე წლისთავიდან იწყება ინგლისელი პოეტის შემოქმედებისადმი მიძღვნილი მეცნიერული მიდგომის ერთ-ერთი ეტაპიც.

ბაირონის სკოლა მიზნად ისახავს მოსწავლეთა მრავალასპექტიან მომზადებას ინგლისურ ენაში, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში, ხელოვნებასა და ლიტერატურაში მსოფლიო კულტურის გაცნობის ფონზე.

ტრადიციად იქცა თბილისის ბაირონის სკოლის მოსწავლეთა გამგზავრება დიდ ბრიტანეთში საზაფხულო არდადეგებზე, შექსპირთან და ბაირონთან დაკავშირებული სხვადასხვა ადგილის მონახულება, მრავალი ღირსშესანიშნაობის გაცნობა და, რაც მთავარია, ცოდნის გაღრმავება საზაფხულო სკოლაში (ლორდ ბაირონი, 2013:53).

ასეთი გულმოდგინე და მეცნიერულად დასაბუთებული კვლევები ბაირონზე, საქართველოსა და ქართველ მწერლებთან პარალელებსა თუ რემინისცენციებზე ეკუთვნის ინესა მერაბიშვილს, რომელმაც 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, მთელი თავისი მოღვაწეობით, მეცნიერული კვლევების საფუძველზე არაერთი წერილი თუ მონოგრაფია მიუძღვნა ბაირონის ცხოვრება-შემოქმედებას. ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ინესა მერაბიშვილი თითქმის 30 წელია, რაც ბაირონის სკოლას უდგას სათავეში. მისი მეცნიერული თუ შემოქმედებითი მიდგომა ბაირონის ცხოვრება-მოღვაწეობისადმი და აღქმა საქართველოში შეფასებულია მსოფლიოს ბაირონოლოგთა მიერ, რასაც ცხადყოფს არაერთი პუბლიკაცია ქართველი მკვლევრის კომპეტენტურობის მითითებით.

როგორც უკვე აღინიშნა, XXI საუკუნეში თარგმანთმცოდნეობის ძირითადი პრინციპია დედნიდან სამიზნე ენაზე ეკვივალენტური თარგმანი, თუ XIX საუკუნეში ბაირონის პოეზიის ქართული თარგმანები ძირითადად შესრულებული იყო

შუალედური ენებიდან, XX საუკუნეში შეინიშნება მთარგმნელთა მრავალფეროვნება. ამიტომ საჭიროდ მივიჩნით, რომ შეგვესწავლა აღნიშნული საუკუნეების განმავლობაში ჯორჯ გორდონ ბაირონის პოეზიის თარგმანები ტრანსლატოლოგიურ ჭრილში, როგორც ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ძირითადი ობიექტი, საკუთრივ ინგლისური რომანტიზმისა და ბაირონის შემოქმედების ზოგადი მიმოხილვის ფონზე.

XVI საუკუნიდან მოყოლებული არცერთი ლიტერატურული მიმართულება არ ყოფილა ევროპაში ისეთი პოპულარობისა და გავრცელების ფართო არეალის მქონე, როგორც იყო რომანტიზმი.

რომანტიზმის „დაბადების“ თარიღად 1770-იან წლებს ასახელებენ მკვლევარნი, ხოლო დასასრული XIX საუკუნის 32-იანი წლებით შემოიფარგლება. ფრიდრიხ შლეგელი უკვე 1797 წლის ნოემბერში წერდა თავის ძმას, ავგუსტ შლეგელს, რომ შეუძლებელი იქნებოდა სიტყვა „რომანტიკული“ მისეული განმარტების მიწოდება, რამდენადაც იგი საკმაოდ ვრცლად, 125 გვერდზე იყო გაშლილი (აბზიანიძე, 2012:93)³. რომანტიზმი, წარმოდგება რა ცნებებისაგან “romanticism” და “romannic“, პირველად XVII საუკუნეში გამოჩნდა ინგლისში და გამოიყენებოდა ერთგვარად ბაროკოს ეპოქაში შექმნილი რომანების გმირულ-გალანტური, „ირაციონალურ მეოცნებე“ სტილის დასაცინად, ხოლო საფრანგეთის აკადემიის ლექსიკონში რომანტიზმი პირველად 1694 წელს (აბზიანიძე, 2012:92) ჩნდება. რომანტიკოსებს თავიანთი თავისათვის ეს სახელი არასოდეს უწოდებიათ და საოცრებად რჩება დღემდე ის ფაქტიც, რომ განვითარებისთანავე საერთო ნიშნებით დახასიათდა, მეტ-ნაკლები განსხვავებით, რამდენადაც რომანტიკოსთა წარმოდგენაში წარმოსახვის (imagination) იდეა განუყრელად იყო დაკავშირებული ორ ცენტრალურ კონცეფციასთან, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა რომანტიზმის ესთეტიკას (აბზიანიძე, 2012:73).

რომანტიზმი ერთი მიმართულებათაგანია, რომელიც გვაძლევს საშუალებას, ბუნება „წავიკითხოთ“ როგორც სიმბოლოთა სისტემა და რომელსაც, თავის მხრივ, სიმბოლოს „გამოუთქმელის გამოთქმის“ უსასრულობის გამოხატვის ფუნქციაც

³ „ბაირონის თავისუფლების იდეა და საქართველო“; სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი. „ენა და კულტურა“ 2019, #22.გვ.96-101. ISSN 1987-7232

ეკისრებოდა (აბზიანიძე, 2012:74). რომანტიზმი იძლეოდა სწორედ იმის საშუალებას, რომ გამუქებულიყო პოეტის შინაგანი სამყარო.

რომანტიზმი, ვიქტორ ჰიუგოს განმარტებით, „უტოლდებოდა“ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის მნიშვნელობას კაცობრიობის ისტორიაში. თუ საფრანგეთში ის წარმოადგენდა კლასიკურის, კლასიციზმის ესთეტიკასთან დაპირისპირებას, ინგლისში რომანტიკული განახლება ხასიათდება მიბრუნებით დედოფალ ელისაბედის დროინდელი ლიტერატურისაკენ, რომელიც გამოირჩევა მხატვრული წარმოსახვისა და გამოხატულების სიჭარბით, ხშირად ზედმეტობით, შინაგანი სიძლიერითა და დინამიზმით, გზნებითა და ვნებით. ინგლისური რომანტიზმი იმ ხანგრძლივი პროცესის შედეგია, რომელიც სათავეს იღებს XVIII საუკუნის პირველ ნახევარში სემუელ ტეილორ კოლრიჯის კრებულიდან „ლირიკული ბალადები“ (1798) (აბზიანიძე, 2012:61).

რომანტიზმი თავის უმაღლეს საფეხურს აღწევს ევროპული რევოლუციებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების ეპოქაში, ხოლო მისი თეორიული საფუძვლები თავისებურ გავლენას ახდენს XIX საუკუნის 20-იან წლებში ეროვნული თვითმყოფადობის აღორძინებისაკენ სწრაფვაზე (ლომიძე, 2016:6).

რამდენადაც ინგლისური რომანტიზმი ერთგვარი რეაქცია იყო XVIII საუკუნეში მძლავრ მსოფლმხედველობრივსა და მხატვრულ მეთოდზე – რაციონალიზმზე, ასევე პირწმინდად „ინგლისურ“ ლიტერატურულ მოვლენაზე – „სენტიმენტალიზმზე“, ინგლისური რომანტიზმი წარმოადგენდა რეაქციასაც განმანათლებლობის ფილოსოფიაზე. ნორტონის რომანტიკული ანთოლოგიის ავტორის, ეიბრაჰამის მოსაზრებით, ინგლისისათვის ეს იყო ბობოქარი, გარდამავალი პერიოდი, როდესაც ინგლისში მიმდინარეობდა ურთულესი ცვლილებები მიწათმფლობელური, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებიდან თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბებამდე (აბზიანიძე, 2012:77).

ინგლისურ რომანტიზმზე თავისებური გავლენა იქონია გერმანელმა მწერალმა იოჰან ვოლფგანგ გოეთემ, რომელმაც 1773 წელს შექმნა ესეების კრებული „გერმანული სტილისა და ხელოვნების შესახებ“. მასში ავტორმა განიხილა გერმანული ხალხური ზღაპრებისა და ინგლისელი უილიამ შექსპირის პიესების რომანტიკული

სულისკვეთება, ხელს უწყობდა არამცთუ რომანტიკული ესთეტიკის, არამედ შექსპიროლოგიის, როგორც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამეცნიერო დისციპლინის ჩამოყალიბებასაც.

აღნიშნულ პერიოდში დიდი მნიშვნელობა მიენიჭა პოეტური სტილის, ბუნებისა და სამყაროს ხედვის მხატვრულ მეთოდს, რაც გამოიკვეთა ინგლისელ უილიამ უორდსუორთის (1770-1850) ნააზრევში, რომელმაც თავის მეგობართან, სემუელ ტეილორ კოლრიჯთან ერთად 1798 წელს გამოაქვეყნა კრებული „ლირიკული ბალადები“. კრებულში პირველად გახმაურდა აზრი, რომ უკუგდებულ უნდა იქნას მოძველებული პოეტური ფორმები და თემები. ამ თვალსაზრისით, უორდსუორთის ნააზრევი ბრიტანული რომანტიზმის ფუძემდებლურ თეორიულ დოკუმენტს წარმოადგენს (აბზიანიძე, 2012:79).

რომანტიზმის გავრცელებას ევროპაში ერთგვარი ევოლუციური ხასიათი ჰქონდა. უიმედობამ, დაუკმაყოფილებლობამ ნელ-ნელა პოვა თავისი გამოხატულება ლიტერატურაში. იქმნება ჯგუფები, ე. წ. „სენაკლები“, გამოიცემა ლიტერატურული გაზეთები, რომლებიც ერთგვარად ხელს უწყობენ ახალი ლიტერატურული სკოლის იდეებისა და მიზნების, შემოქმედებითი თეორიების პოპულარიზაციას (აბზიანიძე, 2012:63).

ლიტერატურათმცოდნენი თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში ავრცელებდნენ მოსაზრებას, რომ არსებობს სუბიექტური და ობიექტური რომანტიზმი. სუბიექტურად ინგლისური რომანტიზმის წარმომადგენლების, ე. წ. „ტბის სკოლის“ პოეტების – უორდსუორთისა და კოლრიჯის – ნააზრევს მიიჩნევენ, სოუთისა და სკოტის შემოქმედებას კი ობიექტურად ახასიათებენ.

რომანტიკოსების ყურადღების ცენტრში განსაკუთრებულად ექცევა აღმოსავლეთი, მისი ეგზოტიკა, რაღაც განსხვავებულის წარმოჩენა, მაგრამ მნიშვნელოვანია ასევე საკუთარი, ეროვნული წარსულის გახსენება. თუმცა არსებობს ერთი სუბიექტური განზომილება. ე. წ. „რომანტიკული სულიერი მდგომარეობა“ (გ. ეკიზაშვილი). ამ კუთხით ის წარმოაჩენდა ევროპული ცნობიერების კრიზისს, რაც ასუსტებდა გონების სუვერენულობისადმი რწმენას, წააგავდა ერთგვარ

ავადმყოფობას, რომლითაც რომანტიკოს პოეტებს გამოარჩევდნენ. რომანტიზმი იქცა ახალგაზრდობისა და თანამედროვეობის სინონიმად (აბზიანიძე, 2012:65, 66).

რომანტიკოსები ყურადღებას ამახვილებენ სულიერ განცდათა გამოხატვის მნიშვნელობაზე, რაც გამოიკვეთა უორდსუორთის განსაზღვრებაში, რომ ყველა დიდი პოეზია უნდა იყოს უძლიერეს გრძნობათა სპონტანური გადმოფრქვევის შედეგი. ამით უარი ითქმოდა ხელოვნების, არა როგორც ცხოვრების მიზამდის, არამედ საკუთარი განცდის გამოხატვის ფუნქციაზე. ამდენად „ლირიკული გმირი“ პოეტური ნიღბიდან იქცა „ამ ნიღბის მატარებელ პოეტად“. სწორედ უორდსუორთის „პრელუდი“ ითვლება იმის ნიმუშად, რომ ავტორმა ეპიკურში ჩააქსოვოს „ლირიკული ელემენტები“, პოეტის უშუალო „მე“. ასეთად იქცა ახალგაზრდა ჯორჯ გორდონ ბაირონის ავტობიოგრაფიული „ჩაილდ ჰაროლდი“ (1818), რომელიც ერთგვარი შენიღბული გამოხატულება იყო უორდსუორთის „პოეტური სუბიექტივიზმის ფორმულისა“. და ეს მაშინ, როდესაც ნეოკლასიკური მწერლობის წარმომადგენელთა უმრავლესობა ინგლისსა და ევროპაში საგმირო ეპოსისმაგვარ სტროფებს ქმნიდა, ინგლისელმა რომანტიკოსებმა შეიტანეს ცვლილება ესთეტიკურ იდეალში, რაც, ძირითადად, ბუნების ასახვაზე იყო კონცენტრირებული. უორდსუორთისა და კოლრიჯის გამარტივებულმა სტილმა წარმოაჩინა სიუჟეტის განუმეორებლობა, „რადგან ჟანრთა უკიდურესი მრავალფეროვნება უორდსუორთმა ერთიან კანონში შეათავსა“ (თ. კობახიძე), ასე იქცა ე. წ. ტრაგიკომედია ჟანრად, რომელიც წარმოადგენდა გროტესკისა და ამაღლებული სიუჟეტის სინთეზს (აბზიანიძე, 2012:80). სწორედ უორდსუორთმა მოხსნა საბოლოოდ ბუალოსეული ადგილის, დროისა და მოქმედების ერთიანობის პრინციპი. ასე შეიცვალა XVIII საუკუნის ლიტერატურის სტატიკური, კლასიციზტურ-უნივერსალური ტიპის ლიტერატურული ფორმა უფრო რთული, იდიოსინკრეტული ხასიათით და შემატა მას ადამიანური განცდები. ამ პერიოდში გამოჩნდნენ ახალგაზრდა პოეტები (ბაირონი, შელი, კიტსი), რომლებმაც სცადეს შემოეტანათ საკუთარი პიროვნების პირადი შთაბეჭდილებები, აჯანყებული ტრაგიკული გმირის განცდები.

რომანტიზმის მხატვრულ-ესთეტიკური თავისებურებები (კლასიციზმის პოეტიკის უარყოფა, აღმოსავლეთით დაინტერესება, ინდივიდუალიზმის ინტერესი,

ეროვნული თავისებურებების ინტერესი, ისტორიზმის საკითხებით გატაცება) მოედო მთელ ევროპას და იმთავითვე გახდა ძალიან პოპულარულიც.

რომანტიზმმა ძირითადად ფსიქოლოგიზმის განვითარებასაც დაუდო სათავე. მათთვის სამყარო სულისა და ხორცის ჭიდილი იყო და ეს კარგად მოჩანს სხვადასხვა ოპოზიციური წყვილის სახით, როგორცაა:

- ბოროტება/სიკეთე;
- ღვთიური/დემონური;
- მარადიული/წარმავალი;
- ოცნება/სინამდვილე და სხვანი. (ნ. გაფრინდაშვილი, მ. მირესაშვილი, 2008:200).

იდეალური სამყარო არის ადგილი, საითკენაც მიისწრაფვიან რეალური ყოფით უკმაყოფილო რომანტიკოსები, რამდენადაც ის სამყარო მიუწვდომელია, იმდენად – მშვენიერი და იდეალური. აქ გამოვლინდა სწორედ მისი უკუდეგანო წარმოსახვა და შემოქმედებითი თავისუფლების იდეა.

ასეთ შემთხვევაში რომანტიკული გმირის ევოლუცია გვესახება ორ ეტაპად: რეალობასთან შეჯახებამდე და რეალობასთან შეჯახების შემდეგ. პირველ ეტაპზე იმედით აღვსილი რომანტიკოსი, რომელიც სამყაროს შესაცვლელად ებრძვის ბოროტებას, მეორე ეტაპზე ხდება სკეპტიკოსი, პესიმისტი. ასეთი რომანტიკული გმირის ტიპური სახე სწორედ ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდშია“ წარმოჩენილი.

რომანტიზმმა საზოგადოებას შესთავაზა ავტორის ახლებური, რომანტიკული ტიპი; ასევე იქნა გააზრებული გენიოსის ცნებაც; რომანტიკოსისათვის მუზა მხოლოდ ზემთაგონება იყო.

ინგლისელმა რომანტიკოსებმა შექმნეს ის ლიტერატურულ-კულტურული ფენომენი, რომელიც ცნობილია **ინგლისური რომანტიზმის** სახელწოდებით და რომელმაც შეცვალა არამარტო თვით ინგლისური ლიტერატურა, არამედ რელიგიაც, კულტურაც და მთლიანად ბრიტანული საზოგადოებაც. სწორედ ახალგაზრდა რომანტიკოსი პოეტების შემოქმედებიდან აღმოცენდა ოთხი მთავარი თემა, რომლებმაც შემდგომ იმოქმედეს რელიგიურ და ფილოსოფიურ აზროვნებაზე. პირველი, რომანტიზმის წინამორბედი – ლიბერტანიზმი იყო, რაც გულისხმობდა

ბუნებაზე კონცენტრირებას და დაუპირისპირდა ნეოკლასიციზმის ფილოსოფიას, მეორე – ბუნება, წარმოდგენილი უორდსუორთის პოეზიაში, მესამე – ეგზოტიკით გატაცება, ხოლო მეოთხე კი – ილუზიათა რღვევისა და რაციონალიზმის ნარევი, რაზედაც გავლენას ახდენდა ხალხური სიტყვიერება, ზღაპრები, ბალადები.

რომანტიზმი არ იყო მხოლოდ იდეურ შეხედულებათა კონცეპტი. მან თავისებურად მოახდინა გავლენა თვით ლექსის ფორმაზეც – ესაა თავისუფალი ლექსი, რომელსაც განსაზღვრავდნენ, როგორც გაურითმავ იამბიკურ პენტამეტრულ, ხუთტაეპიან სტრიქონს, სადაც ყოველ უმახვილო მარცვალს მოსდევდა მახვილიანი (აბზიანიძე, 2012:83).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოკლე სალექსო ფორმა, რომელიც სულიერ განწყობილებას ან ემოციას გამოხატავდა. შესაბამისად გაურითმავიც შეიძლება ყოფილიყო და გართმულიც.

ახალმა ფორმებმა, როგორც მკვლევარნი აღნიშნავენ, თავისებური გავლენა მოახდინეს თვით ინგლისურ ენაზე, რომელიც გამდიდრდა როგორც ლექსიკურად, ისე სინტაქსურად. ენის წიაღიდან ამოიკრიბა ბევრი ისეთი სიტყვა და გამოთქმა, კარგა ხნის წინად რომ გამქრალიყო. ასეთი გავლენა მოახდინა რომანტიზმმა როგორც სასაუბრო, ისე წერილობით ენაზე.

იდეალებისათვის ბრძოლა, ისტორიული პრობლემატიკა, რელიგიასთან მიმართების ცვლილება იქცა რომანტიზმის მნიშვნელოვან ფაქტორად და პერიოდად, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა ბრიტანული საზოგადოების განვითარებაზეც.

ინგლისური რომანტიზმი, ისევე როგორც სხვა ქვეყნებისა, კონკრეტულად ბაირონი, რუსული რომანტიზმით შემოვიდა საქართველოში. თავად რუსეთში ამ მიმდინარეობის გავრცელება განაპირობა, ძირითადად, 1812 წლის ომმა. გარდა ამისა, საბრძოლო, გამძაფრებულ წინააღმდეგობრივ განცდებსაც შეესატყვისებოდა გოეთეს, შილერის, ბაირონისა თუ სხვათა პიროვნული თვისებები და, ცხადია, არარომანტიკული თუ სენტიმენტალური ტენდენციები რუსეთში ერთგვარად ახლოს იყო კლასიციზმთან. მიუხედავად ამგვარი შეფერხებისა, რომანტიზმმა მაინც შეძლო

ევროპასთან დაახლოება ამ ლიტერატურულ მიმართულებასთან, პოპულარობის თვალსაზრისით.

ბაირონზე ისე წერდნენ, როგორც ბიბლიურ აბესალომზე. მას, დიდი ექვებისა და ყოყმანის შემდეგ ძლივს აღირსეს დაფნის გვირგვინი.

ბაირონის კვალი ინგლისურ ლიტერატურაზე კარგადაა გამოკვეთილი მისი მკვლევრის, მ. გუმნერის, დისერტაციის ავტორეფერატშიც, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია ხალხური თემატიკის კლასიციზმის ესთეტიკასთან დაპირისპირებაზე და თვით ხალხური თემატიკის გაღრმავებაზე, ადამიანის ინდივიდუალურ ბრძოლაზე, ჯანყზე ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული საზოგადოების წინააღმდეგ („ჩაილდ ჰაროლდი“).

ამიტომ იყო, რომ ბაირონმა და ბაირონიზმმა დიდი ინტერესი გამოიწვია რუსული პრესის ფურცლებზე. მას კითხულობდნენ ძირითადად ფრანგული თარგმანების მეშვეობით, თარგმნიდნენ და უწევდნენ პოპულარიზაციას. ითარგმნებოდა არა მხოლოდ პოეტის შემოქმედება, არამედ გამოკვლევებიც მის შესახებ, რაც არ წყდებოდა არამცთუ ბაირონის სიცოცხლეში, არამედ მთელი საუკუნის განმავლობაშიც. 1888 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ კრებულში «Пантеон литературы» იბეჭდება ი. გოროდეცკის მიერ თარგმნილი გეორგ ბრანდესის „ბაირონი“. თუმცა არანაკლები ადგილი ეთმობა რუსულ პრესაში ევროპიდან შემოსულ ჭორებსა თუ ბაირონის მაკომპრომეტირებელ ინფორმაციებს. მიუხედავად ამისა, მას თარგმნიდნენ, კითხულობდნენ მის შესახებ სიახლეებს და არაერთგზის ადარებდნენ ერთმანეთს ძველსა და ახალ ინფორმაციებს. ეს ტენდენცია მეტ-ნაკლებად გადმოდის ქართულ პრესაშიც. „ბაირონიზმი“ იქცა თითქმის რომანტიზმის ცნების ტოლფასად.

ბაირონიზმი, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავდა ერთგვარ გარდასახვას ამ პოეტის ცხოვრების წესსა და შემოქმედებაში. ბაირონის შემოქმედებას ახასიათებდა ეპოქის სუნთქვა და იმ უპირატესობის შეგრძნება, რაც „მსოფლიო სევდას“ გამოხატავდა. ამას გარდა, მისი პოეზია მოუწოდებდა ბრძოლისაკენ ბოროტების წინააღმდეგ. პრომეთესებურად, ტიტანურად, ხოლო დამოკიდებულება ბოროტებისადმი გამსჭვალული იყო ამპარტავნული, ქედუხრელი მიუღებლობით, ზიზღით. იდეა, ემოცია და ტექნიკა ბაირონის უძლეველი „იარაღებია“, რითაც იგი სხვა პოეტებზე

მომნუსხველად ზემოქმედებდა. ბაირონიზმი ნიშნავდა მის ბანაკში ყოფნას. ეს კი სიამაყეს უძლიერებდა მის მაღიარებელ პოეტებს.

საქართველოში ბაირონის პოპულარობის თემას არაერთგზის შეეხნენ მკვლევრები – ნ. ორლოვსკაია, მ. კუჭუხიძე, ნ. ზედგენიძე, დ. ლაშქარაძე, ი. მერაბიშვილი, ი. ადამია.⁴

რომანტიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, ამ ლიტერატურული მიმართულების ერთი ძირითადი ნიშანი უცხოურით, კერძოდ აღმოსავლეთის ქვეყნებით, იქ მოგზაურობით, გატაცებაც იყო. რომანტიკული მსოფლმხედველობის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი ეგზოტიზმია... უცხო პეიზაჟების გარდა რომანტიკოსები ეძიებენ ცხოვრების მათთვის უცნობ ყაიდას, ნორმებს, ზნე-ჩვევებს, შეიძლება უფრო თავისუფალი სულისკვეთებით; ამ თვალსაზრისით, ყურადღებას განსაკუთრებით აღმოსავლეთი იპყრობს. ბაირონი, თომას მური, საუთი, ჰაინე, პუშკინი (რომელმაც კავკასიის თემა შეიტანა ევროპულ ლიტერატურაში) უცხო მხარეთა მოხილვის ჟინით შეპყრობილი „ლიტერატურული მოგზაურები“ არიან... ეგზოტიკურობისაკენ სწრაფვა განსხვავებულსა და გამორჩეულს ნიშნავდა – წერდა ბოდლერი (აბზიანიძე, 2012:63,64). და, თუმცა თავისი დროისათვის „საკმაოდ პოპულარული მწერლის, თომას მურის, „ლალა რუკში“ (1817) გამოჩნდა ქართველი გოგონა ინდოეთის სამეფოს ჰარემიდან, ჯორჯ გორდონ ბაირონთან ეს რეალურ სიტუაციაში ნაცნობობითაც გამოიხატა (1811) ქართველ ტყვე გოგონასთან, რომელსაც ახალგაზრდა ინგლისელმა პოეტმა ბევრი ლექსი მიუძღვნა.⁵

ბაირონის გატაცება აღმოსავლეთით და, კერძოდ, საქართველოთი, ერთი მხარეა, მეორეა თავად საქართველოს დაინტერესება ბაირონის პიროვნებითა თუ შემოქმედებით, ხოლო მესამე კი თავად არის ბაირონი – სადღეისოდ საუკეთესო თარგმანების სახით ქართულ ენაზე. „ბოლო დრომდე უყურადღებოდ რჩებოდა, რომ სტრიქონში „მინდა ვეწვიო სილამაზის მშობლიურ მხარეს“ („ინგლისელი ბარდები და

⁴ იხ. ი. ადამიას სადისერტაციო ნაშრომი: „საქართველო ბაირონის შემოქმედებაში“ (ტრანსლატოლოგიური ანალიზის თვალსაზრისით), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2013.

⁵ (იხ. ჩვენი პუბლიკაცია : „ჯორჯ გორდონ ბაირონის ქართული დისკურსი XX-XXI საუკუნეების საქართველოში“. სამეცნიერო რეცენზირებადი ელექტრონული ჟურნალი. „ფილოლოგიური კვლევები“.2022,#IV. გვ.98-109. ISSN 2667-9612.)

შოტლანდიელი მიმომხილველები“) საქართველო „იგულისხმება“ (მერაბიშვილი, 2005:58,59) (ხაზი ჩვენია – თ.ს.).

ბაირონის დაინტერესება თირზას (ეს სახელი მხოლოდ მის მიერ შერქმეულია ნამდვილი სახელის ნაცვლად) პიროვნებით, მისი ბედით ინესა მერაბიშვილმა დაწვრილებით შეისწავლა და წარმოადგინა გამოკვლევები არაერთ საგაზეთო-საჟურნალო სტატიასა თუ კრებულში. აქვეა გამოკვეთილი მხოლოდ მისეული თარგმანის თეორიის პრინციპებიდან გამომდინარე თარგმანისათვის იმ „ხატის“ ძიება, რაც სჭირდებოდა ლექსის „პორტრეტის ქვემოთ მიწერილი სტრიქონების“ ქართულად აჟღერებას. რეალურადაც, ბაირონმა 29 ტყვე თურქის გამოსყიდვისას ქართველი გოგონა – ხატო – გამოიხსნა, რაც შემდგომად „დონ ჟუანში“ წარმოაჩინა ლეილას სახით.

ბაირონი ასევე დაინტერესებულია ანტიკური მედეას პერსონაჟით, მას მრავალჯერ მიმართავს, როგორც „ვერიპიდეს“ ტრაგედიის თავისუფალი თარგმნისას, ისევე „დონ ჟუანში“. ჰელესპონტის გადალახვისას ლეანდრისა და ჰეროს ტრაგიკული სიყვარულის ისტორიასაც ქართველმა მკვლევარმა ი. ადამიამ პარალელი მოუძებნა ქართულ „თავფარავნელი ჭაბუკის“ ლეგენდასთან. ბაირონის დაინტერესება პრომეთეთი, რომლის მითური მიჯაჭვის ადგილი კავკასიონია, გამოიხატა მის „პრომეთეშიც“, რომელიც სხვადასხვა დროს თარგმნილია ქართულ ენაზე.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ბაირონის პიროვნების წეს-ჩვეულებანი უცხო იყო XIX საუკუნის 20-40-იანი წლების საქართველოსათვის. ამიტომ „დენდიზმი“, უთავბოლო ჭორებზე აგებული თავგადასავლები სრულიადაც არ აინტერესებს ჭეშმარიტ მართლმადიდებელ, ტრადიციების ერთგულ, თავისუფლებისმოყვარე, მაგრამ ევროპული ლიტერატურითა და კულტურის ისტორიით გატაცებულ ქართველ მკითხველს. მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის 1869-1870 წლებში ძალზე გახმაურდა ამერიკელი აბოლიციონისტი მწერალი ქალის, ჰარიეტ ბიჩერ სტოუს (1811-1891) სუფრაჟისტული მიმართულების „კამფლეტები“ (“The True Story of Lady Byron’s Life“, “Lady Byron Vindicated”) ბაირონის მეუღლის, ლედი ანაბელა მილბენკის დაცვის მიზნით, საქართველოში მას არავითარი გამოხმაურება არ მოჰყვა. და მაინც განვითარდა უკუპროცესი – ბაირონის აღქმისა და გათავისებისა. ჭორების საპირისპიროდ, გერმანელმა კარლ ელზემ დიდი შთაგონებით გამოკვეთა ბაირონის

ღირსებანი თავის ნაშრომში. ბაირონი ნამდვილი მოქალაქეა ინგლისელ მწერლებს შორის, რომელმაც სამშობლოს გარეთ გაითქვა სახელი, როგორც მსოფლიო ლიტერატურის მლადადებელმა. მაშინ, როდესაც ინგლისური ლიტერატურის ცნობილი ისტორიკოსი, ო. მილერი აღნიშნავდა ბაირონის წინააღმდეგობებს თავის სამშობლოსთან, აღიარებდა მას, როგორც უდიდესს ყველა ინგლისელ პოეტთა შორის – წერდა ბაირონის შესახებ (მოიხმობს გერმანელ ელზეს გამონათქვამებს) თავის ნარკვევში ლორდ ბაირონზე («Вестник Европы», 1878, т. I.:458).

ქართულ სინამდვილეში XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული, თვით საბჭოურ თუ პოსტსაბჭოურ ეპოქებში, გატაცებით თარგმნიან ბაირონის, როგორც პოეტურ შედეგებს, ასევე იკვლევენ მის ცხოვრება-შემოქმედებას. ყოველივე ხორციელდებოდა მთარგმნელობითი უახლესი მეთოდის შემუშავებითა და კულტურათშორისი კავშირების კვლევებით – ასეთია გზა ბაირონის ცხოვრება-შემოქმედების პოპულარიზაციისა საქართველოში, რაც საკმაოდ ვრცელადაა წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომში მისი ქართული თარგმანების ტრანსლატოლოგიურ კვლევასთან ერთად.

ამჯერად შევაჩერებთ ჩვენს ყურადღებას ბაირონის შესახებ სხვადასხვა დროის მკვლევართა ნააზრევზე, მისი შემოქმედების ზოგიერთი ასპექტის კვლევაზე ქართველ მწერლებთან მიმართებით და სხვა საგულისხმო საკითხებზეც.

სხვადასხვა პროფესიის, წოდების წარმომადგენლები ცდილობდნენ, ქართული ევროპეიზმის იდეა დაეკავშირებინათ ბაირონიზმთან. აუცილებლად არ მიაჩნდათ ბაირონის ორიგინალში წაკითხვა. საჭირო ინფორმაციას ისინი ხშირად შუალედური ენებიდან იგებდნენ. საყურადღებოა, მწერალთა თუ საზოგადო მოღვაწეთა ნააზრევი XIX-XX საუკუნეებში, რასაც დისერტაციის სხვადასხვა ნაწილში თარგმანთან დაკავშირებით განვიხილავთ. უპირველესად კი ვეცდებით, წარმოვადგინოთ ერთი ლიტერატურული მიმართულების ფარგლებში, ქართულ სინამდვილეში, მაგრამ სხვადასხვა ეპოქაში. ბაირონის ცხოვრებისა და შემოქმედების პოპულარობის რაობა და ის, თუ რა ცვლილება განიცადა მან ამ თვალსაზრისით.

კვლევის ობიექტი. კვლევის ობიექტად გამოყენებულია XIX-XXI საუკუნეების ბაირონის ქართულ ენაზე გამოქვეყნებული თარგმანები ქართული პრესის

ფურცლებზე. ამდენად, საყურადღებოა ნაკლებად ათვისებული სფეროს კვლევა, ასევე თარგმანის შეფასების თვალსაზრისით სათანადო საზომების დადგენა.

ნაშრომის მიზანია შინაარსობრივი თუ ლინგვო-სტილისტური კატეგორიების სათანადოდ წარმოჩენა. პრესაში გაბნეული ბაირონის ქართული თარგმანების შესწავლის საფუძველზე, აგრეთვე იმ ტრანსლატოლოგიური განზოგადებისა და მეთოდოლოგიის შემუშავება, რაც აუცილებელია ზუსტი და ეკვივალენტური თარგმანის მისაღებად.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე და თემის აქტუალობა. ნაშრომი, სახელწოდებით „ლორდ ბაირონის პოეზია XIX-XXI საუკუნეების ქართულ პრესაში, როგორც ტრანსლატოლოგიური კვლევის ობიექტი“, შეიცავს შემდეგ სიახლეებს: 1. სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვენს გამოკვლევამდე არ იყო გამოკვეთილი XIX-XXI საუკუნეებში ბაირონის ქართული თარგმანების შესწავლის სრული სურათი, რაც, თარგმანთმცოდნეების შეფასებით, ძირითადად ხასიათდებოდა როგორც „კარგი“ ან „სუსტი“ თარგმანები. ამდენად მეცნიერული შეფასება პირველად ხორციელდება ჩვენ მიერ; 2. არ იყო გამოკვეთილი ის ფაქტი, რომ ბაირონის ძირითადი თარგმანები XIX საუკუნეში წარმოადგენდა შუალედური ენის მეშვეობით შესრულებულს ან მიბაძვას; 3. თარგმანთმცოდნეობის ტრანსლატოლოგიური კვლევის ინესა მერაბიშვილისეული ახალი მეთოდის გათვალისწინებით („ლინგვისტური ხატი“), პირველად ხორციელდება სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა მთარგმნელის მიერ მთარგმნელობითი მასალის ტრანსლატოლოგიური კვლევის ანალიზის საფუძველზე.

ნაშრომი წარმოადგენს მეცნიერულად არგუმენტირებულ კვლევას XXI საუკუნეში. პრაქტიკული ღირებულება კი ისაა, რომ კვლევის შედეგები და დასკვნები გამოყენებულ იქნება როგორც ბაირონოლოგიაში, ისე თარგმანთმცოდნეობაში.

კვლევის მეთოდები: ნაშრომში გამოყენებულია კონტენტ-ანალიზისა და კომპარატივისტული ანალიზის მეთოდები.

ჩვენ მიერ ჩატარებული კონტენტ-ანალიზი გულისხმობს ტექსტის ლინგვისტიკის იმ მეთოდოლოგიას, რომელიც განისაზღვრა ი. გალპერინისა და ი. მერაბიშვილის მიერ შემუშავებული ტექსტის შინაარსობრივი კატეგორიების შესწავლის გათვალისწინებით

წინამდებარე ნაშრომში კომპარატივისტული მეთოდი გამოყენებულია, როგორც ქართული თარგმანის დედანთან და შემდგომ თვით სხვადასხვა თარგმანების შედარების საშუალება, რაც ნათელყოფს მათ უპირატესობებს, მსგავსება-განსხვავებებსა თუ ხარვეზებს.

ნაშრომის მეცნიერული ღირებულება. თავად ნაშრომი წარმოადგენს მეცნიერულად არგუმენტირებულ კვლევას XXI საუკუნეში. პრაქტიკული ღირებულება კი ისაა, რომ კვლევის შედეგები და დასკვნები გამოყენებულ იქნება როგორც ბაირონოლოგიაში, ზოგადად თარგმანის შეფასება-ანალიზისას, ისე დასმული პრობლემური საკითხების შემდგომი შესწავლისათვის.

ნაშრომის სტრუქტურა შედგება შესავლისაგან, რომელშიც ჩამოყალიბებულია კვლევის მიზანი, აქტუალობა, სამეცნიერო სიახლე და მეთოდოლოგია, რაც გამოყენებულ იქნება ანალიზის პროცესში. დისერტაციის ძირითადი ნაწილი იყოფა ორ თავად: 1) თარგმანის თეორიის შესწავლის საკითხისათვის; 2) ქართულ პრესაში დაბეჭდილი ბაირონის თარგმანების ტრანსლატოლოგიური ანალიზი. თითოეული თავი დაყოფილია პარაგრაფებად, ნაშრომს ერთვის დასკვნები და გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავი I. თარგმანის თეორიის შესწავლის საკითხისათვის

როგორც ცნობილია, ლიტერატურა ხელოვნების ერთადერთი დარგია, რომელიც ითვალისწინებს საკუთარ ლინგვისტურ საზღვრებს მხოლოდ განსაზღვრულ ენაზე. აქედან გამომდინარე, მხატვრულ ლიტერატურას, განსაკუთრებით პოეზიას, აქვს ძლიერი მუხტი, რომელიც ხელს უწყობს კარგ მთარგმნელს, უცხო ენაზე შექმნილი ნაწარმოები ისე მიაწოდოს მკითხველს, რომ მან შეძლოს მისი აღქმა და შეფასება (მერაბიშვილი, 2021:122).

აქედან გამომდინარე, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში, კვლევის ძირითადი მიზნის გათვალისწინებით, გავაშუქებთ ჯორჯ გორდონ ბაირონის პოეზიას ქართულ ენაზე თარგმანების მაგალითზე, ამავე თარგმანის კრიტიკით, რომელიც ფილოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგადაა მიჩნეული. რამდენადაც XX საუკუნეში მისი შესწავლა საქართველოში, ძირითადად, დაკავშირებულია თარგმანთმცოდნეობის თეორეტიკოსის, გივი გაჩეჩილადის სახელთან, როგორ შევაფასოთ იგი XXI საუკუნის გადასახედიდან?! აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უხსოვარი დროიდან მოყოლებული, თარგმნილი ლიტერატურა ქართველთათვისაც წარმოდგებოდა როგორც უცხო ქვეყნის ადამიანებთან კომუნიკაციის საშუალება. თუმცა XIX საუკუნეში, თარგმანთმცოდნეობა ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის დამსახურებით მაღალ დონეზე ყალიბდება, ყურადღება ექცევა დედნისა და სამიზნე ენის მაქსიმალურ დაახლოებას თარგმნის პროცესში. მაშინ იდგა საკითხი – მკითხველი გასცნობოდა უცხო ენაზე შესრულებულს, როგორც ორიგინალს. სადღეისოდ კი, უმარტივესი ფორმულის საშუალებით, პოეტური თარგმანი გვესახება, როგორც ინტერპრეტაცია შერწყმული არტისტულ შესრულებასთან. (მერაბიშვილი, 2005:9) აქ დღის წესრიგში დგება ტექსტის ლინგვისტიკის გათვალისწინებაც, რომელიც ახალ პერსპექტივას გვთავაზობს თარგმანის თეორიულ შესწავლასა და აღწერაში, ანუ ყალიბდება როგორც „ტრანსლაციური ლინგვისტიკა“, შემოთავაზებული გერმანელი მეცნიერების მიერ. როგორც წერილობითი, ისე ზეპირი (სინქრონული) თარგმნისას „ტრანსლაციური ლინგვისტიკა“, თავის მხრივ, ამდიდრებს და ავითარებს ენათმეცნიერებასაც. ეს

პროცესი კი შეინიშნება XX საუკუნეების 50-იანი წლების შემდგომაც, როდესაც თარგმანის ლინგვისტიკა ყალიბდება როგორც სამეცნიერო დისციპლინა.

XIX საუკუნე როგორც ევროპაში, ისე რუსეთსა და საქართველოში თარგმანთმცოდნეობის შესწავლის და ზოგადი პრინციპების დადგენის კუთხით არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით. ამდენად, ქართველი მთარგმნელები უმეტესწილად ეყრდნობიან შუალედური ენებიდან – ფრანგული და რუსული ენებიდან (რომლებიც იმ პერიოდისთვის სავალდებულო და პოპულარული იყო) ისეთი თარგმანის მიწოდებას ქართველი საზოგადოებისათვის, რომელიც გასაგებ-მისაღები იქნებოდა უშუალოდ, მკითხველისათვის. ამდენად გამოვყოფდით განსხვავებულ ტენდენციებს მთარგმნელობითი პრინციპების ჩამოყალიბების თვალსაზრისით XIX–XX–XXI საუკუნეებში.

§1. მთარგმნელობითი პრინციპები XIX საუკუნეში

მთარგმნელობითი კულტურა მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანთაგანია და მისი განვითარების, სრულყოფის პროცესი უძველესი დროიდან მომდინარეობს. ქართულ სინამდვილეში იგი ძირითადად ბიზანტიასთან დაკავშირებით სასულიერო შინაარსის ლიტერატურის მშობლიურ ენაზე გადმოღებას, ამეტყველებას გულისხმობდა. უძველესი ცნობებიც სწორედ ამასთანაა დაკავშირებული. საეკლესიო მოღვაწემ, ექვთიმე მთაწმინდელმა „...იწყო თარგმნად და ყოველნივე განაკვირნა, რამეთუ ეგევითარი თარგმანი, გარეშე მათ პირველთასა, არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა“ (ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, 1901:26,27).

სწორედ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელსაც იმდროინდელმა ქართულმა აზროვნებამ მიაპყრო ყურადღება, იყო მთარგმნელობითი პრინციპების დადგენა-გარკვევა. როგორც კ. კეკელიძე შენიშნავს, XI საუკუნის მეცნიერ-ფილოსოფოსმა და თეოლოგიურ-ფილოსოფიური კომენტარების ავტორმა, ეფრემ მცირემ შექმნა თარგმანის საკუთარი თეორია, რომელიც საფუძვლად დაედო შემდეგი დროის სასულიერო ლიტერატურის ქართულ თარგმანებს (კეკელიძე, ტ. I, 1960:253).

ეფრემი მიიჩნევს, რომ მთარგმნელმა აუცილებელია გაითვალისწინოს ორივე ენის (სათარგმნისა და თარგმნილის) თავისებურება, ანუ სამიზნე ენა, რომელზედაც ითარგმნება ტექსტი და არ უნდა მისდევდეს „სიტყვასიტყვით“ თარგმანს. ამ კუთხით იგი ჯერ სხვადასხვა ლექსიკონის საშუალებით იკვლევდა რომელიმე ძნელი სიტყვის მნიშვნელობას და, თუ მას ვერ უპოვიდა შესატყვისს, ამჯობინებდა, უცვლელად დაეტოვებინა, უთარგმნელად. მაგრამ აქვე იცავდა სხვის საავტორო უფლებებს, როგორც იგი მოიქცა ექვთიმე მთაწმინდელის მთარგმნელობითი პრინციპის მიმართ, რომელიც უფრო „თავისუფალი თარგმანის“ მომხრე იყო. ამდენად ეფრემ მცირის მთარგმნელობითი პრინციპი გულისხმობს ორივე ენის ღრმა ცოდნას, სათარგმნი სიტყვის აზრის წვდომას და მეცნიერული შესწავლით თარგმნას. მოგვიანებით, უკვე საერო ლიტერატურის დომინირებისას, უფრო ისე თარგმნიან, რომელშიც მთარგმნელი ღრმად სწვდება სათარგმნის როგორც შინაარსობრივ, ისე კონცეპტუალურ არსს, მაგრამ თარგმნის ქართველთათვის გასაგებად და გასათავისებლად. ამ კუთხით, ინესა მერაბიშვილის აზრით, XII საუკუნის პირველ ნახევარში შესრულებული პროზაული თარგმანი სპარსული პოემა „ვისრამიანისა“ თარგმნითი ხელოვნების სრულყოფილების ნიმუშად რჩებაო. (მერაბიშვილი, 2005:12).

თუმცა „აღორძინების ეპოქაში“ ეფრემ მცირისა და სულხან-საბა ორბელიანის შეხედულებებს უპირისპირდება ვახუშტი ბატონიშვილის შეხედულებანი, რომელიც სტეფანე იავორსკის თეოლოგიური ნაშრომის (1746) თარგმანს ურთავს ანდერძს და ითხოვს ზუსტ, „სიტყვასიტყვით თარგმანს“, ხოლო „თავისუფალი თარგმანი“ მიაჩნია მხოლოდ რიტორთათვის საჭიროდ, რასაც მკვლევარნი არ თვლიან წინადადებულ ნაბიჯად.

ამ თვალსაზრისით, XIX საუკუნემდე ქართული მთარგმნელობითი პრინციპები ასეთი სახესხვაობით წარმოგვიდგება: 1. „სიტყვასიტყვითი“; 2. „თავისუფალი“; 3. „დაზუსტებული“, შინაარსობრივ-კონცეპტუალურად დაახლოებული დედანთან.

XIX საუკუნე ახალი სოციალურ-პოლიტიკური თუ კულტურული ცვლილებებით შემოვიდა ქართულ ცნობიერებაში. საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა და რუსეთის იმპერიის ბატონობამ ბევრი პრობლემის წინაშე დააყენა ერი. მაგრამ რუსეთში სასწავლებლად წასული ქართველი ახალგაზრდობა, განათლების

მიღებასთან ერთად, ლიტერატურული და, საერთოდ, კულტურული ცხოვრების პროცესებსაც გაეცნო. ეს შეეხო რუსეთში მთარგმნელობით საკითხებსაც, კერძოდ, თარგმანთმცოდნის, გივი გაჩეჩილაძის, სიტყვით, იმ ცნობილ იდეურ-პოლიტიკურ ბრძოლაში, რაც, ერთი მხრივ, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიის წარმომადგენელთა, მეორე მხრივ კი, თავადაზნაურობასა და ინტელიგენციის წარმომადგენლებს შორის გაიმართა, ერთ-ერთ „იარაღად“ თარგმანიც იქნა გამოყენებული. ტრადიციულად მომდინარე დედნის სტილის დაცვის აუცილებლობას მოჰყვა თავისუფალი თარგმანი (ვ. ჟუკოვსკი), ზუსტი თარგმანი (ბ. გოლიცინი), სათარგმნ მასალასთან შემოქმედებითი მიდგომა (ა. ს. პუშკინი) და აი ისევ დგება თარგმანის რუსული სინამდვილისადმი შესატყვისობის, ე. წ. გადაკეთების, სიტყვასიტყვითი თარგმანის (ფეტი) და სხვა საკითხი. გ. გაჩეჩილაძის აზრით, თარგმანის პრობლემის გაშუქება განსაკუთრებულ მაღალ საზოგადოებრივ ჟღერადობას იღებს რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი მწერლების შეხედულებებში. ისინი, როგორც მოსალოდნელია, გამომდინარეობდნენ, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივი განვითარების ინტერესებიდან და ამიტომაც მათი მსჯელობის ამოსავალ წერტილად ა. ს. პუშკინის პრინციპი უნდა ჩაითვალოს, ხოლო ეს უკანასკნელი კი, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსის ზუსტ გადმოცემას და ამავედროულად მისი შესატყვისი ფორმის გამონახვას. თავისი თანამედროვე მკითხველის ინტერესებიდან გამოდიოდა ბელინსკიც, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სათარგმნო ძეგლების შერჩევას და ილაშქრებდა ისეთი უიდეო, უშინაარსო ნაწარმოებების თარგმანის წინააღმდეგ, როგორც იყო პოლ დე კოკის ან ეჟენი სიუს წიგნები (გაჩეჩილაძე, 1966: 40,41).

ამკარაა, საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო ყოველივე ამის სათანადოდ დადგენის პირობები XIX საუკუნის 60-იან წლებამდე, რაც, ერთგვარად, გამოწვეული იყო პრესის სიმცირით (60-იან წლებამდე მხოლოდ ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე ქვეყნდებოდა ორიგინალური თუ თარგმნილი ლიტერატურა). ამიტომაც სწორი და მართებული აღმოჩნდა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძის პირველი საეტაპო წერილი „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შემლილის“ თარგმანზედა“ (გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“ 1861

წლის #4-ში). როგორც თარგმანთმცოდნე, მკვლევარი ინესა მერაბიშვილი მიანიშნებს ილია ჭავჭავაძის წერილის მნიშვნელობაზე, ავტორი არამცთუ აკრიტიკებს „შემლილის“ ქართულ თარგმანს, არამედ უარყოფითად აფასებს თვით ივანე კოზლოვის მთარგმნელობით საქმიანობასაც (მერაბიშვილი, 2005:15).

ილიას ორი წერილი („ორიოდე სიტყვა...“ 1860 წელს და „პასუხი“ 1861 წელს), ინესა მერაბიშვილის აზრით, საეტაპო ნაშრომებია ქართულ თარგმანთმცოდნეობაში (თუმცა ისინი არ გამოირჩეოდნენ რაიმე სპეციალური მეცნიერული ღირებულებით, ანუ თარგმანის ლინგვისტური შეფასების თვალსაზრისით). აქ ერთადერთი სამეცნიერო ტერმინი სიტყვის კონსტრუქციაა, რომელიც განმარტებულია როგორც „სიტყვის მოწყობილობა“ (მერაბიშვილი, 2005:14).

ილიას მხატვრული თარგმანი წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც მშობლიური ლიტერატურის განვითარების პროცესში სრულყოფილი შემოქმედება, რომელიც თავისი ფორმითა თუ შინაარსით ამ ამოცანასაც უნდა ემსახურებოდეს და სათარგმნი მასალის სწორად შერჩევასაც ახდენდეს (გაჩეჩილაძე, 1966:89).

ილია ჭავჭავაძე მოითხოვდა ფორმისა და შინაარსის ერთიანობას, მხატვრული ძალისა და ენერჯის დაცვით (გაჩეჩილაძე, 1966:90), თუმცა ეს არ ნიშნავდა XIX საუკუნეში ამ მოთხოვნების გათვალისწინებას თვით ივანე მაჩაბლის თარგმანებამდე, როდესაც უშუალოდ დედნიდან სამიზნე ენაზე თარგმნა ხდება.

გ. გაჩეჩილაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ XIX საუკუნის მე-2 ნახევარში შესრულებულმა თარგმანებმა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უშუალოდ არ ხორციელდებოდა დედნიდან, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული მთარგმნელობითი საქმიანობის განვითარების პროცესში. ამ მხრივ, გ. გაჩეჩილაძე აღნიშნავს იმ ფაქტსაც, რომ ქართული ჟურნალ-გაზეთები სავსე იყო თავისუფალი, ანუ მიბაძვის პრინციპით შესრულებული თარგმანებით. ამით ქართველი მკითხველი ეცნობოდა მისთვის უცნობ სამყაროს, რითაც იფართოებდა გონებრივ ჰორიზონტს და ხვეწდა გემოვნებას, ხელს უწყობდა სალიტერატურო ენის განვითარებას (გაჩეჩილაძე, 1966:97).

ამდენად, გ. გაჩეჩილაძის აზრით, XIX საუკუნის მე-2 ნახევრიდან მოყოლებული ქართული თარგმანები ასრულებდა როლს – ქართველი მკითხველი შეჰყავდა უცხო სამყაროში (გაჩეჩილაძე, 1966:97).

ვეთანხმებით თარგმანთმცოდნეობის კრიტიკოსის, გ. გაჩეჩილაძის მოსაზრებას, რომ XIX საუკუნის მე-2 ნახევრის თარგმანები, მიუხედავად იმისა, რომ დედნიდან არ იყო შესრულებული, დიდი ისტორიული მნიშვნელობისაა თარგმანთმცოდნეობაში, რაც დასტურდება ჯორჯ გორდონ ბაირონის პოეზიის თარგმნითა და მისი პიროვნების დიდი პოპულარიზაციით საქართველოში.

§2. მთარგმნელობითი პრინციპები XX საუკუნეში

ახალ, XX საუკუნეში იმ დროისათვის მიმდინარე მსოფლიო სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად ყურადღება იმაზეც მახვილდება, უცხოელი მწერლის ნაწარმოები უშუალოდ ითარგმნება თუ არა დედნიდან. ამიტომ სავსებით სამართლიანია ინიციატივა იმის შესახებ, ერთ-ერთი ჟურნალის რედაქციამ ამ დროისათვის რომ წამოაყენა: დაარსებულყო განყოფილება თარგმნილი ლიტერატურისათვის (ჟურ. „პრომეთე“, 1918, N1).

ქართული სალიტერატურო კრიტიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი კიტა აბაშიძე წერილში „საზღვარგარეთული ლიტერატურის თარგმნის თაობაზე“ სინანულით აღნიშნავდა, რომ არ არსებობდა გოეთეს, შილერის, დანტეს, ბაირონისა და ჰაინეს ღირსეულად თარგმნილი ნაწარმოებებიო (აბაშიძე, 1971:673).

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან რუსეთში საფუძველი ეყრება ფორმალისტურ თეორიას, რომელიც 70-იან წლებში გამოიყენა და განავითარა ებრაელმა მკვლევარმა, იტამარ ივენ-ზოჰარმა (1939), რათა გარკვეულიყო კულტურების დინამიკასა, მრავალფეროვნებასა და ცვლილებაში. მის სახელთანაა დაკავშირებული პოლისისტემის თეორია. პოლისისტემის თეორიის თანახმად, ლიტერატურული ნაწარმოები განიხილება არა იზოლირებულად, არამედ როგორც ლიტერატურული სისტემების განუყოფელი ნაწილი (სოციალურ, კულტურულ, ლიტერატურულ და

ისტორიულ ჩარჩოებში). ლიტერატურულმა სისტემამ შეიძლება იმოქმედოს სხვაზეც, კერძოდ, თარგმნილ ლიტერატურაზე, რომელიც შემოდის ამა თუ იმ ქვეყანაში და შეუძლია გავლენა იქონიოს ეროვნულ მწერლობაზე. თუ დავეყრდნობით შნელ ჰორნბის თვალსაზრისს, პოლისისტემა ხასიათდება არა მხოლოდ მუდმივი მოდიფიცირებით, არამედ შინაგანი წინააღმდეგობებით, რაც გულისხმობს „პირველად“ და „მეორად“ მოდელებსა და ტიპებს (Snell-Hornby, 1988:23, 24).

ივენ-ზოჰარი გამოყოფს სამ ძირითადი შემთხვევას, როდესაც თარგმნილ ლიტერატურას უკავია პირველადი პოზიცია:

1. როცა ყალიბდება „ახალგაზრდა“(უახლესი) ლიტერატურა, რომელიც თავდაპირველად მიმართავს ძველი ლიტერატურის მზა მოდელებს;
2. როდესაც „პერიფერიული“ ლიტერატურა „სუსტია“ და შემოაქვს ის ლიტერატურული სახეები, რომლის ნაკლებობასაც განიცდის. ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც პატარა ერზე დომინირებს შედარებით დიდი ერის კულტურა;
3. როდესაც ლიტერატურის ისტორიაში დგება კრიტიკული მომენტი, კერძოდ, ვაკუუმი (Munday, 2001:110).

პოლისისტემური თეორიის თანახმად, მისი სტრატეგია განისაზღვრება თარგმნილი ლიტერატურის წილხვედრით პოლისისტემაში. თუ ეს პირველადია, მთარგმნელებს შეუძლიათ მიზნობრივად გამოიყენონ ლიტერატურული მოდელები და გადაუხვიონ აღიარებულ ნორმებს. მაგრამ თუ ეს მეორადია, ისარგებლონ არსებული მიზნობრივი ლიტერატურული მოდელებით.

ამდენად, პოლისისტემის შიგნით მხატვრული თარგმანი წარმოგვიდგება როგორც ელემენტი, რომელიც მუდმივ წინააღმდეგობაშია და გადარჩენისა თუ გაბატონებისათვის ისწრაფვის. ასეთ შემთხვევაში თარგმანი განიხილება, როგორც ტექსტების დამოუკიდებელი ტიპი და განუყოფელი ნაწილი მიზნობრივი ლიტერატურისა და არა უბრალოდ უცხო ტექსტის რეპროდუქცია (Snell-Hornby.1988:24).

XIX საუკუნეში , სავარაუდოდ, ქართულად თარგმნილი ლიტერატურა მიჰყვებოდა ტრადიციულ მოდელს, ხოლო XX საუკუნეში უშუალოდ დედნიდან თარგმნის მეშვეობით ერთგვარად მოდიფიცირებულია.

სიმბოლისტიკის გამოსვლამ შემოქმედებით ასპარეზზე დღის წესრიგში დააყენა მაღალმხატვრული პოეზიისა და მისი ღირსეული თარგმანის ეკვივალენტურობის საკითხი, ამიტომ, ვფიქრობთ, საყურადღებოა პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილის(1889-1941) წერილი „თარგმანის შესახებ“. ვალერიან გაფრინდაშვილი საინტერესოდ მიმოიხილავს ზოგადად თარგმანის ტრადიციებს ევროპასა და საქართველოში და მათ აკავშირებს იმ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებთან, რომლებიც მიმდინარეობდა სხვადასხვა ეპოქაში. ვ. გაფრინდაშვილის აზრით, მთარგმნელობითი ლიტერატურის დარგები ვითარდებოდა ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენით, რაც აისახა XIX საუკუნეში აღმოსავლეთის მწერლებთან, რომლებსაც უშუალო კავშირი ჰქონდათ კაპიტალისტური ქვეყნების კოლონიურ პოლიტიკასთან. ამდენად, სათარგმნი ნაწარმოების შერჩევაც ერთგვარად დამოკიდებული იყო ამა თუ იმ კლასობრივი კულტურის ათვისებაზე. მისი აზრით, ეს მეთოდი არასწორია, რამდენადაც ასეთ შემთხვევაში მთარგმნელი სწორედ კლასობრივი იდეოლოგიის ზეგავლენით ან აძლიერებს, ან ასუსტებს, ან სრულიად სპობს მისთვის არასასურველს. (გაფრინდაშვილი, 1990: 680). გაფრინდაშვილს ამის მაგალითად მოჰყავს ის ფაქტი, რომ თუ მოწინავე რაზნოჩინელები და ლიბერალური წრეები რუსეთში თარგმნიდნენ ფრანგ და ინგლისელ ავტორებს, მათ შორის ბაირონს, რეაქციული დაჯგუფებანი – გერმანულ რომანტიკოსებს, ეს კი მეტყველებდა კლასობრივ დიფერენციაციაზე (გაფრინდაშვილი, 1990:680). საგულისხმოა, რომ ვალერიან გაფრინდაშვილი სწორად განმარტავს, რატომ და ვის უნდა ეთარგმნა ბაირონი საქართველოში.

გარდა ამისა ვ. გაფრინდაშვილი ყურადღებას ამახვილებს თარგმანების ხარისხზე ევროპაში. მისი მოსაზრებით, ფრანგული თარგმანები უფრო მდარე იყო გერმანულ თარგმანებთან შედარებით. თუმცა ხარისხიანი თარგმანებიც შეინიშნებოდა და ისიც რომანტიზმის პერიოდს ეკუთვნოდა.

ვალერიან გაფრინდაშვილი ახალი დროისათვის შესაფერისად მიიჩნევს ადეკვატურ თარგმანს, რომელიც ადადგენს დედანს ფორმისა და შინაარსის თავისებურებების გათვალისწინებით (გაფრინდაშვილი, 1990: 681).

ქართული მთარგმნელობითი პრინციპები მოითხოვდა დახვეწას, რადგან მხოლოდ რუსული თარგმანების მეშვეობით (და არა უშუალოდ დედნიდან) დაზუსტებული, დედანთან მიახლოებული ტექსტები მიეწოდებოდა ქართველ მკითხველს.

ქართული მთარგმნელობითი სკოლის მწვერვალად შეიძლება ჩაითვალოს ივანე მაჩაბლის მიერ უშუალოდ ინგლისური ენიდან თარგმნილი უილიამ შექსპირის დრამატურგია⁶. როგორც გივი გაჩეჩილაძე აღნიშნავს, ივანე მაჩაბელმა შეძლო მიეღწია მაღალი მიზნისათვის, განვეითარებინა ქართული კულტურა და შეექმნა თვალსაჩინო მაგალითები არა მარტო შექსპირის, არამედ საერთოდ ქართული მხატვრული თარგმანის ხელოვნებისათვის (გაჩეჩილაძე, 1966:102). თუმცა ამის შემდგომად, თვით XIX საუკუნის დასასრულამდე, აღნიშნული საკითხი კვლავ ღიად რჩებოდა. მხოლოდ მოდერნისტმა პოეტმა, ვალერიან გაფრინდაშვილმა წარმოადგინა ე. წ. „ადეკვატური თარგმანის“ დამკვიდრების აუცილებლობის საკითხი ქართველ მთარგმნელთა შორის.

მთარგმნელის, პოლიტიკოსის, დავით ონიაშვილის ნააზრევი XX საუკუნის 20-იან წლებამდე საყურადღებოა, როგორც ლიტერატურათმცოდნეობითი, ისე თარგმანთმცოდნეობითი თვალსაზრისით და აუცილებლად იმსახურებს დაფასება-აღიარებას სამეცნიერო წრეებში.

ასე მივდივართ თვით XX საუკუნის 60-იან წლებამდე, როდესაც თავისი მთარგმნელობითი თეორიით ასპარეზზე გამოდის ინგლისური ენის შესანიშნავი მცოდნე, მთარგმნელი, მეცნიერი გივი გაჩეჩილაძე (1914-1974).

ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერი, მთარგმნელი ინტერესდება თარგმანის ისტორიის საკითხებით, ეცნობა XX საუკუნის I ნახევრის თარგმანთმცოდნეთა თუ

⁶ (იხ. ჩვენი პუბლიკაციები : ა. „გივი გაჩეჩილაძის თეორიული შეხედულებები ზაირონის ქართულად თარგმანთან დაკავშირებით“; რეფერირებადი ჟურნალი. „ლიტერატურული ძიებანი“, 2019-2020, #XL. გვ. 23-220. ISSN 0235-3776;

ბ. „ზაირონის ქართული თარგმანების თარგმანთმცოდნეობითი შეფასებისათვის“; სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი. „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“ 2018, #VII. გვ. 133-144. ISSN 1987-930X.)

ლიტერატურათმცოდნეთა, კერძოდ, Bates-ის, Tytler-ის, Conley-ის, Goodspeed-ის, Postgate-ის, Flora Ross Amos-ის, Tycho Mommsen-ის, მ. პ. ალექსეევის, ა. ა. სმირნოვის, ა. ვ. ფედოროვის და სხვათა ნაშრომებს, თვითონაც აქვეყნებს სტატიებს შექსპირის ქართულ ენაზე თარგმანებთან დაკავშირებით და უკვე ა. ფედოროვის ფუნდამენტური ნაშრომის («Введение в теорию перевода», 1953) გამოქვეყნების შემდეგ მუშაობს „მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალზე“ (1966), რომელმაც დიდი გამოხმაურება პოვა ყოფილი საბჭოთა კავშირისა და უცხოელ მეცნიერთა შორის.

უპირველესად, გ. გაჩეჩილაძე მიმოიხილავს ქართულ ენაზე თარგმანის ტრადიციებს, ხოლო შემდგომად, მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიაზე დაყრდნობით, აყალიბებს რა საკუთარ თვალსაზრისს თარგმანის მეთოდოლოგიის საკითხებზე. ერთგვარად უპირისპირდება ა. ფედოროვის მეთოდოლოგიას. (ა. ფედოროვი თარგმანის თეორიას მიიჩნევდა ენათმეცნიერების ერთ-ერთ სახეობად და თვლიდა მას ლინგვისტურ დისციპლინად). გაჩეჩილაძე არ უარყოფს, რომ თარგმანი ენობრივ მასალას ემყარება და რომ სიტყვის და შესიტყვებათა თარგმანის გარეშე მხატვრული თარგმანი წარმოუდგენელია, რადგან თვით თარგმნის პროცესი მოითხოვს ორივე ენის კანონების ცოდნასაც და მისი ურთიერთშესაბამისობის გაგებას. ამავდროულად გაჩეჩილაძე მოითხოვს, რომ მხატვრული თარგმანი ცალკე დისციპლინად უნდა იქნას აღიარებული, ხოლო მისი სფერო იწყებოდეს იქიდან, სადაც თავდება ლინგვისტური მსჯელობა თარგმანზე (გაჩეჩილაძე, 1966:139). თავად გ. გაჩეჩილაძე, ემყარება რა „ლენინურ თეორიას“, რაც სოცრეალიზმის ეპოქაში აუცილებელი მოთხოვნა იყო საბჭოური მეცნიერების წინაშე, გამოკვეთით აცხადებს, რომ სწორედ მხატვრული თარგმანის შექმნა არის ასახვის შემოქმედებითი პროცესი, ხოლო ობიექტური სამყაროს გამოვლენის კერძო ფაქტს ამ შემთხვევაში წარმოადგენს დედანი, რომელიც მთარგმნელის შემეცნების საგნადაც იქცევაო (გაჩეჩილაძე, 1966:144).

როგორ თარგმანზე ამხვილებს ყურადღებას გ. გაჩეჩილაძე? მისთვის, უპირველესად, მნიშვნელოვანია თარგმანში შინაარსისა და ფორმის შესატყვისობის საკითხი. გ. გაჩეჩილაძემ მოგვცა მხატვრული თარგმანის ცნება: „მხატვრული თარგმანი მხატვრული შემოქმედების ფორმაა, რომელშიც დედანი ასრულებს იმავე

როლს, რასაც ორიგინალური შემოქმედებისათვის ცოცხალი სინამდვილე. მთარგმნელის შემოქმედებითი მეთოდი შეესაბამება მისი მსოფლმხედველობის შესაბამისად შერჩეული დედნის მხატვრულ სინამდვილეს ამ უკანასკნელის შინაარსისა და ფორმის ერთიანობაში, მთელისა და ნაწილის ურთიერთმიმართებაში“ (გაჩეჩილაძე, 1966:170).

აქვე გ. გაჩეჩილაძე ცდილობს დაასაბუთოს, იმ ეპოქისთვის არსებული ე. წ. ადეკვატური ან სრულფასოვანი თარგმანის ცნება და ცვლის ისეთი თარგმანის ცნებით, რომელშიც სრულიადაც არ გულისხმობს დედნის აბსოლუტურად ზუსტად განმეორებას. ასეთი განმეორება ხომ შეუძლებელიაო (გაჩეჩილაძე, 1966:145). ამდენად აშკარაა, გივი გაჩეჩილაძე ცნობს და აღიარებს, რომ დედნის აბსოლუტური განმეორება ე. წ. „ადეკვატური თარგმანი“, შეუძლებელია, ამიტომ შემოაქვს „ლენინური თეორიით“ მისაღები და მეთოდოლოგიურად გამართლებული „რეალისტური თარგმანის ცნება“. „ადეკვატური“ თარგმანი დედნის მხატვრული ასახვისა რეალისტური მეთოდის შემოქმედებითი გამოყენებით, რაც გულისხმობს „საუკეთესოს“, „სრულფასოვანს“. გარდა ამისა, დ. უზნაძის ფსიქოლოგიაზე დაყრდნობით, გ. გაჩეჩილაძე აღნიშნავს როგორც თარგმანის მსგავსებას ორიგინალურ შემოქმედებასთან, ასევე განსხვავებასაც, რადგან ორიგინალურ შემოქმედებას წინ უძღვის სინამდვილის შესწავლა და განწყობის ჩამოყალიბება, რის შედეგადაც იბადება ნაწარმოების იდეა (გაჩეჩილაძე, 1966:148).

სწორედ, გ. გაჩეჩილაძის აზრით, პრაქტიკაში გამოჩნდება რეალისტური თარგმანის პრობლემის არსი და ის გზები, რომლითაც რეალისტურ თარგმანს მივყავართ სიტყვასიტყვითი და თავისუფალი თარგმანის პრინციპით წინააღმდეგობის დიალექტურ მოხსნამდე (გაჩეჩილაძე, 1966:172) (ხაზი ჩვენია – თ. ს.)

აქვე გ. გაჩეჩილაძე, ეცნობა რა მკვლევარ ი. კაშკინის ნააზრევს, რომელიც ძირითადად ყურადღებას ამახვილებს „სტილის გადმოცემის მეთოდზე“, ნაწილობრივ ეთანხმება მის შეხედულებას თანამედროვე მხატვრული თარგმანის შესახებ, რაც შეესატყვისება გ. გაჩეჩილაძის თვალსაზრისსაც, რომლის მიხედვით, მხატვრული თარგმანის კანონზომიერებანი ორიგინალური ლიტერატურის კანონზომიერებათა ანალოგიურია და, მაშასადამე, თვით მხატვრული თარგმანი

დედნის სინამდვილის ასახვას წარმოადგენს ორიგინალური შემოქმედების ანალოგიურად (გაჩეჩილაძე, 1966:176). გ. გაჩეჩილაძის აზრით, რეალისტური მეთოდი მარტო სამუშაო ტერმინი არაა, იგი ხსნის წარსულის სრულფასოვანი თარგმანების ფაქტებს მთარგმნელთა მოწინავე მსოფლმხედველობით და განვითარებით. ამით რეალისტური მეთოდი განსხვავდება სიტყვასიტყვითი, ნატურალისტური, მოდერნისტული, იმპრესიონისტული მეთოდებისაგან (რომელთაც გ. გაჩეჩილაძე თარგმნილი ტექსტების ანალიზით ასაბუთებს).

რას გულისხმობს გ. გაჩეჩილაძე საკუთრივ რეალისტურ მეთოდში? – უპირველესად გულისხმობს დედნის მხატვრული სინამდვილის ყოველმხრივ შესწავლას, იქნება ეს გარემო ისტორიული პირობები, ეროვნული თუ ავტორის ინდივიდუალური თავისებურებანი, მწერლის მსოფლმხედველობა, მეთოდი მისი სისწორის, მანერისა და სტილის სიღრმეში წვდომის (ანუ მთარგმნელის მიერ) გათვალისწინებით. მისი აზრით, აუცილებელია ხაზი გაესვას ინდივიდუალური მანერის შენარჩუნებასაც და დედნისადმი მთარგმნელის დამოკიდებულების გარკვეულ ტენდენციასაც, როგორც ორიგინალურ ლიტერატურაშია (გაჩეჩილაძე, 1966:196).

ამდენად, გ. გაჩეჩილაძის აზრით, თუ დედანი სინამდვილეს წარმოაჩენს, რეალისტი მთარგმნელი ასახავს მის ტიპურ და დამახასიათებელ თვისებებს, ასე მიიღება არა დედნის ფოტოსურათი, არამედ მხატვრის მიერ შესრულებული პორტრეტი, რომელშიც დედანთან იმისი ანალოგიური შეფარდებითაა წარმოდგენილი, როგორც არსებობს ხელოვნების ნაწარმოებსა და ცოცხალ ნატურას შორის. ამით გამოხატავს თარგმანთმცოდნე მთარგმნელის აზროვნების მარადიულ, დაუსრულებელ მიახლოებას დედანთან (გაჩეჩილაძე, 1966:202). მაგრამ რეალისტური თარგმანის პრობლემა არ შეიძლება დავიყვანოთ რეალისტური თარგმანის ცნების განსაზღვრამდე. გ. გაჩეჩილაძე მხატვრული ლიტერატურის სამი ჟანრის - პოეზიის, პროზისა და დრამის შესწავლის საფუძველზე ავითარებს მხატვრული თარგმანის თეორიას და მიუთითებს პრაქტიკაში მისი გამოყენების პროცესებზეც.

გ. გაჩეჩილაძის თეორიულმა შეხედულებებმა მაღალ საფეხურზე აიყვანა ქართული მთარგმნელობითი მეთოდოლოგია და დღის წესრიგში დააყენა მთელი

რიგი საკითხები, რომლებიც შემდგომ გაიშალა სხვა თარგმანთმცოდნეთა (დ. ფანჯიკიძე, გ. წიბახაშვილი) ნააზრევში. თარგმანთმცოდნე დალი ფანჯიკიძე ნაშრომში „თარგმნის თეორია და პრაქტიკა“ (1988) გამოკვეთს სამ აუცილებელ ფაქტორს თარგმანის არსში გასარკვევად, ესენია: 1. თარგმანის დამოკიდებულება სინამდვილესთან; 2. თარგმანის ამბივალენტურობა და თარგმანის ენა; 3 თარგმანზე მუშაობის შემეცნებითი და ფსიქოლოგიური ასპექტები (ფანჯიკიძე, 1988:5). დ. ფანჯიკიძე ეთანხმება ასევე გ. გაჩეჩილაძის თეორიას, კერძოდ, შინაარსისა და ფორმის ერთიანობის შესახებ, როგორც მხატვრული ნაწარმოების ობიექტური და სუბიექტური მხარის, სახისა და განცდის, ტექსტისა და ქვეტექსტის ერთობლიობას, რომ მთარგმნელმა უნდა გაიმეოროს ეს სინამდვილე ამავე ერთიანობის შენარჩუნების გზით.

თარგმანთმცოდნე გიორგი წიბახაშვილი („თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები“ – 2000) მხატვრული თარგმანის განვითარება-განახლების სტიმულად მიიჩნევს ლიტერატურული გემოვნების ცვალებადობას, როცა მთარგმნელმა უნდა იზრუნოს ეპოქის მოთხოვნების შესაბამისად თარგმანის განვითარებაზე. ეს კი ერთგვარად ნიშნავს ერთი და იმავე ნაწარმოების თარგმანსაც სხვადასხვა ეპოქის თანამედროვეთა მოთხოვნების გათვალისწინებით.

მკვლევარი ინესა მერაბიშვილი ამ პროცესის ამოსავალ წერტილად მიიჩნევს თარგმანის საერთაშორისო ფედერაციის დაარსებას, 1953 წელს, პიერ ფრანსუა კაიეს მიერ სორბონის უნივერსიტეტში. თარგმანთმცოდნე და მკვლევარი გამოკვეთს გივი გაჩეჩილაძის წვლილსაც, რომელსაც ანდრეი ფედოროვის თეორიის მიმდევრად მიიჩნევენ. სხვადასხვა უცხოელი თუ რუსი მეცნიერის ნააზრევზე დაყრდნობით იგი აგრეთვე ყურადღებას ამახვილებს იუჯინ ნაიდასა და რომან იაკობსონის ნააზრევზე, განსაკუთრებით რუსული ლინგვისტური სკოლის ფუძემდებლის, ი. რ. გალპერინისეულ ტექსტის ინტერპრეტაციაზე, რამაც ინესა მერაბიშვილს დაუსახა ამოცანა , განესაზღვრა პოეტური ტექსტის შინაარსის ინფორმაციული ტევადობა მისი ინტერპრეტაციის თვალსაზრისით და გადაეწყვიტა ამ ინფორმაციის თარგმანში გადმოტანის შესაძლებლობები. მისი მიზნები მნიშვნელოვნად განვითარებული,

საერთაშორისო ურთიერთობების პირობებში, კულტურათა გაცვლის ღირებულების ამალღებასთან ერთად უკავშირდებოდა თარგმანის მნიშვნელობის გაზრდასაც.

განსაკუთრებით დიდი ღირებულებისაა ინესა მერაბიშვილის ინოვაციური კვლევა, რომელმაც XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული სრულყო ჭეშმარიტი მთარგმნელობითი მეთოდოლოგია, როგორც ინგლისურიდან ქართულად (ჯ. გ. ბაირონის შემოქმედების), ისე ქართულიდან ინგლისურად (გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების) თარგმანების მაგალითზე. თარგმანების პარალელურად კი გამოქვეყნდა ისეთი მნიშვნელოვანი პუბლიკაციები, როგორებიცაა: „ენის საკომუნიკაციო ერთეულები“, „ბაირონი და აღმოსავლეთი“, „ბაირონი და ხმელთაშუა სამყარო“, „თარგმანის ლინგვისტური საფუძვლები“, „ბრიტანელი რომანტიკოსები, როგორც მკითხველები: ინტელექტუალობა, მისრიდინგი, რეინტერპრეტაცია“, „თანამედროვე მიმართულებები ბაირონოლოგიაში“. ყოველივე კი 1997 წელს დაგვირგვინდა სადოქტორო დისერტაციით „თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა“ თეორია და ისტორია“ ყოველივე ეს ჩამოყალიბებულია უკვე XXI საუკუნეში მის ფუნდამენტურ ნაშრომში „პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა“ (2005).

§3. მთარგმნელობითი პრინციპები XXI საუკუნეში

ერთი ენიდან მეორე ენაზე ტექსტის თარგმანის საკითხების მეცნიერული კვლევა, როგორც ცნობილია, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. ხოლო მისი ენციკლოპედიური შესწავლა-აღწერა მოცემული 1937 წელს გამოცემულ 700-გვერდიან თარგმანის ინგლისურენოვან ენციკლოპედიაში (Routledge Encyclopedia of Translation Studies). გარდა ამისა, თარგმანის საკითხით დაკავებულია მსოფლიოში ერთადერთი გამომცემლობა დიდ ბრიტანეთში – სენტ ჯეროში (St. Jerosh). ჩვენს საუკუნეში საინტერესო კვლევებია გაჩაღებული ამ კუთხით, რაც თვალსაჩინოვდება ყოველწლიურ სიმპოზიუმებზე, რომლებიც თარგმანის კვლევის საკითხებს ეძღვნება.

რამდენადაც თარგმანი, როგორც ენათაშორისი საკომუნიკაციო საშუალებაა, მრავალწლიან მოვლენას წარმოადგენს, შესაბამისად მისი აღიარება მეცნიერებად, „ცდისა და შეცდომების“ მეშვეობით იმკვიდრებს ადგილს.

განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს და საგანგებოდაა შესასწავლი მხატვრული ტექსტის თარგმნა, რაც მსოფლიო კომპიუტერიზაციის პროცესში, კიდევ უფრო გამოიკვეთა თავისი ინდივიდუალურობით. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული ა. ვ. ფედოროვის შრომებში წარმოჩნდა ლინგვისტიკაზე ორიენტირებული თარგმანის თეორიაც. თუმცა ამის გარდა არიან ე. წ. ნამდვილი ლიტერატურული ასპექტის მომხრენი, რომლებიც ზღუდავენ, ავიწროებენ ან კიდევ უარყოფენ ლინგვისტურ მომენტს თარგმანში (ვერძაძე, 1995:82).

არცთუ იშვიათად, მკვლევართა შორის შეინიშნება შეხედულება ფსიქოლოგიური მეთოდის გამოყენებისა თარგმნის პროცესში (ვ. როსელსი), თუმცა მიდიან უკიდურესად სუბიექტურ დასკვნებამდე.

კანონზომიერ შესატყვისთა თეორია (კშთ) ერთგვარ ძლიერ სტიმულად იქცა ლინგვისტიკაში, რომელიც განვითარდა მთელ მსოფლიოში სხვადასხვა მეცნიერთა ნააზრევის წყალობით (ლ. ს. ბარხუდაროვი, რ. იაკობსონი, ჯ. რ. ფიორსი, ჟ. მუნინი და სხვა). კშთ თარგმანის თეორეტიკოსთა შეხედულებები შეფასდა, როგორც პოზიტიურად, ისე კრიტიკულად, რასაც მოჰყვა კშთ-ს უფრო გვიანდელი სახელწოდება – „შესაბამისობათა და ტრანსფორმაციების თეორია“, რომლის ზუსტი განმარტებისთვის გამოიყენება ტერმინი „მუდმივი შესატყვისი“.

კანონზომიერ შესატყვისთა თეორიის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ა. შვეიცერის ნაშრომებს. მკვლევარმა დაამუშავა თარგმანისეული ტრანსფორმაციების (როგორც თავად უწოდებს), გადახრების ტიპოლოგია. მაგრამ ეს პრობლემა განიხილა ძირითადად, ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ, გერმანულ მასალებზე დაყრდნობით, რაც გამოიხატება სამი ასპექტით, კერძოდ:

1. თარგმანისეული ტრანსფორმაციათა არსი;
2. მათი წარმოშობის მიზეზები;
3. თარგმანისეულ ტრანსფორმაციათა კლასიფიკაცია და დეფინიცია.

თუმცა ეს იგულისხმება ნებისმიერი ტექსტის თარგმნისას, ხოლო მხატვრულ თარგმანში კი უპირატესობა მყარი შესიტყვების მეთოდს ენიჭება.

რომან იაკობსონმა თავის ნაშრომში „თარგმანის ლინგვისტური ასპექტების შესახებ“ (“On Linguistics Aspects of Translation“,1959) ერთგვარი სიახლე შეიტანა

„ლინგვისტური მოვლენებისადმი არალინგვისტურ დამოკიდებულებებში“. როგორც მკვლევარი ინესა მერაბიშვილი შენიშნავს, „რ. იაკობსონის ნაშრომი განსაკუთრებით საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მასში ავტორი განიხილავს ვერბალური ნიშნის ინტერპრეტაციის სამ საშუალებას, რომელთაგან ერთ-ერთი გახლავთ ვერბალური ნიშნის ერთი ენიდან მეორეზე გადატანა, ე. ი. თარგმნა, მეორე და მესამე გზებს კი წარმოადგენს ენის შიგნით თარგმანი, ანუ მეორე დასახელების მონახვა და ტრანსმუტაცია ანუ ვერბალურ ნიშანთა ინტერპრეტაცია ნიშანთა არავერბალური სისტემით“ (მერაბიშვილი, 2005:24).

რ. იაკობსონისადმი მიძღვნილი კრებულიდან ინესა მერაბიშვილი გამოყოფს იუჯინ ნაიდას ვრცელ ნაშრომს „თარგმანის მეცნიერება“ („Science of Translation“, 1964). ნაიდა, იზიარებს რა საპირისა და მალინოვსკის მოსაზრებებს, აცხადებს, რომ კომუნიკაციის ეფექტურობისთვის აუცილებელია არამხოლოდ ლინგვისტური ელემენტები, შედეგებიც, რამდენადაც ორი ენა არ წარმოადგენს ერთსა და იმავე რეალობას. ნაიდას მტკიცედ სწამს, რომ ნებისმიერ ენაში არ მოიძებნება ორი ისეთი სიტყვა, სრულად რომ ემთხვეოდეს ერთმანეთს მათი დესიგნატური (დენოტატური) თუ ასოციაციური (კონოტატური) მნიშვნელობით (მერაბიშვილი, 2005:29).

ამ კუთხით, მკვლევარი თვლის, რომ „გაცნობიერებულია ურთიერთდამოკიდებულებაში მოყვანილი ორი ენის განსხვავება და თავისებურება, როდესაც ამოსავალი, ანუ საწყისი ენა (Source Language) არის შემოქმედებითი წყარო სამიზნე ენაზე (Target Language) ისევ შემოქმედებითი პროცესის განხორციელებისა“ (მერაბიშვილი, 2005:29-30). ამ თვალსაზრისით თარგმანის თეორია გამოვიდა ერთგვარი ჩიხიდან, მიჰყვებს ორიგინალის ტექსტს თუ გამოიყენოს თავისუფალი თარგმანი. ეს, როგორც ი. მერაბიშვილი შენიშნავს, „თვისებრივად გადაიზარდა თარგმანის თეორიიდან თარგმანის ლინგვისტიკაში, რადგან პირველი მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეობის მონაპოვარს სჯერდებოდა იმ დროს, როდესაც მეორემ, ანუ თარგმანის ლინგვისტიკამ, თავის წინაშე უაღრესად მრავალფეროვანი და ახევრე უაღრესად საინტერესო კვლევის პერსპექტივა დაინახა“ (მერაბიშვილი, 2005:30) (ხაზი ჩვენია – თ.ს.).

ეს პერსპექტივა მკვლევარმა ინესა მერაბიშვილმა დაინახა და წარმატებითაც გადაჭრა ამოცანა, განესაზღვრა პოეტური ტექსტის შინაარსის ინფორმატიული ტევადობა მისი ინტერპრეტაციის თვალსაზრისით და შეძლო კიდეც მისი განხორციელება თარგმანში გადმოტანისას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, , ხოლო 2005 წელს მონოგრაფიით – „პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა“. პრაქტიკულმა გამოცდილებამ თარგმანთმცოდნეობაში კიდეც უფრო საგულისხმო გახადა ქართველი მკვლევრის თეორია პოეტური ტექსტის შინაარსობრივ-ხატობრივი ინფორმაციის აუცილებლობის შესახებ თარგმანში. ი. გალპერინის ღირსეულმა მოწაფემ, მის მიერ შემოთავაზებული ტექსტის კატეგორიათა სისტემა მიუსადაგა პოეტურ ტექსტს და ამით მოძებნა მისი ინტერპრეტაციის გზები, რაც უმნიშვნელოვანესი სიახლეა თარგმანთმცოდნეობაში.

მთლიანი ტექსტი, რომელიც ერთი ენიდან მეორეზე რომ უნდა ითარგმნოს, თავისი მრავალფეროვნებითა და სირთულით, ლინგვისტური კვლევის ობიექტია. ტექსტის ლინგვისტიკა, როგორც მეცნიერება, ინტენსიურად ვითარდებოდა XX საუკუნის სამოციანი წლების მეორე ნახევრიდან, „თუმც, მათეზიუსის შრომა, რომელიც მიჩნეულია ამ სფეროში მიმდინარე გამოკვლევათა საწყის წერტილად, 1947 წელს გამოქვეყნდა“ (მერაბიშვილი, 2005:38). საწყის ეტაპზე ეს მეცნიერება დაინტერესდა ტექსტის შეკავშირების, თემისა და წინადადების აქტუალური დანაწევრების საკითხებით, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ვ. ვინოგრადოვს, ს. ბალს, ლ. შჩერბას, მოგვიანებით კი ტ. ვან ლეიკსა და ვ. დრესლერს.

1974 წელს მოსკოვის მორის ტორეზის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩატარდა კონფერენცია „ტექსტის ლინგვისტიკა“. სწორედ აქ წაიკითხა ინესა მერაბიშვილმა მოხსენება „ტექსტის ახალ კატეგორიათა გამოყოფისათვის“. 1981 წელს კი გამოქვეყნდა ი. რ. გალპერინის მონოგრაფია „ტექსტი, როგორც ლინგვისტური კვლევის ობიექტი“, რომელშიც ყურადღება გამახვილდა ძირითადად გრამატიკულ კატეგორიათა აღწერასა და ანალიზზე.

ტექსტის ლინგვისტიკისადმი ინტერესი საქართველოშიც ძალიან პოპულარულია (ვ. ფურცელაძე, ა. კარტოზია, დ. გოცირიძე, ვ. სერგია და სხვ.).


ამ ფონზე განსაკუთრებით ფასეულია ინესა მერაბიშვილის თვალსაზრისი, რომლის „კვლევის ობიექტია წერილობითი ტექსტი, მაგრამ არა ნებისმიერი, არამედ მხატვრული, საკუთრივ კი ტექსტი პოეტური ნაწარმოებისა, რომელსაც შევისწავლით არა წმინდა სემიოტური, ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური თვალსაზრისით, არამედ თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკის კუთხით, რომელიც გვსურს ამავე დროს თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის სამსახურში ჩავაყენოთ“. – აცხადებს ი. მერაბიშვილი (მერაბიშვილი, 2005:47-48).

მკვლევარი სწორად მიიჩნევს ტექსტის კატეგორიათა გამოყოფას, რაც გაპირობებულია თვით ტექსტისადმი სიღრმისეული მიდგომით. ი. გალპერინმა თავის მონოგრაფიაში ხაზი გაუსვა ტექსტისადმი ორ მიდგომას – სტრუქტურულსა და სიღრმისეულს – და მათი მიდგომების გაერთიანება-გამთლიანებას. ი. გალპერინი ცალკე გამოყოფს პოეტურ ნაწარმოებს და მიიჩნევს, რომ დაყოფა აზრობრივ მონაკვეთებად, სხვა სახის ტექსტებისაგან განსხვავებით, ემსახურება განსხვავებულ პრინციპებს. ი. მერაბიშვილი აქ მნიშვნელოვნად აღიარებს სიტყვას, რომელზედაც ექსპრესიის ძირითადი დატვირთვა მოდის ტექსტში. თავისი ნაშრომის მესამე თავში მკვლევარი განიხილავს გრამატიკულ კატეგორიებს და ყურადღებას ამახვილებს ინფორმაციულობის სამ კატეგორიაზე: შინაარსობრივ-ფაქტობრივზე, შინაარსობრივ-კონცეპტუალურ და შინაარსობრივ-ქვეტექსტურ ინფორმაციებზე, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება პოეტურ ტექსტს.

ინესა მერაბიშვილი სიტყვითა და მისი სემური ანალიზით ინტერესდება დედანსა და თარგმანში. იგი გამოკვეთს იმ ფაქტს, რომ მისი კვლევის მიზანია სიტყვა მიკროტექსტური და სიტყვა მაკროტექსტში, როგორც ტექსტის კომპონენტი. სიტყვა, იქნება ის უზუალური, თუ ოკაზიონალური, სწორედაც უმცირესი ფორმაა სიტყვის მიკროკონტექსტური რეალიზაციისა. (მერაბიშვილი, 2005:116).

ნაშრომის მესამე თავი ეძღვნება სიტყვის ხატის საკითხს დედანსა და თარგმანში. ავტორს შემოაქვს ცნება „სიტყვაში შთასახული გრძნობადი ხატი“ (ხაზი ჩვენია – თ. ს.). იგი მხოლოდ სიტყვასთან კავშირში არსებობს და მისი ხმარების შედეგად აღმოცენდება ადამიანის ცნობიერებაში. თავის მხრივ, სიტყვაში არსებულ გრძნობად ხატს ახასიათებს განზოგადებული შინაარსი. ლინგვისტური ხატის არსებობას თუ

ვალღარებთ სიტყვის შიგნით, მღშინ შეიძლება სიტყვის მნიშვნელობღ გღნისღზღვროს სღმგვარღდ: 1. სიტყვის გარეგღნი ფორმღ, ანუ ნომინღციღ; 2. ცნებღ; 3. „ღინგვისტური ზღტი“ (მერღბიშვილი, 2005:116). ამღს ი. მერღბიშვილი სემღნტიკური სღმკუთხედის სღხით წღრმოღდგენს:



ღმ სღმკუთხედის ერთ-ერთი კომპონენტიღ დენოტღტი, იგივე რეფერენტი, რომელიც გარე სღმყაროს სღგღნიღ. ი. მერღბიშვილი მიიღჩნევს, რომ სიტყვის ჯღდღსწღრობღ იმ ცზღვეღმყოფელი ზღტითღღ გღნპირობებუღი, რომელიც ყოვეღ სიტყვღში ძევს უძველესი დროიდან დღემდე დღ, თუ ამოქმედღებღ, თღრგმღნში მიიღწევღ სიტყვის ჭემმღრიტი მზღტვრუღობღ.

სწორედ ამიტომ შემოღქვს ი. მერღბიშვიღს ღინგვისტური ზღტის გღნმღრტებღც. „ზღტი სიტყვღშიღ, ვითღრცღ ჯღნი ჭურჭელში, ოღონდ მღს ჯღდღქღრი სჭირდებღ, რღთღ ის სინღთღღზე გღმოიყვღნღს დღ აუციღლებღღდ აზღღ-აზღღი სღხეებით წღრმოგვიღჩინღს“ (მერღბიშვილი, 2005:119).

ღსე მივიდღღ ქღრთვეღი მკვღვევღრი იმ უმნიშვნეღოვღნეს დღსკვენღმდე, რომელშიც ტექსტის ღინგვისტური მეთოდის დღზმღრებით. ცღდღ, გღეზწნღ შინღღრსის ცნებღ თღრგმღნში მისი შემდგომი სრულყოფის მიზნით. მკვღვევღრი ტექსტში ოთზგვღრ შინღღრსობრივ ინფორმღციღს გღნღსზვღვებს, ესენიღ: 1. ღექსის ზედღპირუღი შინღღრსობრივი ქღრგღ, ანუ შინღღრსობრივ-ფღქტობრივი ინფორმღციღ (ი. რ. გღღპერიწის ტერმინოლოგიის თღნღზმღდ); 2. კღნცეკტი, ანუ შინღღრსობრივ-კღნცეკტუღღღური ინფორმღციღ (ისევ ი. რ. გღღპერიწის ტერმინით); 3. ქვეტექსტი, ანუ რღსღც გღღპერიწი შინღღრსობრივ-ქვეტექსტურ ინფორმღციღს უწღდებს დღ 4. ზღტი,

რომელიც ი. რ. გალპერინის მიერ შემოთავაზებული სისტემით არაა გათვალისწინებული და როგორც ტექსტობრივი კატეგორია, ი. მერაბიშვილის მიერ იქნა წამოყენებული, რასაც ზემოაღნიშნულ კატეგორიათა ანალოგიით, „შინაარსობრივ-ხატობრივი ინფორმაცია უწოდა“ (მერაბიშვილი, 2005:196) (ხაზი ავტორისაა – ი. მ.).

რა მნიშვნელობისაა ოთხივე ინფორმაცია?

ინესა მერაბიშვილის აზრით, თუ სათარგმნ პოეტურ ქმნილებას თავად პოეტი აკეთებს, სრულყოფილ თარგმანს მხოლოდ პოეტობით ვერ გასწვდება. აუცილებელია პოეტი, მთარგმნელი თავად იყოს გულმოდგინე მკვლევარი და ტექსტის ინტერპრეტაციის სათანადო ექსპერტი.

მკვლევარი სრული კატეგორიულობით აცხადებს, რომ ქვეტექსტი აუცილებლად გადმოსატანია თარგმანში და ასევე აუცილებელია მისი სწორი რეალიზაცია ორიგინალის „სიღრმისა და იდუმალი ამეტყველებისათვის“.

შინაარსობრივ-ფაქტობრივის შენარჩუნება, მთარგმნელის მონდომებისა და ნიჭიერების გარდა, მის განსწავლულობაზეცაა დამოკიდებული.

შინაარსის ხატობრივი სახე თუმცა არ ჩანს თარგმანში, ერთგვარ ზემოქმედებას მაინც ახდენს კონცეპტისა და ქვეტექსტის რეალიზაციაზე. აქვე აუცილებელად გასათვალისწინებელია პოეტის ინდივიდუალური სტილი, რაც აღიბეჭდება ძირითადად შინაარსში. სწორედ აქ შემოაქვს ი. მერაბიშვილს „პოეტის ინდივიდუალური სტილის“ შინაარსობრივი ასპექტის ცნება, რაც, თავის მხრივ, ერთგვარად ეხმიანება ანტონ I-ის „სამი სტილის თეორიას“.

სწორედ ასეთი პრინციპების დაცვით შესრულებული თარგმანი კი აღარ მიიჩნევა ორიგინალის მიბაძვა-მიმსგავსებად, არამედ იქნება კვლევა და შემოქმედება. სწორედ ესაა მკვლევრის, თარგმანთმცოდნისა და მთარგმნელის დიდი დამსახურებაც, რაც სისტემატურად აისახა თარგმანის თეორიის ისტორიაში, ხოლო შემდგომ ქართულ მთარგმნელობით სივრცეში განავრცო ეს საკითხი ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2013 წარდგენილ ნაშრომში „პოეტური ხატი და მისი ტრანსფორმაცია თარგმანში“ ლელა ებრალიძემ : მისი აზრით, პროფესორ ინესა მერაბიშვილის „პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა“ და „გალაკტიონის

ენიგმები“ მთავარი დასაყრდენია თანამედროვე თარგმანთმცოდნეობის ინგლისელი და ამერიკელი კორიფეების – პიტერ ნიუმარკისა და იუჯინ ნაიდას კლასიკურ გამოკვლევებთან ერთად (ლ. ებრალიძე, იხ. დასახ. დისერტაცია-ავტორეფერატი: 13).

XXI საუკუნეში ინესა მერაბიშვილმა, გაითვალისწინა რა ი. რ. გალპერინის თეორია, და გამოკვეთა ლინგვისტიკის როლი და მნიშვნელობა მხატვრული თარგმანის პროცესში. ქართველი მკვლევრის ეს მიღწევა ეფუძნება მის მიერვე მიღებული ლინგვისტური ხატისა და ცნების დიალექტიკურ კავშირს. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, იგი იძლევა პოეტური თარგმანის ეკვივალენტობის გათვალისწინებას დედანთან, რაც უკვე თავისთავად გულისხმობს კვლევასა და შემოქმედებას.

ინესა მერაბიშვილის მოსაზრებით, მისმა თეორიამ ხელი უნდა შეუწყოს XXI საუკუნეში მხატვრული თარგმანის კრიტიკის განვითარებას.

თავი II. ბაირონის ქართული თარგმანების ტრანსლატოლოგიური ანალიზი

§1. XIX საუკუნის ბაირონის ქართული თარგმანები და მათი შეფასებები თარგმანმცოდნეთა მიერ

პოლიტიკური, კულტურული თუ სავაჭრო-ეკონომიკური მოვლენების შედეგად ამა თუ იმ ერის ლიტერატურული პროცესი, გარდა საკუთარი ეროვნული ტრადიციებისა, ვითარდება სხვა ლიტერატურასთან ურთიერთობის, ურთიერთზეგავლენისა და ერთგვარად ურთიერთგამდიდრების მეოხებით (ოძელი, 2003:172). ამდენად, თუ V-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა აღმოსავლურ ლიტერატურასთან ურთიერთობს, XIX საუკუნიდან დასავლურ ლიტერატურას აღიქვამს, ეცნობა და მდიდრდება, ეს კი განუყოფლადაა დაკავშირებული „ევროპეიზმის“⁷ ცნებასთან.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის 50-იან წლებში ექიმი, მთარგმნელი სარდიონ ალექსი-მესხიშვილი სტატიაში „უსტარი ანტიკრიტიკული“ აღნიშნავდა, რომ „დადგა დრო ევროპულ ცივილიზაციასთან დანათესავებისო“ (Алекси-Месхишвили, 1857:4,5).

„ევროპეიზმი“ ქართულ ლიტერატურაში მეტ-ნაკლებად დაკავშირებული იყო ქართველი მკითხველისათვის უცხოელი მწერლებისა და მათ ნაწარმოებთა თარგმანების გაცნობასთან. ამიტომ, მიუხედავად ქართული პრესის სიმწირისა XIX საუკუნის 20-30-იან წლებში, ქართველ მწერალთა შემოქმედების გვერდით მაინც ალაგ-ალაგ გაიღვებდა თარგმნილი ლიტერატურაც (ძირითადად, რუსული ან ფრანგული ორიგინალებით, რომლებიც შემოდიოდა საქართველოში). თამარ მიქაძე ქართულ მწერლობაში უცხოელი ავტორების თხზულებების გადმოღების დროს შენიშნავს სათარგმნი ტექსტისადმი სხვადასხვა დამოკიდებულებას, როგორცაა: თავისუფალი თარგმანი, მიბაძვა, გადმოკეთება, თარგმანი პირდაპირი გაგებით, „ამა და ამ მოტივის მიხედვით“ (ხაზი ჩვენია – თ. ს.) და სხვა. ასეთ დროს მთარგმნელი ახალ

⁷ „ევროპეიზმი“ ტექსტში ზოგან ბრჭყალებში გვხვდება, ზოგან – მის გარეშე, რაც ციტირებულის ან, ძირითადად, წარმოდგენილის მეშვეობით იქნა გათვალისწინებული. – თ. ს.

სიცოცხლეს ანიჭებს უკვე არსებულ ნაწარმოებს განსხვავებულ სოციალურ, ისტორიულ თუ ნაციონალურ გარემოში (მიქაძე, 2007:95).

სწორედ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართულ ლიტერატურაში ჩნდება „ევროპეიზმი“ და ისიც დაკავშირებულია ილია ჭავჭავაძის სახელთან. „ევროპეიზმის“ მიმდევარი ილია, პოეზიის ჭეშმარიტ განსახიერებად რომ თვლიდა ცხოვრების აზრის, ერის სულისკვეთების გადმოცემას, ყურადღებას ამახვილებდა იმაზეც, რა უნდა ეთარგმნათ და როგორ. „ევროპეიზმი“ დედაარსად ხალხის სულიერი ცხოვრების სიღრმისეულ კვლევას, მისი „უკვდავების მარდვის შენძრევას“, „კაცად-კაცობის ვრცელი მოედნის“ წვდომას რაცხდა“, – აღნიშნავს დავით ლაშქარაძე; მას მიაჩნია, რომ „კაცად-კაცობაში“ ილია, ეროვნულობიდან გამომდინარე, ზოგადსაკაცობრიოს გულისხმობდა, რაც ყველა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთან ერთად გასაგებია ყველა ერისათვის. ეკონომიკურ პირობათა, საყოფაცხოვრებო დეტალთა, ზნე-ჩვეულებათა თუ ფსიქიკური წყობის სხვაობათა მიუხედავად, ის საერთოა, თანაბრად გასაგებია და გამოხატავს პროგრესული კაცობრიობის გულისთქმას, შეესატყვისება მის ინტერესებს (ლაშქარაძე, 1988:18). ამიტომ ქართული ლიტერატურის ახალი მიმართულების – „ევროპეიზმის“ – უპირველეს და მთავარ ნიშნად, უწინარეს ყოვლისა, ეროვნულ ასპექტში გაშუქებული საზოგადოებრივი სატკივრების ასახვა, „კაცად-კაცობის“ ვრცელი მოედნის გადაწვდომა“ მიაჩნდა ილიას, ხოლო „ევროპული გამოთქმა“ – ამ შინაარსის გადმოსაცემად, სავარაუდოდ, ფორმად, არ ქმნიდა პრინციპულ სხვაობას ძველსა და ახალ მწერლობას შორის (ლაშქარაძე, 1988:20).

ვიზიარებთ რა დ. ლაშქარაძის თვალსაზრისს, ვფიქრობთ, რომ სწორედ თარგმანი უნდა ყოფილიყო, ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, ის გზა, რომლითაც ევროპულ მწერლობას გაითავისებდა ქართველი მკითხველი. აქედან გამომდინარეა დასკვნაც: **ევროპული მწერლობის საუკეთესო ნიმუშების მშობლიურ ენაზე გადმოღება გაამხნევებდა ქართველ ერს.**

უფრო მოგვიანებით, დაუმთავრებელ პუბლიცისტურ ნაშრომში, „წერილებში ლიტერატურასა და ხელოვნებაზე“, ილია ჭავჭავაძე „ევროპეიზმის“ შემოსვლას ქართულ კულტურულ ცხოვრებაში მიუსადაგებს როგორც დავით გურამიშვილის, ისე

ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის და რომანტიზმის მწვერვალად აღიარებულ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას (ი. ჭავჭავაძე, ტ. III., 1986:410).

ს. ჩიქოვანმა მართებულად დაახასიათა „ევროპეიზმის“ ილიასეული გაგება: ის მიიჩნევს, რომ ეს ტერმინი ნიშნავს ევროპული ლიტერატურის გავლენასა და მის ბრმა მიბადვას კი არ ნიშნავს, არამედ აღმოსავლური გავლენისაგან სრულ გათავისუფლებას და ქართულ აზროვნებაში ევროპული ტიპის უნივერსალიზმის დამკვიდრებას (გაჩეჩილაძე, 1966:87-88).

„ევროპეიზმი“ სწორედ რომ რომანტიზმის მეშვეობით შემოდის ქართულ ცნობიერებაში. როგორც მწერალი როსტომ ჩხეიძე შენიშნავს, რუსეთის მფლობელობის დამყარებამ საქართველოში ერთგვარად განაპირობა კიდევ ჩვენი ჩართვა ევროპის ლიტერატურულ პროცესთა მონაცვლეობაში. მაგრამ ქართულმა რომანტიკულმა სკოლამ რუსული ლიტერატურის მეშვეობით არამცთუ გაიმეორა ევროპული ლიტერატურის გზა, არამედ შექმნა საკუთარი, თავისუფალი, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური სიტყვით, „მომარავანდებული შემოქმედება“. სწორედ ამიტომ, გამოკვეთს რ. ჩხეიძე, რომ ქართული რომანტიზმი თავისთავადი რეალობაა, რამდენადაც წარმოგვიდგება ევროპული რომანტიზმის ნაირსახეობად, რომლის ორბიტაში მოექცა ნიკოლოზ ბარათაშვილიც (რ. ჩხეიძე, 2015:49).

სწორედ ევროპულის შემოსვლასთან, ევროპული რომანტიკოსების ეგზოტიკურობით, აღმოსავლურით გატაცებასთან არის დაკავშირებული ქართული ლიტერატურის დაინტერესებაც ბაირონით, მისი სტილის და მისი ქართულ ენაზე გადმოღების აუცილებლობით. ამ მოსაზრების დასადასტურებლად საგულისხმოა, ქეთევან ელაშვილის პოზიცია, სწორედ ბაირონის სულიერმა ამბოხმა წარმოშვა „ბაირონიზმი“⁸, როგორც ლიტერატურული განშტოება რომანტიზმისა (აბზიანიძე, 2012: 235).

„ბაირონიზმი“, „ბაირონის სხოლა“⁹, „ბაირონის მიმდევრობა“ ასე ერთგვარად ქართულ სამყაროში სწორედ თარგმანის მეშვეობით იჭრება.

⁸ ცნება „ბაირონიზმი“ ჩვენს საკვალიფიკაციო ნაშრომში ბრჭყალებით გვაქვს წარმოდგენილი, მაგრამ ზოგიერთ ციტირებულ ტექსტში უბრჭყალებოდაა – თ. ს.

⁹ სიტყვა „სხოლა“ (ბერძნულად -σχιλείο) ნიშნავდა მოცალეობას ანტიკურ საბერძნეთში. XIX საუკუნეში „სხოლა“ იხმარებოდა სკოლის მნიშვნელობით.

ხოლო XXI საუკუნის გადასახედიდან, როგორც პროფესორი ინესა მერაბიშვილი მიიჩნევს, ბაირონიზმი წარმოადგენს უპრეცედენტო მოვლენას, რამდენადაც არც მანამდე და არც შემდგომ რომელიმე მწერლის სახელთან არ ყოფილა დაკავშირებული ლიტერატურული მიმდინარეობა. ეს კი მეტყველებს ბაირონის დიდ გავლენასა და მნიშვნელობაზე (ლორდ ბაირონი, 2013:14).

თვით ბაირონიც, დაინტერესებულია რა აღმოსავლეთით, ქართველით, საქართველოთი ამდიდრებს თავის შემოქმედებას. ამ საკითხს საგულისხმო კვლევები მიუძღვნა თარგმანთმცოდნემ, მკვლევარმა ინესა მერაბიშვილმა. მან ინგლისურ-ქართული ურთიერთობების გარდა, წარმოაჩინა ბაირონის შემოქმედების დასაწყისი, მიმოიხილა მისი პირველი თარგმანები ქართულ ენაზე. წიგნში „ლორდ ბაირონი“ (2013) მკვლევარი სწორედ ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში ხედავს ბაირონის შემოქმედების აღიარება-გამოხმაურებას საქართველოში, რაც, უპირველესად, დაკავშირებული იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელთან. მკვლევარი იშველიებს ზაქარია ჭიჭინაძის ინფორმაციას, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძეს შესაძლოა ეთარგმნა ბაირონი, თუმცა მისეულ თარგმანებს ჩვენამდე არ მოუღწევიაო (ლორდ ბაირონი, 2013:46). ინესა მერაბიშვილის თვალსაზრისი, რომ ბაირონისეული განწყობილებები წარმოჩნდება ისეთ პოეტებთან, როგორებიც იყვნენ -ალექსანდრე ჭავჭავაძე, ვახტანგ ორბელიანი და გრიგოლ ორბელიანი (ლორდ ბაირონი, 2013:48).

ბაირონის ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი, პოეტი მიხეილ თუმანიშვილი ყურადღებას ამახვილებს ლექსზე „უდაბნო“, რომლის თარგმანის პირველ ხელნაწერს მიწერილი აქვს: „მიბაძვა ბაირონისადმი“ (მ. ხელთუბნელი [მ. თუმანიშვილი], 1988:122).

როგორც მკვლევარი მ. კუჭუხიძე აღნიშნავს, ბაირონის ლექსების განწყობილებამ საშუალება მისცა მ. თუმანიშვილს, გამოეხატა საკუთარი სულიერი ტკივილები (კუჭუხიძე 1992:44). აქვე მ. კუჭუხიძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ მ. თუმანიშვილის თარგმანები უშუალოდ ბაირონიდან უნდა იყოს თარგმნილიო.

1888 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა წერილი (სავარაუდოდ, თარგმანი - თ. ს.) „100 წელი ბაირონის დაბადებიდან. მოხსენებები სპასოვიჩისა და სტოროჟენკოსი“, რომელშიც ხაზგასმულია ჯორჯ გორდონ ბაირონის პოპულარობის მიზეზები

ევროპაში. როგორც სპასოვიჩი რუსეთის სიტყვიერების საზოგადოების საყოველთაო კრებაზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნავს, ბაირონის პოეზიამ ქარივით დაბერა ევროპას, რომელსაც სული უწუხდებოდა მაშინდელი უგვანო წეს-წყობილების გამო და არ დაინდო ევროპის საზოგადოება, რომელსაც დამონებული ჰყავდა თავისუფლების ყოველგვარი გამოვლინებაც კი, რის მაგალითსაც წარმოადგენდა ჯორჯ გორდონ ბაირონი (გ. „ივერია“, 1888:3).

ხოლო სტოროჟენკოს აზრით, ეს გაპირობებული იყო ორი მიზეზით, კერძოდ: 1. ბაირონის პოეზია საყოველთაო-საკაცობრიო მნიშვნელობის იყო და ეროვნულზე მაღლა ერთა თავისუფლების იდეას აღიარებდა. 2. ბაირონის პოეზია სწორედ მაშინ აჟღერდა, როცა ყველა მთავრობამ ზურგი შეაქცია მეთვრამეტე საუკუნის უდიდეს მოღვაწეთა აზრებსა და იდეებს. ამიტომ სიამოვნებით და აღტაცებით მიიღეს ბაირონის პოეზია, რომელიც ჰგავდა ერთგვარ ჭექა-ქუხილსა და ბუკ-ნადარას დაჩაგრული და დაბეჩავებული ადამიანობის აღსადგენად (გაზ. „ივერია“, 1888:3).

„ბაირონიზმი“ გავრცელდა არამცთუ ევროპაში, არამედ რუსეთსა და საქართველოშიც. თუმცა ინგლისური ენა იშვიათად თუ იცოდა ვინმემ XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. ინგლისური პოეზია თუ პროზა შემოდიოდა რუსულიდან თარგმანების მეშვეობით. როგორც მ. კუჭუხიძე აღნიშნავს, ბაირონის პირველი თარგმანები რუსულ ჟურნალებში 1820 წლიდან გვხვდება; მისი მრავალი ნაწარმოები ხომ რუსულ ენაზე ორიგინალის გამოსვლისთანავე ქვეყნდებოდა ჟურნალებში: «Вестник Европы», «Новости литературы», «Библиотека для чтения», «Современник», «Репертуар», «Пантеон» и др. (კუჭუხიძე, 1973:56).

ქ. გორში, დ. მაჭავარიანის სტამბაში, იბეჭდება ქართველი პოლიტიკოსის, საზოგადო მოღვაწისა, ანგარიშგასაწევი ლიტერატორისა და მთარგმნელის, დავით ონიაშვილის(1888-1937) მონოგრაფია „ბაირონიზმი და მსოფლიო მწუხარება“(1913), რომელშიც ბაირონიზმის ქართულ ლიტერატურულ სივრცეში პოპულარობის მიზეზების გამოყოფის გარდა მოყვანილია ბაირონის ერთი ლექსის სტროფების თარგმანი. თარგმანს ერთვის შენიშვნა, რომ პოეტის შემოქმედება თითო-ორი ნაწყვეტის გარდა ჯერ არ თარგმნილია ქართულად, რასაც თვითონვე შეეცადა თარგმნილი ადგილების ნაწყვეტებით, შინაარსისა და ფორმის გათვალისწინებით

(ონიაშვილი, 1913:11,12). სავარაუდოდ, დ. ონიაშვილი არ ცნობდა იმ თარგმანებს, რომლებითაც სავსე იყო მთელი XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პრესა.

ზემოდასახელებულ ნაშრომსა და თარგმანზე დაყრდნობით მიმოვიხილავთ XIX საუკუნის ეპოქას ბაირონის ქართულ თარგმანებთან დაკავშირებით, ამჯერად კი შემოვიფარგლებით მხოლოდ იმით, რომ ბაირონის შემოქმედების ღირსეულად, მაღალმხატვრულად თარგმნის საკითხი. აუცილებლად საჭირო იყო ქართველ მთარგმნელთათვის.

მ. კუჭუხიძემ, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა ბაირონი XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში, ქართული ლიტერატურული საზოგადოების მიერ ინგლისელი მწერლის შემოქმედების გაცნობის ერთ-ერთ პირველ ფაქტად მიიჩნია „ოსკარ დ' ალვას“ ქართული თარგმანი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი იმ ხელნაწერის მიხედვით, რომელიც ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ინსტიტუტში¹⁰ (იხ. ფ-359). (კუჭუხიძე, 1973:57). თარგმანს არ აქვს მიწერილი მთარგმნელის ვინაობა. მ. კუჭუხიძის აზრით, სავარაუდოდ, ის პროზაული ტექსტიდან უნდა იყოს გალექსილი 1824 წლის შემდგომ წლებში.

მოგვიანებით, 1992 წელს გამოცემულ გამოკვლევაში „ბაირონი და XIX საუკუნის ქართული მწერლობა“ მ. კუჭუხიძე მიანიშნებს, რომ სწორედ სარდიონ ალექსი-მესხიშვილს ეკუთვნის მოსაზრება, თუ როგორ უნდა ითარგმნოს ბაირონი და როგორ უნდა შეფასდეს მისი შემოქმედება (კუჭუხიძე, 1992:37). თუმცა ეს არაა რაიმეთი დამოწმებული თავად ს. ალექსი-მესხიშვილის მიერ. მკვლევარი ამავე დროს ასახელებს ფრანგულიდან რუსულ ენაზე მთარგმნელებს (ა. ე. ვოეიკოვი, პ. კუდრიაშჩევი), ვისგანაც შეიძლება ისარგებლა თვით სარდიონ ალექსი-მესხიშვილმაც.

მ. კუჭუხიძეს მოჰყავს ბაირონის კიდევ ერთი ლექსი (ხ. ე. ც. ფ. 1121), "Translation of Romantic Song", (სათაური ქართულად თარგმნილია, როგორც „სამიჯნურო ლექსი“), რომელიც აუცილებლად ფრანგულიდან უნდა ეთარგმნა ს. ალექსი-მესხიშვილს, 1838 წელს ილორში, რასაც ასაბუთებს მკვლევარი ლექსისა და პოემის თარგმანის შედარების საფუძველზე. საფუძვლიანი ანალიზის მიუხედავად, იგი არ მიანიშნებს,

¹⁰ ამჯერად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი- თ.ს

იყო თუ არა გამოქვეყნებული ეს ნიმუში მთარგმნელის სიცოცხლეში ან გარდაცვალების შემდეგ. თუმცა მ. კუჭუხიძისავე დასკვნით, სარდიონ ალექსი-მესხიშვილისეული თარგმანები არ გამოირჩევა მაღალი ხარისხით, რადგან შესრულებულია პროზად და დარღვეულია ფორმისა და შინაარსის ერთიანობა; ამის მიუხედავად მაინც საპატიო ადგილი უჭირავს მთარგმნელობითი ლიტერატურის ისტორიაში, რამდენადაც მისით დაიწყო ბაირონის ნაწარმოებთა თარგმნა ქართულ ენაზე (კუჭუხიძე, 1992:39).

ჩვენი მხრივ, კი შევნიშნავდით, რომ ს. ალექსი-მესხიშვილის თარგმანი პირველი ფაქტია ფრანგული თარგმანის მეშვეობით ბაირონის ქართულ ენაზე ამეტყველებისა. ამაზე პარაგრაფ ორში გვექნება საუბარი.

როგორც მკვლევარი მ. კუჭუხიძე აღნიშნავს, „ბაირონიზმი“ ფართოდ გავრცელდა რუსულ საზოგადოებაში პუშკინის აღმოსავლური პოემების შემდეგ, რასაც მოჰყვა მისი ბელინსკისეული შეფასებებიც, ლერმონტოვის თარგმანები, მიბაძვები, საერთოდ ინტერესი ბაირონისადმი. ბაირონის პოპულარობამ რუსეთში ხელი შეუწყო საქართველოში მისით დაინტერესებას.

მ. კუჭუხიძე ბაირონის პოეზიით ქართველების გატაცებას განმარტავდა იმ გარემოებით, რომ XIX საუკუნის ოციანი წლების ბოლოს საქართველოში გადმოასახლეს რუსი დეკაბრისტები და პოლონეთის აჯანყების მონაწილენი, რომლებიც „რუსული ბაირონიზმის“ წარმომადგენლები იყვნენ, თარგმნიდნენ ან ბაძავდნენ მას და უზიარებდნენ ქართველ მწერლებს, რომლებთანაც ჰქონდათ ახლო ურთიერთობა (კუჭუხიძე, 1973:58).

მაგრამ, სავარაუდოდ, ბაირონის სახელი მანამდე იყო ცნობილი ქართული საზოგადოებისთვის, რასაც მოწმობს ციტატა გაზეთ „კავკაზში“ 1859 წელს ნიკოლოზ ბერძნიშვილის მიერ ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებული ლიტერატურული მასალის მიმოხილვიდან: „ბარათოვმა დაგვიტოვა რამდენიმე მცირე ლექსი, რომლის მიხედვითაც შეიძლება ვიფიქროთ, რომ მისი ნიჭი განიცდიდა უკმაყოფილებასა და იმედგაცრუებას ისეთი უსაზღვრო მელანქოლით, რაც ახასიათებთ ლერმონტოვის პოეზიასა და ბაირონის სკოლის სხვა მიმდევრებს“ (Бердзенов, 1859:5, 6).

აშკარაა, კრიტიკოსი ნ. ბერძნიშვილი იცნობდა რუსულ ლიტერატურაში მოარულ აზრს ბაირონისა და მის მიმდევართა შესახებ, რომელსაც „ბაირონის სკოლას“ („სხოლას“) უწოდებდა და მათვე მიაკუთვნებდა ნ. ბარათაშვილს. მან ბაირონის გავლენა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელს დაუკავშირა, რაც არაა მხოლოდ გამონაკლისი. ეს ტენდენცია შეიმჩნეოდა შემდგომშიც.

ილია ჭავჭავაძე („წერილები ქართულ ლიტერატურაზე“): „ნ. ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულისთქმას, ჩვენ ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიობის წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა. ამ მიმართულებას ჩვენის აზროვნებისას ნ. ბარათაშვილის შემდეგ არცერთი მწერალი აღარა ჰყოლია ჩვენში და, სწორედაც რომ ვთქვათ, ბაირონები (ხაზი ჩვენია – თ. ს.), ლერმონტოვებიც მართლ არიან და მემკვიდრეებს იშვიათად ტოვებენ, რადგან ტვირთი მათებრი კაცების მემკვიდრეობისა „არ არს სუბუქ““ (ი. ჭავჭავაძე, ტ. III, 1953:12). ამდენად, ილიამ ბაირონთან შედარებისას ხაზი გაუსვა ქართველი პოეტის მარტოსულობით მსგავსებასაც.

ანტონ ფურცელაძე („შეუსრულებელი სურათი“) აღნიშნავს, რომ თავის თანამედროვე ლიტერატურის მიმოხილვისას ასახელებს ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებიდან საუკეთესო ნიმუშებს, რომელთაც ბაირონიც კი არ დაიწუნებდა (ფურცელაძე, 1867:1). აქ თითქოს ერთგვარი გადაჭარბებაცაა: – ავტორი ნ. ბარათაშვილს ბაირონის ტოლად მიიჩნევს.

ტიციან ტაბიძე („რევოლუცია და პოეტები“ –1921) აღნიშნავს, რომ თავის ეპოქისათვის ბაირონი წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს ფიგურას, რომლის „გაჭედებულმა ლექსმა გაუძლო ამდენ საუკუნეს, დევნილი იყო თავისი სამშობლოდან და უცხოელთა კარზე ხეტიალში ლევდა თავის სიცოცხლეს... უფრო მეტის დამამტკიცებელია ლორდ ბაირონის ცხოვრება და პოეზია. ბაირონი წარსულ საუკუნეში ბაირადი იყო რევოლუციისა და ამბოხებისა... ინგლისი ვერ ურიგდებოდა მის მეზრძოლ ტემპერამენტს.“ (ტ. ტაბიძე, 1985:468)

უფრო შორს მიდის იონა მეუნარგია („ქართველი მწერლები“). ის წერს, რომ, თუ ნ. ბარათაშვილის ლექსებს: „ჩემს მერანს“, „სულო ბოროტოს“ თარგმნიან და ბაირონის

„დონ-ჟუანსა“ ან „ჩაილდ-ჰაროლდში“ ჩაურთავენ, არ დაირღვევა ქმნილების ერთიანობა, რამდენადაც სწორად არის გამოთქმული კაცობრიობის საყვედური ბოროტი ბედისწერის წინააღმდეგ (მეუნარგია, ტ. I, 1954:277). იონა მეუნარგია ადარებს რა ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ჯორჯ გორდონ ბაირონს, გამოკვეთს საინტერესო მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, ქართველი პოეტის მარტოობა სულისა გაპირობებულია სურვილის დაკარგვით, მიზნის მიუღწევლობით, ხოლო ბაირონს კი ყველაფერი უნახავს, ყველა სურვილი ასრულებია და ყველაფერი მოსჭარბებია ქვეყანაზე (მეუნარგია, 1945:53).

ალექსანდრე ცაგარელი, იზიარებს რა აზრს, ბარათაშვილის პოეზიის ბაირონის შემოქმედებასთან ახლოობისას, აღნიშნავს, რომ „სულო ბოროტოსა“ და „ჩემს მერანში“ ბევრი მსგავსი ადგილია, რომლებიც გვხვდება ბაირონის თხზულებებშიც (ცაგარელი, 1870 :2).

ნ. ბარათაშვილის პოეზიისადმი მიძღვნილ წერილში მ. ვეზირიშვილი გამოკვეთს იმ ფაქტს, რომ ბარათაშვილი და ბაირონი „გაცილებით მაღლა სდგანან თავის თანამედროვეებზედ“ და რომ ორივეს ნაწერებს საფუძვლად უდევს „ძლიერი გრძნობა კაცთა მოყვარეობისა“ (ვეზირიშვილი, 1889:1-3).

რომანოზ ფანცხავა (ხომლედი) წერილში „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი დრო“ (ფანცხავა, 1897:44) ბაირონს მიიჩნევს ისეთ ავტორად, რომლის მსგავსადაც არავის უმღერია იდეალურ ბედნიერებასა და სიყვარულზე, რაც აგრეთვე თვალსაჩინოვდება ნ. ბარათაშვილის პოეზიაშიც.

კიტა აბაშიძე ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში, განსაკუთრებით კი ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ მსჯელობისას, უფრო სიფრთხილეს იჩენს და აცხადებს, რომ, თუმცა ვერ ბედავს აღიაროს ბაირონის გენიოსობა, „ბაირონის გვერდის დამამშვენებელ ლირიკოსთა შორის“ ადგილი ბარათაშვილსაც ეკუთვნისო. ამას კრიტიკოსი ასაბუთებს იმით, რომ თუ სხვა პოეტებმა პესიმიზმი შეითვისეს ბაირონისგან, ბარათაშვილმა გვერდით ამოუყენა „კაცთა-შვილთ, სოფლის-მოვალეობა“ (აბაშიძე, 1898: 40-70). ჭაჭკავაძე უკვე პეტერბურგში ეცნობა ბაირონის შემოქმედებას და იწყებს კიდევაც მის თარგმნას. თუმცა ადრე არ იცოდა ინგლისური ენა, ცნობილია, რომ 1873 წლიდან იგი ხელს კიდებს მის საფუძვლიან შესწავლას,

რამდენადაც აუცილებლობად მიიჩნევს უშუალოდ დედნიდან თარგმნას, რის ნიმუშადაც მოგვევლინება მოგვიანებით მისი მუშაობა ივანე მაჩაბელთან ერთად, შექსპირის „მეფე ლირის“ თარგმანზე. ილია პირველივე წერილში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შემლილი“-ის თარგმანზედა“ ახასიათებს რა რუს პოეტს, კაზლოვს, როგორც მთარგმნელს, კერძოდ ბაირონის „აბიდოსელი პატარძლის“ თარგმანთან დაკავშირებით, აღნიშნავს, რომ ბაირონმა ბევრი ტალანტი გაიტაცა და არცერთ პოეტს თითქმის არ დაუბადია იმდენი მიმზამავი, რამდენიც დაბადა ბაირონმა ევროპაში და, უმეტესად რუსეთში, თუმცა მას თანამედროვენი სატანის მიმდევრად მიიჩნევდნენო.

ილია ჭავჭავაძის თქმით, ბევრი ისეთი მიმზამავი ჰყავდა ბაირონს, როგორებიც იყვნენ ლერმონტოვი და თვით პუშკინიც. პუშკინის ნაწარმოებები დაწყებული, „კავკასიის ტყვეთი“ თვით „ევგენი ონეგინამდე“, ბაირონის გავლენითაა დაწერილიო, მაგრამ თუ ეს დიდი პოეტები იყვნენ ბაირონის მიმზამველნი, პატარა, უნიჭო პოეტებიც ჰზამავდნენო მას, ისეთები, როგორიც იყო თვით კაზლოვი, რომლის «Чернец» და «Наталия Долгорукая» ბაირონის გავლენითააო დაწერილი. ამიტომ ადარებს ილია ბაირონის „მანფრედიდან“ ნაწყვეტებს «Чернец»-ის სტრიქონებს და აცხადებს, რომ ტყუილად უწვალა კაზლოვს. მის პოეტურ სტრიქონებში გმირებს აწუხებთ პრობლემები და ხშირად მონასტერს აფარებენ თავს, მაშინ, როდესაც ბაირონის სტრიქონებში ცეცხლი და მეხია, მდულარე ტყვია. ამიტომ მიმზამავი კაზლოვი ღმეჭია აშუღად რჩებაო პოეზიაში (ი. ჭავჭავაძე, ტ. III, 1986:IX, 10). ილიას ხელნაწერებში, რომლებიც 1860 წლით თარიღდება, დაცულია ნაწყვეტი ბაირონის „მანფრედიდან“ (I მოქმედება, სცენა პირველი), თუმცა სწორედ ეს შედარება არ არის კაზლოვის «Чернец»-ის მანფრედის წყლის ფერიასთან საუბრისა, ამკარაა, ილია ჭავჭავაძეს ამ დროს დაებადა იდეა, ეთარგმნა ბაირონის „მანფრედი“.

მოყვანილ ეპიზოდებში ამკარავდება ბაირონის შემოქმედების ილიასეული შეფასება და მთარგმნელისათვის აუცილებელია მისეული მოთხოვნები. ბაირონი არის პოეტი, რომლის შემოქმედებაში იგრძნობა „მეხის სიტყვა“, ხოლო მისი გმირები ისეთი ადამიანები არიან, რომლებიც „თავის ტანჯვების წვაში, ეჭვის ღრღნაში, თავის სულის წყურვილში ჰხედვენ უკვდავების ღირსს ცხოვრებასა“, ხოლო ბაირონის

მთარგმნელთან არ შეიძლება სუსტად, ნაზად გამოვხატოთ მისი სათქმელი მშობლიურ ენაზე. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, ილია ეძებდა რუსულ ენაზე ბაირონის ღირსეულ მთარგმნელებსაც, საიდანაც ის ისარგებლებდა (ნ. გერბელი, ნ. პლეშჩევი, პ. კოზლოვი, ი. კოზლოვი, მ. ლერმონტოვი, ა. ვოეიკოვი, პ. კუდრიაშჩევი, ს. დუროვი, ვ. ჟუკოვსკი, ნ. ოგარიოვი, გ. გრეკოვი.).

აღნიშნულ თარგმანებზე მუშაობა ილიას აღარ გაუგრძელებია. აშკარაა, ილია სწორედ 60-იან წლებშია გატაცებული ბაირონით და მოწადინებულია მისი შემოქმედების თარგმნით. უკვე, ილიას „ივერიის“ ფურცლებზე ქვეყნდება ბაირონის ლექსებისა და პოემების თარგმანები. სათარგმნთან ფაქიზი და სერიოზული მიდგომის ილიასეული პოზიცია თვალსაჩინოვდება ჟურნალ „მნათობისა“ და გაზეთ „დროების“ ფურცლებზე, სხვა ავტორთა მიერ (მთარგმნელები: ი. ბაქრაძე, მ. გურიელი-ფაზელი, აკაკი წერეთელი, ნიკო ლომოური და სხვანი).

მკვლევარი ნ. ზედგენიძე აღნიშნავდა, რომ ნიკო ავალიშვილი მოითხოვდა ეთარგმნათ დედნიდან რუს და ევროპელ კლასიკოსთა ისეთი თხზულებები, რომლებიც ეხმაურებოდნენ ეპოქისა და ქართველი ხალხის კულტურულ მოთხოვნილებებს (ზედგენიძე, 1989 :130).

ნ. ზედგენიძე აგრეთვე იმასაც შენიშნავს, რომ 1875 წელს გაზეთ „დროების“ (#117) ფურცლებზე, როგორი გულისტკივილით წერდა გ. თუმანიშვილი, რომ უცხო ქვეყნის თხზულებების ქართულად თარგმნისას საჭირო იყო, მთარგმნელებს არ ესარგებლათ რუსული თარგმანებით, რათა მკითხველს არ შესძულებოდა გენიოსი ავტორების თხზულებები უნიჭოდ გადმოქართულების გამო (ზედგენიძე, 1989:131).

1814 წელს კომპოზიტორმა ისააკ ნათანმა შესთავაზა ბაირონს, რომ დაეწერა ლირიკული ლექსები იმ მელოდიებისათვის, რომლებსაც მღეროდნენ ებრაელები ჯერ კიდევ პირველ საუკუნეებში. 1815 წელს ერთ კრებულად გამოიცა ბაირონის ოცდასამი ლექსისაგან შემდგარი ციკლი „ებრაული მელოდიები“ (“Hebrew Melodies”).

ბაირონის შემოქმედებისათვის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია სიუჟეტების პირობითი ფორმით წარმოდგენა, რაც გამოიხატება პოეტის იდეური მრწამსისადმი სიუჟეტის დაქვემდებარებაში. შესაბამისად, ასეთი ფორმით ბაირონმა სცადა, მხატვრულად განეზოგადებინა დემოკრატიული თავისუფლებისათვის ინგლისელი

ხალხის ეპოქალური ბრძოლა, რაც, ერთგვარად, მილტონის, ბერნსის ტრადიციების გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს.

1846 წლამდე მხოლოდ ერთადერთი რუსული თარგმანია „ებრაული მელოდიებიდან“, კერძოდ ლექსისა „სტიროდეთ!“ (“Oh! Weep for Those”). სწორედ აქედან შესრულდა ილიას მიერ ამ ლექსის პირველი თარგმანი. ილიას ხელნაწერს მიწერილი აქვს: „23 თებერვალი, 1858 წ. ს. პეტერბურდი“. ეს თარგმანი პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკრის“ 1859 წლის #9-ში. მ. კუჭუხიძე შენიშნავს, რომ ილიას ამ ლექსის თარგმანისას უსარგებლია საკმაოდ ზუსტი პწკარედით (კუჭუხიძე, 1977: 193).

ამ პერიოდში უნდა არსებულიყო აღნიშნული ლექსის მხოლოდ ერთი, ს. დუროვის თარგმანი, რომელიც გამოქვეყნებულა 1846 წელს. როგორც ქეთევან ბურჯანაძე ასაბუთებს, გარდა დუროვის თარგმანისა, 1858 წელს აღმანახ «Развлечение» მე-14 ნომერში დაიბეჭდა ლექსის დ. მინისეულის თარგმანი, ხოლო 1859 წელს «Современник»-ის მე-2 ნომერში გამოქვეყნდა დიმიტრი ლავრენტის ძე მიხალოვსკის თარგმანიც. ქ. ბურჯანაძე ადარებს ს. დუროვის, დ. მინისა და დ. მიხალოვსკის მიერ ბაირონის ლექსის „სტიროდეთ!“ რუსულ თარგმანებს ილიასეულთან და ასკვნის, რომ ის შესრულებული უნდა იყოს დ. მიხალოვსკის თარგმანის მიხედვით (ბურჯანაძე, 1992:159).

როგორც მ. კუჭუხიძე აღნიშნავს, ბაირონის ამ ლირიკულ ქმნილებაში ცხარე გოდებაა სამშობლოსა და თავისუფლების დაკარგვის გამო. უთუოდ ეროვნული საკითხის მეტად მძაფრი განცდით მიიპყრო ბაირონის ამ ქმნილებამ ილიას ყურადღება და სანიმუშოდ მოიხმობს ამ თარგმანს:

„ოხ! სტიროდეთ მათ, ვინცა სტირიან
მდინარეებზე ბაბილონისა,
მათ, ვისც ტაძარნი ნანგრევ არიან...
ვისიც მამული სამშობლოისა
არარა არს რა, გარდა სიზმრისა!
სტიროდეთ, მსხვრეულს იუდას ჩანგსა!
სტიროდეთ, სადაც ღმერთი იმ მტირალთ

იმყოფებოდა აწ ამ ალაგსა.

არიან - ვისაც ღმერთი არა ჰყავთ...“

(ბურჯანაძე, თარგმანი ილია ჭავჭავაძის, 1992: 161)

მ. კუჭუხიძეს ადარებს რა ორიგინალის რუსულ და ქართულ თარგმანებს, არ მიანიშნებს პწკარედის პირველ წყაროს.

ჩვენი აზრით, ილიას თარგმანში თვალსაჩინოვდება ახალგაზრდა მამულიშვილის განწყობილება. აქ მხოლოდ ებრაელთა ტანჯვაზე არ არის ლაპარაკი, ქართველი მკითხველისთვისაც გასათავისებელია ეს მტკივნეული განცდა. ამასვე გამოკვეთს მკვლევარი და მთარგმნელი გ. გაჩეჩილაძეც, რომელიც კანონზომიერად მიიჩნევდა ი. ჭავჭავაძის მიერ ამ ლექსის არჩევას სათარგმნად, რადგან ბაირონის ლექსი პასუხს აძლევდა ქართველ მოღვაწეთა საერთო განწყობილებას, რამდენადაც თარგმანი მიზნად ისახავდა პატრიოტიზმის გაღვივებას ქართველ მკითხველში. ისიც აღსანიშნავია, რომ ასეთ მძაფრ მიდრეკილებას პატრიოტული თემატიკისადმი ამჟღავნებდნენ სწორედ ბაირონის ლექსების პირველი მთარგმნელები, მაშინ, როდესაც უფრო გვიანი პერიოდის თარგმანებში გვხვდება უკვე ბაირონის ინტიმური ლირიკის ნიმუშებიც (გაჩეჩილაძე, 1956:3).

აღნიშნულ საკითხზე უფრო ფართო წარმოდგენას გვიქმნის 1887 წელს გორის საოსტატო სემინარიის მაშინდელი მოსწავლის, ვაჟა-ფშაველას (1861-1915) მიერ ნიკოლოზ ბარათაშვილზე(1817-1845) წაკითხული რეფერატის შინაარსი, რომლის შინაარსს თავის მოგონებაში გადმოგვცემს პედაგოგი და მწერალი ალექსანდრე გარსევანიშვილი (1864-1936): „ჩვენმა კრიტიკამ და მკითხველმა საზოგადოებამ, – ასე დაიწყო ვაჟამ, – ნიკო ბარათაშვილი აღიარა ერთ-ერთ დიდებულ ქართველ მგოსნად. ბევრმა აგრეთვე მას უწოდა „ქართველი ბაირონის“ სახელი, იმ გენიოსი პოეტის სახელი, რომელიც იყო „მსოფლიო სევდის“ ნიჭიერი გამომხატველი“ (ვაჟა-ფშაველა, 1967:271.). (ხაზი ჩვენია – თ.ს.)

უფრო ქვემოთ ქართული კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელი, პოეტი და შემოქმედი ვაჟა-ფშაველა(1861-1915) ცდილობს მსმენელის წინაშე გამოკვეთოს „ბაირონიზმის“ არსი. იგი ბაირონს შატობრიანის ღირსეულ მემკვიდრედ მიიჩნევს და, იმოწმებს რა ა. ს. პუშკინისეულ შეფასებას, ბაირონი „ფიქრთა და აზრთა მეფე“ იყო;

ამტკიცებს, რომ ამ დიდებულმა მგოსანმა შექმნა ლიტერატურული მიმართულება „ბაირონიზმი“ და „მსოფლიო სევდის“ მთავარი აზრი უფრო ნათლად გამოთქვა (ვაჟა-ფშაველა, 1967:273).

„ბაირონიზმი“, ვაჟა-ფშაველას აზრით, უკიდურესი პესიმიზმის გამოხატულებაა, რომელმაც დაკარგა მასობრივი საზოგადოების რწმენა და აქცენტი ძლიერ პიროვნებაზე გადაიტანა. ვაჟა-ფშაველა აქვე ახასიათებს ბაირონს, როგორც პოეტ-ინდივიდუალისტს, რომელმაც, შექმნა რა პიროვნების კულტი, სცადა დაემტკიცებინა, რომ პიროვნებაა მცველი თავისუფლებისა. იგი ყველაფერია, საზოგადოება კი – არაფერი. თუმცა ბაირონის გმირები ებრძვიან ბოროტებას, ქადაგებენ თავისუფლებას, სინამდვილეში კი იჩენენ უდიდეს ეგოიზმს და ამას მიიჩნევენ ვაჟა-ფშაველა „ბაირონიზმის“ სუსტ მხარედ. თუმცა აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ პოეტმა რეფერატი ნიკოლოზ ბარათაშვილზე პედაგოგ ნოვოსპასკის მითითებით შეასრულა, ბუნებრივია, მისი შეხედულებების გავლენაც უნდა იგულისხმებოდეს ვაჟა-ფშაველას ნააზრევში.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1861 წელს, ილია წერს „მგზავრის წერილებს“, რომელშიც „მყინვარისა და თერგის“ პოეტური შედარებისას ასახელებს ორ დიდ შემოქმედს: გოეთესა და ბაირონს. „მყინვარი დიდ გეტეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარს ბაირონსა“ (ი. ჭავჭავაძე, წ. II., 1974:22).

სწორედ ბაირონის ძირითადი თეზა იკვეთება ინგლისელი პოეტის ცნობილ სიტყვებში: „მოქმედება! მოქმედება! ვამბობ მე, და არა ჯღაბნა, ყველაზე უფრო ნაკლებ კი ლექსები“ (გამეზარდაშვილი, 1972:237). აქვე მოგვყავს პარალელი ი. ჭავჭავაძის ცნობილი „მგზავრის წერილებიდან“: „მოდრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“ (ი. ჭავჭავაძე, ტ. II, 1988: 23).

წერილში „პასუხი“ ილია კვლავ მიანიშნებს ბაირონის მარადიულ ნიჭზე, ხოლო „წერილებში ქართულ ლიტერატურაზე“ ილია გამოკვეთს აზრს, თუ რა არის „ბაირონიზმი“. შედარებისათვის მას მოჰყავს დარვინი, რომლის სამეცნიერო აზრი „დარვინიზმად“ იხსენიება, ხოლო ბაირონის მიმართულება და აღზრდა-წყობა „ბაირონიზმად“. მ. კუჭუხიძის აზრით, „ბაირონიზმი“ ილიამ შემოიტანა ქართულ მწერლობაში ფართო გაგებით და ამ ტერმინში იგულისხმება არა მხოლოდ ბაირონი-

პოეტი, არამედ ბაირონი-პიროვნება და მოქალაქე; იგულისხმება ის სულისკვეთება, რომელიც ბაირონიზმმა წარმოშვა ევროპასა და შემდგომ რუსეთში. ილიას აზრით, ქვეყნის სულიერებაში წარმოქმნილი ასეთი მეამბოხე განწყობილების საფუძველზე უნდა ზიარებოდა ქართველობა „ზოგადს ცხოვრებას“ („აჩრდილი“), როგორც მისი აქტიური წევრი, საკუთარი და საკაცობრიო ინტერესების მატარებელი (კუჭუხიძე, 1992:105.).

ილიამ თავის თარგმანებსა თუ პუბლიცისტიკაში ბაირონის მოხსენიებით არა მხოლოდ ხელი შეუწყო დიდებული ინგლისელი პოეტის პოპულარიზაციას და ტერმინ „ბაირონიზმის“ დამკვიდრებას საქართველოში, არამედ დასახა კიდევ მისი შემოქმედების აქტიურად თარგმნის აუცილებლობაც.

ბაირონის ლირიკიდან, „ებრაულ მელოდიებს“, საქართველოში დიდ ყურადღებას უთმობდნენ XIX ს-ის 60-იანი წლებიდან, კერძოდ, ლექსები უთარგმნიათ: გ. წყალტუბელს (1868) „ბაბილონის მდინარის პირად“; მამია გურიელს (1871) და ვინმე ი. ო.-ს (1889), ი. ო. (იგივე „იორდანე ტუსალი“) უნდა იყოს მიხეილ ყიფიანის ფსევდონიმი (თ. ს.) „სული მაქვს მეტად მოღრუბლებული“ (1871). ამჯერად გამოვეყოფთ ცნობილი 60-იანელის, აკაკი წერეთლის (1840-1915) თარგმანებს ბაირონიდან, რომლებიც რუსული ენიდანაა შესრულებული. ქ. ბურჯანაძემ მიაკვლია ერთ წერილს, აკაკის „თვითურ კრებულში“ რომ გამოქვეყნდა, მასში მსჯელობაა თარგმანის შერჩევის, მისი მნიშვნელობისა და დანიშნულების შესახებ.

დავადგინეთ, რომ აკაკი წერეთლის წერილი ჟურნალი „თვითური კრებული“ შეტანილია პირველი განყოფილების VI ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებში. აქვე მიწერილია, რომ ავტორი არის აკაკი წერეთელი. დაზუსტებისთვის, წერილის სათაურია „ბერანჟეს ლექსები ქართულად“. ცნობილი ფრანგი პოეტის, პიერ-ჟან დე ბერანჟეს (1780-1857) პოეზია საკმაოდ პოპულარული იყო XIX საუკუნის საქართველოში, ქართულად გადმოიღო შემდგომში ემიგრანტმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, იურისტმა, მწერალმა, მთარგმნელმა და პუბლიცისტმა გიორგი ბეჟანის ძე გვაზავამ (1869-1941) 1898 წელს. [ბერანჟე პ. ჟ. (ლექსები) ქართულად თარგმანი, გიორგი გვაზავასი. ტფილისი.: ცნობის ფურცლის სტამბა. 1898]. აკაკი წერეთელმა, რომელიც გაფაციცებით ადევნებდა თვალს საქართველოში გამოქვეყნებულ

ორიგინალურ, თუ თარგმნილ ლიტერატურას, საჭიროდ ჩათვალა „თვითკრებულის“ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებში ილიას მსგავსად წარმოეჩინა, რა უნდა თარგმნოს ქართველმა და როგორ. აღნიშნული წერილი მნიშვნელოვანია ქართველ სამოციანელთა მთარგმნელობითი საკითხისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით. ქ. ბურჯანაძემ საკმაოდ საფუძვლიანად მიმოიხილა აღნიშნული წერილი, რომელიც შედგება ოთხი მუხლისაგან და მასში ძირითადად გამოიკვეთა ქართულის და საქართველოს შესახებ ინფორმაციის ზუსტი მიწოდების აუცილებლობა უცხოელი მკითხველისათვის (ბურჯანაძე, 1992:203-204). აქვე ქ. ბურჯანაძე გამოთქვამს იმ აზრსაც, რომ აკაკი წერეთელი ილაშქრებდა სიტყვასიტყვითი თარგმანის წინააღმდეგ და მოჰყავს ციტატა მისი წერილიდან: „სიტყვა-სიტყვად გადმოთარგმნა ცოცხლის მოკვლა და მერე მკვდრის ღვრეჭით გადათრევა იქნებაო“ (წერეთელი, 1899:97). აკაკი წერეთელი აუცილებლად მოითხოვდა მთარგმნელისაგან დედნისა და სამიზნე ენების ზედმიწევნით ცოდნას, ამასთანავე დედნის ტექსტის ავტორისა და მთარგმნელის ნიჭთა თანაფარდობას, რადგან მთარგმნელს შეიძლება გამოეპაროს კიდევ ის წვრილმანები, რაც შეადგენს თითოეული ერის სულის საიდუმლო მოძრაობას: „ამიტომაც საზოგადოდ თარგმანი დედნის ჩრდილია ხოლმე. ყოველ მთარგმნელს, ზემომოხსენიებულ ღირსებითაც რომ სრული იყოს, ე. ი. ზედმიწევნით იცოდეს ორივე ენა და ნიჭითაც უტოლდებოდეს დედნის დამწერს, მაინც კიდევ გამოეპარება ის წვრილმანები, რომელიც შეადგენს თვითოეულ ხალხის განსაკუთრებით სულის საიდუმლო მოძრაობას და რომელიც მხოლოდ დედნის ავტორს შეეძლო დედნის რძესთან ერთად შეესისხლხორცებია, რომ პოეტური ნაწარმოები მოექარგა და გაესხვიოსნებია“ (წერეთელი, 1899:97-98). ჩვენ კი მივანიშნებდით, რომ აკაკი წერეთელმა ამ წერილით გამოკვეთა სათარგმნი დედნის სპეციფიკაც. რამდენადაც ბერანჟე უფრო სასიმღერო კილოზე წერდა, მისი თარგმნა გაუჭირდებოდა გიორგი გვაზავას. ეტყობა, აკაკიმ თავადაც სცადა ეთარგმნა ბერანჟეს ლექსები, თუმცა ამაოდ, რაც თვითონვე აღიარა ზემოდასახელებულ წერილში. ქ. ბურჯანაძე აღნიშნავს, რომ გამოთქმული შეხედულებები ემთხვევაო ნ. დობროლიუბოვის მოსაზრებებს თარგმანის შესახებ, რომლის მიხედვითაც, მთარგმნელმა კარგად უნდა იცოდეს ის ენა, საიდანაც თარგმნის, სათარგმნი სიტყვათა

ყველა შესაძლებელი მნიშვნელობა, მისი კილოკავი, ასევე მთარგმნელმა უნდა იცოდეს ის ენა ზედმიწევნით, წერდეს მსუბუქად და თავისუფლად იმ აზრის გადმოსაცემად, რომელიც დედანშია მოცემულიო (წერეთელი, „თვიური კრებული“, #2,1899:97-98). ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ქ. ბურჯანაძე ასკვნის, რომ 1. მწერალი აუცილებლად უნდა ასახავდეს სინამდვილეს და 2. რამდენადაც სინამდვილის ასახვის ცნება გარდაუვალია, ამიტომ იგი დროთა განმავლობაში კარგავს პირვანდელ მნიშვნელობას და ისტორიის საკუთრება ხდება (ბურჯანაძე, 1992:211-212). აკაკი წერეთელმა კარგად გამოხატა თავისი თეორიული პრინციპები მთარგმნელობით პრაქტიკაში, სადაც გასათვალისწინებელია ორი ხაზი: ერთი რეალისტური, მეორე თავისუფალი თარგმანისა და ასედაც თარგმნისო იგი – აცხადებს ქ. ბურჯანაძე (ბურჯანაძე, 1992:214).

ბაირონის აკაკისეული თარგმანებიდან ცნობილია ორი ლექსი „იეფი ფასის ასული“ (როგორც მის პირველ გამოცემაში არის სახელდებული) (ქ. „ცისკარში“ 1865 წლის #11, გვ. 4.) და „გოდება ებრაელთა“.

როგორც მკვლევარი ნ. ზედგენიძე აღნიშნავს, აკაკი წერეთლის ამ ორივე ლექსს „იეფი ფასის ასული“ და „გოდება ებრაელთა“ (წერეთელი, გ. „ივერია“. 1901:1) მიწერილი აქვს „ბაირონით“, რაც მიგვანიშნებს, რომ იგი თარგმნილია ბაირონიდან. ამდენად თარგმანში დაცული უნდა იყოს ორიგინალთან სიზუსტე, რამდენადაც იგი რუსული თარგმანიდან არის შესრულებული. ნ. ზედგენიძის აზრით, ბაირონი სწორედ ამ პერიოდში პოპულარული იყო 60-იანელებისათვის, თუმცა მან თვით ბაირონის კრებულში ასეთ ლექსს ვერ მიაგნო, „ებრაული მელოდიების“ საერთო შინაარსიდან კი ა. წერეთლის ლექსის სუნთქვა ადვილი ამოსაცნობიაო – ამბობს ავტორი (ზედგენიძე, 1989, #4: 133).

ნაწყვეტებს „ებრაული მელოდიებიდან“ უკვე 70-იან წლებში იოსებ ბაქრაძეც თარგმნის. ჟურნალ „მნათობის“ 1871 წლის აგვისტოს ნომერში პოეტი ი. ბაქრაძე, „რომელიც ნაყოფიერად თარგმნის ბაირონის შემოქმედებას, ათავსებს ამავე ლექსის „იეფთაის ქალის“ („ბაირონით“) საკუთარ თარგმანს. როგორც გ. გაჩეჩილაძე აღნიშნავს, მისთვის შეიძლება უცნობი იყო აკაკის თარგმანი. ყოველ შემთხვევაში, პოეტური ტექნიკის თვალსაზრისით მისი თარგმანი ბევრად დაბალმხატვრულია აკაკის

თარგმანთან შედარებით და აკაკის შემდეგ მისი გამოქვეყნება უთუოდ აღარ ღირდა. გ. გაჩეჩილაძე თვლის, რომ ორივე ერთი და იმავე რუსული თარგმანიდან არის შესრულებული. ი. ბაქრაძის თარგმანს ახლავს ხარვეზები პოეტური ტექნიკის თვალსაზრისით. მაგალითად, მარცვალ-ნაკლული სტრიქონი:

„თუ იმისათვის ჩვენ მოგვენიჭა

გამარჯვება - ჰა ჩემი გული!“

(გაჩეჩილაძე, 1956:2)

თუმცა თვით გ. გაჩეჩილაძეს ი. ბაქრაძისეული თარგმანი მოხსენიებული აქვს, როგორც „იფაის ქალი“, შევნიშნავდით, რომ ორიგინალში იგი დასათაურებულია ავტორის მიერ, როგორც „იფეთაის ასული“. აშკარაა, რომ ამ ბიბლიურმა სახელმა, ბაირონისაგან განსხვავებით, ქართულ თარგმანებში მოგვცა სხვადასხვა ინტერპრეტაცია.

ბაირონის შემოქმედებით დაინტერესება მარტო ილიასეული და აკაკისეული თარგმანებით არ შემოიფარგლება, მას თარგმნიდნენ მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ქართველი მწერლები: იოსებ ბაქრაძე, მამია გურიელი (ფაზელი), ანტონ ფურცელაძე, ნიკო ლომოური (ზოგან ხელმოწერილია : ნ. ლომაური – თ.ს.) და სხვანი. იბადება კითხვა: რა იზიდავდა ქართველ მთარგმნელებს ბაირონის შემოქმედებიდან? თავისი დროისათვის ბაირონის მიერ სხვადასხვა პერიოდში დაწერილი ლექსების გარდა, ყველაზე მეტად ყურადღება გამახვილებულია „ებრაულ მელოდიებზე“, „ჩაილდ ჰაროლდზე“, „დონ ჟუანსა“ და „შილონელ ტუსაღზე“¹¹

უკეთესად, რომ ჩავწვდეთ ქართველ მწერალთა თუ მთარგმნელთა მიერ ბაირონის გადმოთარგმნის მიზეზებს, აუცილებელია გავარკვიოთ, რა თემებს ეხება ზემოდასახელებული ნაწარმოებები.

საუკუნეთა განმავლობაში განტკიცებულმა მეგობრულმა ურთიერთობამ შეაკავშირა ეს ორი ხალხი – ქართველები და ებრაელები. ქართველები მათ ბედისწერაში საკუთარი ხალხის ტრაგედიასაც ხედავდნენ, ალბათ, ამიტომ უამრავი ლექსი ითარგმნა ამ ციკლიდან XIX საუკუნეში. ილიასა და აკაკის გვერდით ეს ხაზი გააგრძელა იოსებ ბაქრაძემაც.

¹¹ ზოგი მთარგმნელი „შილონელ პატიმარს“ წერს. – თ.ს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1871 წელს ითარგმნა ლექსი, „იეფაის ქალი“, „ებრაული მელოდიებიდან“ იოსებ ბაქრაძის მიერ. ამავე პერიოდში უნდა ითარგმნა მას „საულის სიმღერა უკანასკნელი ომის წინად“ (ჟურნალი „მნათობი“, 1871, #6) „გოდება იროდის მარიამნაზედ“ (გაზეთი „დროება“, 1878, #215) „ქურციკი“ (გაზეთი „ივერია“, 1901, #5), „ტიტესაგან იერუსალიმის დანგრევა“ (გაზეთი „ივერია“, 1902, #210).

მკვლევარი მ. კუჭუხიძე ყურადღებას ამახვილებს ი. ბაქრაძის „ებრაული მელოდიებიდან“ სწორედ პატრიოტული შინაარსის ლექსების თარგმანებზე, როგორცაა „საულის სიმღერა უკანასკნელი ომის წინ“ (“Song of Saul, before his Last Battle”), რომელშიც სამშობლოსათვის სიკვდილი გააზრებულია, როგორც პიროვნების სულიერი ამაღლება (კუჭუხიძე, 1992:80). აქვე იგი ერთმანეთს ადარებს გერბელისეულ და ბაქრაძისეულ თარგმანებს. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ქართულ თარგმანში დაკარგულია რითმის ის იშვიათი სიზუსტე და მუსიკალურობა, რაც ახასიათებს ბაირონის ლექსებს. ჩვენც ვეთანხმებით მკვლევრის ამ მოსაზრებას.

ამათ გარდა ი. ბაქრაძემ ბაირონიდან თარგმნა სხვა ლექსებიც, როგორცაა: „მამ შენ დაღვრი მდულარე ცრემლს?“ (გაზ. „დროება“, 1878), „არცერთი შენა“ (გაზ. „დროება“, 1878), „მიღგამკრთალთ მზევ“ (გაზ. „ივერია“, 1886), „ჩამომეხსენი“ (გაზ. „ივერია“, 1886), „ოჰ, თუ ოდესმე“ (ჟურ. „თეატრი“, 1886), „ოჰ, გულო, დასცხრი“ (ჟურ. „მოამბე“, 1894), „განწირულება შემეცვალა ჭმუნვარებადა“ (გაზ. „კვალი“, 1893), „შენ გაიარე ქვეყნის გზა ძნელი“ (ჟურ. „მნათობი“, 1871).

ბაირონის ერთ ლექსს „წარვიდნენ დღენი“ (“Thy Days Are Done”) რუსულ თარგმანში ჰქვია «Ты кончил трудный путь». სწორედ რუსული სათაურის ზუსტი შესატყვისობაა მოცემული ი. ბაქრაძისეულ თარგმანში („შენ გაიარე ქვეყნის გზა ძნელი“). მ. კუჭუხიძის აზრით, ეს ლექსი ს. სლავუტინსკის რუსული თარგმანიდან უნდა იყოს შესრულებული.

მ. კუჭუხიძე საინტერესოდ იკვლევს ი. ბაქრაძისეული თარგმანების რუსულ ორიგინალებს. მაგ.: „შენ სტიროდი“ (“I Saw Thee Weep”) მიხალკოვის რუსული თარგმანიდან უნდა იყოს შესრულებული («Ты плакала»), 1879 წელს უსათაურო ლექსი „თარგმანი ბაირონიდან“ ბაირონის „სტანსების“ ქართული თარგმანიაო და ნ.

ოგარიოვიდან უნდა იყოს შესრულებული, „ველური ქურციკი“ (“The Wild Gazelle!”) კი ა. პლემჩევის თარგმანიდან და სხვანი.

მ. კუჭუხიძისა და ქ. ბურჯანაძის ძიებანი მეტად საყურადღებოა ი. ბაქრაძის მიერ შესრულებული ბაირონის თარგმანების პირველწყაროების (რუსული თარგმანების) მიკვლევის თვალსაზრისით, რასაც ჩვენც ვიზიარებთ. იოსებ ბაქრაძე (1850-1902) ერთი იმ მოღვაწეთაგანია, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ ბაირონის ქართულ ენაზე ყველაზე ნაყოფიერ მთარგმნელად XIX საუკუნეში. როგორც მკვლევარი თამარ მიქაძე მის შემოქმედებაზე მონოგრაფიის ავტორი შენიშნავს, მეტად რთულად უხდებოდა ი. ბაქრაძეს თავისი ნაწერების გამოქვეყნება, რამდენადაც ცენზურა ეხებოდა როგორც ორიგინალურ თხზულებებს, ისე თარგმანებსაც, თუკი იქ შეინიშნებოდა ეროვნული ან სოციალური უსამართლობის მიმართ პროტესტის რაიმე ნიშანი. იოსებ ბაქრაძემ რუსულის გარდა არცერთი უცხო ენა არ იცოდა, ამიტომ თარგმნიდა რუსულის მეშვეობით ინგლისური, ფრანგული, ამერიკული და სომხური მწერლობის სხვადასხვა ნიმუშს. ი. ბაქრაძისათვის მნიშვნელოვანი იყო, ქართველ მკითხველთან გასაგებად მიეტანა დასავლეთ ევროპის მწერლების შემოქმედება. როგორც თამარ მიქაძე შენიშნავს, ი. ბაქრაძე თითქმის არსად გვაძლევს სიტყვასიტყვით თარგმანს. ზოგ შემთხვევაში იგი იძლევა თავისუფალ თარგმანს, ზოგჯერ კი მთარგმნელი მიჰყვება სათარგმნ დედანს, მაგრამ თარგმანს აძლევს ეროვნულ იერს. პოეტი სათარგმნად ირჩევს ისეთ მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებიც ახლოსაა მის სულიერ სამყაროსთან, მის იდეურ მისწრაფებებთან (მიქაძე, 2007:6), რაც შეიძლება მიბაძვის მცდელობად მივიჩნიოთ.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, ი. ბაქრაძემ თარგმნა ბაირონის ოცდაათიოდე ლექსი, პოემები „დონ-ჟუანი“ და „ჩაილდ-ჰაროლდი“. მის მიერ შესრულებულმა თარგმანებმა შეადგინა უცხოელ ავტორთა „მცირე ანთოლოგია“, რომელშიც შედიოდა ბაირონის თარგმანებიც.

იოსებ ბაქრაძის ბიოგრაფია შეტანილია ივ. როსტომაშვილის რედაქციით გამოცემულ „რუსულ-ქართულ ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ („ბაქრაძე იოსებ ზოსიმეს ძე – ჩვენი დროის ცნობილი მთარგმნელი ბაირონისა ქართულად...“), ხოლო ბაირონისადმი მიძღვნილ სტატიაში ივანე როსტომაშვილი შემდეგნაირად აფასებს ი.

ბაქრადის თარგმანებს: ქართულ ენაზე გადმოთარგმნილია ბევრი თხზულება ბაირონისა, მაგრამ ვერცერთი მათგანი ვერ გადმოგვცემს სავსებით ბაირონისებურს კილოს წერისას და მის შემოქმედებით პოეზიას. ჩვენში მის უკეთესს მთარგმნელად ითვლება იოსებ ბაქრადე (როსტომაშვილი, წ. II, 1898:211). სანიმუშოდ კი „ჩაილდ ჰაროლდის“ მესამე გალობის ბაქრადისეული თარგმანი მოჰყავს.

თვითონ იოსებ ბაქრადეს გადაწყვეტილი ჰქონდა, გამოეცა ბაირონის თხზულებათა თარგმანები. გაზეთ „ცნობის ფურცლის“ მიხედვით, ქართველ პოეტს, იოსებ ბაქრადეს ერთად შეუკრებია ყველა ლექსი, მათ შორის, სრულად „ჩაილდ ჰაროლდი“ და გადაუწყვეტია კიდევად მოკლე ხანში ცალკე წიგნად დაბეჭდვაც კი. წიგნს დაერთვებოდა სურათი ბაირონისა და მისი ბიოგრაფიაც, ბ-ნის ი. ბაქრადის მიერ დაწერილი (რედაქციისაგან „ცნობის ფურცელი“, 1897:2). თუმცა აღნიშნული კრებული თარგმანებისა, როგორც მკვლევარი მ. კუჭუხიძე გვამცნობს, ავტორის სიცოცხლეში ცალკე წიგნად არ დაბეჭდილა. მისი ლექსების მცირე ნაწილი 1938 წელს გამოიცა პროფესორ სოლომონ ყუბანეიშვილის რედაქციით (კუჭუხიძე, 1992:77). გამომცემელს არ შეუტანია მასში ის ლექსები, რომლებიც „ი. ო“-ს ფსევდონიმის ქვეშ იბეჭდებოდა.

მკვლევარმა თ. მიქაძემ, საფუძვლიანად შეისწავლა რა ი. ბაქრადის ორიგინალური და თარგმნილი პოეზია, „ი. ო“-ს ფსევდონიმის ქვეშ ავტორობასა და თარგმანს ასევე არ მიაწერა იოსებ ბაქრადე და ამითვე ახსნა ის ფაქტი, რომ ს. ყუბანეიშვილმა ამ ფსევდონიმებით ხელმოწერილი ლექსები არ შეიტანა ი. ბაქრადის კრებულში. თუმცა აღნიშნული საკითხის კვლევა, ჩვენი აზრით, მხოლოდ უფრო ბაირონიდან ი. ბაქრადის თარგმანებისა და „ი. ო“-ს ფსევდონიმებს ამოფარებული პოეზიის სტილისტიკური ანალიზის საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს. მით უმეტეს, რომ ამ ფსევდონიმების გარდა „იორდანე ტუსადი“ აწერია ბაირონის ერთი ლექსის „მშვიდობით“ თარგმანს (ტუსადი. ი, გაზ. „დროება“, 1880, II 26, #44).

იოსებ ბაქრადემ სემინარიაში ყოფნისას (1867-1874) დაიწყო მთარგმნელობითი საქმიანობა, თარგმნიდა ბაირონის ლექსებს და ნაწყვეტებს პოემიდან „დონ ჟუანი“, რომლებიც იბეჭდებოდა ჟურნალ „მნათობში“. მოგვიანებითაც ი. ბაქრადეს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა იმ დროისათვის ცნობილ ჟურნალ-გაზეთებთან და მათ რედაქტორებთან. რამდენადაც ი. ბაქრადე იყო გაზეთ „ივერიის“ აქტიური

თანამშრომელი, აშკარაა, სწორედ იქიდან ეცნობოდა იგი ევროპული ლიტერატურის შედეგებს და თვითონაც თარგმნიდა. ალბათ, ამით უნდა აიხსნას მისი დაინტერესება ბაირონის თარგმნით. როგორც ელენე ანტონის ასული მამულაშვილ-ვასაძე იგონებს, ქართული ენა და ლიტერატურა ი. ბაქრაძემ ძალიან კარგად იცოდა. მან პირველმა შეასწავლა თარგმნა ამ ქალბატონს, ისე გასაგებად უხსნიდა ყველაფერს, რომ მან სულ ადვილად აუღო ალლო ამ პროცესს. ი. ბაქრაძე მას აძლევდა, თურმე, პატარა სათარგმნ მონაკვეთებს და, როცა დაასრულებდა, ჩაასწორებდა კიდევ და შენიშვნებსაც ურთავდა (ლიტ. მუზ. ფ. # 20815). აშკარაა, რომ ბაქრაძესაც იმავენაირი თარგმნის სტილი ჰქონდა. მთლიან ტექსტს კი არ გაიაზრებდა, არამედ თარგმნიდა ნაწილ-ნაწილ, სტრიქონ-სტრიქონ. რადგან მხოლოდ რუსულიდან თარგმნიდა, აკეთებდა თარგმანის თარგმანს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია აღნიშნული თარგმანის ეკვივალენტობაზე საუბარი, რამდენადაც აუცილებელია თარგმანის დედნის პოვნა, საიდანაც იგი შესრულდა (მიქაძე, 2007:94). ამიტომ თ. მიქაძე თარგმანთმცოდნეთ ურჩევს იმ რუსული თარგმანების მოძიებას, საიდანაც ქართველი მთარგმნელი სარგებლობდა. აღნიშნულ საკითხებზე მუშაობდა თარგმანთმცოდნე გივი გაჩეჩილაძე. მეცნიერი ძირითადად აქცენტს აკეთებს ნ. გერბელის მიერ 1874 წელს გამოცემულ წიგნზე «Сочинения Лорда Байрона в переводах русских поэтов». მსგავს საკითხზე იმუშავებს ნ. ზედგენიძემ და მ. კუჭუხიძემ სხვადასხვა სახის შედარებებისას.

მიუხედავად იმისა, რომ მთარგმნელი ხშირად აწერს „ბაირონით“, „ბაირონიდან“ და სხვა, მაინც თავად ავტორსაც არა აქვს გამოკვეთილი, თავისუფალი თარგმანია ეს, მიბაძვა, თუ გადმოკეთება. ამ კუთხით თ. მიქაძე ეთანხმება საგამომცემლო პრაქტიკაში ტექსტოლოგების მიერ გადმოკეთებული ნაწარმოებების დედნის გვერდით თარგმანის პუბლიკაციის ტენდენციას, რამდენადაც იგი ემყარება ილია ჭავჭავაძისეულ თვალსაზრისს, რომ გადმოკეთებისას მწერლის მიზანია, თავისი ხალხისთვის უფრო გასაგები და მისაწვდომი გახადოს ესა თუ ის ნაწარმოები, სხვა ხალხის საკუთრება თავისი ხალხის საკუთრებად აქციოს, ე. ი. ასეთ შემთხვევაში თავისებურ, ორიგინალურ შემოქმედებასთან გვაქვს საქმე (მიქაძე, 2007:97).

„ჩაილდ ჰაროლდის“, თარგმნა ი. ბაქრაძეს, სავარაუდოდ, უნდა დაეწყო ნაწყვეტებად 1871 წლიდან („ჩაილდ-ჰაროლდის სიმღერა“, ჟურ. „მნათობი“, 1871, #2),

რომელიც განმეორებით დაიბეჭდა „დროებაში“ (1878 წლის #137), ხოლო 1880 წელს – ჟურნალ „ივერიაში“ (#11), ამის შემდეგ პოემის მონაკვეთების თარგმანები სხვადასხვა წელს იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში. 1880 წლის „ივერიაში“ „ჩაილდ-ჰაროლდის“ სათაურის ქვეშ მიწერილია „რომანი ოთხ ნაწილად ლორდ ბაირონისა, გადმოთარგმნილი ი. ბაქრაძისაგან“. თუმცა აქ მხოლოდ ერთი გალობაა გამოქვეყნებული 1879 წელს თარგმნილიდან. ლექსის XXIII თავს კი მთარგმნელი ასე ასრულებს:

„აი ამ რომანის ერთი გალობა,
ჩვენი ამბავი ამით იწყობა,
დასასრული კი ამ მოთხრობისა
მკითხველს სხვა დროსა წარედგინება.
მაგრამ აქ დროა გათავებისა,
ეს კრიტიკოსსაც მოეწონება,
ჩვენ გმირს მრავალი მხარე უნახამს,
სადაც ნაშთები დროს აგონებდნენ,
როდესაც შვილნი საბერძნეთისა
თავისუფლებით ამპარტავნობდნენ;
დღევანდლამდისინ იგი ნაშთები
არიან მტრისგან ხელ-უხლები“.

(ბაირონი ,თარგმანი იოსებ ბაქრაძის, 1880:196)

1895 წელს ნაწყვეტი პოემიდან ისევ იბეჭდება გაზეთ „ივერიაში“, 1898 წელს კი – „მესამე გალობიდან“ თავები XVIII-XXXIV („ივერია“), 1903 წელს – „გალობა მეორე“ („ივერია“, #244). ზოგიერთი თავის პუბლიკაცია კი არასრულადაა მოღწეული. გ. გაჩეჩილაძე ფიქრობს, რომ ი. ბაქრაძე თავად იჩენდა ინიციატივას, გაეხედა ასეთი დიდი და ძნელად სათარგმნი ნაწარმოების ქართულ ენაზე გადმოღება. შემდგომ ამ პოემის ნაწყვეტები თარგმნეს სილოვან ხუნდაძემ და კონსტანტინე ჭიჭინაძემ. რაც შეეხება ი. ბაქრაძის თარგმანს, გ. გაჩეჩილაძის დახასიათებით, ტექნიკური თვალსაზრისით იგი დაახლოებით საშუალო დონეზე დგას და მას საკმაოდ

ახსიათებს იმ ტიპის ნაკლი, რაც ზემოთ აღნიშნული „დონ ჟუანის“ თარგმანის მიმართ (გაჩეჩილაძე, 1956:3).

გარდა ამისა ბაქრაძეს ეკუთვნის ბაირონის პოემა „პრომეთეოსის“ თარგმანი, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ივერიის“ 1903 წლის #262-ში.

მიუხედავად ზემოთმოყვანილი ხარვეზებისა, ი. ბაქრაძე მაინც რჩება XIX საუკუნის ბაირონის შემოქმედების ერთ-ერთ ყველაზე ნაყოფიერ მთარგმნელად ქართულ მთარგმნელობით სივრცეში.

60-იანი წლების ბაირონის მთარგმნელთა შორის შეიძლება დასახელდეს ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ანტონ ფურცელაძე (1839-1913), რომელიც ქმნიდა როგორც პოეტურ, ისე პროზაულ თხზულებებს, გაფაციცებით თვალს ადევნებდა ევროპაში მიმდინარე სოციალ-პოლიტიკურ და კულტურულ მოვლენებს. თანაც, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 1862-1863 წლებში მოღვაწეობს ჟურნალ „ცისკარში“, სწორედ აქ აქვეყნებს კიდევ ერთი ლექსის თარგმანს „ბაირონით“ (1863 წ. მარტი).

აღნიშნული თარგმანის შესახებ საყურადღებოა გ. გაჩეჩილაძის შენიშვნა, რომ ეს ლექსი აღსავსეა მარტოობისა და უიმედობის განწყობილებით. იგი თავის მოტივით ეხმაურება ბაირონის საერთო პოეტურ ტენდენციებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ისიც ბაირონის ლექსის გადმოკეთებაა და არა თარგმანი დედნიდან, რადგან მისი დედნის დადგენა ძნელდება, თუ საერთოდ შეუძლებელი არაა; ყოველ შემთხვევაში ბაირონის ორიგინალურ ლირიკაში ასეთი სტრიქონების შემცველ ლექსს მკვლევარმა ვერ მიაკვლია (გაჩეჩილაძე, 1956:4). თანაც უცნობია, რომელი ენიდან არის შესრულებული ეს თარგმანი და რა არის ჩამატებული მასში ანტონ ფურცელაძის მიერ. ამიტომ მოგვყავს მთლიანად აღნიშნული ლექსი, რომელშიც იგრძნობა ანტონ ფურცელაძის მიერ საკუთარ სულიერ განწყობაზე მორგებული მისეული თარგმანი ბაირონიდან.¹²

ადარ მაქვს ძალი, ადარ მაქვს ღონე!

ბაირონით

„ადარ მაქვს ძალი, ადარ მაქვს ღონე!“

¹² აშკარაა, ანტონ ფურცელაძე იცნობდა ბაირონის შემოქმედებას, რასაც მოწმობს მის ერთ კრიტიკულ წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის ბაირონთან შედარების მცდელობაც, თვითონ ბაირონიც არ დაიწუნებდა, რომ თავის დაწერილი ყოფილიყო (1867).

სად გავეცალო ამდენს გულის თქმას,
ამდენს ცხარე ცრემლს, იდუმალს ტანჯვას
და საშინელსა ჩემს უძლურებას?
მარტოთ მარტოსა სიცოცხლის გზაზედ
დაჰქონდეს კაცსა თავს შეჩვენება
და იცოდეს მან, რომ მისს ტანჯვაზედ
გული არა ვისა არ ეტკინება.
კაცს გული ჰქონდეს წრფელი და ჩვილი
და ვერ ჰპოვებდეს თანაზიარს სულს:
დამსხვრეულს გულში ტანჯვა ღელვილი
დაცინვის ღიმით ეხშოვებოდეს:
სთხოვდეს ქვეყანას სულის საზრდოსა,
ემებდეს ტრფობას და მეგობარსა,
და, ვით გლახაკი დღიურს ლუკმასა,
უგრძნობს ხალხს სთხოვდეს შეწყნარებასა;
ჰხედავს ყველგან შურით სხვის ალერსს,
თვით ვერ ჰპოვებდეს მოალერსესა
და აქ ჰხედავდეს განკიცხვას მწარეს
სად ეძიებდეს უფრო ტრფობასა;
გაულოს გული თვის მეგობართა,
სალხინოთ გულის მათ მოიწვევდეს,
იქაც საზარო კვნესა წყევლითა,
ხოლოდ ცივს ჰაერს მიეპყრობოდეს,
სად შეკრებილან ძმანი და თვისნი
მისკიდე მიგყვეს თანმწყველელი ჭირი,
იქაც ვერ ნახო მათ შორის ლხინი
და კვალად დარჩე მარტო ვით მწირი;
იქაც უშლიდე შენის მყოფობით
გულის გრძნობის და სულის შვებათა,

იქაც გევისოდეს ცნობა ნალველით
და გარბიოდეს ისევ ველათა.
და, ვით პარია ქვეყნით დევნილი,
მოწყვლით სდევნიდე შენცა შენთა დღეთ,
უნდა ჰხედავდე შურით ტანჯული,
სხვანი ვით სძმობენ ტკბილათ ერთმანეთს.
ო, რა ძნელია ესე ყოველი!
საბრალო გული მისკდება გესლით,
გოდებით მწარით მე გლახ ცოდვილი,
შევტირი მაღლა ღმერთს ცხარის ცრემლით.
ტვირთი ბოროტი უფრო მამძიმებს
უფრო მეწყვლის გრძნობა
და დროთა სივრცე უფრო მაწყლულებს,
უფრო მიკვდება გული ტანჯული“.

(ბაირონი ,თარგმანი ა. ფურცელაძის, 1863: 398, 399)

ანტონ ფურცელაძისეული შეფასება სუბიექტურ მსჯელობად არ უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც ახლად გამოღვიძებული ქართული კრიტიკა ცდილობდა, შედარებისათვის მოეძებნა „მწვერვალი“ პოეზიაში, რადაც XIX საუკუნეში ბაირონის პოეზიას მიიჩნევდნენ.

„ბაირონიზმი“ უფრო ისეთ პოეტებსა და მთარგმნელებს იტაცებდა საქართველოში, რომლებიც თავადაც გრძნობდნენ სულიერ სიახლოვეს ინგლისელ პოეტთან – სევდის, მტანჯველი ფიქრის, ქვეყნის ბედ-იღბალზე ზრუნვა-გოდების სახით. ერთი ასეთი იყო მამია გურიელი (ფაზელი) (1836-1891), გურიის მთავარი, მაგრამ უფლებაყრილი, გარეგნობით წარმოსადეგი, განათლებული, თავისუფლებისმოყვარე პოეტი, რომლის შესახებაც ცნობილი პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე წერდა, რომ თავად მამია გურიელის ხასიათისა და მიმართულების დამახასიათებელი ნიშანია ბაირონიზმისა და რომანტიზმის ნარევიო (ქლენტი, 1961:5). აშკარაა, აქ ნიკო ნიკოლაძე რატომღაც ორ განსხვავებულ ცნებად წარმოგვიდგენს „ბაირონიზმსა“ და რომანტიზმს (რაზედაც ქვემოთ ვიმსჯელებთ). მამია გურიელის

გარდაცვალების გამო დაწერილ წერილში იგი აღნიშნავს, გარდაცვლილს ისეთი მიმზიდველი ძალა ჰქონდა, ისეთი მგზნებარე სულისკვეთება, რომ შეუძლებელია არ გამოეხატა ზიზღი გარშემო მყოფთა მიმართ, რომლებიც წარსულს უარყოფდნენო (Николадзе, 1891:2).

ამ თვისებებით დახასიათებული მამია გურიელი, XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ინტერესდება რა ბაირონის პოეზიით, ხელს ჰკიდებს მის თარგმნას რუსულიდან. 1872 წელს მან თარგმნა „გიაურის“ რამდენიმე ხანა (სტუდნიცკის თარგმანიდან შეასრულა, რომელიც დაიბეჭდა 1844 წელს ჟურნალის «Москвитянин» #3-ში, მოგვიანებით კი შევიდა ბაირონის თხზულებათა ნ. გერბელისეულ გამოცემაში).

გიორგი წერეთლისადმი წერილში მამია გურიელი აფრთხილებს მას, წინასწარ არ ჩაუსწორონ თარგმანი, თუ უნდა ამოშალოსო ცენზორმა, რადგან „ეს რამდენიმე ხანა «Из Гяура» იმისათვის ვთარგმნე მე, რომ რაღაც მეტად ეწყობა ჩვენს მხარეს და ჩვენს ხალხს, ვგონებ, ამაში არ ვსცდები“ (ქ. ი. ე. მ. ხ. ფ. #89).

როგორც მ. კუჭუხიძე აღნიშნავს, მ. გურიელი მიჰყვება სტუდნიცკისეული თარგმანის ტექსტს, ოღონდ საბერძნეთის სინამდვილეს ქართული სინამდვილით ცვლის. თუმცა მკვლევარი აქვე აღნიშნავს, რომ რუსული თარგმანის ზოგიერთი ადგილი შეცვლილია, მაგ.: «Море – это Саламин» შეცვლილია „დავითის ზღვით“, როგორც ეძახდნენ ძველად შავ ზღვას. მ. კუჭუხიძეს მოჰყავს ი. მეუნარგიას თვალსაზრისი, რომ მ. გურიელის ლექსები ძირითადად პატრიოტული სულისკვეთებითაა დაწერილი, ისევე როგორც ბაირონის „გიაური“. ხოლო, პროფ. ალ. კალანდაძის შეფასებით, „გიაურის“ მამია გურიელისეული თარგმანი „ტენდენციური მხატვრული თარგმანის ნიმუშიაო“ (კალანდაძე, 1965:335).

„ტენდენციური თარგმანის“ საშუალებით მთარგმნელი ცდილობს, ბაირონის პოემა დაუკავშიროს ქართულ სინამდვილეს, მის ჭირ-ვარამსა და სამომავლო ამოცანებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს „ტენდენციურობა“ მხედველობიდან არ გამოჰპარვია ცენზურას, რომელმაც მალე აკრძალა კიდევ პოემის შემდგომი ნაწილების ბეჭდვა ჟურნალ „კრებულში“. აღნიშნული ნაწილი მთლიანი სახით მხოლოდ „პოეტის თხზულებათა“ 1897 წლის გამოცემაშია შეტანილი (კუჭუხიძე, 1992:61).

მამია გურიელისეული თარგმანი მ. კუჭუხიძის მიერ საფუძვლიანად არის შესწავლილი. აქ კი აღვნიშნავდით კიდევ სხვა თარგმანებს ბაირონიდან, როგორებიცაა: „ოჰ, თუმც ხანდახან“, კრებულიდან (“If Sometimes In The Hunts of Men”), „პორტუგალიურიდან“ (“From the Portuguese”) და „ებრაული მელოდიებიდან“ (“My Soul Is Dark”). ეს უკანასკნელი („სული მაქვს სევდიანი“) შესრულებულია მიხეილ ლერმონტოვის მიერ ბაირონის ლექსის თარგმანიდან, რომლის შესახებაც მკვლევარი მ. კუჭუხიძე, ადარებს რა მას ლერმონტოვის თარგმანებს, აღნიშნავს, რომ ქართველი მთარგმნელი ლექსს უნარჩუნებს მთავარს – განწირულ, სევდიან კილოს, რაც მისივე ორიგინალური ლექსებისთვისაცაა დამახასიათებელი. აქვე უნდა აღვნიშნოს, რომ XIX საუკუნის ზოგიერთი მკვლევარი (ივ. გომართელი) მ. გურიელის პოეზიას, სევდიანი განწყობილებების მიხედვით „ბაირონისა და ლერმონტოვის მიზამვად“ მიიჩნევს (კუჭუხიძე, 1992:66).

აქვე შევეცდებით, ყურადღება გავამახვილოთ ბაირონის ერთი ლექსის „პორტუგალიურიდან“ ქართულ თარგმანებზე, რომელიც მამია გურიელის გარდა რ. ალისუბნელმა თარგმნა - „მიზამვა პორტუგალსკისადმი“ (ბაირონიდამ), (მთარგმნელი რაჟდენ ჩიკვაიძე, ჟურ. „თეატრი“ 1885, #14.). მ. კუჭუხიძის აზრით, რ. ალისუბნელი თავის ერთ-ერთ წერილში „ჩვენ ლიტერატურაზე“, მოუწოდებდა ქართველ მწერლებს, ეთარგმნათ „მსოფლიო მწერლობის ნიმუშები“, „გაემდიდრებინათ ენაც“ და თარგმნილი ექციათ „ერის კუთვნილებად“. აქვე იგი ბაირონის ხეირიან მთარგმნელსაც ეძიებს თითქოს, თუმცა მისი თარგმანი, რომელიც შესრულებულია ი. კოზლოვის რუსული თარგმანიდან (რაც გაანალიზებული მ. კუჭუხიძის მიერ), ვერ გამოირჩევა მხატვრული ოსტატობით.

XIX საუკუნეში ბაირონის ლექსებს სხვა მთარგმნელებიც გამოუჩნდნენ. იმავე ალისუბნელს ეკუთვნის „მოგონება“ (ბაირონიდამ) (გაზ.„დროება“, 1884), იორდანე ტუსაღს - „მშვიდობით“ (ბაირონის) (გაზ.„დროება“, 1880, #44), რომლის რუსულ თარგმანსაც მაღალ შეფასებას აძლევდა ბ. ბელინსკი.

ბაირონის ქართულ ენაზე მთარგმნელთა შორის მ. კუჭუხიძე ასახელებს დუტუ მეგრელს (1867-1938), რომელსაც ეკუთვნის „დონ-ჟუანის“ ნაწყვეტისა და ცნობილი ლექსის „სული მაქვს სევდიანი“ (“My Soul Is Dark”) თარგმანები. ეს უკანასკნელი ლექსი

მან თარგმნა მ. ლერმონტოვიდან. «Душа моя мрачна», ხოლო „დონ-ჟუანი“ – პ. კოზლოვის თარგმანიდან. მკვლევარი მ. კუჭუხიძე დუტუ მეგრელის თარგმანს მაღალ შეფასებას აძლევს. მისი თქმით, ეს თარგმანი შესრულებულია მაღალმხატვრულად. ლექსიკა და რიტმი უახლოვდება დედნისას. შერჩეულია მკაფიო პოეტური გამოთქმები ბუნებრივად ჟღერს და სათანადო ეფექტს ახდენს მკითხველზე (კუჭუხიძე, 1992:70).

ჩვენ კი შევნიშნავდით, რომ ეს თავად დუტუ მეგრელის პოეტური ნიჭის დამსახურებაა და არა იმისა, სათანადოდ შეასრულა თუ არა ავტორმა რუსული ენის მეშვეობით თარგმანი.

XIX საუკუნის დასასრულისათვის კვლავ გრძელდება თარგმანის მეშვეობით ბაირონის პოეზიის პოპულარიზაცია. იმდროინდელი საზოგადოება ბაირონის თხზულებებს აყენებს ბლანკის პოლიტიკური ეკონომიისა და სტასიულევიჩის ისტორიის გვერდით, რასაც მოწმობს ნაწყვეტი ა. ყიფშიძის დღიურიდან. ამ პერიოდში მ. ყიფიანის ფსევდონიმით (ი. ტუსალი) იბეჭდება ბაირონის ლექსი „მშვიდობით“. მ. კუჭუხიძე ასახელებს ბაირონის კიდევ ერთ მთარგმნელს, ბესარიონ ნიჟარაძეს, რომელმაც თარგმნა რუსულიდან ბაირონის „To. M. S. T“.

XIX საუკუნე ნაყოფიერი აღმოჩნდა ბაირონის პოპულარიზაციის თვალსაზრისითაც საქართველოში. ამას ხელი შეუწყო კიდევაც ქართველ მწერალთა თუ ლიტერატურათმცოდნეთა მიერ ინგლისელი პოეტის შესწავლა-შეფასებამაც, რაც განსაკუთრებით შეინიშნება XIX საუკუნის II ნახევრიდან (ნ. ბერძნიშვილი, ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, მ. ვეზირიშვილი, რ. ფანცხავა, ვაჟა-ფშაველა, კ. აბაშიძე). თუ ილია ჭავჭავაძე მიიჩნევა „ბაირონიზმის“ (ფართო გაგებით) შემომტანად ქართულ მწერლობაში, ნიკო ნიკოლაძე ცდილობს ერთგვარად კრიტიკულად მიუდგეს თარგმანებს.

XIX საუკუნის მთარგმნელობითი პრინციპები, მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით თითქოს ერთფეროვანი ტერმინით – გადმოკეთებით – იქცევა ყურადღებას, არ უნდა იქნეს გაგებული იმ მძაფრი დისკუსიური მსჯელობის გარეშე, რაც გაიმართა თავის დროზე ქართული პრესის ფურცლებზე. აღნიშნული თემა ჯერ კიდევ XX საუკუნის დასასრულს შესანიშნავად მიმოიხილა ქეთევან ბურჯანაძემ, ნაშრომში –

„მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხები“, რასაც არაერთგზის ვიმოწმებდით დისერტაციის წინამდებარე ნაწილში. მაგრამ დასკვნისათვის აუცილებელია გამოიკვეთოს ქ. ბურჯანაძის ის მნიშვნელოვანი მიგნებანი, რაზეც აქამდე მაინცდამაინც არ გაუმახვილებიათ მკვლევრებს ყურადღება, მაშინ, როცა იმართებოდა დისკუსიები მთარგმნელობით საკითხებზე, ჟურნალ „ცისკრიდან“ მოყოლებული, რაც აღელვებდა ქართულ საზოგადოებრიობას.

ქ. ბურჯანაძის ნაშრომში უმთავრესად თვალსაჩინოვდება ქართული მწერლობის ევროპული ლიტერატურით, ევროპეიზმით დაინტერესება, რაც უნდა განხორციელებულიყო დედანში (უცხოურ ენებზე) შექმნილ ნაწარმოებთა მათი ქართველი მკითხველისათვის მისაწვდომობის მიზნით თარგმნა-გადმოკეთებისას. ეს პროცესი კი ძირითადად შუალედურ ენაზე (რუსულ ენაზე) თარგმანიდან ხორციელდებოდა. მკვლევარი ცალ-ცალკე წარმოადგენს ჟურნალ „ცისკრის“, „მნათობის“, „კრებულის“, გაზეთების – „ივერიის“, „დროების“ და სხვ. ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილებს, რომლებიც თარგმანების კვალდაკვალ ქვეყნდებოდა ხოლმე და შეფასება-მოწონების გარდა აფიქსირებდა კრიტიკასაც, რაც ხელს უწყობდა შემდგომში თარგმანების ხარისხის გაუმჯობესებასა, თუ უშუალოდ მთარგმნელობითი პრინციპების ჩამოყალიბებას. ამაზე თავად მკვლევარაც მსჯელობს ნაშრომის დასკვნით ნაწილში, რომ მთელი საუკუნის მთარგმნელობითი პრაქტიკა და შემდეგ კრიტიკაც ზუსტად საზოგადოებრივი მიზნებიდან გამომდინარეობდა და ეს იყო არა მარტო ფაქტი, არამედ დიდი ღირებულებითაც, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებდა თარგმანის პრინციპების, მისი მეთოდისა და თვით თეორიის განვითარებაზე (ბურჯანაძე, 1992:350). აქვე გამოიკვეთა ის ფაქტიც, რომ ლიტერატურულ სტილთა, მიმართულებათა და მსოფლმხედველობათა მონაცვლეობა ახდენდა უშუალოდ გავლენას თარგმანზეც. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქართველი მთარგმნელები თუ კრიტიკოსებიც მეტ-ნაკლებად განიცდიდნენ საზოგადოდ გავრცელებულ ევროპელი და რუსული პროფესიონალების შეხედულებეთა გავლენასაც.

დასაწყისისათვის ნ. ბერძნიშვილი, მ. თუმანიშვილი, დ. ჩუბინაშვილი და სხვები, ითვლებიან „ქართული თარგმანის პირველ კრიტიკოსებად და მეთოდისტებად“.

სწორედ მათ მიიჩნეს საჭიროდ დედნიდან მისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშნის, მისი „სულის“ და მხატვრული სახეების სწორად გადმოღების აუცილებლობა, ამავდროულად მიუთითეს პირველად დედნის ტოლფასოვან (ადეკვატურ) თარგმანზეც. ამ მიზნით, მკითხველის მოსამზადებლად, არცთუ იშვიათად ჟურნალსა თუ გაზეთში მთარგმნელები სთავაზობდნენ ნაწარმოებთა მოკლე შინაარსსაც. თუმცა ყოველივე ხორციელდებოდა სტიქიურად და მხოლოდ რეალიზმის განვითარების კვალდაკვალ გახდა შესაძლებელი პროგრესული ან ღრმად იდეური ნაწარმოებების გამოქვეყნება. ამიტომ გახდა უმთავრესი ილია ჭავჭავაძის მიერ სათარგმნის მიზანდასახულად შერჩევის პრინციპი, რომელშიც გასათვალისწინებელი იყო არა – მარტო ეპოქის იდეებისა და მსოფლმხედველობის წარმოჩენა, არამედ მთელი სრულფასოვნებით შეეთავაზებინათ ქართულენოვანი მკითხველისთვის ესა თუ ის თარგმანი. (ბურჯანაძე, 1992:146). ასე დღის წესრიგში იდგა ე. წ. რეალისტური თარგმანის მიწოდება მკითხველისათვის, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა ფორმისა და შინაარსის ერთიანობა.

სხვადასხვა დროს გამოიკვეთა თარგმანის ორი სახეობა – სიტყვასიტყვითი და აზრობრივი (აქ ალ. ცაგარელისა და ბ. ბელინსკის მსჯელობები ერთგვარად ერთმანეთს ესადაგებოდა) და თარგმანის უტილიტარული დანიშნულების საკითხიც.

ქ. ბურჯანაძე, გამოყოფს რა 70-90-იანი წლების მთარგმნელობითი საქმიანობის თავისებურებებს, მნიშვნელოვნად მიიჩნევს თარგმანის ენის სიზუსტისთვის საკითხებსაც. მანამდე ე. წ. გადმოკეთებულ ლიტერატურას იგი უწოდებს „აკლიმატიზებულ“ თარგმანს, რომელიც შეესაბამებოდა ქართულ მენტალიტეტს, მის ტრადიციასა და ცხოვრების წესს. მკვლევარი იმასაც აღნიშნავს, რომ კრიტიკოსები მთარგმნელებს უწონებდნენ ამგვარ არჩევანს. ეს კი სავსებით შეესაბამებოდა ამა თუ იმ ჟურნალ-გაზეთის უტილიტარულ მიზნებს. მაშინ, როდესაც მხატვრული თარგმანის ძირითადი იდეა სოციალური და პატრიოტული საკითხების განვითარება იყო. სწორედ ამას ემსახურებოდა, ქ. ბურჯანაძის აზრით, ი. ბაქრაძის მიერ თარგმნილი ლექსი („შენ გაიარე ქვეყნის გზა გრძელი“ [ბაირონიდამ], („მნათობი“, 1871, #4), რომელშიც ბოლო სტრიქონებიც ოპტიმიზმის ჰანგებად იღვრება (ქ. ბურჯანაძე, 1992: 353).

დედნის მცოდნე მთარგმნელთა მოღვაწეობამ არსებითი წვლილი შეიტანა მთარგმნელობითი პრინციპებისა და მეთოდის ჩამოყალიბების პროცესში, რაც თავისი განვითარების მაღალ საფეხურს უკვე XX საუკუნეში აღწევს.

ბაირონის ქართული თარგმანები XX საუკუნეში. XIX საუკუნის II ნახევრიდან ქართველ 60-იანელთა დიდი ძალისხმევით თანდათანობით ძლიერდება ინტერესი ევროპული ლიტერატურისადმი, კერძოდ, ბაირონის შემოქმედებისადმი. რამდენადაც, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის, იგი ძირითადად ცნობილი იყო, როგორც რომანტიკოსი პოეტი, რევოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიკის გამომხატველი, ამიტომ ბაირონის შემოქმედებას არა მხოლოდ თარგმნიან, არამედ მსჯელობენ მისი პიროვნების შესახებ. თუმცა უფრო ადრე შეინიშნებოდა დაინტერესებაც თავად იმ ინგლისელი კრიტიკოსების ნააზრევით, რომლებიც სხვადასხვაგვარად აფასებდნენ ბაირონის შემოქმედებას. და, თუ XIX საუკუნის ბოლოსათვის მთარგმნელობითი პრინციპები თითქმის არ იყო ჩამოყალიბებული, XX საუკუნიდან იწყება მეცნიერული მიდგომა აღნიშნული საკითხისადმი. ეს კარგად მოჩანს ჯერ კიდევ 1861 წელს ბაირონის ერთ-ერთი პირველი მთარგმნელის, სარდიონ ალექსი-მესხიშვილის წერილშიც „უსტარი ანტიკრიტიკული“. სარდიონ ალექსი-მესხიშვილი ილია ჭავჭავაძეს უწუნებს ბაირონის უკრიტიკოდ შეფასებას და გამოკვეთს იმ ფაქტს, რომ ბაირონსაც ჰქონდა ბრწყინვალე ლექსებთან ერთად მიმკრთალებული, უფერული ნაწარმოებებიც, თუმცა ამ ნაკლოვანებების მიუხედავად, იგი ითვლებოდა უდიდეს მოლექსედო (ალექსი-მესხიშვილი, 1861:265-266). ამიტომ ალექსი-მესხიშვილი აუცილებლობად მიიჩნევს, რომ მთელი სიცხადით წარმოჩნდეს ბაირონის შემოქმედება და შესაბამისად შეფასებულად იქნას ობიექტურად.

აშკარაა, ს. ალექსი-მესხიშვილი, იცნობს რა ბაირონის შესახებ არსებულ ლიტერატურას, საყვედურობს კიდევ სხვადასხვა ავტორს ბაირონის გაიდევლების გამო. იგი კრიტიკულ დამოკიდებულებას გამოხატავს ამა თუ იმ ავტორისადმი. მკვლევარი მ. კუჭუხიძე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცნობილი ქართველი პუბლიცისტის, 60-იანელის, ნ. ნიკოლაძის, წერილიდან ამონარიდსაც იმოწმებს, რომელშიც გამოკვეთილია, თუ რატომ იყო ბაირონი გამორჩეული როგორც თავის

გარშემომყოფთა შორის, ისე ზოგადად ევროპულ მწერლობაში. ეს გამორჩეულობა იწვევდა, ერთი მხრივ, მისი პიროვნებითა და შემოქმედებით აღტაცებას, მეორე მხრივ, კი უარყოფით დამოკიდებულებას, გაღიზიანებას. ამ ფაქტს ნიკო ნიკოლაძე ხსნის ბაირონის ბუნების გამორჩეულობით, რადგანაც ის იმაზე უკეთეს საზოგადოებას ეძებდა, რომელშიც დაიბადა-გაიზარდა. ბაირონი არ მიეკუთვნებოდა რომელიმე კონკრეტულ ეროვნებას, რადგან იყო მხოლოდ ადამიანი, ამიტომ სძულდათ, რასაც ბაირონი სიძულვილითვე პასუხობდა. ბაირონი წუხდა იმის გამო, რომ ადამიანები ვერ უგებდნენ მას და თანაც ვერ მოიძებნა პიროვნება, რომელსაც თავის ჭირსა თუ ლხინს გაუზიარებდა, თუმცა ბაირონი არ მალავდა უპირატესობას გარშემომყოფ საზოგადოების წინაშე და ეს შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ერთადერთი ბრალდება მისადმი. არა და უფლება ჰქონდა თავი გარშემომყოფებზე მაღლა დაეყენებინა, ხოლო, რაც შეეხება მის მსოფლმხედველობას, ბაირონი ყოფდა ქვეყანას ორ პარტიულ ბანაკად, რომელთაგან ერთიც და მეორეც თავს მართლად მიიჩნევდა, ხოლო მოწინააღმდეგეს – ბოროტებად. ბაირონი ხედავდა, რომ გამარჯვებული პარტია დამარცხებულის პრინციპს არასწორად მიიჩნევდა, ამიტომ ცდილობდა ჭეშმარიტება აღედგინა. მისი აზრით, დამარცხებულებიც იცავდა ჭეშმარიტებას, მაგრამ, რადგან ეს სიმართლე უარყოფილი იყო, ამიტომ ბოროტად ითვლებოდა. ეს კი შეიძლება მიჩნეულიყო ბაირონის პოეზიის ძირითად მოტივად (ნიკოლაძე, ტ. I., 1962 : 218,219).

ამდენად, ნ. ნიკოლაძისეული შეფასება რამდენადმე ცხადყოფს ბაირონის პიროვნებისადმი დამოკიდებულების მიზეზებსაც.

სიმბოლისტიკების გამოსვლამ შემოქმედებით ასპარეზზე დღის წესრიგში დააყენა მაღალმხატვრული ლექსის და თარგმანის ეკვივალენტურობის საკითხი, ამიტომ ვფიქრობთ, საყურადღებოა პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილის წერილი „თარგმანის შესახებ“.

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში ვიმსჯელებთ კიდევ ამის შესახებ.

ქართული ლიტერატურული კრიტიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი კიტა აბაშიძე წერილში „საზღვარგარეთული ლიტერატურის თარგმნის თაობაზე“ სინანულით აღნიშნავდა, რომ არ არსებობდა გოეთეს, შილერის,

დანტეს, ბაირონისა და ჰაინეს ღირსეულად თარგმნილი ნაწარმოებები (აბაშიძე, 1971 :673)

კიტა აბაშიძე ბაირონის სწრაფვას ბუნებისკენ პოეტის იმ მძიმე სულიერი მდგომარეობისაგან გარიდების სურვილით ხსნის, რაც გარს ეხვია მას.

იმავე მიზნით, 1913 წელს გამოცემულ ნაშრომში „ბაირონიზმი და მსოფლიო მწუხარება“ სხვა მკვლევარი, დ. ონიაშვილი აღნიშნავს, რომ მის დროშიც მიმდინარეობს ის პროცესი, რამაც აიძულა ბაირონი, მარტოსული გენიოსი, საჭირო გამხდარიყო საზოგადოებისათვის, რადგან XX საუკუნეში ადამიანის სულიერი განწყობილება წააგავს ბაირონის ხანას, თუმცა ამ სენით მთელი საზოგადოება არ არის შეპყრობილი, მაგრამ, ამდენადვე მწარეა იმათი ხვედრი, ვინც ამას გრძნობს, ამიტომ პოულობს ბევრი თანამედროვე ბაირონის პოეზიაში მისთვის სასურველს, ხოლო მის გმირებში საკუთარ იდეალებს (ონიაშვილი, 1913: 2,3). და, თუმცა დ. ონიაშვილისავე აზრით, „ჩვენი საზოგადოება ნაკლებად იცნობს მის შემოქმედებას“, ავტორი პათეტიკური ტონით აღნიშნავს, რომ ბაირონი არის შემოქმედების დაუმრეტელი წყარო და მოუწოდებს მკითხველს, ყური დაუგდონ ამ დიდებულ მგოსანს, რომ მისმა ძლიერმა სიტყვამ გვასწავლოს საგმირო საქმეები (ონიაშვილი, 1913:48). დ. ონიაშვილის ნააზრევს ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში არაერთგზის მოვიხმობთ, მაგრამ ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ერთ თვალსაჩინო ფაქტზე: ჩვენთვის უცნობია, რით ისარგებლა დ. ონიაშვილმა ბაირონის შემოქმედებაზე საუბრისას, რადგან დასახელებულ წიგნში არაა მოყვანილი მეცნიერული აპარატურა, თუმცა მას ალაგ-ალაგ მოჰყავს ამონარიდები –ბაირონის მკვლევართა – სოუთის, ზელინსკის, მურის, ვესელოვსკისა და სხვათა ნაშრომებიდან.

დავით ონიაშვილმა, ერთ-ერთმა პირველმა ქართველ მოაზროვნეთა შორის, შეადარა რომანტიკოსი ბაირონი და ნიცშე, რათა ხაზი გაესვა ბაირონიზმის მნიშვნელობისათვის: იგი, ახასიათებს რა ბაირონს, ხაზს უსვამს განსხვავებას უკვე XX საუკუნეში ბაირონის ტიტანიზმსა და ნიცშეს ზეკაცს შორის. ბაირონის ტიტანიზმი მიეხება იდეალური ადამიანისა, რაც პოეტმა დაგვიხატა მანფრედსა და კაენში. მიუხედავად, ფაქტობრივად, ხანგრძლივი დროით დაშორებისა ბაირონსა და ნიცშეს შორის, ერთის ტიტანიზმი და მეორის ზეკაცი კიდევ ჰგვანან ერთმანეთს და კიდევ

განსხვავდებიან. თუ ნიცშეს ზეკაცი იდეალური კი არა, „ბიოლოგიური ტიპია“, რომელიც უარყოფს ყველა ზნეობრივ ნორმას და არ გრძნობს სიბრალულს ადამიანების მიმართ, ამავედროულად, ამსხვრევს კერპებს და ქმნის ახალს, იგი იმ ბოროტებისა და სიკეთის მიღმაა, რომელიც უნდა გაიაროს. ამდენად, მოყვასისადმი რეალურად არსებულ სიყვარულს კი არ განასახიერებს, არამედ რაღაც უფრო შორეულს. ამისაგან განსხვავებით, ბაირონის გმირები, სატანურთან ერთად, ადამიანისადმი სიყვარულსაც განიცდიან და იტანჯებიან კაცობრიობის საკეთილდღეოდ. რაც უფრო სძულთ იგი, მით უფრო ძლიერია მათი ტანჯვა და სიყვარული, მაშინ, როდესაც ზეკაცს სძულს ბრბო და სურს მასზე ბატონობა. ბაირონის გმირები კი, თუმცა გაურბიან ადამიანს, დიდხანს ვერ ძლებენ მათ გარეშე, სიბრალული და თანაგრძნობა მალე უღბობთ გულს და ისევ ადამიანებს მიაშურებენ. ამდენად, დ. ონიაშვილი გამოყოფს ბაირონის გმირების უპირატეს მხარეებს და ასაბუთებს, რომ უმჯობესია ადამიანს ოდნავ მაინც შეუმსუბუქოს ტანჯვა, ვიდრე ისწრაფოდეს სახელის მოხვეჭისაკენ. ეს ქმედება მალე უღბობს მას გულს. იგი კვლავ სიხარულით მიეშურება ადამიანისაკენ (ონიაშვილი, 1913: 42,43). ამავედროულად, დ. ონიაშვილი გამოკვეთს იმ ფაქტსაც, რომ ვერც ბაირონმა და ვერც ნიცშემ ვერ გადაჭრეს ეს საკითხი. ბაირონის პროტესტმა საზოგადოების წინააღმდეგ თავისი ზნეობრივი ხასიათით ბოლოს მაინც დემოკრატიული სახე მიიღო, ნიცშეს პროტესტი კი მხოლოდ ესთეტიკური არისტოკრატიზმით შემოიფარგლა. ბაირონის გმირები კვლავაც უკვდავია მსოფლიო ლიტერატურაში, რამდენადაც მის პოეზიაში აისახა ტანჯვა, სიყვარული და იმედი. დ. ონიაშვილმა ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტსაც, რომ ბაირონი იყო კარგი ფსიქოლოგი. (ონიაშვილი, 1913:45). აქედან გამომდინარე, დავით ონიაშვილის აზრით, ბაირონის პოეზია შეეხო ისეთ საკითხებს, რომლებიც ისტორიულის გარდა, მარადიული ფასეულობებია, რაც მდგომარეობს ქვეყნის არსებობის არსში, ადამიანის სიცოცხლისა და სიკვდილის ამოცანაში, სიყვარულის საიდუმლოებაში, ბოროტების მიზეზში და სხვა და ეს ყველა საყოველთაო საკითხი სრულად წარმოჩინდა ბაირონის პოეზიაში (ონიაშვილი, 1913:45). ამით ხსნის დ. ონიაშვილი ბაირონის შემოქმედების მარადიულობას. მის მიერ ბაირონის პოეზიის

ასეთი შეფასება მეტყველებს ავტორის ინტელექტზე, ფილოსოფიური გააზრებისა და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის, ჩაღრმავების უნარზე.

მაინც ვინაა ეს დავით ონიაშვილი? მოგვყავს ინფორმაციაც ბაირონის ამ შესანიშნავი მონოგრაფიის ავტორზე.

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს 1918 წლის 26 მაისს ხელს აწერს ერთი ფრიად ნიჭიერი პიროვნება, პოლიტიკური მოღვაწე, ქართული და უცხოური ლიტერატურის მკვლევარი, მთარგმნელი, პუბლიცისტი დავით ეფრემის ძე ონიაშვილი (1883-1937).¹³ ეს პიროვნება მთელი თავისი ბოხოქარი ცხოვრების განმავლობაში ღირსეულად უნდა დაფასებულიყო, მაგრამ 1937 წლის რეპრესიების დროს დახვრიტეს და მხოლოდ 1959 წლის 3 მარტს მოხდა მისი რეაბილიტაცია. სწორედ 30-იოდე წლის შემდეგ გამოქვეყნდა მის მიერ ქართულ ენაზე თარგმნილი გენიალური გერმანელი პოეტის, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს „ფაუსტი“ (1962). მანამდე „ფაუსტი“ პეტრე მირიანაშვილმაც თარგმნა 1908 წელს ორ ნაწილად, მაგრამ არა უშუალოდ გერმანული ენიდან. დედნიდან კი თარგმანი შეასრულა გერმანული, ინგლისური, ფრანგული, რუსული ენების კარგმა მცოდნემ დავით ონიაშვილმა. უფრო ადრე დავით ონიაშვილმა ბაირონს და მის შემოქმედებას უძღვნა ჩვენ მიერ ზემოგანხილული შესანიშნავი გამოკვლევა „ბაირონიზმი და მსოფლიო მწუხარება“, რომელშიც მოყვანილია ნაწყვეტები ბაირონის პოეზიიდან და პოემებიდან („ჩაილდ-ჰაროლდი“, „დონ-ჟუანი“ და სხვანი)

წიგნი „ბაირონიზმი და მსოფლიო მწუხარება“ 1913 წელს დაისტამბა ქ. გორში და მასზე პირველად მიგვანიშნა მეცნიერმა, თარგმანთმცოდნემ, ქალბატონმა ინესა მერაბიშვილმა.

¹³ (იხ. ჩვენი პუბლიკაციები: ა. „ბაირონის ქართულ ენაზე თარგმნის ტენდენციები XIX საუკუნის 60-90 - იან წლებში“ (CODFREURCOR-ის მე-8 საერთაშორისო კონფერენცია, ეროვნული ლიტერატურა თარგმანში) 31.08.2020 – 02.09.2020.

ბ/„დავით ონიაშვილი - ბაირონის შემოქმედების მკვლევარი, მთარგმნელი“ (აბრემუმის გზის მე-15 დისტანციური საერთაშორისო კონფერენცია) 9-10 ოქტომბერი, 2020

გ/„კონსტანტინე გამსახურდია და დავით ონიაშვილი თარგმანის შესახებ“ (VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია- „ენა და კულტურა“, 7-9 მაისი, 2021 წელი, ქუთაისი)

დ/ „დავით ონიაშვილი, პოლიტიკოსი, მთარგმნელი“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 1921 წლის ისტორიულ-კულტურული მოვლენები: ხედვა საუკუნის შემდეგ, რომელიც მიემდგვნა ჭაბუა ამირეჯიბის დაბადებიდან 100 წლის თავის იუბილეს, TSU)

ოსკარ უაილდის და კარლ მარქსის თარგმანების გარდა დავით ონიაშვილს ჰქონდა ლექსებიც, სხვა თარგმანებიც, მაგრამ ისინი, 1937 წლის რეპრესიების დროს დაპატიმრებულს, ჩამოართვეს.

დავით ონიაშვილის შესახებ რაიმეს წერა ან მისი მოხსენიება აკრძალული იყო 1959 წლამდე, რამაზ სურმანიძის აზრით, „ბაირონიზმი და მსოფლიო მწუხარება“ არ არის შეტანილი 1941 წელს გამოცემულ „ქართულ წიგნში“, არც „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“, რომელიც გამოვიდა დ. ონიაშვილის სრული რეაბილიტაციის შემდგომ (სურმანიძე, 2004:9).

დავით ონიაშვილის ბიოგრაფია მკვლევართა მიერ შეივსო მისი ახლობლებისა და ნაცნობ-მეგობრების, 1937 წლამდე პრესაში გამოქვეყნებული მასალებით. იგი დაიბადა 1883 წლის 22 დეკემბერს (ძველი სტილით) ტფილისის გუბერნიის, გორის მაზრის სოფელ ხიდისთავში, გლეხის ოჯახში (ხვადაგიანი, 2016:326). რევაზ კვერენჩილაძის ინფორმაციით, გორის მაზრის სოფ. მადანეთში, ხოლო გაზეთ „კომუნისტის“ (1925 წლის 7 ივლისის) ცნობით, იგი გორის მაზრის სოფელ ბადანეთიდან იყო. დავითის შთამომავლების ცნობით, უფრო ზუსტია დ. ონიაშვილის დაბადების ადგილი – ს. ხიდისთავი, ამას ადასტურებს კავშირიც გორთან, სადაც შემდგომ სწავლობდა და მოღვაწეობდა კიდეც. დ. ონიაშვილი რომ ნამდვილად გორის რაიონის სოფელ ხიდისთავშია დაბადებული, ამაზე მეტყველებს ისტორიკოს იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილის ახლად გამოცემული წიგნიც „ხიდისთავის ისტორია“. წიგნში საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი დავით ეფრემის ძე ონიაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობა (იხ. „ხიდისთავის ისტორია“ გვ:174-176). ისტორიკოსი ს. ალიმბარაშვილი წერს, რომ დავით ონიაშვილი დაიბადა 1883 წლის 22 დეკემბერს (ძველი სტილით) სოფელ ხიდისთავში, გლეხის ოჯახში (ალიმბარაშვილი, 2022:174).

დ. ონიაშვილმა ისწავლა გორის სასულიერო სასწავლებელში, შემდგომ თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაამთავრა 1904 წელს პირველი ხარისხით. შემდგომ უმაღლესი განათლება მიიღო იურიევის (ტარტუს) უნივერსიტეტში იურიდიული ხარისხით. ორი წელი კი ისმენდა ლექციებს გერმანიაში, ლაიფციგის უნივერსიტეტში. მან იცოდა ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული ენები, კითხულობდა ბევრს, უყვარდა მუსიკა, მაგრამ ყველაზე

დიდ აქტიურობას მაინც რევოლუციურ, მერე კი პოლიტიკურ საქმიანობაში იჩენდა: 1904 წლიდან დ. ონიაშვილი ქართველი სოციალ-დემოკრატების მენშევიკების პარტიაში იყო ცეკას პრეზიდენტის, შემდგომ ამიერკავკასიის სეიმისა და დამფუძნებელი კრების წევრი, პარტიული (ანუ დამოუკიდებლობის კომიტეტის, ე. წ. დამკომის, სარედაქციო კომისიის) წევრი, თბილისის სამაზრო ერობის ხმოსანი, თავმჯდომარე, 1920 წლიდან მიწათმოქმედების მინისტრი. თავად დავითი დროს არასოდეს კარგავდა უქმად, თედო სახოკიასთან იყო შეხიზნული თუ ციხეში; წერდა, თარგმნიდა... 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის იგი დააპატიმრეს და მიუსაჯეს ათწლიანი უმკაცრესი იზოლაცია, მაგრამ, ავადმყოფობის გამო, პირობითი სასჯელით ჩაუნაცვლეს. სხვადასხვა დროს გაპარვაც სცადა ბათუმის გზით, მაგრამ მალე დააკავეს. 1937 წლის 14 აპრილს კი დავით ონიაშვილი კვლავ დააპატიმრეს და 12 ივლისს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით (ჯაშუშობა) მიუსაჯეს დახვრეტა, რაც სისრულეში 12 აგვისტოს მოიყვანეს. მანამდე კი ციხიდან რამდენიმე ბარათის გადმოგზავნაც შეძლო. ერთ-ერთ წერილში დ. ონიაშვილი თავის მცირეწლოვან ქალიშვილს, ეთერს, წერს: „არ გასცვალო სამშობლო უცხო ქვეყნის გულისთვის, ქეთევანი გახსოვდეს, წამებული სულისთვის“ (კვერენჩხილაძე, წ. I, 2014:473).

დავით ონიაშვილის მეუღლე, სოფიო ხარაშვილის გარდაცვალების მერე, შვილების – ეთერის (შემდგომში მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ექიმი-პედიატრი) და ოთარ ონიაშვილის (აკადემიკოსის, რომლის სახელსაც თბილისში ერთ-ერთი ქუჩას ეწოდა) – აღზრდა მამიდა ლიზამ იკისრა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დ. ონიაშვილის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და თანაც პირველი გამოკვლევა ბაირონის შემოქმედებას ეხება. არანაკლებ მნიშვნელოვანია დისკუსია თარგმანის საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც გაიმართა 1928 წელს მწერალ კონსტანტინე გამსახურდიასა და მთარგმნელ დავით ონიაშვილს შორის ჟურ. „მნათობის“ ფურცლებზე.

დ. ონიაშვილის ქართული თარგმანის ირგვლივ გამართული დისკუსია საინტერესოა მთარგმნელობითი მეთოდოლოგიის ორი პრინციპის წარმოდგენის თვალსაზრისით: სიტყვასიტყვითი თუ თავისუფალი თარგმანი. აღნიშნულ

საკითხებზე მსჯელობა-კამათი ფაქტობრივად მთელი ძველი ქართული მწერლობის განმავლობაში მიმდინარეობდა. XX საუკუნეშიც მწერალი, გოეთეს შესახებ ნაშრომის ავტორი, გერმანული ენის კარგი მცოდნე კონსტანტინე გამსახურდია იცავს სიტყვასიტყვით თარგმნის პრინციპს, ამავდროულად, მისი აზრით, ლექსად დაწერილი უცხოური ნაწარმოები მხოლოდ პოეტმა უნდა თარგმნოს, თანაც კარგმა პოეტმა და, თუ ვერ ახერხებს, პროზად გადმოსცეს, რათა არ დაირღვეს ავტორისეული ჩანაფიქრიო. გოეთეს „ფაუსტის“ მთარგმნელი, უწინარეს ყოვლისა, კარგი პოეტი უნდა იყოს, ლექსის ტექნიკაში ვირტუოზი, ამავე დროს დიდი მცოდნე როგორც გერმანული, ისე ქართული ენისა. კ. გამსახურდია მაღალი დონის თარგმანისათვის აუცილებლობად მიიჩნევს როგორც დედნის, ისე სამიზნე ენის ცოდნას და ორიგინალის ავტორის სტილისტური თავისებურებების გათვალისწინებასთან ერთად, სიტყვების გააზრებას, ავტორის ჩანაფიქრში წვდომას, რაც ყოველი ნიუანსის გათვალისწინებას გულისხმობს. კ. გამსახურდია, მაღალ შეფასებას აძლევს რა გოეთეს „ფაუსტს“, ყურადღებას ამახვილებს სათარგმნი მწერლის გასაოცარ სტილისტურ, სინტაქსურ თავისებურებებზე. მით უმეტეს, როდესაც ავტორის მიერ ყველა სიტყვა საჭირო ადგილზეა და უმცირესი ნიუანსის შეცვლა კი საშიშია (გამსახურდია, 1928:237). ამიტომაც შედარებისათვის კ. გამსახურდია მიმართავს „ფაუსტის“ სხვა ენაზე თარგმანებსაც (ვ. ბორანგრებერის). საპასუხო წერილში „გაუგებრობა თუ უვიცობა?“ დ. ონიაშვილი გადაჭრით იცავს თავისუფალი თარგმანის პრინციპს და, მიჰყვება რა კვალდაკვალ თითოეულ შენიშვნას, აცხადებს, რომ თარგმნა შეიძლება პოეტურად, თუ შენარჩუნებულია ტექსტის იდეური შინაარსი. დასაბუთებისათვის იგი ადარებს ფრანგულ და რუსულ ენებზე თარგმანებს (სოკოლოვსკის, ხოლოდოვსკის, ფეტის), იმოწმებს ლექსიკონებს და ასკვნის: „საკმარისი არ არის, რომ თარგმანი სიტყვა-სიტყვით უახლოვდებოდეს თავის დედანს, არამედ იგი უნდა ეგუებოდეს იმ ენის ბუნებას, რომელზედაც ითარგმნება ესა თუ ის ნაწარმოები“ (ონიაშვილი, 1928:260). ამ მხრივ იგი უპირისპირდება ვალერიან გაფრინდაშვილის თეზას თარგმანის ქართულად გადმოტანისას. დ. ონიაშვილი პირველთაგანია ამ პერიოდისათვის, რომელიც ეხება მთარგმნელობითი მეთოდოლოგიის საკითხებს და პრაქტიკულადაც ახორციელებს მას ბაირონისა და

გოეთეს ქართულად თარგმნისას. სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში დ. ონიაშვილმა დაასრულა გოეთეს „ფაუსტის“ მეორე ნაწილის თარგმანი, თუმცა წიგნის გამოცემას ვერ მოესწრო (1962). აღნიშნულ თარგმანს დიდ შეფასებას აძლევდა გერმანისტი რეზო ყარალაშვილი და მას გოეთეს პოემის შემდგომ თარგმანზე მაღლა აყენებდა.¹⁴

ჩნდებიან როგორც პოეტი-მთარგმნელები(კ. ჭიჭინაძე) ისე ინგლისური ენის კარგი მცოდნენი.

ბაირონის ქართველ მთარგმნელთა შორის აღსანიშნავია პოეტისა და მთარგმნელის, კონსტანტინე ჭიჭინაძის (1891-1960) წვლილი. 1941 წელს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე ქვეყნდება მის მიერ ინგლისურიდან თარგმნილი ნაწყვეტი ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობის“ მესამე კეზიდან. თარგმანი მაღალმხატვრულია, რაც ადასტურებს კ. ჭიჭინაძის, როგორც პოეტის პროფესიონალიზმს:

„ისევ ზღვაში ვარ! მიმაფრენენ ზვირთნი ხმაურით.
ტალღა მშფოთვარე მორჩილია იმგვარად ჩემი,
როგორც თავისი მხნე პატრონის ქვეშ ბედაური“.

(ბაირონი, თარგმანი კ. ჭიჭინაძის, 1941: 3)

დ. ონიაშვილის შემდგომ ბაირონის შემოქმედებისა და მისი ნაწარმოებების თარგმნის თვალსაზრისით XX საუკუნე საკმაოდ მრავალფეროვანია.

XX საუკუნის ბაირონის შემოქმედების ქართველმა მთარგმნელებმა უკვე დედნიდან თარგმანით შეძლეს ახალ საფეხურზე აეყვანათ ქართული ბაირონოლოგია, თუმცა იგი არ ამოიწურება მხოლოდ თარგმანებით.

ამ ეტაპზე გამოვყოფდით გივი გაჩეჩილაძის, თამარ ერისთავისა და ინესა მერაბიშვილის წვლილს.

1938 წელს პირველად გამოდის ვრცელი გამოკვლევა ბაირონის ცხოვრება-შემოქმედების შესახებ („ბაირონი“), რომლის ავტორია ახალგაზრდა მეცნიერი, მთარგმნელი გივი გაჩეჩილაძე (1914-1974). ამავე წიგნში შედის ბაირონის ლექსების მისეული თარგმანები ინგლისურიდან: „მოგონება“, „მშვიდობით“, „როდესაც ჩვენ დავშორდით“, „ატირებულ ასულს“, „სიზმარი“, „დღეს შემისრულდა ოცდათექვსმეტი

¹⁴ წერილი დაცულია დ. ონიაშვილის საოჯახო არქივში.

წელი“ და სხვანი. აღსანიშნავია, რომ გივი გაჩეჩილაძე თითოეული თარგმნილი ლექსის სათაურის ქვეშ უთითებს ინგლისურ სახელწოდებასაც; გარდა ამისა, ნაშრომს ურთავს შენიშვნებს და „ბაირონის ცხოვრებისა და შემოქმედების ქრონოლოგიურ სარჩულს“. აღნიშნული თარგმანები საყურადღებოა იმ კუთხითაც, რომ ისინი უშუალოდ დედნიდან (ინგლისურიდან) არის შესრულებული და ავტორი ცდილობს, დაიცვას ფორმისა და შინაარსის შესატყვისობის პრინციპი, რაზედაც შემდგომ უფრო ვრცლად მსჯელობს თავის „მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალში“ (1966) (რომელზედაც მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია 1961 წელს).

გივი გაჩეჩილაძე ხშირად აქვეყნებდა ბაირონის შემდეგი ლექსების თარგმანებს: „ატირებულ ასულს“ („მუშა“, 1938, #38:3), „მშვიდობით“ („ლიტერატურული გაზეთი“, 1934, N18:4), „როდესაც ჩვენ დავშორდით“, „სენაქერიბის დამარცხება“ („ახალგაზრდა კომუნისტი“, 1935, #230 [2284]). აღსანიშნავია, რომ ეს ლექსები იბეჭდებოდა რუბრიკით „შევისწავლოთ ლიტერატურის კლასიკოსები“ და ამკარად გამიზნული იყო, ახალგაზრდა მკითხველისათვის გასცნობოდა როგორც ბაირონის ბიოგრაფიას, ასევე მისი პოეზიის რამდენიმე თარგმანსაც (აქვეა ავტორის შენიშვნა, თუ რა წაიკითხონ ბაირონის შესახებ).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბაირონის შემოქმედების ქართველ მკითხველთა წინაშე პოპულარიზაციაში დიდი წვლილი მიუძღვის ინგლისური ლიტერატურის მთარგმნელს, **თამარ ერისთავს** (1932-2014). თამარ ერისთავი სისტემატურად ბეჭდავდა თარგმანებსა და წერილებს, სადაც დასამოწმებლად იყენებდა საკუთრივ თარგმნილ ფრაგმენტებს ბაირონის ლექსებიდან ქართულ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ბაირონის საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით. გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ 1974 წლის #18-ში იბეჭდება ბაირონის გარდაცვალებიდან 150 წლისთავის აღსანიშნავად თამარ ერისთავის წერილი: „ჯორჯ გორდონ ბაირონი“, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ბაირონის პოემებზე: „გიაური“, „პრომეთე“, „მილიონის პატიმარი“, „მანფრედი“, „კაენი“, „დონ-ჟუანი“ და სხვანი. აქვე მას მოჰყავს ნაწყვეტი პოემიდან „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა“ (თუმცა არ არის მინიშნებული, რომელი „ქებიდან“ თარგმნა). ბაირონის დაბადების 200 წლისთავთან დაკავშირებით თამარ ერისთავმა

გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი წერილი „ბაირონი“ („მცირე მოზაიკა“, 1988), რომელშიც კომუნისტური იდეოლოგიისაგან თავისუფალი მკვლევრის ენით მაღალოსტატურად გადმოსცემს ბაირონის ბიოგრაფიას. მთარგმნელი აღნიშნავს, რომ მისი თანამედროვე ისტორია წარმოადგენს მუდმივად უშუალოდ განცდის ობიექტს, მაგრამ პოეტურად აღწერილი ისტორიული სურათი ვერ იქცევა კონკრეტული ისტორიული ეპოქის მხოლოდ ესკიზად, რამდენადაც, ყოველ კერძო შემთხვევაში პოეტი განჭვრეტს კაცობრიობისათვის მარადიულ პრობლემებს. მაგრამ მთავარი მაინც მისი შთაგონების წყარო არის – თავისუფლება (ერისთავი, 1988:10). აქვე თამარ ერისთავი იმოწმებს თავის მიერ თარგმნილი ბაირონის ლექსებიდან სათანადო ეპიზოდებს. ერთი წლის წინ იმავე „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნდა მის მიერ თარგმნილი ბაირონის „წყვდიადი“:

„სიცარიელე იდგა ქვეყნად და დედამიწა
უმწვანეხეო. უბალახო, უგაზაფხულო,
უკაცრიელ და უსიცოცხლო თიხად ექცია
სიკვდილის ქაოსს. არ იძვროდა მდინარის წყალი,
ზღვაც დამდგარიყო; ხომალდები უმეზღვაუროდ
იდგნენ ზღვაზე და, ძირმომპალი მათი ანძები
ცვიოდა წყალში, მაგრამ ჭავლი არ ჩანდა წყალზე,
არ ჩანდა ტალღა; არც მიქცევა და არც მოქცევა
არ იყო წყლისა, რადგან ცაზე არ იყო მთვარე -
მათი უფალი. და ქარები აღარ იძვროდნენ
დამდგარ ჰაერში. არც ღრუბლები აღარსად ჩანდნენ;
მთელ სამყაროში მეუფება დაეპყრო წყვდიადს“.

(ბაირონი, თარგმანი თამარ ერისთავის, 1987:3)

XX საუკუნის 80-იან წლებში ზოგიერთი არაპროფესიონალი თუ პოეტიც კი ხელს კიდებს ბაირონის თარგმნას, მათ შორის თინათინ ზოდელავა – „ერთად ველარ ვიხეტილებთ“ (გაზ. „მებრძოლი“, 1983, #136; გაზ. „ენგურის ჩირაღდან“ 1983, #25), გურამ უგრეხელიძე - „გული კაემნით მაქვს შეპყრობილი“ (გაზ. „ქუთაისი“, 1986, #73), რომელსაც მთარგმნელის შენიშვნაც ახლავს ლექსის შექმნის ისტორიაზეც. გ.

უგრეხელიძე შენიშნავს, რომ აღნიშნული ლექსი ბევრჯერ ითარგმნა რუსეთში, მაგრამ დედანთან დაშორებულად, ამიტომ უპირატესობას აძლევს ლერმონტოვისეულ თარგმანს. აშკარაა, რომ ქართველი მთარგმნელები არამცთუ ეცნობიან სათარგმნი ლექსის დაწერის ისტორიას, არამედ თავისუფლად მსჯელობენ, თუ რამდენად ეკვივალენტურია სხვა ენებზე შესრულებული თარგმანებიც. ციალა კანკიამ თარგმნა ბაირონის ლექსი „დაისი“ (გაზ. „კოლხეთი“, 1990, #28) და „ჩვენ ერთად უკვე ვეღარ გავივლით“ (გაზ. „კოლხეთი“, 1988, #29), მედეა ლომიძემ ასევე თარგმნა „დაისი“ (გაზ. „ნაპერწკალი“ 1974, #37). მკვლევარი და მეცნიერი ლელა ებრალიძე თარგმნის ბაირონის ლექსს „გნახე მტირალი“.

გნახე მტირალი

„გნახე მტირალი - კამკამა ცრემლმა
შენს ლურჯ თვალებში უცებ იელვა
და მომეჩვენა - შემომანათეს
მაგ თვალებიდან სველმა იებმა“.

(ბაირონი, თარგმანი ლელა ებრალიძის, 1987:8)

ბიძინა წიკლაურმა არამცთუ თარგმნა ინგლისურიდან ბაირონის ორი ლექსი „დაისი“ და „სილამაზეში მიცურავს იგი“, არამედ მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევიც დაურთო პოეტის ცხოვრება-შემოქმედების შესახებ („ბობოქარი ბაირონი“) (წიკლაური, ბ. გაზ. „ლენინის გზით“, 1963, #1:4).

ბაირონის შემოქმედების ქართულ ენაზე თარგმნას არცთუ იშვიათად ესწრაფვიან პოეტები, ხშირად, სავარაუდოდ, შუალედური ენით სარგებლობენ. მაგალითად: აკაკი გელოვანის მიერ თარგმნილი „სიბრძნის წყარო“ (გაზ. „სოფლის ცხოვრება“ 1977, #142; გაზ. „ფეიქარი“, 1978, #53), გრიგოლ აბაშიძის „დასრულდა შენი სიცოცხლის გზა“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1965, #6), ალიო მირცხულავას „თირზას“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1964, #12. 11 დეკემბერი), გურამ პეტრიაშვილმა კი ინგლისურიდან თარგმნა: „გნახე ტირილი“ (გაზ. „ლენინის გზით“, 1962, #21).

გ. გაჩეჩილაძის მხატვრული თარგმანის მეთოდოლოგიამ დიდი როლი შეასრულა არა მხოლოდ ქართულ მთარგმნელობით სივრცეში, არამედ საერთოდ

თარგმანის თეორიაშიც. ხოლო XX საუკუნის დასასრულს მკვლევრის, ინესა მერაბიშვილის ფუნდამენტურმა ნაშრომმა „პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა“ ჭეშმარიტად წარმოაჩინა თარგმანის თეორიაში ინოვაციის ახალი შესაძლებლობები, რაც დამტკიცდა თვით მკვლევრის მიერ ინგლისურიდან ქართულად (ბაირონის შემოქმედების) და ქართულიდან ინგლისურად (გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის) შესრულების მაღალი სინჯის თარგმანებით.

XIX-XX საუკუნის ქართულ მთარგმნელობით სივრცეში ბაირონის შემოქმედების მთარგმნელთა ნაღვანის შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ:

1. XIX საუკუნის ქართველი მწერლები თუ საზოგადო მოღვაწენი ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეში ეცნობიან ბაირონის შემოქმედებას რუსული თუ ფრანგული თარგმანების მეშვეობით (მ. თუმანიშვილი, სარდიონ ალექსი-მესხიშვილი), რაც ბადებს ინტერესს მისი თარგმნისა თუ გადმოქართულებისადმი, რომელშიც დომინანტობს გადმოკეთება;
2. ბაირონის შემოქმედების პირველ მთარგმნელებზე საფუძვლიანი კვლევა აქვთ ჩატარებული მაყვალა კუჭუხიძეს, ნანა ზედგენიძეს, გივი გაჩეჩილაძეს, განსაკუთრებით, ინესა მერაბიშვილს, რასაც ხშირად წარმოვადგენთ სადისერტაციო ნაშრომის აღნიშნულ თავში;
3. გამოიკვეთა აზრი, რა აინტერესებს ქართველ მწერალს, პოეტსა თუ მთარგმნელს ბაირონის შემოქმედებაში:
 - ა. თავისუფალი აზრის დაფიქსირება, რაც შეესატყვისება ქართული მწერლობის ტენდენციას;
 - ბ. ქართველისათვის უცნობი, მაგრამ „ევროპეიზმის“ პოეტური გამორჩეულობით საზოგადოების დაინტერესება;
 - გ. რომანტიზმის იდეალების გათავისების სურვილი.
4. XIX საუკუნის ლიტერატურულ სივრცეში 50-იანი წლებიდან შემოდის ტერმინი „ბაირონიზმი“ ვიწრო და ფართო გაგებით. ვიწრო გაგებით ის იხმარება რომანტიზმის პარალელურად, ხოლო ფართო გაგებით – გენიოსი უცხოელი მწერლის ქართულ სინამდვილეში დამკვიდრების მნიშვნელობით;

5. XIX საუკუნის ბაირონის თარგმანების მხატვრული ღირებულება საკმაოდ დაბალია, რაც გამოწვეული იყო შუალედური ენიდან (ფრანგული თუ რუსულიდან) შესრულებით, მაგრამ გამოირჩევა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თარგმანები (მიუხედავად შუალედური თარგმანიდან შესრულებულისა), რომელთაც თავისი კვალი დატოვეს ქართული „ბაირონიზმის“ ისტორიაში;
6. ბაირონის ქართულ ენაზე თარგმნისას შეინიშნება მისი ქართულ რეალობასთან გათავისების ტენდენცია, რაც არცთუ ისე იშვიათად იცვლება უცხო ქვეყნებიდან ამა თუ იმ ნაწარმოებში მოქმედების საქართველოზე გადმოტანით (მ. გურიელი);
7. ბაირონის შემოქმედებიდან ქართველ მთარგმნელს იზიდავს ძირითადად „ებრაული მელიოდიები“, „დონ ჟუანი“, „ჩაილდ ჰაროლდი“, „მანფრედი“, „კაენი“, „გიაური“, ხოლო ლექსები შეირჩა იმისდა მიხედვით, რამდენად შეესატყვისება მის სულიერ განწყობილებას თუ ეროვნულ პრობლემას;
8. XIX საუკუნის ქართველი მწერლები, კრიტიკოსები თუ ბაირონიზმის ლიტერატურათმცოდნენი უკავშირებენ რა ეროვნული რომანტიზმის ეპოქას ჩვენს სინამდვილეში, შესაბამისად ეძიებენ კიდევ იდეურ ანალოგებს; XIX საუკუნის II ნახევრის ქართველ კრიტიკოსთა ნააზრევში ბაირონთან შედარებას არაერთხელ მიმართავენ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის განხილვისას, რაც ვფიქრობთ, ზოგჯერ გადაჭარბებულადაცაა წარმოდგენილი;
9. XX საუკუნე ჭეშმარიტად ახალი ეტაპია ბაირონის ქართულ ენაზე თარგმნის საქმეში, რამდენადაც თარგმანების 95 %-ზე მეტი უშუალოდ პირველწყარო ტექსტიდან, უშუალოდ დედნიდან არის შესრულებული და გამახვილებულია ყურადღებას თარგმანების მეცნიერული შეფასება-კრიტიკის თვალსაზრისით;
10. ნაშრომში პირველად წარმოჩინდა დავით ონიაშვილის მნიშვნელოვანი ღვაწლი, როგორც ბაირონის პიროვნებისა და მისი შემოქმედებისადმი, ისე დედნის ეკვივალენტური ქართული თარგმანების აუცილებლობის თვალსაზრისით. თუმცა იგი საკუთარ თარგმანებში, რომლებიც უშუალოდ

დედნიდან შესრულდა, იცავს თავისუფალი თარგმანის პრინციპს, ამასთანავე, ავტორი პირველად იძლევა რა ბაირონისა და ნიცშეს მსოფლმხედველობის შედარებას, უპირატესობას ბაირონს ანიჭებს;

11. ბაირონის ქართულ ენაზე თარგმნის საკითხში, მხატვრული თარგმანის მისეული პრინციპების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მთარგმნელისა და თეორეტიკოსის, გივი გაჩეჩილაძის ღვაწლი;
12. ახალი ეტაპი ბაირონის ქართულ ენაზე თარგმნისა და მხატვრული თარგმანის, როგორც ინოვაციური მიდგომის, ტენდენცია ჩნდება XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, როცა მკვლევარმა და მთარგმნელმა ინესა მერაბიშვილმა ახალ სიმაღლეზე აიყვანა ბაირონის ქართულ ენაზე მეცნიერულად დასაბუთებული თარგმანის საკითხი.

§2. ბაირონის თარგმანების კრიტიკული ანალიზი

დისერტაციის მეორე თავის პირველ პარაგრაფში მიმოვიხილეთ, როგორ შემოვიდა ბაირონის შემოქმედება ქართულ მთარგმნელობით არეალში, პრესის საშუალებით, სამი საუკუნის განმავლობაში. ამ შემთხვევაში თარგმანის თეორიის კვლევის პროცესი ჩვენ წარვმართეთ ქრონოლოგიური პრინციპით, რაც ეყრდნობოდა მთარგმნელობითი შემოქმედების კრიტიკულად განხილვას, კერძოდ, მხატვრული თარგმანის პრაქტიკას, რომელშიც გათვალისწინებული იყო საზოგადოებრივ-ისტორიული და საზოგადოებრივ-იდეოლოგიური საფუძვლები. ამჟამად, მათ მაგალითებზე დაყრდნობით, წარმოვადგენთ ჯორჯ გორდონ ბაირონის ქართულ ენაზე სხვადასხვა პერიოდის თარგმანების ტრანსლატოლოგიურ ანალიზს.

აუცილებლობით ნაკარნახევი კულტურულ ფასეულობათა ურთიერთგაზიარების კვალდაკვალ გამოიკვეთა თარგმანის, როგორც ფენომენის როლი ლიტერატურულ ურთიერთობათა დამყარებაში. როგორც ცნობილია, თარგმანი ადამიანის ინტელექტუალური საქმიანობის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა.

მნიშვნელოვანია, რომელ დისციპლინად მივიჩნევთ თარგმანთმცოდნეობას? თუ ლინგვისტურ დისციპლინად ვაღიარებთ, მაშინ ცნებები „ზუსტი“, „ადეკვატური“,

„ტოლფასოვანი“ განხილულ უნდა იქნას დედნის ენობრივ კომპონენტთა გათვალისწინებით, ხოლო თუ უპირატესობას მივანიჭებთ ნაწარმოების სახეობრივ-ემოციურ მხარეს, მაშინ მისი შეფასების კრიტერიუმიც წმინდა ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის იქნება (წიბახაშვილი, 2000:17).

როგორც თარგმანთმცოდნე ნელი საყვარელიძე აღნიშნავს, XX საუკუნის 60-იანი წლებიდან თანდათანობით გამოიკვეთა თარგმანის ლინგვისტური კვლევის პრობლემატიკა, რაც არ გულისხმობდა ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომის საჭიროებას. თარგმანთმცოდნეობაში შეინიშნებოდა როგორც კვლევის მიმართულებების დაშორების, ისე დაახლოების ტენდენციაც (კომისაროვი ვ. ნ., ბარხუდაროვი ლ. ს., ლევი ი., ლილოვა ა., ფანჯიკიძე დ.). ლინგვისტური პოზიციიდან გაშუქების მცდელობას მხარს უჭერდნენ – ი. კაშკინი, ე. ეტკინდი, ა. პოპოვიჩი. მაგრამ ლინგვისტური ორიენტაციის თეორიები გვერდს ვერ უვლიან ლიტერატურულ ტრადიციათა გავლენას (ა. დ. შვეიცერი, ა. ვ. ფიოდოროვი) (საყვარელიძე, 2001: 5-11). ნელი საყვარელიძე იზიარებს დალი ფანჯიკიძის მოსაზრებას კვლევის მეთოდთა სინთეზის აუცილებლობის შესახებ, გამოკვეთს ფაქტს, რომ ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდების სინთეზი აუცილებელია იქ, „სადაც თარგმანის ენობრივ საფუძველს, თარგმანის ენის სპეციფიკას; ორი ენის შეპირისპირებით კვლევას ვატარებთ ლინგვისტიკის პოზიციიდან, ე. წ. ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს კი ძირითადად ლიტმცოდნეობითი კვლევის მეთოდებით ვუდგებით“ (ფანჯიკიძე, 1995:49).

რამდენადაც თარგმანის ძირითადი ამოცანაა, მივიდეს მკითხველამდე იმგვარად, როგორც ჰქონდა ჩაფიქრებული თავად ავტორს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მეორად კომუნიკაციის ტექსტში სიტყვები, შესიტყვებანი, ფრაზეოლოგია განიცდის მრავალმხრივ მოდიფიკაციას მაშინ, როდესაც აუცილებლადაა დასაცავი ეკვივალენტურობის მოთხოვნა. არც ისაა გამორიცხული, რომ თარგმანი შეიძლება ამჟღავნებდეს ეკვივალენტურობას შინაარსობრივად, მაგრამ არ იყოს ეკვივალენტური კომუნიკაციურ-პრაგმატული ეფექტით (საყვარელიძე, 2001:69). ნელი საყვარელიძე შენიშნავს, სემანტიკის დონეზე ეკვივალენტურობა შეიძლება გაიმიჯნოს ორი სახით, კერძოდ: 1. ეკვივალენტურობა გამონათქვამის

ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ კომპონენტთა დონეზე. 2. ეკვივალენტურობა რეფერენციალურ დონეზე (საყვარელიძე, 2001:86).

მკვლევარი ნელი საყვარელიძე აღნიშნავს, რომ თანდათანობით იკვეთებოდა თარგმანის შეფასების კრიტერიუმებიც, რაც ისტორიულად კულტურული დროის მოთხოვნათა შესაბამისად საჭიროებდა ახლებურ გააზრებას (საყვარელიძე 2001:3).

რამდენადაც XIX საუკუნის II ნახევრის ქართული თარგმანები უშუალოდ რუსული თარგმანებიდან იქნა შესრულებული და არა დედნიდან, ინტერესმოკლებული არ იქნება, მოკლედ მიმოვიხილოთ, როგორ შეფასებას აძლევდა თავად მთარგმნელი და გამომცემელი ნ. ვ. გერბელი (1827-1883) რუს პოეტთა თარგმანებს.

1874 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში ნ. გერბელი აღნიშნავს, რომ ბაირონს იცნობდნენ რუსეთში ჯერ კიდევ 1812 წლის დასასრულიდან, ხოლო XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან ჩნდება პირველი თარგმანებიც ლექსად თუ პროზად კაჩენოვსკის და ვოეკუტოვისა. ნ. გერბელი აღიარებს ვასილი ჟუკოვსკის მიერ „შილიონის პატიმრის“ თარგმანს, რომელიც იმ დროისათვის სანიმუშოდ მიიჩნეოდა მანამდე რუსულ ენაზე არსებულ თარგმანებთან შედარებით (Гербель, т. I, 1874:6). ამ თარგმანით აღფრთოვანებულმა ივანე კოზლოვმა გადაწყვიტა, „აბიდოსელი პატარძალი“ ეთარგმნა, რომელიც 1826 წელს დაასრულა. განსაკუთრებით გამოყოფს ნ. გერბელი დ. დ. მინაევის, გ. ზარინის თარგმანებს; ლობიჩ-რომანოვიჩის მიერ თარგმნილ „დონ-ჟუანს“ კი წუნს სდებს, რამდენადაც მთარგმნელმა ინგლისურიდან კი არ თარგმნა, არამედ თვითონ შეთხზა რამდენიმე თავიო; განსაკუთრებულად ნ. გერბელს მოსწონს ა. ლ. სოკოლოვსკის (შექსპირის ნიჭიერი მთარგმნელის) „დონ-ჟუანის“ პროზაული თარგმანი. ქართულად ეს ნაწარმოები XX-XXI საუკუნეებში ითარგმნა.

ნ. გერბელი აღნიშნავს, რომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვარჩევდეთ მხატვრული ღირებულების შესაბამისად. რამდენადაც, თარგმანების შერჩევისას პოეტური ნაწარმოების ფორმას, სრულად თუ არა, მაინც პირველი ადგილი უკავია შეფასების თვალსაზრისით. ამიტომ ჩვენ შევჩერდით მხოლოდ იმ თარგმანებზე, რომლებიც აკმაყოფილებდნენ ფორმის დახვეწილობის მოთხოვნებს, თუნდაც ნაკლებ შესატყვისი ყოფილიყო დედანთან, რაც ხშირად ვერ შეესაბამება მხატვრულად აჟღერებულ ლექსს.

ნ. გერბელს ნიმუშად მოჰყავს გ. ზარინი, რომელსაც მეტად მოდნომებულ, თუმცა უნიჭო მთარგმნელად მოიხსენიებს. მსოფლიო რანგის შემოქმედთა პოეტური გარდასახვისთვის სხვა ხალხების ენებზე აუცილებელია მათი საპირწონე ნიჭიერება. ეს საკამათო სრულიადაც არაა! მაგრამ, სამწუხაროდ, ნიჭიერები იშვიათად ჰკიდებენ ხელს თარგმნას, რადგან დროის ფუჭად დაკარგვად მიიჩნევენ. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ბაირონის ნაწარმოებთა თარგმანებს შორის შეიძლება წავაწყდეთ ისეთებსაც, რომლებიც შორს დგანან დედნისაგანო, – ამბობს გერბელი (Гербель, 1874:67).

ბუნებრივია, აუცილებელია განისაზღვროს ფრანგული და რუსული ენებიდან თარგმნის პრინციპების გამოკვეთა, რაც საშუალებას მოგვცემს, შესაბამისად ვიმსჯელოთ ქართულ თარგმანებზეც.

საქართველოში XIX საუკუნემდე შუალედური ენებიდან, ფრანგულიდან და რუსულიდან ითარგმნებოდა, ხოლო თვით თარგმანის პრინციპები XVII საუკუნემდე ან იყო თავისუფალი ან სიტყვასიტყვითი. მაგრამ XVII საუკუნიდან კლასიციზმის მიმართულების დამკვიდრებასთან ერთად საფრანგეთში, თარგმანის პრინციპებმაც სახე იცვალა. გამოიკვეთა კლასიციზტური თარგმანიც, რომელიც ძირითადად ანტიკური ლიტერატურის ამა თუ იმ ენაზე გადმოტანისას გამოიყენებოდა და აბსოლუტურ ღირებულებასთან მიახლოებულობასაც გულისხმობდა, რამდენადაც კლასიციზმის ეპოქისათვის დამახასიათებელი იყო სათარგმნ ტექსტში თვითნებური ჩარევა, კერძოდ, სიუჟეტის, სტილის, თემის, ჟანრის, ტიპაჟის, მოცულობისა და სხვა კომპონენტების სახით. ყოველივე ეს სრულიადაც არ აღიქმებოდა დედნისადმი მთარგმნელთა თვითნებობად, რადგან ლოგიკურად მომდინარეობდა კლასიციზმის ესთეტიკური ნორმებიდან და წესებიდან, რაც პირდაპირ უკავშირდებოდა ესთეტიკური იდეალის რაციონალური გაგების პრინციპებს (ალიბეგაშვილი, დულაშვილი, მღებრიშვილი, 2017:82).

როგორც გივი გაჩეჩილაძე შენიშნავს, ამის გამო „თარგმანები არსებითად დედნის გადმოკეთებას წარმოადგენდა“ (გაჩეჩილაძე, 1966:17). გადმოკეთება, როგორც ერთი სახეობა თარგმანისა, უკვე დამახასიათებელია ქართული მთარგმნელობითი პროცესებისათვის XIX საუკუნეშიც. თუმცა ყველაფერი დედნის სასარგებლოდ უნდა

გაკეთებულიყო. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია ხშირი დისკუსიებიც და ისეთი სპეციალური ლიტერატურის გამოცემაც, რომლის ავტორი იყო ნიკოლა ბუალო (1636-1711). ბუალო თვლიდა, რომ ადეკვატურობისაკენ სწრაფვა მხოლოდ დედნის დისკრედიტაციას ემსახურებოდა. 1661 წელს გამოდის პიერ დანიელ იუეს (1630-1721) ტრაქტატი „თარგმანის საუკეთესო საშუალების შესახებ“, რომელიც ითვლება ერთგვარ უდიდეს მიღწევად კლასიციზმის დროის ფრანგული მთარგმნელობითი პრინციპების საქმეში და რომლის თანახმადაც, საუკეთესო ნიმუშად მიჩნეულია ისეთი თარგმანი, სიტყვასიტყვით რომ მისდევს დედანს.

ინგლისურ მთარგმნელობით სივრცეში მნიშვნელოვანია კლასიციზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ჯონ დრაიდენის (1631-1700) თვალსაზრისი, რომელიც გულისხმობს სამ საშუალებას უცხოენოვანი ტექსტის გადმოსაცემად: 1. მეტაფრაზას, ანუ სიტყვასიტყვით დედნის მიდევნებას. 2. პარაფრაზას, ანუ მთარგმნელის ძირითად კონცენტრირებას აზრობრივ სიზუსტეზე; 3. იმიტაციას, ანუ მიბაძვას, როცა მთარგმნელი მოიმარჯვებს ყველა საშუალებას და, თუ დაისაჭიროებს, შეიძლება გადაუხვიოს დედანსაც.

აღნიშნული ეპოქის ინგლისური მთარგმნელობითი პრინციპები საბოლოოდ ჩამოყალიბდა ალექსანდრე ტაილერის (1747-1813) მიერ, რომლის აზრითაც, თარგმანს უნდა დაეკმაყოფილებინა შემდეგი მოთხოვნები:

- ❖ სრულყოფილად გადმოეცა ორიგინალის შინაარსი;
- ❖ ჰქონოდა დედნის შესატყვისი სტილი და მანერა;
- ❖ მთელი სიმსუბუქით დაუფლებოდა დედანს.

(ალიბეგაშვილი, დუღაშვილი, მღებრიშვილი, 2017:87).

რომანტიზმის ეპოქაშიც ვითარდება მისთვის დამახასიათებელი მთარგმნელობითი პრინციპები, რომლის მიხედვითაც, გივი გაჩეჩილაძე, ახასიათებს რა ამ ეპოქის თარგმანს, აღნიშნავს, რომ აქაც კლასიციზმის ზეისტორიულობის პრინციპს დაუპირისპირეს კონკრეტული ისტორიული სიმართლის პრინციპი, ხოლო განყენებულ ტიპიზაციას კი ეროვნული სპეციფიკის გამოხატვა, რასაც უნდა მოჰყოლოდა უცხო ტექსტის ზუსტი თარგმანი ძირითადი სპეციფიკური მხარეების დაცვით (გაჩეჩილაძე, 1966:19).

ამის გამო XX საუკუნის მკვლევრების, ა. ფინკელისა და გ. გაჩეჩილაძის აზრით, რომანტიკოსები დედნის ეროვნულ-ინდივიდუალური სპეციფიკის ადეკვატური გადმოცემისაკენ ისწრაფოდნენ, რის საფუძველზეც მათ „რეალისტური თარგმანის“ შემქმნელებად მიიჩნევდნენ (ალიბეგაშვილი, დულაშვილი, მღებრიშვილი, 2017:92). მაგრამ ა. ფედოროვის, ი. ლევინისა და ვ. მიკუშევიჩის თვალთახედვით, რომანტიკოს მთარგმნელს შეეძლო დედნის სახეცვლილება და დაშორება. ასეთ „გაორებას“ „რომანტიზმის პარადოქსსაც“ უწოდებენ.

ეს ტენდენცია გადმოდის XIX საუკუნის I ნახევრის თარგმანებში, რაც, ჩვენი აზრით, შეინიშნებოდა ვ. ჟუკოვსკისთანაც.

თარგმანთმცოდნეობითი კრიტიკა ჩვენი დისერტაციის წინა ქვეთავებში მიმოვიხილეთ ნაწილობრივ მკვლევართა (მ. კუჭუხიძე, გ. გაჩეჩილაძე, ი. მერაბიშვილი) ნააზრევზე დაყრდნობით. წინამდებარე პარაგრაფში კი ვეცდებით, შერჩევით გავაანალიზოთ ჯ. გ. ბაირონის ქართული თარგმანები, როგორც ტრანსლატოლოგიური კვლევის ობიექტი.

ტრანსლატოლოგია როგორც დისციპლინა შედარებით „ახალგაზრდა“ მეცნიერებაა, რომლის საფუძველზეც პირველი კვლევები განხორციელდა XVII საუკუნეში გასპარდი დე ტენდესა („Regles De La Traduction“) და პიერ-დანიელ ჰიუს („De Interpretacione“) მიერ. მათი შეხედულებების გავლენა გრძელდებოდა მომდევნო ორი საუკუნის განმავლობაში. თარგმანის თეორიამ თავისი რეალური არსებობა დაიწყო მხოლოდ XX საუკუნის მე-2 ნახევრიდან და ვითარდებოდა ჰერმენევტიკად და თარგმანის ლინგვისტიკად. აქ გამოიყოფა ლინგვისტური მახასიათებლები - ლინგვოსტილისტური და ფსიქოლინგვისტური - როგორც ტექსტის თარგმანის ერთი მთლიანობა (Merabisvhili, 2022:122-123).

XIX საუკუნის ბოლოს მაიკლ ბრილმა თარგმანთმცოდნეებს შესთავაზა სიახლე სიტყვის მნიშვნელობის შესახებ. ტრადიციულად აღიარებული სიტყვის მთლიანობა მან დაყო ერთეულებად, სხვადასხვა სემად. მეცნიერის ხედვა გაიზიარეს ლინგვისტებმა და თარგმანის პოპულარულ მეთოდად იქცა კომპონენტური ანალიზი, რომელიც მეცნიერებს აძლევს საშუალებას, დაშალონ სიტყვის მნიშვნელობა სხვადასხვა სემანტიკურ ნაწილაკად, რომელშიც მაქსიმალური წონის სემა ქმნის

ბირთვს, გარშემორტყმულს სხვა სემებით, ანუ მაქსიმალური, მეორადი მახასიათებლებით (მერაბიშვილი, 2022:124).

ტექსტლინგვისტიკაში პირველ ყოვლისა იგულისხმება დედნის ანალიზი, კონტენტურ-ინფორმაციული მონაცემები და მათი ტრანსფორმაციის გზები თარგმანში. ინესა მერაბიშვილი გამორჩეულად აღიარებს პირველ ქართულ მონოგრაფიას, თარგმანის თეორიაში შესრულებულს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ გივი გაჩეჩილაძის მიერ, 1959 წელს (მერაბიშვილი, 2022:123).

XX საუკუნის ტექსტლინგვისტიკაში დიდი წვლილი შეიტანეს თარგმანთმცოდნეობაში, აქ განსაკუთრებით გამოიყოფა რუსი ენათმეცნიერი და ლექსიკოგრაფი ილია რომანოვიჩ გალპერინი, რომლის მონოგრაფიამ („ტექსტის ლინგვისტური კვლევის ობიექტი“, 1982) დიდი ზეგავლენა მოახდინა ახალგაზრდა მეცნიერ ინესა მერაბიშვილზე, რომელმაც მოგვიანებით თავად შექმნა უახლესი თეორია „ლინგვისტური ხატის“ შესახებ.

ამ კუთხით, XIX საუკუნის 60-90-იან წლების თარგმანებიდან, რომლებიც, ძირითადად, შუალედური (რუსული) ენიდან იყო შესრულებული, შევარჩიეთ იოსებ ბაქრაძის მიერ თარგმნილი ბაირონის „დონ ჟუანი“, „ჩაილდ ჰაროლდი“, დავით ონიაშვილის თარგმანები ბაირონიდან („ბუნების ლოცვანი“, „სუფრული სიმღერა“, ნაწყვეტები „დონ ჟუანიდან“, „მანფრედიდან“ „კაენიდან“ და „გიაურიდან“, ბაირონის უკანასკნელი ლექსის თარგმანი „აღსდევ, ამხედრდი, ჩემო სულო“), გივი გაჩეჩილაძის, ინესა მერაბიშვილისა და სხვა ავტორთა მიერ თარგმნილი ბაირონის ლექსები თუ პოემები. კვლევისას გათვალისწინებული იქნება თარგმანთმცოდნე ინესა მერაბიშვილისეული ახალი მიდგომები წყაროტექსტში „ლინგვისტური ხატის“ მოძიების პრინციპზე დაყრდნობით, რამეთუ „თარგმანის ლინგვისტიკა ეფუძნება ტექსტის ლინგვისტიკას, რომელსაც გამოჰყავს ლიტერატურათმცოდნეობა იზოლირებისა და კარჩაკეტილობისაგან“ (მერაბიშვილი, 2005:312).

როგორც მკვლევარი მ. ნატროშვილი შენიშნავს, ი. მერაბიშვილმა მოიძია და გამოკვეთა პოეტური თარგმანის შინაარსის აქამდე უცნობი პარამეტრები, რასაც

საფუძვლად დაუდო ტექსტის ერთი მთლიანი შინაარსობრივი კატეგორიები (ნატროშვილი, 2014:33).

რამდენადაც ორი საუკუნის განმავლობაში (XIX-XX) უცხოური ენებიდან ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანები ფასდებოდა იმისდა მიხედვით, თუ რამდენად შეესატყვისებოდა თარგმანი დედანს ფორმისა და შინაარსის მიხედვით, თარგმანთმცოდნეთა ნააზრევში ვერ შეინიშნება ღრმა, საფუძვლიანი მიდგომა აღნიშნული საკითხისადმი. ეს კი მეტად ორიგინალურად წარმოჩინდა თარგმანთმცოდნისა და თვით მთარგმნელის, ინესა მერაბიშვილის მეთოდოლოგიურ მიდგომაში. მკვლევარმა ფორმისა და შინაარსის საკითხი სადღეისოდ გადასასინჯად მიიჩნია და, ყურადღება გაამახვილა რა ი. რ. გალპერინის მიერ შემოთავაზებულ თეორიაზე, დაადგინა, რომ, მისგან განსხვავებით, პოეტური ტექსტის ქვეტექსტი წარმოადგენს უმთავრეს ობიექტურ მოვლენას, რამდენადაც იგი აგებულია ლინგვისტურ მასალაზე დაყრდნობით და მისი გამოვლენაც ხდება ლინგვისტურ ნიადაგზე. როგორც ზემოთ ითქვა, ინესა მერაბიშვილი აღნიშნავს, რომ შინაარსობრივი კატეგორიების გამოვლენამ იგი მიიყვანა ტექსტის შინაარსის ოთხი კატეგორიის აღწერამდე: 1. შინაარსობრივ-ფაქტობრივი; 2. შინაარსობრივ-კონცეპტუალური; 3. შინაარსობრივ-ქვეტექსტური; 4. შინაარსობრივ-ხატობრივი (მერაბიშვილი, 2005:319). მკვლევარი ცდილობს აჩვენოს, რომ ტექსტის შინაარსობრივი პარამეტრები რელევანტურია, რამდენადაც მათი რეალიზაციით თარგმანში მტკიცდება ლექსის ძირითადი დანიშნულება. ამიტომაც იგი გამოკვეთს იმ ფაქტს, რომ, რამდენადაც ლექსსაც ქმნის თვით მთარგმნელი, მხოლოდ პოეტობა არ არის საკმარისი. საჭიროა, პოეტი მთარგმნელიც იყოს, გულმოდგინე მკვლევარიც და ტექსტის ინტერპრეტაციის სათანადო ექსპერტიც.

ზოგჯერ თარგმანებში შენარჩუნებულია კონცეპტი და დაკარგულია ქვეტექსტი, ეს უკანასკნელი უფრო ძნელი ამოსაკითხია, მაგრამ აუცილებლად გადმოსატანი, რაც მოითხოვს მთარგმნელის მხრიდან მისი დანახვის და რეპროდუქციის უნარს. მკვლევარი ი. მერაბიშვილი ქვეტექსტის სწორ რეალიზაციას აუცილებლად მიიჩნევს ტექსტის სიღრმისა და იდუმალების ასამეტყველებლად. ტექსტის შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაცია მხოლოდ მთარგმნელის მონდომებასა და ნიჭიერებაზე კი

არ არის დამოკიდებული, არამედ უფრო განსწავლულობაზე დედნისა და სამიზნე ენების სოციალურ-კულტურული ნორმების გათვალისწინებით. აქვე მკვლევარი აუცილებლად მიიჩნევს პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ცოდნას, ყველაზე რთული კი მთარგმნელისათვის შეიძლება აღმოჩნდეს შინაარსობრივ-ხატობრივის პოვნა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ი. მერაბიშვილი XXI საუკუნეში ეწევა როგორც ჯ. გ. ბაირონის შემოქმედებითი გზის კვლევას, მის თარგმნას, ისე თარგმანების კრიტიკულ შეფასებასაც, რაც გათვალისწინებული იქნება ტრანსლატოლოგიური კვლევით ჩვენ მიერ ბაირონის შემოქმედებიდან შერჩეული ნიმუშების განხილვისას.

რამდენადაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ძირითადად, XIX საუკუნის ქართული თარგმანები შესრულებულია შუალედური ენებიდან (ფრანგული, რუსული), მათი შეფასებისას ვერ მოხერხდება აღნიშნული მიდგომის გათვალისწინება, რაც გაპირობებული იყო ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმნისას ეპოქისათვის დამახასიათებელი მთარგმნელობითი პრინციპებით, მაგრამ ერთი რამ საგულისხმოა, ქართველი მთარგმნელი ცდილობდა, ბაირონის შემოქმედებაში მოეძებნა პარალელური იდეური მისწრაფებანი დამოუკიდებლობადაკარგული ქვეყნის საბრძოლო განწყობილებებთან და ამით უფრო ხელშესახები გაეხადა უცხოელი მწერლის ქმნილებები ქართველი მკითხველისათვის.

ახლა შევეცდებით, შერჩევით (პოეზიიდან და პოემებიდან) წარმოვადგინოთ ბაირონის ქართული თარგმანების ტრანსლატოლოგიური ანალიზი.

ჯ. გ. ბაირონის ერთ-ერთი პირველი მთარგმნელია პოეტი და თეატრალური კრიტიკოსი მიხეილ თუმანიშვილი. მკვლევარმა მ. კუჭუხიძემ მიაკვლია ბაირონის ორი ლექსის მ. თუმანიშვილისეულ თარგმანს.

მ. კუჭუხიძის აზრით, თუმანიშვილის მიერ თარგმნილ ლექს „უდაბნოს“ და „თასი თავისი სარქველით“ მიწერილი აქვს „მიზამვა ბაირონისადმი“. თუმცა მ. თუმანიშვილის ვაჟის, გ. თუმანიშვილის მიერ 1878 წელს გამოცემულ „აღმანახში“ (ნაწ. I) ზემოხსენებულ ლექსს ეს მინიშნება არ ახლავს. მ. კუჭუხიძე ემყარება ლიტერატურათმცოდნის, ლევან ასათიანის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, მ.

თუმანიშვილის „უდაბნო“ დაწერილია ბაირონის პოეზიის გავლენით. ნიკოლოზ ბარათაშვილის თაობის პოეტის, მიხეილ თუმანიშვილის მიერ „უდაბნო“ (რომელიც ასეთ ქვესათაურს ატარებს: „მიბაძვა ბაირონისა“) უნდა იყოს გენიოსი ავტორის სულისკვეთებითა და საერთო განწყობილებებით თქმული (ასათიანი, 1974:57). ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხი კვლევას მოითხოვს, რამდენადაც „მიბაძვა“, ამ სიტყვის XIX საუკუნის I ნახევრის ქართული სალიტერატურო ენის მიხედვით, მარტო იდეებითა და სულისკვეთებით შექმნილ ნაწარმოებებს არ გულისხმობს და კონკრეტული დედნის „გადმომღერებად“ შეიძლება ჩაითვალოს, მით უმეტეს, რომ მ. თუმანიშვილის ვაჟის, გ. თუმანიშვილის მიერ გამოცემულ აღმანახში ეს „მიბაძვა ბაირონისა“ (თუკი არსებობდა ხელნაწერში) მოხსნილია. ეს იქნებ თვით მ. თუმანიშვილისეული ლექსია, ან, როგორც მკვლევარი ქ. ბურჯანაძე თვლის, ა. პუშკინის «Анчар»-ისა ან ლერმონტოვის ლექსის «На тёмной скале над шумящим Днепром» გავლენა?

„აღმანახში“ „უდაბნოს“ პუბლიკაციას ქვეშ მიწერილი აქვს 1838 წელი, აშკარაა, რომ იგი ქართველ პოეტს უნდა ეთარგმნოს ბაირონის გარდაცვალებიდან 14 წლის შემდეგ.

მოგვყავს ლექსის მიხეილ თუმანიშვილისეული თარგმანი:

უდაბნო

„ვის არ გიხილავსთ უდაბნო ბნელი,
სად თვალნი მზისა შუქსა ვერ ჰსჭვრეტენ,
სად ვერანადა მოჰსჩანს ყოველი
და ქარიშხალი ხმიანობს ოდენ?

ვის არ გიხილავსთ იქა ხე მწარედ
გულჩამომწვარი ციურის ცეცხლით
და მაღალს კლდეზე მარტოდ, მწუხარედ
გარდმოკიდული დამკუნარ შტოებით!

ეს არს, მოყვასნო, გლახ ჩემი ბედი!
მეც ეგრეთ ვიქმენ დღე განამწარი:
ვერღა მეახლოს ტკბილი იმედი,
ვერღა აყვავდეს მით გული მჭკნარი!“

((მ. თუმანიშვილის ლექსები, მომზადებული გამოსაცემად გ. ლეონიძის
რედაქტორობით) ხ. ფ. 26993-6 [1611-დ])

მ. კუჭუხიძე აღნიშნულ ტექსტს მიიჩნევს ბაირონისეულ ლექსად, მაგრამ, მკვლევარ ქ. ბურჯანაძის აზრით, უფრო უნდა წარმოადგენდეს რუსი პოეტის, ა. ს. პუშკინის ლექს „ანჩარის“ ფრაგმენტის თარგმანს, მით უმეტეს, რომ აღნიშნულ პერიოდში ქართველმა რომანტიკოსმა პოეტმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ მთლიანად თარგმნა რუსულიდან სწორედ ეს ლექსი. თვით პუშკინის ლექსი 1832 წელს გამოქვეყნდა ჟურნალში «Северные цветы». ბაირონთან ასეთი შინაარსის ლექსს ვერ მივაკვლიეთ, ამიტომ ვიზიარებთ მკვლევარ ქ. ბურჯანაძის აზრს, რომ იგი „ანჩარიდან“ უნდა იყოს თარგმნილი. ერთში კი მართალია მკვლევარი მ. კუჭუხიძე, რომ ბაირონის ლექსების განწყობილებამ პოეტ, მ. თუმანიშვილს საშუალება მისცა გადმოეცა საკუთარი ტკივილი (კუჭუხიძე, 1977: 60).

საყურადღებოა მ. თუმანიშვილის მიერ თარგმნილი ბაირონის ლექსი „თასი თავის სარქველი“. მოგვყავს აღნიშნული ლექსის მ. თუმანიშვილისეული თარგმანი:

თასი თავის სარქველი

„ნუ ჰგონებ სული ჩემი ამიერ გამქრალიყოს:

მიყურე მე ვითა მხოლოდ ოდენ მეგობარსა სარწმუნოს,

რომელიც უფიქვრელად ცოცხალის ბაგენივით,

არა მოგაწყენს შურით, არცა ყვედრების ენით.

მეცა ვიყავ ცოცხალი, მიყვარდა ვსვავდი შენებრ;

მოვჰკვდი ბოლოს... უტევე მტვერი მიიქცეს კულავ მტვერ!

მარამ სარქველი ესე ღვინითა აღაქაფე,

და მწყურვალე ბაგენი ურიდებლად შემახე!

შენსა სმენასა, როს დაღამდება
სიამოვნებს სიმღერა მისი
ცა ღრუბლით მოზურული
გარნა თვალთა ნუგეშად გარნა გულის იმედად
ცაზე გამოგვებატა ირისე მრავალ-ფერი“.

((მ. თუმანიშვილის ლექსები, მომზადებული გამოსაცემად გ. ლეონიძის
რედაქტორობით) ხ. ფ. 26993-6 [1611-დ])

მ. კუჭუხიძეს დაკვირვებით შეუსწავლია ეს ლექსი და ხელნაწერიდან (არაა მინიშნებული ფონდის ნომერი) მოჰყავს მ. თუმანიშვილის შენიშვნაც, რომელშიც ჰყვება ბაირონის მონათხრობს მეზადის მიერ თავის ქალას პოვნის შესახებ, რომ მიიჩნია თასისათვის შესაფერისად და ხელოსანთან გაგზავნა ქალაქში მისგან ღვინის ფიალის დასამზადებლად (კუჭუხიძე, 1992:40-41).

ლექსი „თასი თავის სარქველი“, მ. კუჭუხიძის აზრით, ფრანგული ენიდან შესრულდა (რადგან ჯერ არ არსებობდა რუსული თარგმანი). თუმცა ჩვენ ვეთანხმებით მკვლევრის თვალსაზრისის მხოლოდ პირველ ნაწილს, რომლის მიხედვითაც, მ. თუმანიშვილმა თარგმნა ფრანგული ენიდან. შევნიშნავდით, რომ ამ დროისათვის არსებობდა დ. მიხალოვსკის (1828-1905) რუსული თარგმანიც, რომელიც შევიდა ნ. გერბელის კრებულის I ტომში. თუ მიხეილ თუმანიშვილი გარდაიცვალა 1875 წელს, ის შეიძლება იცნობდა (ან არც იცნობდა) ნ. გერბელის კრებულს, ამიტომ უფრო სარწმუნოა მივუბრუნდეთ მკვლევარ მ. კუჭუხიძის ვარაუდს, რომ დასახელებული ლექსი შესრულდა ფრანგული თარგმანიდან, მართლაც, ამ პერიოდში არსებობდა ჯ. გ. ბაირონის შემოქმედების ამიდი პიშუს ფრანგული გამოცემა. მ. თუმანიშვილის თარგმანი მეტ-ნაკლებად არის შემოკლებული და შინაარსობრივ-კონტენტურად უახლოვდება ფრანგულ თარგმანს. მოგვყავს ლექსის ფრანგული ფრაგმენტი:

“ je ressemble peu aux têtes vivantes
J'ai vécu,-J 'aimais, je buvais comme toi; je
mourus. Que la terre garde le reste de mes os”.

(Byron & University of Ottawa, 1877)

მ. თუმანიშვილის თარგმნილი ამონარიდის ფრაგმენტი:

„მეცა ვიყავ ცოცხალი, მიყვარდა ვსვავდი შენებრ;

მოვჰკვდი ბოლოს... უტევე მტვერი მიიქცეს კულავ მტვერ!“

((მ. თუმანიშვილის ლექსები, მომზადებული გამოსაცემად გ. ლეონიძის

რედაქტორობით) ხ.ფ. 26993-6 [1611-დ])

თუმანიშვილისეული თარგმანი წყდება უკვე გაცოცხლებული თავის ქალას სურვილზე, შეახოს მას მსმელმა მწყურვალე ბაგენი. ბაირონისეულ ტექსტში გრძელდება საუბარი თავის ქალას მიწაში მდებარეობაზე, რომელსაც უკვე ჭიალუები ეხვევიან. ქვეტექსტურად მთარგმნელმა მ. თუმანიშვილმა სცადა, თავის ქალას ახალი ცხოვრება გამოეკვეთა და აღარ შეჩერებულიყო დედნის დარჩენილ ნაწილზე.

ლექსის ისტორია თუმანიშვილის ხელნაწერის შესავალ ნაწილში იყო გადმოცემული. ნიუსტედის სააბატოში, სადაც მდებარეობდა ბაირონების სასახლე, 1808 წელს მართლაც, მიწის დამუშავების დროს, მეზღეს უპოვია თავის ქალა, რომელიც ვიღაც გარდაცვლილი ბერის უნდა ყოფილიყო. მ. კუჭუხიძის აზრით, მ. თუმანიშვილს ქართულად ლექსი გადმოუღია 14-მარცვლიანი სალექსო ზომით. სხვა დამატებით ინფორმაციას მკვლევარი არ იძლევა. ლექსი საკმაოდ დამძიმებული ენით არის ნათარგმნი და კარდინალურად შორს დგას XXI საუკუნეში შექმნილი ინესა მერაბიშვილისეული თარგმანისაგან. ი. მერაბიშვილმა სწორად იპოვა ლექსის როგორც შინაარსობრივი კონცეპტი, ისე ქვეტექსტი და წარმოაჩინა „ხატი“, რომლითაც გადმოცემულია ამ ლექსის ძირითადი პოსტულატი: ყველაფერი ამაოა ამ ქვეყანაზე, მაგრამ სიცოცხლეშიც შეიძლება ტკბობა, თუნდაც თავის ქალასაგან დამზადებული თასით.

პოეტმა-აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ, სავარაუდოდ, სცადა მ. თუმანიშვილის იმ ნაწერების გამოცემა, რომელსაც საბეჭდ მანქანაზე აკრეფილს მივაკვლიეთ ლიტერატურის მუზეუმის ფონდებში (აქ მთლად ვერ დავემყარებთ მ. კუჭუხიძეს, რადგან საჭიროა უფრო სიღრმისეული კვლევა, რამდენადაც იგი გამოქვეყნებულის არ არის, ბაირონის ქართულად თარგმანის დაწერის თარიღს ვერ ავითვლით აღნიშნული ავტორისგან _ თ. ს.). ბაირონმა გამოხატა დიდი დაინტერესება თავის ქალათი, აქცია ფიალად და მიუძღვნა კიდევაც ლექსი. ამის შესახებ

ინფორმაციას გვაწვდის მკვლევარი, პროფესორი ინესა მერაბიშვილიც ლექსის ახალი თარგმანის შენიშვნაში.

მოგვყავს დედანი და ინესა მერაბიშვილისეული თარგმანი:

Lines Inscribed Upon a Cup

Formed from a Skull

“Start-not-nor deem my spirit fled;

In me behold the only skull,

which, unlike a living head,

Whatever flows is never dull.

I lived, I loved, I quaff'd, like thee:

died: let earth my bones resign;

Fill up-thou canst not injure me;

The worm hath fouler lips than thine.

Better to hold the sparkling grape,

Than nurse the earth-worm's slimy brood;

And circle in the goblet's shape de,

The drink of gods, than reptile's food“.

წარწერა თავის ქალასაგან

დამზადებულ სასმისზე

„ნუ შეძრწუნდები, ნურც ინაღვლებ, სად გაქრა სული,
შემიცან ისე, როგორც მხედავ - ხმელ თავის ქალად,
რომელს არ ძალუმს მოსაწყენი რამ სისულელე
გადმოაფრქვიოს წამდაუწუმ ცოცხალის დარად.
ვიცხოვრე ქვეყნად, მეც მიყვარდა ქალი, ბახუსი,
მერე კი მოკვდი დე, შეჭამოს ეს ნემტი მიწამ!
ამავსე ღვინით, არას მავნებს ბაგე ხამუში,

მატლების გროვას მირჩევნიხარ, კაცობას ვფიცავ.
ყურძნის შუშხუნი და წკრიალი სიამით მავსებს,
შლამსა და ლორწოს ჭია-ღუს ეს სჯობს, ვიწამე,
აზარფეშად გამოვადგე ღმერთების სასმელს,
ვიდრე გამომდრღნას და მაქციოს ჭიამ მიწად მე“.

(ლორდ ბაირონი, 2013:71, 73)

მთარგმნელი ინესა მერაბიშვილი, სწვდება რა სიღრმისეულად დედნის ქვეტექსტს, პოულობს ლინგვისტურ „ხატს“ და გადმოსცემს ბაირონის უმთავრეს სულისკვეთებას: ამქვეყნიური სიამოვნებით დატკობის აუცილებლობას, ვიდრე მიწად იქნება ქცეული, რასაც მუდამ უნდა აგონებდეს სააბატოში ნაპოვნი თავის ქალა.

როგორც წინა პარაგრაფში აღნიშნა, საქართველოში ოდითგანვე პატივს სცემდნენ ებრაელ ერს, განიცდიდნენ რა მათ პრობლემებს, ყურადღებით ეკიდებოდნენ მათ ცხოვრებისეულ განსაცდელს. ამით აიხსნება ბაირონის „ებრაული მელოდიების“ ქართული თარგმანები, რომლებიც შესრულდა XIX საუკუნის მე-2 ნახევარში და დაკავშირებულია ქართველ 60-იანელთა, კერძოდ, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის სახელებთან¹⁵.

1846 წლამდე ებრაული მელოდიებიდან არსებობდა მხოლოდ ერთი რუსული ლექსისა „სტიროდეთ“ (“Oh! Weep For Those”), რომლიდანაც უნდა იყოს შესრულებული ილიას მიერ. ამ ლექსის პირველი თარგმანი. ხელნაწერს მიწერილი აქვს: „23 თებერვალი, 1858 წ. ს. პეტერბურდი“. ეს თარგმანი პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკრის“ 1859 წლის #9-ში. მ. კუჭუხიძის აზრით¹⁶, „ილიას ამ ლექსის თარგმნისას უსარგებლია საკმაოდ ზუსტი პწკარედით“ (კუჭუხიძე, 1977: 193).

ამ პერიოდში უნდა არსებულიყო აღნიშნული ლექსის მხოლოდ ერთი, ს. დუროვის მიერ ნათარგმნი ვარიანტი, რომელიც გამოქვეყნდა 1846 წელს. როგორც მკვლევარი მ. კუჭუხიძე აღნიშნავს, ბაირონის ამ ლირიკულ ქმნილებაში ცხარე გოდების ხმა ისმის სამშობლოს თავისუფლების დაკარგვის გამო. უთუოდ ეროვნული

¹⁶ მ. კუჭუხიძესთან არის „პწკარედი“, რასაც ჩვენც ვიყენებთ მისი ციტირებისას.

საკითხის მეტად მძაფრი განცდით მიიპყრო ბაირონის ამ ლექსმა ილიას ყურადღება და მოჰყავს ილიასეული თარგმანი:

„ოხ! სტიროდეთ მათ, ვინცა სტირიან
მდინარეებზედ ბაბილონისა,
მათ, ვისც ტაძარნი ნანგრევ არიან,
ვისიც მამული სამშობლოჲსა
არა რა არს რა, გარდა სიზმრისა!
სტიროდეთ იუდის დამსხვრეულს ჩანგსა!
სტიროდეთ... სადაცა ღმერთი იმ მტირალთ
იმყოფებოდა - იმა ალაგსა
არიან - ვისაც ღმერთი არა ჰყავთ“.
(თარგმანი ილიკო ჭავჭავაძისა
თებერვლის 23-სა დღესა
1858 წელსა.
ს. პეტერბურდი)

(ბაირონი (თარგმანი ილია ჭავჭავაძის), 1859:3)

საინტერესოა, რომ თარგმანი შესრულებულია არა 14-მარცვლიანი სალექსო ფორმით, რომლითაც ხშირად ითარგმნებოდა ბაირონისეული ლექსები, არამედ 10-მარცვლიანი სალექსო ზომით. თარგმანი გამოირჩევა დიდი ემოციურობით. მ. კუჭუხიძის შეფასებით, ილია ზუსტად მიჰყვება რუსულ თარგმანს, დედანთან დიდად მიახლოებულს. ქართველ მთარგმნელს არ შეაქვს ბაირონის ლექსში ინგლისელი რომანტიკოსისათვის რაიმე უცხო სახე, პირიქით, ილიას ამოცანაა, რაც შეიძლება ზუსტად გადმოსცეს ბაირონის აზრები და განწყობილებანი. ამიტომ ასკვნის მკვლევარი, რომ თარგმანში იდეურ შინაარსთან და კონკრეტულ სახეებთან ერთად შენარჩუნებულია ორიგინალის ინტონაცია (კუჭუხიძე, 1977: 192,193). მაგრამ აქვე მ. კუჭუხიძე ვარაუდობს, რომ ილიამ შესაძლოა, ისარგებლა პწკარედით ს. დუროვიდან, ან იქნებ სხვისი პწკარედიდანაც?! მკვლევარი არ გამორიცხავს იმ გარემოებას, რომ მან ლექსი დედანშივე წაიკითხა ლექსიკონის დახმარებით. მ. კუჭუხიძე ორიგინალის რუსულ და ქართულ თარგმანებს ადარებს ერთმანეთს, თუმცა არ მიანიშნებს

პწკარედის პირველწყაროზე. 1992 წელს მკვლევარი ქეთევან ბურჯანაძე (შრომაში „მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხები“), საფუძვლიანად იკვლევს რა ილია ჭავჭავაძის თარგმანის „სტიროდეთ“ პირველწყაროს, აღნიშნავს, რომ 1846 წლიდან 1859 წლამდე კიდევ ორი თარგმანი არსებობდა რუსულ ენაზე: ერთი იყო 1858 წელს აღმანახ «Развлечение» მე-14 ნომერში გამოქვეყნებული დ. მინისეული თარგმანი, ხოლო მეორე – 1859 წელს ჟურნალის «Современник»-ის მე-2 ნომერში დაბეჭდილი დიმიტრი ლავრენტის ძე მიხალოვსკის თარგმანი. მკვლევარი სამივეს – ს. დუროვის, დ. მინისა და დ. მიხალოვსკის თარგმანებს ადარებს ქართულ თარგმანთან და ასკვნის, რომ ილია ჭავჭავაძის თარგმანი დ. მიხალოვსკის ტექსტიდან შესრულდა. სავარაუდოდ, იგი პეტერბურგში მყოფ ილიას ხელნაწერში უნდა ენახა (ბურჯანაძე, 1992:159-161). ჩვენ კი შევნიშნავდით, რომ მინთან (მე-9) და მიხალოვსკისთან (მე-11) ლექსის ბოლოს წინა ტაეპში მოხსენიებული ფრაზა “The wild-dove hath her nest, the fox his cave“ დედანში “The wild-dove“ თარგმნილია როგორც “голица”¹⁷, ინგლისურ-რუსული ელექტრონული ლექსიკონის მიხედვით კი ნიშნავს “dove” = «голушь»¹⁸ “dove” - ზოოლ. ტერმინოლოგიით - „მტრედი“.¹⁹ მხოლოდ ს. დუროვის თარგმანშია - «птица», რაც გვავარაუდებინებს, რომ ილიასეული თარგმანი ახლოს არის ლექსიკურად ს. დუროვის თარგმანთან: «У птицы есть гнездо, у зверя – лес густой»; ილია ჭავჭავაძესთან კი — „მელას აქვს ხვრელი და თვის ბუდე — ჩიტს“.²⁰ გარდა ამისა ილიამ გააძლიერა უბინადროდ დარჩენილი მელიისა და ჩიტის ინტონაცია. ილია ჭავჭავაძესთან „სოროს“ (“cave”) ნაცვლად ნახსენებია „ხვრელი“, რაც გამოწვეული უნდა იყოს ლექსის მხატვრული სპეციფიკით. აღნიშნული ლექსის ი. მერაბიშვილისეულ უახლეს თარგმანში კი „მტრედია“ აღდგენილი, რაც ეკვივალენტურია დედანში დასახელებული ფრინველის სახეობის აღმნიშვნელი სიტყვისა. მოგვყავს ინესა

¹⁷ მოკლე რუსულ-ქართული ლექსიკონი, შემდგ. ა. გ. ტოროტაძე, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1969, გვ:114.

¹⁸ Cambridge Dictionary, 2022)

¹⁹ (Dove¹ | Dictionary.ge, n.d.)

²⁰ საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ რომანტიკოსებს საერთოდ ჰქონიათ ფრინველის სახეობათა ლექსიკონები. იქნებ გაირკვეს ბაირონის მიერ ნაგულისხმევი ფრინველის სახეობის განმარტება, რასაც შემდგომი კვლევისას გავითვალისწინებთ.

მერაბიშვილისეული ამ ტაეპის თარგმანი: „მტრედს თუ ბუდე აქვს თავშესაფრად, სოროს ეძებს დევნილი მელა“.

ილია ჭავჭავაძის მიერ ბაირონის ლექსის „სტიროდეთ“ თარგმანს გამოუჩნდა პირველი კრიტიკოსიც თავად გიორგი ბარათოვის სახით, რომელმაც 1861 წლის 29 აპრილს ჟურ. „ცისკარში“ გამოაქვეყნა „წერილი რედაქტორთან“. აკრიტიკებს რა ილია ჭავჭავაძის პოეტურ შემოქმედებას, ეხება ილიას თარგმანებსაც, მათ შორის, „ებრაულ მელოდიებს“. როგორც გ. ბარათოვი აღნიშნავს, მისთვის გაუგებარია რა არის სატირელი, განსაკუთრებით იმ სტრიქონებში:

„სტიროდეთ... სადაცა ღმერთი იმ მტირალთ
იმყოფებოდა - იმა ალაგსა
არიან, ვისაც ღმერთი არა ჰყავთ“.

(ბაირონი, თარგმანი ილია ჭავჭავაძის, 1859:3)

გ. ბარათოვი აცხადებს, რომ მისთვის გაუგებარია ნათარგმნის ტექსტი, თანაც თვითონ მიიჩნევს თავს კარგ მცოდნედ , განსაკუთრებით ლიტერატურაში (ბარათოვი, 1861: 151,152). ამავე ჟურნალში ილია ბექდავს მკაცრ პასუხს გ. ბარათოვისადმი: მიუხედავად იმისა, რომ გ. ბარათოვმა ისწავლა გიმნაზიაში, ვერ გაიგო მასწავლებლის ნათქვამი და ამით თავისი თავიც დააკნინა. თუმცა არაფერს ამბობს გ. ბარათოვის შენიშვნის შესახებ თარგმანთან დაკავშირებით (ჭავჭავაძე, 1986:30-31). ჩვენ კი ვიტყოდით, რომ გ. ბარათოვი ნამდვილად ვერ ჩაწვდა ილიას თარგმანის „სტიროდეთ“ კონცეპტს და ისე გამოიტანა დასკვნები ბოლო სამი ტაეპის მიხედვით, მაშინ, როდესაც პირველ და ბოლო სტრიქონებში გარკვევით არის გამოხატული იმ ებრაელი ხალხის ტრაგედია, რომელიც მიმოფანტული იყო სხვადასხვა ადგილას სამშობლოსაგან მოწყვეტილად და ერთადერთი საფლავებიდა შემორჩენოდათ. დედანში ქვეტექსტურად გახსნილია ბაირონის მიერ ებრაელი ერის სულიერი მდგომარეობა „უღმერთოების“ მიწაზე:

“Weep for the harp of Judah’s broken shell;

Mourn – where their God hath dwelt the godless dwell!”

(*Poetry Lovers' Page - George Gordon Byron: Oh! Weep For Those.* (n.d.))

აღნიშნული ტაეპები მჭიდროდ უკავშირდება წინა ტაეპებს, მოგვყავს ილია ჭავჭავაძის თარგმანის ფრაგმენტი ქ. ბურჯანაძის „მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხებიდან“.

„სტიროდეთ, სადაც ღმერთი იმ მტირალთ
იმყოფებოდა, აწ იმ ალაგსა
არიან - ვისაც ღმერთი არა ჰყავთ...“

(ბურჯანაძე, 1992:161)

ამდენად მთლიანი ტექსტიდან ამოგლეჯილი სამი ტაეპის შესახებ მსჯელობა წინა და მომდევნო ტაეპებთან კავშირის გარეშე არასწორი ინტერპრეტაციაა.

„ორიოდე სიტყვა...“-ში დაწყებული „მამათა“ და „შვილთა“ წინააღმდეგობა იღებს მძაფრ ხასიათს, აქ ილიას საპირისპიროდ გამოდიან ბარბარე ჯორჯაძე, რევაზ ერისთავი და გიორგი ბარათოვი (ბარათაშვილი). ჟურ. „ცისკრის“ 1861 წლის #6-ში იბეჭდება ბაირონის ქართულ ენაზე პირველი მთარგმნელის, სარდიონ ალექსი-მესხიშვილის „უსტარი ანტიკრიტიკული“.

წერილში „უსტარი ანტიკრიტიკული“ სარდიონ ალექსი-მესხიშვილიც ზოგადად ეხება ილია ჭავჭავაძისეულ თარგმანებს და მიიჩნევს, რომ ბაირონის თარგმანი უფრო რუსულიდან უნდა იყოს შესრულებული, ნაკლები მხატვრული ოსტატობით მოსწავლისაგან. ამავე დროს უსწორებს ილიას ფრაზას „მომხიბლავ ბაირონის გენიისა“ უნდა იყოსო „ბაირონის მომხიბლავისა გენიისა“ და ა. შ. (ალექსიევი-მესხიევი, 1861:255).

მკვლევარი მ. კუჭუხიძე ერთ-ერთი პირველი შეეხო ბაირონის ქართული თარგმანების ისტორიის საკითხებს, აქვე გამოყო მან სარდიონ ალექსი-მესხიშვილის წვლილიც. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ს. ალექსი-მესხიშვილს თავისი შეხედულებები აქვს ბაირონის თარგმნასა და მის შეფასებასთან დაკავშირებით (კუჭუხიძე, 1992:37).

ილიას თარგმანში იგრძნობა მომავალი მამულიშვილის განწყობილებაც. აქ მხოლოდ ებრაელთა ტანჯვაზე არ არის ლაპარაკი, ქართველმა მკითხველმაც შეიძლება გაითავისოს იგი. ამასვე გამოკვეთს მკვლევარი და თვით მთარგმნელი გივი გაჩეჩილაძეც, რომელიც კანონზომიერად თვლიდა ილია ჭავჭავაძის მიერ აღნიშნული ლექსის არჩევას სათარგმნელად, რადგან ბაირონის ლექსი პასუხობდა ქართველ

მოღვაწეთა საერთო სულისკვეთების გაღვიძებას და ეს თარგმანიც მიზნად ისახავდა პატრიოტული განწყობილების გაღვიძებას ქართველ მკითხველში. ისიც დამახასიათებელია, რომ ასეთ მკვეთრ მიდრეკილებას პატრიოტული თემატიკისადმი ამჟღავნებდნენ სწორედ ბაირონის ლექსების პირველი მთარგმნელები, მაშინ, როდესაც უფრო მოგვიანო თარგმანებში გვხვდება უკვე ბაირონის ინტიმური ლირიკის ნიმუშებიცო (გაჩეჩილაძე,1956:3). ამაშია ბაირონის პოეზიის თავისებურებაც. ამასთანავე მოვიხმეთ ბაირონის ამ ლექსის ი. მერაბიშვილისეული თარგმანიც, რომელიც XXI საუკუნეშია შესრულებული. მკვლევარმა თარგმანში დაიცვა თავისივე თეორიული მეთოდი, უცხოელი პოეტის ლექსის დაფარული „ხატის“ სხვა ენაზე აქლერების პრინციპით.

მაგალითისათვის შევუდაროთ ერთმანეთს ბაირონის ლექსის „სტიროდეთ“ (“Oh! Weep for Those”) ბოლო სტროფის ორიგინალის მ. კუჭუხიძის მიერ მოძიებული პწკარედი, ილია ჭავჭავაძისეული და ინესა მერაბიშვილისეული თარგმანები:

“Tribes of the wandering foot and weary beast
How shall ye? thee away and be at rest
The wild-dove hath her nest, the fox his cave
Mankind their Country-Israel but the grave “.

«Народ затерянный, разбросанный судьбой,
Где ты найдешь надежное жилище?
У птицы есть гнездо, у зверя – лес густой;
Тебе ж одно осталось кладбище
Прибежищем от бурь и горести земной»

„ტომო ფეხითა-სვლით მოწყლულითა,
ტომო, გულითა დაღალულითა
ვით აფრინდები სამშვიდო ადგილს?
მელას აქვს ხვრელი და თვის ბუდე - ჩიტს.
კაცსა - სამშობლო, და ისრაილსა

არარა, გარდა თვის საფლავისა!“

(მ. კუჭუხიძის მოძიებული ილია ჭავჭავაძის თარგმანი)

(კუჭუხიძე, 1977:193)

„ტომო! ფეხითა მოწანწალითა,

ტომო! გულითა დაღალულითა,

ვით აღფრინდები სამშვიდობო ადგილს?

მელას აქვს ხვრელი და თვის ბუდე ჩიტს,

კაცსა სამშობლო და ისრაილსა,

არა რა, გარდა თვის საფლავისა!“

(თარგმანი ილიკო ჭავჭავაძისა თებერვლის 23-სა დღესა

1858 წელსა. ს. პეტერბურდი)

(ბაირონი, 1859:3)

„ტანჯულო ხალხო, ხეტიალით გადაგლიათ სულიც და ხორციც,

ბედი არ გწყალობთ, შვება არ ჩანს, სამუდამო, დღეს თქვენი მოდგმის,

მტრედს თუ ბუდე აქვს თავშესაფრად, სოროს ეძებს დევნილი მელა,

თუ კაცის რწმენა სამშობლოა, თქვენ რად გელით სამარე ყველას“.

(მერაბიშვილი, 2013:151)

ჩვენი აზრით, შესაძლოა ილიამ პწკარედიტაც ისარგებლა, იქნებ თარგმანით ან შეასრულა სულაც ლექსიკონის დახმარებითაც, თუმცა ლექსის ბაირონისეული ჟღერადობა შენარჩუნებულია, ასევეა ი. მერაბიშვილისეულ თარგმანშიც.

ილია ჭავჭავაძისა და ინესა მერაბიშვილის თარგმანები ორიგინალურია. ილია ჭავჭავაძესთან იკვეთება პოეტური, შემოქმედებითი მიდგომა ბაირონის ტექსტისადმი. ინესა მერაბიშვილის თარგმანში მოჩანს ინგლისური ენის ბრწყინვალე ცოდნა, რაც მისი პოეტური აუღერებით საოცრად უახლოვდება დედნის ტექსტს, გამოკვეთს სიტყვაში დაფარულ „ხატს“ და ასე აწვდის მკითხველს. როგორც თვით ინესა მერაბიშვილი შენიშნავს, ამ პრინციპით შესრულებული თარგმანი აღარ განიხილება როგორც დედნისადმი მიბაძვა და მიმსგავსება, არამედ, როგორც კვლევა და შემოქმედება. (ხაზი ჩვენია - თ.ს.) ამ უკანასკნელი ორი ასპექტის ერთობლივი და

ერთდროული მოქმედება ათავისუფლებს დედნის ტექსტში მოქცეულ აზრს ენის ბორკილებისაგან და ეს სულიერ სუბსტანციაში გადაჰყავს (მერაბიშვილი, 2005:321).

„გოდება ებრაელთა“ XX -XXI საუკუნეებში თარგმნეს: პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა – „მდინარე ბაბილონის პირად ვისხედით და ვტიროდით“ (ჟურ. „ცისკარი“, 1965, N4 :51) და მთარგმნელმა მაიკო ნიკოლაძემ – „ჩვენ დავსხედით და ვტიროდით ბაბილონის მდინარის პირად“ (ბაირონი, თარგმანი მაიკო ნიკოლაძის, „სიტყვა“, სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო ჟურნალი, თბილისი, 2009, #8-9, გვ. 120), მაგრამ ჩვენ გამოვყოფდით აკაკი წერეთლის (1840-1915) თარგმანს. ბაირონის ლექსი „გოდება ებრაელთა“²¹ წარმოგვისახავს ძ. წ. 586 წელს ეპიზოდს ებრაელთა გამეფებისა ისრაელიდან ბაბილონში და შესულია ძველი აღთქმის 137-ე ფსალმუნში (ებრაულ ორიგინალში –136-ე ფსალმუნში). ბაირონის ლექსში შენარჩუნებულია ფსალმუნის ძირითადი სულისკვეთება: მტრის მიერ დატყვევებულ ებრაელებს ვერ აამღერებ მოძალადეთა სადიდებლად. ამიტომ ჰკიდებენ ტირიფებზე (ძეწნებზე) ქნარს და ფიცს დებენ, მარჯვენა გაუხმეს მას, ვინც დაივიწყოს იერუსალიმი და გადატანილი უბედურება. თუმცა არ მოჩანს ფიცის მეორე მონაკვეთი: „ასულო ბაბილოვნისაო, უბადრუკო, ნეტარ არს, რომელმან მოგაგოს შენ მისაგებელი შენი, რომელ შენ მომაგე ჩვენ! ნეტარ არს რომელმან შეიპყრნეს ჩჩვლნი შენნი და შეახეთქნეს კლდესა“ (ფსალმუნი და ლოცვანი „ალილო“, 2011: 258-259), არამედ მთავრდება სტრიქონებით:

„But left me that token of thee:

And ne'er shall its soft tones be blended

With the voice of the spoiler by me! “

(By the Rivers of Babylon, We Sat down and Wept, by Lord Byron, n. d.)

აქცენტი ჯ. გ. ბაირონის ლექსში გადატანილია ებრაელების განწყობაზე, რათა მათ არ იმღერონ მტრის საამებლად. აღნიშნული ფსალმუნის მე-5 სიმღერაში გაელვებული ფრაზა სიმბოლურია, რომელიც სამარადჟამოდ შთააგონებდა ებრაელებს იერუსალიმისადმი ერთგულებაზე : „თუ მე დაგივიწყო შენ, იერუსალიმ,

²¹ (იხ. ჩვენი პუბლიკაცია: “Interpretation of one verse of Byron’s cycle of “Jewish Melodies”. International Journal of Research and Scientific Innovation (IJRSI) |Volume IX, Issue IX, September 2022. pp.46-50. | ISSN 2321-2705).

<https://www.rsisinternational.org/virtual-library/papers/interpretation-of-one-verse-of-byrons-cycle-of-jewish-melodies/>;

დაე გამიხმეს მარჯვენა“, რომელიც გაიელვებს ბაირონის „ებრაული მელოდიების“ ლექსში “By the rivers of Babylon we sat and wept”:

“May this right hand be withered for ever,
Ere it strings our high harp for the foe! “

(*By the Rivers of Babylon We Sat Down and Wept, by Lord Byron. (n.d.)*)

აკაკი წერეთლის ეპოქაში, ბაირონის ლექსის თარგმანი ფრანგულიდან თუ არა, რუსულიდან უნდა შესრულებულიყო (როგორც მკვლევარი მ. კუჭუხიძე მიგვანიშნებს) ნ. გერბელისეული თარგმანიდან, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალის «Современник» 1864 წლის N1-ში. აკაკის თარგმანებიდან კი ცნობილია „იეფი ფასის ასულიც“ (როგორც მის პირველ გამოცემაშია სახელდებული, ჟურ. „ცისკრის“ 1865 წლის #11, გვ. 4 – „ებრაული მელოდიებიდან“) და რომელიც უკვე 70-იან წლებში იოსებ ბაქრაძემაც თარგმნა.

მკვლევარ მ. კუჭუხიძის აზრით, აკაკის მიერ ნათარგმნი „ბაბილონის მდინარის პირად ვისხედით და ვსტიროდით“ (“By the rivers of Babylon we sat down and wept”), ანუ „გოდება ებრაელთა“, ქვესათაურით „ბაირონით“ დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკრის“ 1863 წლის N2-ში, შემდეგ შევიდა აკაკის თხზულებათა 1893 წლის გამოცემაში, ხოლო განახლებული ვარიანტი გამოქვეყნდა გაზ. „ივერიაში“, 1901 წლის #213-ში სავარაუდოდ, აკაკის თარგმანი ი. კოზლოვის ²² იმ რუსული ვარიანტიდან შესრულდა, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალში «Библиотека для чтения». ქ. ბურჯანაძის აზრით, ამ პერიოდისათვის არსებულა პ. კოზლოვის (ж. «Библиотека для чтения», 1859, #7), უცნობი ავტორის (ж. «Развлечение», 1861, #14), ნ. გერბელის (ж. «Современник», 1864, #1.) და პლემჩევის (ж. «Вестник Европы», 1871, #9) თარგმანები. ქ. ბურჯანაძე, ასახელებს რა რუსულ თარგმანებს, ასკვნის, რომ ა. წერეთლის

²² მკვლევარ მ. კუჭუხიძეს ჯ. გ. ბაირონის ლექსის „By the rivers of Babylon we sat down and wept“ თარგმანის პირველ წყაროდ დასახელებული ჰყავს პოეტი, მთარგმნელი ი. კოზლოვი (1779-1840) (ი.ბ. მ. კუჭუხიძე „ბაირონი და XIX საუკუნის ქართული მწერლობა“, 1992 წ. გვ.: 95); მკვლევარ ქ. ბურჯანაძეს კი მთარგმნელად დასახელებული ჰყავს პ. კოზლოვი (1863-1935) (იხ. ქ. ბურჯანაძე – „მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხები“, 1992 წ. გვ: 221-222), შესადარებლად მას მოჰყავს ლექსის რუსული თარგმანი ნ. გერბელის კრებულიდან ტ. I (“Сочинения Лорда Байрона“ т. 1, 1874 г., стр. 10-11). სავარაუდოდ, რამდენადაც მინიშნებული არ არის არცერთი ზემოდასახელებული ავტორის თარგმანი და მოყვანილია მხოლოდ ნ. გერბელის მიერ თარგმნილი ”У рек Вавилонских”, მ. კუჭუხიძეს უნდა ეგულისხმა პ. კოზლოვი, ამიტომ ვფიქრობთ, რომ გაპარულია კორექტურული შეცდომა.

თარგმანი არ არის რომელიმე ამ ლექსთაგანის ადეკვატური, უფრო თავისუფალია და გავრცობილი ბაირონის დედანთან შედარებით (ბურჯანაძე, 1992:221). მისივე აზრით: აკაკიმ საკმაოდ განავრცო ბაირონის ლექსი და მის სტრიქონებში გადმოგვცა არა მარტო საკუთარი გულისტკივილი, არამედ თავისი სამშობლოს ჩაგრული ყოფა და მოწინავე ქართველი ხალხის სანეტარო სურვილი (ბურჯანაძე, 1992:222). იგივე აზრია ჩამოყალიბებული მკვლევარ მ. კუჭუხიძის ნაშრომში („ბაირონი და XIX საუკუნის ქართული მწერლობა“-1992). მკვლევარი აქ აღნიშნავს, რომ ქართულ ლექსში შენარჩუნებულია ორიგინალის იდეურ-მხატვრული თავისთავადობა. თანაც ეს ლექსი აკაკის მეორედ უთარგმნია 1901 წელს. ამიტომ თვლის მკვლევარი, რომ ახალი ვარიანტი წარმოადგენს თავისუფალ თარგმანს, არსებითად ბაირონის ლექსის მოტივებზე შექმნილ ახალ ნაწარმოებს. ქართველმა პოეტმა იგი კიდევ უფრო განავრცო, თარგმანში შეიტანა მისი პოეზიისათვის დამახასიათებელი ხალხური სისადავე და უბრალოება. აკაკიმ მთელი აქცენტი გადაიტანა მძაფრ, ენერგიულ გამოთქმებზე, რის შედეგადაც ლექსმა პუბლიცისტური ჟღერადობა შეიძინა. ამის დასაბუთებისათვის მ. კუჭუხიძეს მოჰყავს ერთი სტროფი თარგმანიდან:

„დასწყდით სიმებო, გაქვავდი, ენავ,
მტრების მაქებარ-მადიდებლო!
წმინდა-წმინდათა ხარ, ეროვნებავ,
თვით ტყვეობაშიც ხელუხლებლო“.

(კუჭუხიძე, 1992:56)

ჩვენი აზრით, განსხვავებაა აკაკის ლექსის პირველ (1863) და საბოლოო (1901) პუბლიკაციებს შორის, კერძოდ, პირველ ვარიანტში დასაწყისიდანვე მისდევს ჯ. გ. ბაირონის დედანს და ავრცობს მის თარგმანს საკუთარი ჩანართებით. ლექსის დასასრულს მთარგმნელი ერთგვარად მოუწოდებს ებრაელ ერს შურისძიებისაკენ, ისევე მოექცნენ ბაბილონელთა შვილებს შეპყრობისას, როგორც ეპყრობოდნენ ებრაელ ერს, რითაც მიჰყვება არა ბაირონის, არამედ ფსალმუნის ტექსტს.

ჯორჯ გორდონ ბაირონის დედანის აკაკი წერეთლის პირველ ვარიანტში საუბარია პირველ პირში და გამოხატვაა ებრაელი ხალხის გულისტკივილისა ბაბილონის მდინარის პირად. აკაკის თარგმანის მეორე ვარიანტში კი ლექსი

დიალოგური ფორმისაა და დასაწყისში მთარგმნელი აღწერს ისრაელისა და იუდას გულისტკივილის მიზეზს:

„ჰოდებს ისრაილ, მოსთქვამს იუდა,
და ებრაელნი სტირიან ერთხმად,
რომ ბაბილონის, ამიერიდან,
გადაქცეულან მონებად და ყმად!“

(ბაირონი ,თარგმანი აკაკი წერეთლის, 1901:1)

მეორე ვარიანტის მომდევნო სტროფში გადმოცემულია მტრის ფარისევლური მოთხოვნა, რომ მის მსგავსად იმხიარულონ და აღავლინონ ქება ახალი ბატონისადმი, ანუ მტერი მოუწოდებს ებრაელებს, დამორჩილდნენ ბედს. მთარგმნელი აღშფოთებას გამოთქვამს, თუ როგორ შეიძლება სიონის წმინდა გალობა უძღვნას მტერს. და, თუმცა ებრაელი ერი მტრისგან დამორჩილებულია, მაგრამ ეს მხოლოდ იძულებითი ფორმით და უსულგულოდ. აი, მხოლოდ ამ შვიდი სტროფის შემდეგ თარგმანი ნაწილობრივ მისდევს დედნის კონტენტს, მაგრამ დასასრულს საშინლად გამკაცრებული ტონით მოუწოდებს აკაკი ებრაელ ერს, დასაჯონ, ყველანი, ვინც ქვეყანას ლალატობს იმგვარად, როგორც მტერი ჟლეტდა მათ უმანკო შვილებს .

საბოლოო ვარიანტში შეცვლილია მტერზე შურისძიების თემა მტრის და ერთგვარი მოწოდებაა ებრაელი ერის მიმართ, რომ ქვეყნის გამყიდველთ მოექცნენ ისევე შეუბრალებლად, როგორც მტერი ექცეოდა მათ შვილებს. აქ უკვე ერთგვარად „ჩასწორებულია“ „ფსალმუნის“ ბოლო სტრიქონში გამოთქმული აზრი.

აშკარად ქვესათაური „ბაირონით“, (რომელიც ქვესათაურად გასდევს ლექსის ორივე თარგმანს), ავტორმა ისარგებლა მხოლოდ ბაირონის დედნის სულისკვეთებით, გამოიყენა ის ქვეტექსტად და განავრცო საკუთარი ქვეყნის ბედზე ღრმა გულისტკივილის გამოხატვით.

ამდენად, როგორც მ. კუჭუხიძე და ქ. ბურჯანაძე აღნიშნავენ, აკაკი წერეთლისეული თარგმანის ორივე ვარიანტი (1863, 1901) შეუძლებელია მივაკუთვნოთ რომელიმე რუსული თარგმანიდან გადმოღებულს და მოითხოვს სიღრმისეულ შესწავლა-შედარებას დედანსა, რუსულ თარგმანებსა და აკაკისეულ ვარიანტებთან.

ებრაელთა თემას აკაკი ხშირად ეხება თავის შემოქმედებაში, რაც ერთგვარი გამოხატულებაა ქართულ-ებრაული მჭიდრო მეგობრული ურთიერთობისა. ალბათ სწორედ ამიტომ შეარჩია აკაკი წერეთელმა ბაირონის „ებრაული მელოდიებიდან“ სათარგმნელად ზემოდასახელებული ლექსები, რომლებშიც იგი ცდილობს ერთგვარი ანალოგი იპოვოს ქართველი ხალხის მდგომარეობასთან, ებრაელთა ტანჯულ ცხოვრებას რომ აგონებს. გასაგებია, რომ ეს ლექსიც შერჩეულია ზემოაღნიშნული პატრიოტული სულისკვეთების გამოსახატავად. თუმცა ლექსი ძირითადად იმეორებს დედნის შინაარსს, ის მაინც არ უნდა ჩაითვალოს დედნიდან თარგმნილად, რადგან, როგორც ცნობილია, ა. წერეთელმა ინგლისური ენა არ იცოდა. იმ დროის ტენდენციისამებრ, იგი შესრულებული უნდა იყოს რომელიმე რუსული თარგმანის მიხედვით (გაჩეჩილაძე, 1956:4.). ჩვენ კი დავუმატებდით, რომ აკაკის მიერ ბაირონის ლექსი გამოყენებულია ბიბლიის 136-ე ფსალმუნის მხატვრულად ასაქდერებლად.

ბაირონის მეორე ლექსი „იფთახის ასული“ (“Jephthah’s Daughter”) კვლავ ეძღვნება ბიბლიურ თემას და მასში გადმოცემულია ისტორია გალაადელ იფთახზე. აკაკის თარგმანებიდან ეს ლექსი თარგმანში ცნობილია „იეფი ფასის ასულის“ სახელწოდებით (ჟურ. „ცისკრის“ 1865 წლის N11, გვ. 4) . როგორც უკვე აღვნიშნეთ ამ ლექსს, 70-იან წლებში იოსებ ბაქრაძემ თარგმნის.

საინტერესოა ამ ლექსის ქართული ინტერპრეტაცია. სავარაუდოდ, მკვლევრების, მ. კუჭუხიძისა და ქ. ბურჯანაძის აზრით, აკაკის ეს ლექსი უნდა გადმოეღოს ნ. ვ. გერბელისეული რუსული თარგმანიდან, რომელიც 1864 წელს დაიბეჭდა ჟურნალში «Современник». გერბელის თარგმანში ლექსს ჰქვია «Дочь», აკაკის თარგმანში (თარგმანი შესრულდა 1864 წელს, გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“ 1865 წლის N11-ში) აწერია „იეფი ფასის ასული“. ამ ლექსის სათაურს მკვლევრები მ. კუჭუხიძე და ქ. ბურჯანაძე „იეფთახის ასულად“ მოიხსენიებენ, რაც ბაირონის დედნის ადეკვატურია, ბაირონის ლექსის სათაურიდან გამომდინარე, უნდა იყოს, “Jephthah’s Daughter”. ლექსს საფუძვლად დაედო ბიბლიური ამბავი, რომელიც მოთხრობილია „მველი აღთქმის“ მსაჯულთა წიგნში (თ. 11-12). იფთახი (იესფეი, იეფთაი, იეფი ფასი) იყო მემავი ქალის ნაშობი და, მიუხედავად კარგი ვაჟკაცობისა, გალაადის მემკვიდრე ვაჟებმა გააგდეს. იფთახი (ასეა მოხსენიებული ბიბლიის ქართულ თარგმანში (1989)) გაერიდა თავის

ძმებს და ტობის მხარეში უღირს ხალხთან ერთად დათარეშობდა, მაგრამ, როდესაც ყამონიანელებმა შეუტიეს ისრაელს და მოსთხოვეს ის მიწები, რომლებიც ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ უფალმა ხელში ჩაუგდო ებრაელებს (ამორეველთა ტერიტორიები), შეწუხებულმა უხუცესებმა მიმართეს მას, რათა მათ სათავეში ჩასდგომოდა. იფთახმა ჯერ უსაყვედურა უხუცესებს განდევნის გამო, შემდეგ შეუთვალა ყამონიანელებს, ხელი აეღოთ განზრახვაზე. მაგრამ ყამონიანთა მეფემ ყური არ ათხოვა იფთახს და საბრძოლველად წამოვიდა. იფთახმა უფალს შესთხოვა გამარჯვება და პირობა დადო, თუ გაიმარჯვებდა, პირველივე შემხვედრს შესწირავდა. გაიმარჯვა იფთახმა უფლის დახმარებით, მაგრამ პირველივე შემხვედრი აღმოჩნდა მისი ერთადერთი ასული. ძალზე დამწუხრდა იფთახი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქალიშვილს უამბო ყოველივე, იგი დასთანხმდა მამას, მხოლოდ სთხოვა, ორი თვით გაეშვა თანატოლებთან მთაში, რათა გამოეტირა თავისი ყმაწვილქალობა. მან მართლაც შეასრულა იფთახისათვის აღთქმული პირობა. ეტყობა, ეს ბიბლიური ისტორია ძალზე მიმზიდველი აღმოჩნდა პოეტებისა და კომპოზიტორთათვის (მოცარტის „იდომენეო“, შუმანის „ორატორია“). და აი ბაირონმაც უძღვნა ლექსი იფთახის ასულს.

ჩვენი ვარაუდით, აკაკიმ, რომელიც არ იცნობდა ლექსს ორიგინალში, არ მიუსადაგა მას რუსულში გამოყენებული სათაური. ქართველ მეგობარ ებრაელებში გამოიკითხა, რა ერქვა ამ ბიბლიურ პერსონაჟს და, მათ წარმოთქმაზე დაყრდნობით, დაასათაურა და უწოდა „იფი ფასის ასული“.

„ებრაული მელოდიების“ ციკლიდან კიდევ ერთ ლექსში – „She Walks in Beauty“ (განსხვავებით რომანტიკულ ლიტერატურაში დამკვიდრებული ლეიკისტების „ხატისა“ სათაყვანო ქალის წარმოსახვა ჰაეროვან, მაგრამ უსიცოცხლო, მიმქრალ მშვენიერებად), ბაირონთან ვხედავთ უმშვენიერეს ქალს, რომელიც მოდის, როგორც სილამაზის სიმბოლო. როგორც ბაირონოლოგები აღნიშნავენ, ამ ლექსის დაწერის საბაზი გახდა მისი შეხვედრა 1814 წლის 12 ივნისს ბიძაშვილის წვეულებაზე მის ვილმონტ ჰორტონთან. აქ პოეტს ქალის მშვენიერება წარმოუდგება, როგორც სიბნელესა და სინათლეს შორის ჰარმონიულობის სიმბოლო, ამიტომ ლექსში იგრძნობა ორივე სიტყვის – „სიბნელისა“ და „სინათლის“ – კონვერგენცია.

She Walks in Beauty

“She walks in beauty like the night
Of cloudless climes and starry skies;
And all that’s best of dark and bright
Meet in her aspect and her eyes;
Thus mellowed to that tender light
Which heaven to gaudy day denies.

One shade the more, one ray the less,
Had half impaired the nameless grace
Which waves in every raven tress,
Or softly lightens o’er her face;
Where thoughts serenely sweet express,
How pure, how dear their dwelling-place.

And on that cheek, and o’er that brow,
So soft, so calm, yet eloquent,
The smiles that win, the tints that glow,
But tell of days in goodness spent,
A mind at peace with all below,
A heart whose love is innocent!”

<https://www.poetryfoundation.org/poems/43844/she-walks-in-beauty>

ქალის სრულყოფილება გამოკრთის ლექსის პირველი სტროფის მესამე ტაეპში, სადაც გამოხატულია არა მხოლოდ ქალის ფიზიკური სილამაზე, არამედ პიროვნული სრულყოფილებაც. ლექსის თითოეული სტროფი ექვს ტაეპიანია და შენარჩუნებულია შემდეგი რითმები: ababab, cdcdcd,ef,ef,ef. სალექსო მეტრი იამბურ-ტეტრამეტრულია. სიტყვა “Night” ერთიმება სიტყვას “Light”, ქალის სილამაზე აღიქმება კანისა და თმების მშვენიერებით. ქალის მშვენიერების წარმოჩენისას შეინიშნება „სინათლისა“ და „სიბნელის“ შეპირისპირებაც. “And all that’s best of dark and bright“. პოეტი მხატვრული ხერხებით ცდილობს გამოხატოს „სიბნელისა“ და „სინათლის“ როგორც ერთიანობა, ისე დაპირისპირებაც, რითაც ხაზს უსვამს ქალის სილამაზეს. ლექსში გვხვდება ალიტერაციაც მეორე სტროფის მეხუთე ტაეპში “serenely sweet” /s /. ყოველივე ეს ცხადყოფს პოეტის განუმეორებელ ოსტატობას. საინტერესოა, როგორ უნდა გადმოიტანოს მთარგმნელმა, რომ არ დაიკარგოს ორიგინალის ფორმა და შინაარსი. აღნიშნული ლექსის ორ თარგმანს გამოვყოფდით. პირველი ეკუთვნის ახალგაზრდა მთარგმნელს, გივი გაჩეჩილაძეს („ის მიდის“), მეორე კი XXI საუკუნეში მკვლევართარგმანთმცოდნეს ინესა მერაბიშვილს („მოდის ლამაზი, როგორც ხატება“). გივი გაჩეჩილაძის პირველი თარგმანი შესრულდა 1936 წელს (ჟურ. „მნათობი“,1936 , #7:5), მეორედ უცვლელად შევიდა 1937 წელს უცხოელი და რუსი პოეტების თარგმანების კრებულში, ხოლო გ. გაჩეჩილაძის გარდაცვალების შემდგომ, 1981 წელს, „რჩეული თარგმანების“ გამოცემაშიც. ლექსის შემოკლებული ვარიანტი შევიდა მ. ე. ელიზაროვას, ს. პ. გიჟდეუს, ბ. ი. კოლესნიკოვის, ნ. პ. მიხალსკაიას „XIX საუკუნის საზღვარგარეთის ისტორიის ქართულ თარგმანშიც“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გ. გაჩეჩილაძისთვის დამახასიათებელი იყო დროდადრო სხვადასხვა ვარიანტის შექმნა, მაგრამ, ამ ლექსის შემთხვევაში, მის მიერ შესრულებული თარგმანი უცვლელია. მოგვყავს გივი გაჩეჩილაძის 1936 წლის ლექსის თარგმანი:

ის მიდის

„ის მიდის სავსე თავის შვენებით

როგორც უღრუბლო ზეცათა ღამე

და ჰკრთის თვალებში ნაზი ჩვენებით

მუქი, ჩრდილები და სითამამე.
მათ შეხვედრაში არ იხსენება
დღის სინათლეთა უხვი კაშკაში.

ბევრს დაჰკარგავდა სინაზე მთელი
გიშრისფერ თმათა დელვის წინაშე,
რომ დაემუქოს იმ ჩრდილებს ფერი,
რომ ჩამოაკლდეს სხივებს სინაზე,
იქ სადაც ფიქრი ჩუმი და ნელი
თავის წმინდა ბინაზე
მოგვითხრობს,

სახე, რომელსაც ვერ ჰპოვებთ მწუხარს.
ლოყები მწველი, ღიმილი წყნარი,
უხმოდ მეტყველებს, თუ რარიგ უყვარს
მას უდარდელი დღეების დარი,
გული, რომელსაც ქვეყანა უყვარს
გული, რომელიც უმანკო არის“.

(ბაირონი, თარგმანი გ.გაჩეჩილაძის, ჟურ. „მნათობი“, #7: 117-118

გივი გაჩეჩილაძის თარგმანით ქართველი მკითხველის წინაშე წარმოსდგა პოეტის თვალთ დანახული მშვენიერი ქალი, რომელიც თითქოს მიდის და თან მიაქვს ეს სილამაზე, თუმცა სრულიად მოხსნილია დედანში ღამის სიბნელისა და დღის სინათლის, როგორც ტოლფასი, ისე შეპირისპირებითი ხატება. ყურადღება გადატანილია ასულის თვალებზე, რომელშიც კრთება შუქი, ჩრდილები და სითამამე, რაც ერთგვარად უპირისპირდება დედანს. ამავდროულად გიშრისფერ თმათა

ღელვაში უნდა დაკარგულიყო ქალის სინაზე და რატომღაც ჩრდილები გამუქებულიყო, ხოლო სხივები გაფერმკრთალებულიყო. სახე, რომელიც ნაზია, ამავდროულად თამამიც, უღრუბლოა და უეცრად „ლოყები მწველი, ღიმილი წყნარი“, რაც მეტყველებს, თითქოს უხმოდ როგორ უყვარს მას ქვეყანა და ქალის უმანკო გული, „უდარდელი დღეების დარი“.

ამდენად, გ. გაჩეჩილაძის თარგმანში შეინიშნება დაშორება დედანთან, რომელშიც სწორედ „სიბნელისა“ და „სინათლის“ მონაცვლეობით და ხანდახან დაპირისპირებით იქმნება ჰარმონია და ძლიერდება ესთეტიზმი. თუმცა მთარგმნელმა სცადა, ფორმის თვალსაზრისით, დაჰყრდნობოდა ექვსტაეპიან სალექსო სტრიქონს, რომელიც მხოლოდ პირველ სტროფში შეინარჩუნა, ხოლო მეორე და მესამე სტროფი გააერთიანა.

2002 წელს მთარგმნელი ინესა მერაბიშვილი ქმნის დედნის ეკვივალენტურ თარგმანს „მოდის ლამაზი, როგორც ხატება“. მოგვყავს მოცემული ლექსის ინესა მერაბიშვილისეული თარგმანი:

მოდის ლამაზი, როგორც ხატება

„მოდის ლამაზი, როგორც ხატება,

ვითარცა ღამე ვარსკვლავთა სხივში,

წყვდიადის ეშხი და ელვარება

ერთად ჩაღვრილა მის თვალთა ჩრდილში.

თან ახლავს მშვიდი შუქი და კდემა,

რომ გვენატრება მზის გულზე დღისით.

მშვენება მისი, ენით უთქმელი,

მთლად გაქრებოდა, როგორც ზმანება,

ერთი სხივიც რომ მომატებოდა,

ან დაკლებოდა ნატივ სახეხას.

სად მხოლოდ წმინდა აზრი თუ ბუდობს,

არის სიკეთე და ნეტარება.

თმა გიშრისფერი უელავს ურცხვად,

და მაინც დაკრთის, როგორც ფერია,

სათნო ღიმილი უმაღ მოგნუსხავს,

მისი წარსული შუქის მფენია.

გულით სიკეთეს ავედრებს უფალს,

ის სიყვარულშიც უცოდველია“.

(ბაირონი ქართულად, 2002:52, 53)

ინესა მერაბიშვილის თარგმანში პოეტისაკენ მომავალი ლამაზი ასული შედარებულია ვარსკვლავიან ღამესთან, რაც სიმბოლურად წარმოგვიდგენს სინათლისა და სიბნელის კონვერგენციას. აქ სიბნელე წყვილიადის სილამაზედ, და ამავდროულად, ელვარებად წარმოგვიდგება თვალთა ჩრდილში, რომელსაც თან ახლავს ისეთი „მშვიდი შუქი“, კამკაშა მზის გულზე რომ ენატრება ადამიანს. მთარგმნელი ცდილობს გამოკვეთოს ავტორის აზრი, რომ ასულის მშვენება იმდენად ჰარმონიულია, არ ითხოვს მეტ სინათლეს, რადგან ამ ნატივ ხატებაში „წმინდა აზრი თუ ბუდობს“. გიშრისფერი თმების ურცხვი რხევის მიუხედავად, ასულს ფერიის იერი ადევს, წმინდა გულით სიკეთეს აფრქვევს, თუმც სიყვარულში გამოუცდელი უნდა იყოს.

ამდენად, XXI საუკუნის ქართველმა მთარგმნელმა შეძლო ღრმად ჩასწვდომოდა დედნის ავტორის იდუმალ ჩანაფიქრს. რაც შეეხება სალექსო ფორმას, მიჰყვება დედანს, გამოყენებულია მოსაზღვრე ქალური რითმები - „სხივში“ და „ჩრდილში“ (პირველ სტროფში).

XX საუკუნიდან ჯ. გ. ბაირონისადმი ინტერესი კიდევ უფრო ძლიერდება. ამას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ უკვე ჩნდებიან ადამიანები, რომლებიც ინგლისური ენის ცოდნის წყალობით არამცთუ დედანში კითხულობენ ბაირონის თხზულებებს, არამედ მასზე შექმნილ მკვლევართა ნაშრომებს. ერთი მათგანია დავით ონიაშვილი, რომლის შესახებაც გვექონდა საუბარი დისერტაციის წინა ნაწილში. აქ კი გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ონიაშვილის, როგორც მთარგმნელის მიერ, თავის გამოკვლევაში, „ბაირონიზმი და მსოფლიო მწუხარება“ ჩართულ ნაწყვეტებზე (“The Prayer of Nature“ და “Fill The Goblet Again“)²³, რომლის თარგმანებსაც სთავაზობს ავტორი მკითხველს იმის მინიშნებით, რომ მანამდე არსებული ბაირონის თარგმანები სუსტია (ხაზი ჩვენია – თ. ს.), ამიტომ თვითონ გადაწყვიტა მათი თარგმნა. მთარგმნელს მნიშვნელოვნად მიაჩნია ხარისხიანი თარგმანი თანაც დედნიდან, მაგრამ მხარს უჭერს თავისუფალ თარგმანსაც. სწორედ ამ პრინციპებით თარგმნის იგი „ბუნების ლოცვანის“ ნაწყვეტს, რამდენადაც ეს ნაწყვეტი მხოლოდ ბაირონის განწყობის გადმოსაცემად სჭირდება. პოეტი გატაცებით შესტრფის ბუნების სიმშვენიერეს და თითქოს ცდილობს, დაისვენოს მშობლიურ კალთებზეც.

„შენი ტაძარი დღის შუქი არის,

შენი ტახტია ზღვა და ხმელეთი“.

(ონიაშვილი, 1913:11)

ბუნებრივია, მოცემული ნაწყვეტი არ იძლევა საშუალებას, ზუსტად გაირკვეს მთარგმნელის ღირსება-ნაკლოვანებანი, უბრალოდ საჭიროა ვაჩვენოთ, რამდენად ცდილობს XX საუკუნის მთარგმნელი, ჩასწვდეს ბაირონის პოეტურ სამყაროს:

დედანში დავით ონიაშვილის მიერ თარგმნილი ფრაზა ასე ჟღერს:

“Thy temple is the face of the day

Earth, ocean, heaven, the boundless throne“.

(*The Prayer Of Nature - Poem de George Gordon Lord Byron.* (n. d.).)

²³ (იხ. ჩვენი პუბლიკაცია: „სუფრული ლექს-სიმღერები ლიტერატურასა (ბაირონი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და მუსიკაში (ბეთჰოვენი, ვერდი). VII საერთაშორისო სამეცნიერო (დისტანციური) კონფერენცია „ენა და კულტურა“ - შრომები- 2022 , ქუთაისი, საქართველო. გვ.294-300. E- ISSN 27 20-7900).

https://www.researchgate.net/publication/359163982_Supral_poems_in_Literature_Byron_Al_Chavchavadze_and_in_Music_Metkhoveni_Verdi;

პირველი ტაეპი მისდევს თარგმანში ორიგინალს, მაგრამ მეორე ტაეპის ფრაზით “Earth, ocean, heaven, thy boundless throne“, რომელშიც ბაირონი ყურადღებას ამახვილებს სამყაროზე ღმერთის მთელი საბრძანებლის ჩამოთვლით (დედამიწა, ოკეანე, ზეცა), დ. ონიაშვილი მხატვრულად აერთიანებს ზღვასა და ხმელეთს, ღვთის საბრძანებელი ტახტის გამომხატველი სიტყვებით.

მეორე ლექსში „კაროლინას“ (“To Caroline”) ავტორი ზუსტად გადმოსცემს ლექსის შინაარსს, რასაც პოეტურ ფორმაში ათავსებს.

“Yet, still, this fond bosom regret, while adoring,
That love, like the leaf, must fall into the sear;
That age will come on, when remembrance, deploring “.

(Byron, 1837b)

„მიყვარს და თანაც ვიტანჯი სულით,
რომ სიყვარული უეცრად ჭკნება.
წლები მირბიან და ერთად ვსტირით,
რომ სიყმაწვილე აღარ ბრუნდება“.

(ონიაშვილი, 1913:11)

აშკარაა, ავტორი საკმაოდ თავისუფლად მიუდგა დედანს, რათა ზუსტად გადმოეცა აზრობრივ-შინაარსობრივი კონცეპტი. სწორედ ამაშია თავისუფალი თარგმანის სპეციფიკაც, რაც მეორე ლექსის ნაწყვეტ-თარგმანშიც გამოვლინდა, ესაა რომანტიკოსი პოეტის, ალექსანდრე ჭავჭავაძის ცნობილი ლექსის „მუხამბაზი ლათაიური“ მიბაძვით შესრულებული თარგმანი. ბაირონის ეპოქაში შოტლანდიურმა სიმღერებმა, განსაკუთრებით სუფრულმა სიმღერებმა, ორი გენიოსის ყურადღება მიიპყრო, ესენია: ინგლისელი პოეტი ბაირონი და გერმანელი კომპოზიტორი ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი (1770-1827). ბეთჰოვენს ეკუთვნის რამდენიმე მუსიკალური ნაწარმოები სუფრული სიმღერების მოტივზე, თუმცა იგი ბაირონის ტექსტებზეც ქმნიდა თავის შედევრებს. ლექსი “Fill The Goblet Again“ შოტლანდიური „სუფრული სიმღერების“ გავლენით უნდა იყოს თარგმნილი რუსულ ენაზეც. ვ. ზოტოვს ამ ლექსის სათაური ასე უთარგმნია - «Застольная песня».

ამ პერიოდისათვის ძალზე პოპულარული ყოფილა ე. წ. ბაკხური სიმღერები. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი „მუხამბაზი ლათაიური“ („ლოთური სიმღერა“), მკვლევართა აზრით, 1815-1822 წლებში უნდა იყოს შექმნილი, თუმცა ერთი ნაწყვეტი - „ღვინო თვისებას არ ცვალებს“ - 1832 წლის 22 მარტს შეთქმულების მონაწილე ბერ ფილადელფოს კიკნაძისადმი გაგზავნილ წერილშიც ჩაურთავს:

„ღვინო თვისებას არ ჰსცვალებს,
არამედ უმატებს ძალებს,
კეთილ თვისებათ მქონემან
ჯერ-არს სვას, კეთილს უმრავლებს“.

(ა. ჭავჭავაძე, 1940:111)

„მუხამბაზი ლათაიური“ სხვადასხვა მკვლევრის მიერ განსხვავებულად იშიფრება: ზოგის აზრით, ის ალევგორიული ლექსია, მოწოდებაა 1832 წლის შეთქმულებისაკენ. ზოგის აზრით, სარკაზმია იმათ მიმართ, რომელთაც არად მიაჩნდათ შეთქმულება და გართობა-მხიარულებაში ატარებდნენ დროს. თუ გავითვალისწინებთ ზემოთ მოხმობილ თარიღს (1815-1822), ის უფრო ადრე უნდა იყოს შექმნილი გერმანელი კომპოზიტორის, ბეთჰოვენის „მოტლანდიური სიმღერების“, „ბაკხური სიმღერების“ გავლენით, იქნებ ბაირონის „სუფრული სიმღერისაც“ (ასე ვთარგმნეთ მისი ლექსის სათაური – თ. ს.), მით უფრო, რომ უფრო ადრე მკვლევარ მაყვალა კუჭუხიძის დისერტაციასა და შრომებში წარმოდგენილია თვალსაზრისი ალ. ჭავჭავაძის ლექსის, „გოგჩას“ ბაირონთან პარალელებისა. მაგრამ ამჯერად აღვნიშნავდით, რომ ზემოდასახელებული ლექსის ძირითადი ლაიტმოტივი ბაირონთან ღვინის თვისებაზე მიანიშნებს: ღვინის მეშვეობით სამყარო სხვაგვარად აღიქმება, მარტო ღვინით სავსე ბოკალში (თასში) არაა სიცრუის ნატამალი, სიყვარულიც შეიძლება გაქრეს სიზმარივით, მეგობრებიც არ არიან მარადიულად ერთგულნი, მხოლოდ ღვინოში შეიძლება ვიპოვოთ სიმართლე (აქ ბაირონი ეხმაურება ცნობილ ლათინურ ანდაზას *in vino veritas* – ღვინოშია ჭეშმარიტება). ამიტომ დავით ონიაშვილიც, რომლისთვისაც ცნობილი იქნებოდა ალ. ჭავჭავაძის ლექსი (მისი კრებული XIX საუკუნის 80-იან წლებში დაიბეჭდა), თარგმნის ალ. ჭავჭავაძის ერთგვარი მიბაძვით ბაირონის ლექსის ნაწყვეტს:

„ავამსოთ ისევ ღვინის ჭიქები!
მივეცეთ შვებას და სიხარულსა!
შევსვათ! ვინ არ სვამს?.. ცხოვრება ცრუა;
ღვინო სჯობს ყველა კარგ მეგობარსა“.

(ონიაშვილი, 1913:12)

აღნიშნული სტრიქონი არაა ბაირონის ლირიკულ ლექსში „ბუნების ლოცვა“, მაგრამ არის სხვა ლექსში სათაურით: “Fill The Goblet Again”. გთავაზობთ პირველ სტროფს დედნიდან:

“Fill the goblet again! For I never

Felt the glow which now gladdens my heart to its core;

Let us drink! - who would not? -since, through life’s varied round,

In the goblet alone no deception is found.”

<https://www.poemhunter.com/poem/fill-the-goblet-again-a-song/>

ზემოდასახელებულ ნაწყვეტთან ალუზიურია ალექსანდრე ჭავჭავაძის (1786-1846) ლექსი „მუხამბაზი ლათაიური“:

„მაშ, მოდით, ისევ ღვინითა

დრო გავატაროთ ღვინითა,

ქეიფი მაინც მოგვივა,

გოგრიტა ვსვათ თუ ჩინითა!“

(ა. ჭავჭავაძე, 1986:125)

სავარაუდოდ, დავით ონიაშვილმა თარგმნა ნაწყვეტი ბაირონის „სუფრული სიმღერიდან“ (რუსული თარგმანი შესულია ნ. გერბელის მიერ შედგენილი ლორდ ბაირონის პირველი კრებულის მეოთხე განყოფილებაში).

გასაგებია, რომ აქაც მთარგმნელი მიმართავს თავისუფალი თარგმანის პრინციპს და მხოლოდ დედნისეულ შინაარსობრივ მხარეზე ამახვილებს ყურადღებას.

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან ქართულ მთარგმნელობით სივრცეში წარმოჩნდა ნიჭიერი, ახალგაზრდა, თარგმანთმცოდნე-თეორეტიკოსი და მთარგმნელი გივი გაჩეჩილაძე. შევეცდებით გავანალიზოთ გივი გაჩეჩილაძის მთარგმნელობითი საქმიანობაც.

გივი გაჩეჩილაძე თავის ფუნდამენტურ ნაშრომში („მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი“) ყურადღებას ამახვილებს თარგმანის მეთოდოლოგიურ პრობლემებზე; გამოკვეთს იმ ფაქტსაც, რომ სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოები ფორმისა და შინაარსის ერთიანობის პრინციპზეა დამყარებული, რის შედეგადაც იქმნება მისი თარგმანი მშობლიურ ენაზე. რამდენადაც გ. გაჩეჩილაძის აზრით, საუკეთესო თარგმანი გარკვეული პირობით ცვლილებას შეიცავს დედანთან შედარებით. ამ ცვლილებების სიდიდეზე, მის ზომაზე არის დამოკიდებული თარგმანის სიზუსტე. ფორმისა და შინაარსის ერთიანობის შემთხვევაში ცვლილებების მინიმუმი იძლევა ე. წ. „ადეკვატურ თარგმანს“, ხოლო მაქსიმუმი – მიზაძვას, უფრო მეტ ცვლილებას, რასაც მივყავართ უკეთეს შემთხვევაში ლიტერატურულ გავლენამდე, ხოლო უარეს შემთხვევაში – ეპიგონობამდე (გაჩეჩილაძე, 1966 :143).

ამდენად გივი გაჩეჩილაძე ერთგვარად აყალიბებს თარგმანის რამდენიმე სახეობას, ესენია: ადეკვატური, მიზაძვა, ლიტერატურული გავლენა, ეპიგონობა. მთარგმნელი, როგორ იცავს ან ავითარებს ამას ბაირონის ლექსების ქართულ ენაზე თარგმნისას, ამის შესანიშნავ მაგალითს იძლევა თარგმანთმცოდნე, მკვლევარი და მთარგმნელი ინესა მერაბიშვილი ერთი თარგმანის შესახებ საუბრისას. ლექსი (იგულისხმება ბაირონის ლექსი “Farewell! If Ever Fondest Prayer“) ინგლისურ ლირიკაში საკმაოდ გავრცელებული ოთხტერფიანი იამბით არის დაწერილი. რითმათა დახვეწილი სისტემა ავლენს ავტორის ჭეშმარიტ ოსტატობასო, სხარტსა და მსუბუქს ხდის შინაარსის გამომხატველ ფორმასო. ბაირონთან რითმა ის ნიჩაბია, რომელიც მსუბუქად და საიმედოდ მიაქანებს პოეტური შემართებით დამუხტულ დრმა შინაარსსო (ხაზი ავტორისაა - ი. მ.) და რაოდენ საამაყოა, როდესაც ლექსის ზემოაღნიშნული პარამეტრები წარმატებითაა რეალიზებული ქართულ თარგმანშიო:

„მშვიდობით! თუკი მხურვალე ლოცვა,
ლოცვა სხვათათვის, მიაღწევს ღრუბლებს,
არ დააბრკოლებს ცის გარემოცვა
და ჩემი ლოცვაც ცას დაიუფლებს“.

.....

თარგმანი შესრულებულია ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მთარგმნელის, შემდგომში თარგმანის თვალსაჩინო პრაქტიკოსისა და თეორეტიკოსის, პროფ. გ. გაჩეჩილაძის მიერ. –აღნიშნავს ქალბატონი ინესა მერაბიშვილი (მერაბიშვილი, 2005:174-175).

გ. გაჩეჩილაძემ ამ ლექსის თარგმნისას, ინგლისური ოთხტერფიანი იამბი ქართულში ათმარცვლიანი საზომით (5+5) გადმოიღო და ტექსტის ორიგინალში აქცენტირებული ინგლისური ბგერა [f] ჩაანაცვლა ქართულ თარგმანში [ც] და [ს] ბგერებით, რითაც მიაღწია, ლექსში დამშვიდობების ცნებასთან სემანტიკურად უშუალო კავშირისათვის საყრდენად აერჩია ახალი ერთეული. ასეთი არჩევანის შემდეგ მთარგმნელი ბგერით პოტენციას ანაწილებს ცალკეულ სიტყვებზე და კვლავ აღწევს დრამატიზმით სავსე ექსპრესიულობასო –აღნიშნავს ქალბატონი ინესა მერაბიშვილი (მერაბიშვილი, 2005:176).

ამდენად გივი გაჩეჩილაძის თეორიულმა პრინციპმა ფორმისა და შინაარსის სიზუსტის, ადეკვატურობის მისაღწევად პოეტურ თარგმანში (რაც გულისხმობდა ენისა და ლექსთწყობის, მეტრის დაცვის, ალიტერაციის, რითმის, რიტმის, ინტონაციის და პოეტური სინტაქსის შენარჩუნებით ლექსის შინაარსობრივი სტრუქტურის შესატყვისობაში საკმაოდ მიახლოებას თარგმანის მაღალ ხარისხოვნებასთან) თავისი როლი შეასრულა XX საუკუნის 30-იანი წლების ინგლისურიდან მთარგმნელობით საქმიანობაში.

XX საუკუნის 30-იანი წლების თარგმანებიდან კი ვცადეთ საანალიზოდ შეგვეჩივროს გივი გაჩეჩილაძის თარგმნილი ბაირონის ცნობილი ლექსი „დღეს შემისრულდა ოცდათექვსმეტი წელი“ (“On This Day I Complete My Thirty-Sixth Year“– January 22nd, Missolonghi)²⁴, რომელიც შევიდა მთარგმნელის მიერ 1938 წელს

²⁴ (იხ. ჩვენი პუბლიკაცია: „ბერძნული სამყარო და ბაირონი“. რეფერირებადი ჟურნალი. „ქართველური

გამოცემულ კრებულში. ეს ლექსი საკმაოდ პოპულარული გახდა ქართულ მთარგმნელობით სივრცეში. იგი თარგმნეს გ. ნიშნიანიძემ, თ. ერისთავმა, გ. კვიციანიძემ, ინესა მერაბიშვილმა, ერთობლივად ნინო სამურსაკოვმა და გიორგი ხულორდავამ. აქედან შევარჩიეთ რამდენიმე თარგმანი (სხვადასხვა დროს შესრულებული გივი გაჩეჩილაძის, თამარ ერისთავის, გ. კვიციანიძისა, გ. ნიშნიანიძისა და ი. მერაბიშვილის მიერ).

ბაირონის ამ ლექსის რუსული თარგმანი შეასრულა ნ. გერბელმა 1874 წელს და შევიდა ინგლისელი პოეტის რუსული თარგმანების პირველ ტომში. თარგმანს ქვემოთ ახლავს შენიშვნა, სავარაუდოდ, ორიგინალის ქვემოთ მინაწერიდან: «Сегодня утром, 22-го января 1824 года лордъ Байронъ вышелъ изъ своей спальни въ комнату, где былъ полковникъ Стангопъ и ещё несколько приятелей и весело сказалъ: „Вы все укоряете меня, что я не пишу стиховъ. Нынче день моего рождения – и я только что кончилъ вотъ эту вещь, которая мнѣ кажется лучше обыкновенного“. И онъ показаль имъ эти торжественные и трогательные стихи». Графъ Гамба (Гербель, т. I, 1874:47). ზუსტად იგივე ტექსტი მოყვანილია გივი გაჩეჩილაძის მიერ გამოცემული კრებულის შენიშვნებშიც: „ბაირონის ეს უკანასკნელი ლექსი დაიწერა საბერძნეთში, მისსოლონგს, 1824 წლის 22 იანვარს. ბაირონის იმ დროის თანამგზავრი გრაფი გამბა ამის შესახებ სწერს: „ამ დილას ლორდი ბაირონი გამოვიდა მისი საწოლი ოთახიდან. ოთახში, სადაც პოლკოვნიკი სტენჰოპი და რამდენიმე მეგობარი იმყოფებოდა და სთქვა ღიმილით – „თქვენ დღეს ჩიოდით, რომ მე ლექსებს უკვე აღარ ვწერ. დღეს ჩემი დაბადების დღეა და მე ეს-ეს არის დავამთავრე ლექსი, რომელიც, ვფიქრობ, იმაზე უკეთესია, რასაც ჩვეულებრივ ვწერ!“ შემდეგ მან ამოიღო ეს ლექსი“ (გაჩეჩილაძე, 1938:85). – ასე წარმოადგენს ლექსის დაბადების ფაქტს გივი გაჩეჩილაძეც.

დედანი:

“A Narrative of Lord Byron’s Last Journey to Greece” (1825). There is given a source text: Lord Byron came from his bedroom into the apartment where Colonel Stanhope and some friends were assembled, and said, with a smile, “You were complaining, the other day, that I

never write any poetry now: – this is my birthday, and I have just finished something, which, I think, is better than what I usually write.” He then produced those noble and affecting verses on his own birthday, which were afterwards found written in his journal, with only the following introduction:—*January 22; on this day I complete my thirty-sixth year.* <https://lordbyron.org/monograph.php?doc=PiGamba.1825&select=Ch.3> p:125

დედანზე დაყრდნობით, სავარაუდოდ, გამზას მოგონებისათვის ნ. გერბელმა და გ. გაჩეჩილაძემ ისარგებლეს ერთი და იმავე დედნით.

მოგვყავს ბაირონის ზემოდასახელებული ლექსის ინგლისური დედანი:

On This Day I Complete My Thirty-Sixth Year

'Tis time this heart should be unmoved,

Since others it hath ceased to move:

Yet though I cannot be beloved,

Still let me love!

My days are in the yellow leaf;

The flowers and fruits of Love are gone;

The worm—the canker, and the grief

Are mine alone!

The fire that on my bosom preys

Is lone as some Volcanic Isle;

No torch is kindled at its blaze

A funeral pile.

The hope, the fear, the jealous care,
The exalted portion of the pain
And power of Love I cannot share,
But wear the chain.

But 'tis not *thus*—and 'tis not *here*
Such thoughts should shake my Soul, nor *now*,
Where Glory decks the hero's bier,
Or binds his brow.

The Sword, the Banner, and the Field,
Glory and Greece around us see!
The Spartan borne upon his shield
Was not more free.

Awake (not Greece—she is awake!)
Awake, my Spirit! Think through *whom*
Thy life-blood tracks its parent lake
And then strike home!

Tread those reviving passions down
Unworthy Manhood—unto thee
Indifferent should the smile or frown
Of beauty be.

If thou regret'st thy Youth, *why live?*

The land of honourable Death

Is here: up to the Field, and give

Away thy breath!

Seek out—less often sought than found—

A Soldier's Grave, for thee the best;

Then look around, and choose thy Ground,

And take thy rest.

(ლორდ ბაირონი, 2013:234)

მიუხედავად იმისა, რომ აღიარებული მთარგმნელის ნახელავია, რუსულ თარგმანში არის მცდელობა, გადმოიცეს პოეტის სულისკვეთება, რომ სიმწიფის ასაკში შესულს, თითქოს გული ჭაბუკურად აღარ უცემს, მაგრამ წადილი მაინც კლავს - ახალი სიყვარულისა. ესღა კი დარჩენია - მსგავსად სპარტელებისა - ხელი შეუწყოს ელადის გამარჯვებას და მერე განისვენოს. თარგმანში შესამჩნევია დარღვევები, როგორც შინაარსობრივი, ისე სტილისტური თვალსაზრისით.

მოგვყავს პირველი სტროფი აღნიშნული თარგმანიდან:

«О, сердце! Замолчи! пора забыть страданья,

Уже любви ни въ ком тебе не возбудить;

Но если возбуждать её не въ состояньи

Все жь я хочу ещё любить!

(Гербель, Н. В .1874:47)

მთარგმნელსა და თეორეტიკოს გივი გაჩეჩილაძეს, სავარაუდოდ, ახასიათებდა ხელმეორედ გამოცემულ თარგმანებში გარკვეული ცვლილებების შეტანა. რისი ნიმუშიცაა მოგვიანებით, 1942 წელს, მის მიერ მომზადებულ „ინგლისელი პოეტების“ კრებულში შეტანილი ზემოდასახელებული ლექსის სხვა ვარიანტი.

შევუდაროთ I გამოცემისა (1937-1938) და მეორე გამოცემის (1942) ტექსტის განსხვავებული სტროფები.

I ვარიანტში

I სტრ. „დრო, გულისათვის ბინდის მფარავი“. (1938)

II ვარიანტში

„დრო, კაცთა გულის ბინდით მზარავი“. (1942)

I ვარიანტში

„დგება, მომავლის ბინდში ფარული“. (1938)

II ვარიანტში

„მოუახლოვდა ჩემს გულს ფარული“. (1942)

I ვარიანტში

„არ შემიყვარებს თუმცა მე არვინ - (1938)

მსურს სიყვარული!“

II ვარიანტში

„არ შემიყვარებს თუმცა არვინ - (1942)

მსურს სიყვარული!“

I ვარიანტში

II სტრ. „ჩემი დღეები, ყვითელ ფოთლებად (1938)

ჩამოცვენილნი, სწრაფად გარბოდნენ“.

II ვარიანტში (1942)

„დღეები ჩემი ყვითელ ფოთლებად
დაცვივდნენ, ტრფობის ყვავილიც გაჰქრა“.

I ვარიანტში

„ჭრილობა, მატლი და შეშფოთება (1938)

შემრჩნენ მარტოდენ“.

II ვარიანტში

„ო, არა, მატლი და შეშფოთება (1942)

სულს მიღრღნის მკაცრად!“

III სტროფი უცვლელია

IV სტრ.

I ვარიანტში

„შიში და ტრფობა, ზრუნვა, იმედი“. (1938)

II ვარიანტში

„იმედიც, მარტო ზრუნვა კი არა“. (1942)

I ვარიანტში

„ტანჯვის მაღალი ხვედრის სირთულით (1938)
არსად შემომხვდნენ, თუმც სიმძიმეთი
მყვეს დატვირთული.

II ვარიანტში

„შიში და ტრფობის წამებაც წმინდა, (1942)
მე არ შემემლო გამეზიარა,
მათ ჯაჭვს კი ვზიდავ“.

I ვარიანტში

„აქ ყოფნა ჩემს სულს კვლავ ავაჟკაცებს“. (1938)

II ვარიანტში

„აქ მმართვეს სული მტკიცე და მრთელი“. (1942)

I ვარიანტში

„და მკვდრის საკაცე“. (1938)

II ვარიანტში

„ან სარეცელი“. (1942)

VI სტროფი უცვლელია ორივე ვარიანტში

VII სტრ.

I ვარიანტში

„სულის ნაკადო, შეიცნე: მარად (1938)
შენი მშობელი ტბა სად ღელავდა“.

II ვარიანტში

„აღსდექი, სულო, შეიცნე: მარად (1942)

შენი მშობელი ტბა რომ ღელავდა“.

VIII სტრ. აქ თითქმის შეცვლილია:

I ვარიანტში

„ახლა დრო არის, მშვენიერების
მზერას აჩვენო თავდანებება
და მიგატოვონ ყველა ფერების
შენმა ვნებებმა“.

(1938)

II ვარიანტში

„უღირსი ხორცი აწ შენს ხსენების
უნდა ისმენდეს მდუმარე სახლთა
გულგრილად სჭვრეტდეს ქვეყნის შვენებას,
ვნებათა ძახილს“.

(1942)

IX სტრ.

I ვარიანტში

„თუ გენანება კვლავ სიჭაბუკე -
პატოსანი სიკვდილის მხარე
მოგელოდება: ომში დაბუგე
სიცოცხლე მწარე!“

(1938)

II ვარიანტში

„თუ გენანება კვლავ სიჭაბუკე
პატოსანი სიკვდილის მხარე
აქ გელოდება: ომში დაბუგე
სიცოცხლე ბარემ!“

(1942)

X სტრ.

I ვარიანტში

„ნახე ადგილი - პოვნა ადგილი,
არ არის მისი და არც ჩვენება,
მიმოიხედე, ნახე ადგილი
და განსვენება!“

(1938)

II ვარიანტში

„გმირის საფლავი, პოვნა ადვილი

(1942)

არასდროს არი და არც ჩვენება,

მიმოიხედე, ნახე ადგილი

და განსვენება!“

(ბაირონი , თარგმანი გივი გაჩეჩილაძის, 1938:64, 65)

(ბაირონი , თარგმანი გივი გაჩეჩილაძის, 1942:37-39)

მეორე ვარიანტში მთარგმნელმა უკვე, შინაარსობრივად და მხატვრულად სრულყო თარგმანი დედანთან მიმართებით, ამიტომაც მიიჩნევა იგი მხატვრული თვალსაზრისით სრულყოფილების ნიმუშად, ზუსტი პოეტური განცდითა და მხატვრული ხერხებით ოსტატურად შესრულებულ თარგმანად.

მომდევნო სტროფშიც იგრძნობა დარღვევა: წარსულში განცდილი, ჭიასავით ხრავს პოეტის მგრძნობიარე სულს. ამის ნაცვლად კი მთარგმნელი სახელდებით ჩამოთვლის სულიერი მარტოობის მიზეზებს:

„ჭრილობა, მატლი და შეშფოთება

შემრჩნენ მარტოდენ!“

(გაჩეჩილაძე, 1938:64)

მსგავსი დარღვევები და არაზუსტი პოეტური გარდასახვები ორიგინალის ტექსტის გადმოცემისას სხვა სტროფებშიც შეინიშნება. მთარგმნელს უცდია შეენელებინა სახელდებითი წინადადებებით ორიგინალის დინამიზმი და აი აქ, სრულიად უეცრად, ჩნდება პოეტის სურვილი: „ამაყად ვდგევარ!“ ამდენად, მიუხედავად, მთარგმნელის ოსტატობისა, ლექსი ადეკვატურის ნაცვლად უფრო თავისუფალი თარგმანისაკენ იხრება და ასევე სრულდება . შესაბამისად, დაკარგულია წარსულის ცოცხლად წარმოსახვა და აწმყოს განცდა.

მოგვყავს თამარ ერისთავის თარგმანი „დღეს შემისრულდა ოცდათექვსმეტი წელი“, რომელსაც სათაურის ქვემოთ წამძღვარებული აქვს: „მისოლონგი, 22 იანვარი, 1824“.

დღეს შემისრულდა ოცდათექვსმეტი წელი

„დრო არის, გულო, დაიცხოვრე ვნება,
თუ სხვის გულს ვეღარ გაუჩენ დარდებს!
არვის ვუყვარვარ?- მომეცი ნება,
რომ მე მიყვარდეს.

გულმკერდს უშრეტი ცეცხლი მიდაღავს -
გულის ვულკანი არ არის მცხრალი,
მაგრამ ვერ ვანთებ ვერვის ჩირაღდანს
ამ ცეცხლის ალით.

ტკბილი იმედი, სიმწარე აზრთა,
შიში და ეჭვი ვერავის ვანდე,
და სიყვარულის უსიტყვო განცდა
ბორკილად მადევს.

მაგრამ ამ ფიქრებს აქ რისთვის ვამხელ,
სადაც ბრძოლების გუგუნში ახლა
დიდება მოსავს გმირების სახელს,
ან გმირთა საფლავს.

ჰა, ხმალი, დროშა და ბრძოლის ველი,
აქ საბერძნეთის დიდება ელავს,
ვერ დაიტევდა გმირი სპარტელიც
უმეტეს ღელვას.

აღსდექი, სულო! როგორც ერთთავად
მთელი ელადა აღსდგა და იბრძვის,

აღსდექ! ძარღვებში გიდულს ძველთაგან
მეომრის სისხლი.

ნულარ აჰყვები ვნებათა თამაშს,
კმარა ნაღველი და სიმძიმეილი,
ნუ შეგაშფოთებს დღეიდან... ლამაზ
თვალთა ღიმილი.

თუ სიჭაბუკე წარსულს გადაჰყვა,
აწ სიცოცხლისგან რაღას მოელი!
თავგანწირვისთვის რახან მზადა ხარ! -
დასთმე ყოველი!

შენ მხოლოდ გმირის საფლავი გინდა.
შენ სხვა დიდება უკვე აღარ გსურს;
მაშ, გაიბრძოლე ერთი და... მშვიდად
შეხვდი დასასრულს“.

(ბაირონი, თამარ ერისთავის თარგმანი, 1974:17,18)

თამარ ერისთავის თარგმანი პოეტურად გამართულია. შესრულებულია 10-მარცვლიანი სალექსო ფორმით, რეფრენი არ მისდევს, განსაკუთრებით საყურადღებოა თარგმანის ორი სტროფი, რომელთაგანაც ერთში მოჩანს რომანტიკული ნოსტალგია საბერძნეთის წარსული დიდების გამო, ხოლო მეორეში კი საბრძოლო განწყობილება მეტობს, შესაბამისად შემართებაც. სრულიად არ თვალსაჩინოვდება ბოლო სტროფში დედანში წარმოდგენილი ავტორის სურვილი, ამას მეორე პირის საშუალებით გადმოსცემს. ამით ნაწილობრივ შორდება დედანს და, პოეტად გარდასახული, მთარგმნელის განწყობილებას უფრო გამოხატავს:

„შენ მხოლოდ გმირის საფლავი გინდა,
შენ სხვა დიდება უკვე აღარ გსურს;

მაშ, გაიბრძოლე ერთი და ... მშვიდად
შეხვდი დასასრულს“.

(ბაირონი ,თარგმანი თამარ ერისთავის, 1974:18)

გურამ კვიციანი XX საუკუნის 70-იან წლებში თარგმნა „დღეს შემისრულდა
ოცდათექვსმეტი წელი“ (გაზ. „გამარჯვება“, 1972, N30). მოგვყავს მისეული თარგმანი:

დღეს შემისრულდა ოცდათექვსმეტი წელი

„ჟამთასიავის კვალი ფარული

მამრწუნებს კაცთა გულგამბზარავი

თუმც არ ვუყვარვარ ქვეყნად არავის -

მწამს სიყვარული.

ჩემს დღეებს ყვითელ ფოთლებად დაყრილს,

ტრფობის ყვავილიც დააჭკნა ბოლოს;

წუხილი, წყლული და ურვის მატლი

კვლავ მე მღრღნის მხოლოდ.

გულში გიზგიზებს ვულკანის ცეცხლი

და ვემსგავსები განწირულ ხმელეთს,

სამგლოვიარო კოცონის ღველფი

დარჩება მერე.

იმედი, შიში, ეჭვის იარა,

მძლე სიყვარული ვისმესთვის არსად

მე არ შემემლო გამეზიარა

ბორკილის ფასად.

შორს ამ ფიქრებით დაირკინება

მშფოთვარე სული, როდესაც ირგვლივ

გმირთა სავანე ითხოვს დიდებას

და დაფნის გვირგვინს.

გაშლილი დროშა და ბრძოლის ველი,

საბერძნეთი და ბასრი მახვილი...

ფართან შეზრდილი, დღეს სპარტანელი

დგას თავდახრილი.
აღსდექი, სულო, ბერძენ არწივებს
შენც მიბაძე და გაექეც სირცხვილს!
და ომში მშობელ ტბას დააწვიმე
ეგ შენი სისხლი.
ავხორცი ვნება თუ შენში ღვივის,
შეუბრალებლად გათელო უნდა,
გულგრილად შეხვდე ჭმუნვას და ღიმილს -
შვენების თუნდა.
თუ გენანება ეგ სიყმაწვილე -
სახელოვანი სიკვდილის ველი
აქ გულის: ისევ ომში გასწირე
სიცოცხლე შენი!
მეომრის საფლავს არა აქვს კიდე,
ვინც დაცემულა მამაცის დარად;
ექებე, ვიდრე არ დაიმკვიდრებ
სიმშვიდეს მარად“.

(ბაირონი, თარგმანი გურამ კვიციანი, 1972:3)

მოცემულ ნიმუში არ არის დაყოფილი სტროფებად ფორმის მიხედვით, სხვადასხვამარცვლიანი ლექსითაა თარგმნილი, რომელშიც დომინირებს ათ და თერთმეტმარცვლიანი სალექსო სტრიქონი; გამოყენებული აქვს მაჯამური, ქალური და ვაჟური რითმები. რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, მთარგმნელი ეცადა გამოეკვეთა ბაირონის ლექსის მთავარი აზრი: მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობაში სიყვარულს ვერ დაემორჩილა ერთარსებით, რამდენადაც მიისწრაფოდა თავისუფლებისა და დიდებისაკენ, სწამდა სიყვარულისა, სურდა ლეგენდარული სპარტელების მსგავსად ებრძოლა საბერძნეთის თავისუფლებისათვის, იმ ქვეყნისათვის, რომელსაც დავიწყებია წარსული დიდება. პოეტი მოუწოდებს, გაექცეს ბერძენი ერი სირცხვილს, თავი გასწიროს, ხოლო თვითონ

კი უსურვებს საკუთარ თავს, დაიმკვიდროს სამარე იმ მეომრის მსგავსად, ბრძოლის ველზე გმირულად რომ დაეცა. მხოლოდ მაშინ ჰპოვებს იგი მარადიულ სიმშვიდეს.

მთარგმნელმა შეძლო დედნის ძირითადი კონცეპტის გადმოცემა, XX საუკუნის დასასრულისათვის ის მხატვრულად საკმაოდ მაღალ დონეზეა შესრულებული.

„ინგლისური და ამერიკული პოეზიის მცირე ანთოლოგია“, რომელიც ინგლისურიდან თარგმნა და 1985 წელს გამოსცა გიორგი ნიშნიანიძემ, შესულია ჯორჯ გორდონ ბაირონის რამდენიმე ლექსის თარგმანი. მათ შორის საინტერესოა შემოადნიშნული ლექსის ”On This Day I Complete My Thirty-Sixth Year“ თარგმანი. აქ სამტაეპიანი სალექსო ზომითაა გადმოცემული ბაირონის ლექსის ინტერპრეტაცია, რაც მიღწეულია თითოეული სამტაეპიანი სტროფის ქვემოთ მოყვანილი განსხვავებული რეფრენისებური ფრაზები. სწორედ აღნიშნული რეფრენისებური ფრაზების მეშვეობით ცდილობს მთარგმნელი, გახსნას წინამორბედი სტროფის ქვეტექსტი. მაგალითისათვის მოგვყავს პირველი სტროფი:

„დე, გული დუმდეს - წყნარად და ავიც,
რა სხვის გულს მისი ხმა ვეღარ ერწყმის,
არვის ვუყვარვარ და ჩემს გულს მაინც,
სწვავს ტრფობის ცეცხლი!“

(თარგმანი გიორგი ნიშნიანიძის)

(ბაირონი, თარგმანი გიორგი ნიშნიანიძის, 1985:101)

აღნიშნული სტროფის ბოლო ტაეპის ერთგვარი გაგრძელებაა რეფრენული ფრაზა: „სწვავს ტრფობის ცეცხლი!“ აზრობრივად თარგმანის მიხედვით, დედნის ავტორის მიზანია, დაიწყნაროს გული, რადგან ვეღარ გრძნობს თანახმიანობას გულისწორთან და, მიუხედავად უსიყვარულობისა, მის გულს მაინც სწვავს ტრფობის ცეცხლი. ბაირონის დედანში იგრძნობა მიტოვებული, უსიყვარულოდ დარჩენილი პოეტის მოლოდინის გრძნობა, რაც მთარგმნელთან არის გამოხატული სიყვარულით აგიზგიზებული გულის, იმედის ამსახველი ფრაზით.

როგორც მკვლევარი ინესა მერაბიშვილი აღნიშნავს, რეალურადაც იდგა ბაირონი საბერძნეთში მეომართა რიგებში, თუმცა არ ყოფილა მისი მტრების მიმართ უსამართლო და ბევრი თურქიც უხსნია ბერძენთა ტყვეობისგან.

XXI საუკუნეში ლექსი „დღეს შემისრულდა ოცდათექვსმეტი წელი“ კიდევ ერთხელ ითარგმნა ინესა მერაბიშვილის მიერ. მისთვის ჩვეული პროფესიონალური პრინციპის გათვალისწინებით, არამეტო შინაარსობრივ-კონცეპტუალურად გააანალიზა, არამედ წარმოაჩინა „ლინგვისტური ხატი“ გენიალური ინგლისელი პოეტის, მტკივნეული განცდისა და შთამბეჭდავად გამოხატა. მკითხველი გრძნობს ორიგინალის სუნთქვას და პოეტურ ფერადოვნებას:

დღეს შემისრულდა ოცდათექვსმეტი წელი
„დრო დადგა, გულმა შეწყვიტოს ძგერა,
რამეთუ მისი აღარვის სჯერა,
დე, ნულარავინ ნუ შემიყვარებს,
მე მსურს მიყვარდეს!

ო, ფოთოლცვენას ჩემში ვგრძნობ ახლა,
დამჭკნარა ყველა ყვავილი ვნების,
გულს ჭია მიჭამს, ნალველი მდაღავს,
სხვა არა მესმის!

ცეცხლი, რომელიც მკერდში მინთია,
მარტოა, ვითარც მწველი ვულკანი,
სხვის ჩირაღდანი ვერ ამინთია,
ბედი, მუხთალი!

იმედი, შიში, სინანული,
გაუსადლისი მწარე ტკივილი,
დაუხარჯავი ზღვა სიყვარულის,
სულის კივილი!

თუმცაღა, ახლა ვინ უსმენს მგოსანს,
სხვა დრო მოსულა, აქ სხვას მოველით,

საგმირო საქმეს დიდება მოსავს
ცხოველმყოფელი!

ხმალი, დროშები და ბრძოლის ველი,
დღეს საბერძნეთის სახელი გვიხმობს,
ვერ ინატრებდა ძველი სპარტელიც
უკეთეს ჯილდოს!

აღსდექი! (თორემ თავად ელადა),
უკვე აღმდგარი, მიზნითვის იბრძვის!
აღსდექი, სულო, ვხედავ ღელავს და
გიყივის სისხლი!

ფეხით გათელე ურჩი ვნებანი,
რადგან გადარჩა ბედად ღირსება,
თუმც სიყვარულით, მარად ნეტარით,
გული ივსება!

შენ - სიჭაბუკე არ გახარებდა,
გულს ნუ დაიწყვეტ ამ სიმძიმით
და თუ სიკვდილში ხედავ ხარებას,
შეხვდი ღიმილით!

მებრძოლს აქ ელის წმინდა სამარე,
ნურც გაიხსენებ წარსულს-გარდასულს,
თვალი შეავლე ამ არემარეს,
დახვდი აღსასრულს!

(ლორდ ბაირონი, თარგმანი ინესა მერაბიშვილის, 2018:235-
237).

სწორედ საბრძოლო სიმღერად გაისმის ინესა მერაბიშვილის ამ თარგმანში ცხოვრებით დაღლილი, ნაადრევად დაბერებული პოეტის განცდა...

გივი გაჩეჩილაძესთან გაბუნდოვნებულია ორიგინალის ტექსტის შინაარსი: დგება დრო, გულისთვის ბინდის მფარავი. მთარგმნელი შეეცადა, პოეტურად მიესადაგებინა დროის ფაქტორი გულის ჭრილობის გადასაფარად, რაც ასევე ბუნდოვანს ხდის მომავალსაც; პოეტმა თუმც იცის, რომ არავინ შეიყვარებს, მაინც არ უქარწყლდება სურვილი სიყვარულისა.

კონტექსტი თითქოს იმავეზე მიაწინებს ქართულ თარგმანში მკითხველს, მაგრამ ფაქტია, რომ მთარგმნელი გადმოსცემს პოეტის აზრს - გული იმიტომ უნდა გაჩერდეს, რომ არც არავინ შეიყვარებს, ადარც ამგერდება გული ჭაბუკურად, თუმცა სურვილი მაინც რჩება სიყვარულისა. აქ დროს, დაუნდობლად წარმავალს, ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომაც მთარგმნელს, აზრის მხოლოდ შინაარსობრივი შესატყვისობის ნაცვლად პოეტური გაბუნდოვანებით გადმოუცია.

როგორც ჯორჯ გორდონ ბაირონის ბიოგრაფიიდან ვიცით, 1803 წლის ზაფხულში მომავალი რომანტიკოსი პოეტი არდადეგების დროს ხშირად სტუმრობდა ენსლი ჰოლს და აქ შეუყვარდა მომხიბლავი მერი ენ ჩავორსი. ბაირონი ოცნებობდა მერიზე. მერიც

უსიტყვოდ ხვდებოდა ყველაფერს, მაგრამ ამ ორ ოჯახს შორის არაკეთილგანწყობილების გამო, მერი ჩავორსმა ამჯობინა დიდგვაროვანი წარმომობის მემამულეს, ჯეკ მასტერსს, რომელზედაც იქორწინა კიდევაც 1805 წელს (მერაბიშვილი, 2002:99-100). აღნიშნული ეპიზოდი წარმოჩინდა ბაირონის ლექსში „მშვიდობით“ (“Farewell! If Ever Fondest Prayer”).

მკვლევარმა ინესა მერაბიშვილმა ყურადღება გაამახვილა ლექსის ჟღერადობასა და აზრის ურთიერთობაზე, რაც ავლენს ავტორის ჭეშმარიტ ოსტატობას და სხარტსა და მსუბუქს ხდის შინაარსის გამომხატველ ფორმას. მკვლევარი აანალიზებს გივი გაჩეჩილაძის მიერ თარგმნილ ლექსს, რომელშიც ამორჩეულია დედნისათვის დამახასიათებელი ბგერათა განმეორება და საყრდენად ისეთი ფრაზაა გამოყენებული, რომელიც უშუალოდ უკავშირდება დამშვიდობების ცნებას. მთარგმნელი, ბგერით პოტენციას ანაწილებს რა ცალკეულ სიტყვებზე, კვლავ აღწევს დრამატიზმით აღსავსე

ექსპრესიულობას (მერაბიშვილი, 2005:174-176). მკვლევარი აქვე მსჯელობს ბაირონის ცნობილი ლექსის “Fragment, written shortly after the Marriage of Miss Chaworth” (ნაწყვეტი, დაწერილია ძალიან მალე მის მერი ენ ჩავორსის გათხოვებიდან) შესახებ, რომელიც ლექსის პირველი სიტყვების მიხედვით მოიხსენიება მეორე სათაურით “Hills of Annesley“. საყურადღებოა ამ ლექსის გიორგი ნიშნიანიძისეული ქართული თარგმანის ანალიზი, რომელიც წარმოადგინა მკვლევარმა ი. მერაბიშვილმა, როდესაც იგი დაინტერესდა საკითხით, თუ როგორ შეძლეს მთარგმნელებმა შინაარსის უფაქიზესი ფენის შენარჩუნება ქართულ ენაზე ამეტყველებისას (მერაბიშვილი, 2005:260). მთარგმნელი ყურადღებას ამახვილებს კონტრასტულ სიტყვებზე „ენსლი“ და „მერი“ და მიიჩნევს, რომ თარგმანში გადმოცემულია მხოლოდ ენსლის სილამაზე და სუსხიანი ქარები, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, უყურადღებოდ რჩება მერისადმი დამოკიდებულების გამოხატვა. და, ამ მხრივ, ქართველი მკითხველისათვის გაუგებარია, რამ გამოიწვია პოეტის იმედეგაცრუება.

როგორც იხედავს მერაბიშვილი აღნიშნავს, არსებული ქართული თარგმანით თითქოს მოჩანს პოეტი როგორ განერიდება მთას, რაც მოასწავებს მერისადმი სიყვარულის დასასრულს. ამის საპირისპიროდ მკვლევარს მოჰყავს „ენსლი და მერის“ წარმატებული თარგმანი შესრულებული რუსი პოეტის ალექსანდრე ბლოკის მიერ.

მოგვყავს გ. ნიშნიანიძისეული თარგმანი ლექსისა უსათაუროდ:

„ანსლის მთაო, ცივო და ბერწო,
ჩემი ბავშვობა შენ გებარება,
ო, მთაო, მთაო, შენს ლამაზ მკერდზე
რა სუსხიანი ქრიან ქარები!

მე ვეღარ გნახავ და ნუღარ მელი,
ნაცნობ ადგილებს ვერ ვესაუბრო,
აწ შენს თავს, მთაო, ღიმილი მერის
ვერ მომაჩვენებს ცათა საუფლოდ“.

(ბაირონი, თარგმანი გ. ნიშნიანიძის, 1985:100)

ჩვენი აზრით, სავსებით მართალია მკვლევარი ინესა მერაბიშვილი ზემოაღნიშნულის შეფასებისას. მიუხედავად იმისა, რომ ქართული თარგმანი საკმაოდ გამართულია მხატვრულად, დაკარგულია დედნისეული ქვეტექსტი. მოგვყავს დედანი:

“Hills of Annesley, Bleak and Barren,
Where my thoughtless Childhood stray'd,
How the northern Tempests, warring,
Howl above thy tufted Shade!
Now no more, the Hours beguiling,
Former favourite Haunts I see;
Now no more my Mary smiling,
Makes ye seem a Heaven to Me “.

(მერაბიშვილი, 2005 :177)

სამაგიეროდ, ეს კარგად წარმოჩინდა თვით მკვლევრის მიერ შესრულებულ თარგმანში. მოგვყავს მისეული თარგმანი:

ნაწყვეტი, დაწერილი ძალიან მალე მის ჩავორსის ქორწინების შემდეგ
„ენსლის სერებო, დგახართ ცივნი, მიუკარებნი,
აქ გაიქროლა უზრუნველმა ჩემმა ბავშვობამ,
გოდებენ ღამით ჩრდილოეთის მძაფრი ქარები
და არვის ძალუმს ამ მწუხარე მოთქმის ჩახშობა!

იმ ნეტარ დღეებს რად ეწერათ გადაშენება
როს ბედნიერი არ ვითვლიდი წუთებს აროდეს:
მერის ღიმილი, ცისიერი მისი მშვენიება
ველარასოდეს მომაჩვენებს თქვენს თავს სამოთხედ“.

(მერაბიშვილი, 2005 :178)

როგორც ცნობილია, ამა თუ იმ ლირიკული ლექსის თარგმნისას აუცილებელად გასათვალისწინებელია შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაცია. თუმცა როგორც

მკვლევარი ი. ადამია აღნიშნავს, შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაცია თანამიმდევრული სიზუსტით იშვიათად გადმოიცემა (ადამია, 2012:102).

ინესა მერაბიშვილმა ლექსის “Hills of Annesley”-ის თარგმნისას სათანადოდ გაითვალისწინა შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაცია. ბაირონის საოჯახო მამულში Nottingham Hampshire-ში ენსლის პატარა ბორცვები იწოდება სხვადასხვა სახელწოდებით, რომელთაგან არცერთს არ ერქვა ენსლი. თუ მას მთად მიიჩნევდნენ, დაიკარგებოდა მნიშვნელობა ინგლისში მდებარე მთებისა და არასწორი აღმოჩნდება ინტერპრეტაცია. რეალურად ცნობილია, რომ ბაირონი და მისი საყვარელი ქალი მერი ჩავორსი ხშირად სეირნობდნენ ამ მაღალ ბორცვებზე და ტკბებოდნენ მშვენიერი ხედებით. ამიტომ მცდარია ზოგიერთი მთარგმნელის მიერ მოხსენიებული “Hills of Annesley”-ის თარგმნა „ენსლის მთად“ ან „ენსლის გორაკებად“, არამედ ეკვივალენტურია ინესა მერაბიშვილისეული თარგმანი „ენსლის სერები“ (Merabishvili, 2022:26-27).

მკვლევრის მახვილი თვალი შენიშნავს, რომ დედანში სათაურია “Hills of Annesley“, ქართულად - „ენსლის სერები“. დედანში შეინიშნება ალიტერაცია “Hills of Annesley” (z) ისევე, როგორც ქართულში. ინესა მერაბიშვილისეული თარგმანის პირველ სტროფში დედნის შინაარსობრივ-ფაქტობრივ სიზუსტესთან ერთად იგრძნობა ის მწუხარება და სევდა, რაც აღნიშნულ ადგილებზე სეირნობიდან შემორჩენია პოეტს, სატროფოთი იმედგაცრუებულს, ხოლო მეორე სტროფი უკვე სევდაა იმ წარსულ დროზე, როცა ბედნიერი, შეყვარებული პოეტი არ ითვლიდა წუთებს და სამარადისოდ ვეღარ იგრძნობს თავს იმ სამოთხეში, რასაც მერისთან ყოფნისას განიცდიდა. თუ გ. ნიშნიანიძის თარგმანში სათაური მოხსნილია, ი. მერაბიშვილთან გამოყენებულია არა ის შემოკლებული სათაური, რომელიც შემდგომად მიეცა ამ ლექსს, არამედ ავტორისეული, ვრცელი სათაური „ნაწყვეტი, დაწერილი ძალიან მაღე მის ჩავორსის ქორწინების შემდეგ“. თუ გ. ნიშნიანიძემ “Hills of Annesley” თარგმნა როგორც „ანესლის მთა“, ინესა მერაბიშვილმა მოუძებნა შესანიშნავი ქართული თარგმანი „ენსლის სერები“, ხოლო მერის მშვენიერების დასახასიათებლად გამოიყენა XIX საუკუნის პოეტურ ლექსიკაში არსებული სიტყვა „ცისიერი“, რითაც მისცა ამაღლებული შესატყვისობა პოეტის მიერ განცდილ უფაქიზეს ღვთიურ გრძნობას.

სხვადასხვა საუკუნეში (XIX საუკუნიდან მოყოლებული) ხშირია ერთი და იმავე ლექსის პოეტური თუ პროზაული ტექსტის თარგმანები. ეს ეხება ჯ. გ. ბაირონის შემოქმედებასაც. საანალიზოდ შეირჩა ბაირონის ერთი ლექსის “Sun of the Sleepless!” რამდენიმე (ი. ბაქრადის, ი. მერაბიშვილის, ო. ცისკაძისა და დონა კოლხის - დ. გაბუნიას) თარგმანი.

იოსებ ბაქრადემ ლექსს „ძილ-გამკრთალთ მზევ“ (“Sun Of the Sleepless”) ახალი სიმბოლო გამოუმეხა თარგმანში: „სევდიანი ვარსკვლავი“, რომლითაც აშკარავდება სიმბოლოს მნიშვნელობა, რომ ის არის ჩავლილი ღამის, როგორც განვლილი წარსულის გამოხატულება და ნელ-ნელა ცივდება. სოლომონ ყუბანეიშვილის მიერ მომზადებულ ი. ბაქრადის ორიგინალური და თარგმნილი ლექსების კრებულში (რომელშიც გამოუქვეყნებელი და ხელნაწერის სახით არსებულებაც შევიდა – თ. ს.) (გამოვიდა 1938 წელს), ბაირონის ლექსს თარგმანში ჰქვია „ძილ-გამკრთალთ მზევ“ (ბაირონისა) და ეს სათაური ერთადერთია აღნიშნული ლექსის ქართულად თარგმნისას, სხვა დანარჩენებში, ქალბატონ ინესა მერაბიშვილის თარგმანით დაწყებული (2002), სათაური „უძინართა მზედ“ მოიხსენიება.

„უძინართა მზე“, როგორც შესიტყვება, ძალზე პოპულარული გახდა 1992 წლის შემდგომ, როცა გამოვიდა ამავე სახელწოდების მხატვრული ფილმი თემურ ბაბლუანის რეჟისურით.

„უძინართა მზევ“ ინესა მერაბიშვილის მიერ მოძიებული შესიტყვებაა ბაირონის ლექსის თარგმანის სათაურისათვის (2002 წლის გამოცემაში: „ბაირონი ქართულად“), მაგრამ იგი მეორდება სალომე ციხისელის (2006), ოთარ ცისკაძისა (2015) და დონა კოლხის (დავით გაბუნიას) თარგმანებშიც (2017). ლექსი დედანში საკმაოდ შთამბეჭდავია, შინაარსობრივად წარმოადგენს უძილობისაგან დატანჯული ადამიანის შემეცნებაში, ფიქრში გაელვებული წარსულის გახსენებას, რომელიც დომინირებს თავად ღამის (აღარგათენებული ღამის) ზმანებებში, მაგრამ დღის გახსენებისაგან მკრთალად და ცივად. შინაარსობრივ-კონცეპტუალურად წარსული განცდის განყენების ერთგვარი განსაზღვრაა მხატვრული ხერხებით, მაგრამ ხატი მაინც განცდაა - წარსული - უძილობის ჟამს გაცოცხლებული, მაგრამ ცივი. ასეთია,

ჩვენი ხედვით, ინგლისურ ენაზე ორიგინალი ქვეტექსტი, რომელიც ავტორს ათმარცვლიანი იამბით აქვს გადმოცემული:

Sun of the Sleepless!

“Sun of the sleepless! Malancholy star!
Whose tearful beam glows tremulously far,
That show-st the darkness thou canst net dispel,
How like art thou to joy remember d well!
So gleams the past, the light of other days,
Which shines, but warms not with its pourless rays,
A nighth-beam Sorrow watcheth to behold,
Distinet, but distant-chelar-but, oh how cold! “

(Lord Byron, 2013:160)

აღნიშნული ლექსის რუსული თარგმანი, რომელიც ა. ფეტსა და ივ. კოზლოვს ეკუთვნით («О, солнце глазъ безсонныхъ» – «Безсонное солнце, въ туманъ луна»), 1874 წლამდეა შესრულებული.

ფაქტობრივად, ი. ბაქრაძის თარგმანი თითქმის უახლოვდება ორიგინალს და მხატვრულადაც დამაკმაყოფილებელია:

ძილ-გამკრთალთ მზევ

(ბაირონისა)

„ძილ-გამკრთალთ მზევ, სევდიანო ვარსკვლავო,
შორით ღრუბლით მარად ჭმუნვით მბჟუტავო!
თანამგზავრად და გუშაგად სდევ ღამეს,
ახ, ვით ჰგევხარ განვლილ დღეთა სიამეს!
ესრედ ჩვენცა წარსული დრო გვინათებს,
მაგრამ სითბო აღარა აქვსთ მის სხივებს,
წარსულისა ვარსკვლავსა ვჭვრეტ ხშირადა,
ვჭვრეტ, მაგრამ შორს.. ბრწყინავს... მაგრამ ცივადა“.

(ბაირონი, თარგმანი ი. ბაქრაძის, 1868: 1).

და თუმცა არაა გამოკვეთილი ორიგინალში გახსენება საამური თუ უსიამოვნო წარსულისა, მთარგმნელი სწორედ საამურზე აკეთებს აქცენტს და ამიტომაც, როგორც სასურველს, მტკივნეულად აღიქვამს, რამდენადაც იგი მხოლოდ მოგონებაშია, ცივია და შორეული, არაა ახლო და მათბობელი.

XX საუკუნის ბოლოს, 1982 წლის ჟურნალ „პირველი სხივის“ #16-ში თამარ ვეფხვაძემ გამოაქვეყნა ბაირონის ზემოაღნიშნული ლექსის თარგმანი სათაურით „მზეო უძილოთა“. თარგმანში შეინიშნება ერთგვარი შეუსაბამობა დედანთან მიმართებით და აზრობრივადაც. როდესაც „სევდის ვარსკვლავი“-„უძილოთა მზე“ თითქოს ცრემლმორეულია და ღამე ბნელდება გარდასული დარდების მსგავსად, აქვე დაასკვნის მთარგმნელი, რომ სწორედ სევდიანი ვარსკვლავით ნათდებიან გარდასული სიამენი. ლექსი მხატვრულად გაუმართავია.

მზეო უძილოთა!

„მზეო უძილოთა, სევდის ვარსკვლავს გიხმობ!

რა ცრემლიან ქმნილხარ! რარიგ დადაისობ;

შენი სიახლოვით მთლად დაბნელდა ღამე,

ო, მოჰგავხარ რარიგ ჩემს გარდასულ დარდებს!..

შენებრ ციაგებენ წარსულთ სიამენი.

მე რომ ბევრი ვპეზნე და ვერ მივაგენი.

ისევ მიმოიძვრის მოგონების სხივი -

კვლავ ჩანს, მაგრამ... შორით! წმინდა, მაგრამ... ცივი...“

(ბაირონი, თარგმანი თამარ ვეფხვაძის,

1982:117)

სალომე ციხისელის თარგმანში კვლავ მეორდება „უძინართა მზესთან“ „სევდის ვარსკვლავის“ გაიგივება, მაგრამ კონტექსტში მოცემული სიმბოლიკა წყვილიადის გამნათებლის ფუნქციითაა წარმოდგენილი და შორდება დედანს, რამდენადაც ავტორი გამოხატავს სატრფოს წარსულში.

უძინართა მზევ!

„მზევ უძინართა! ვარსკვლავო სევდის,

შორეთს კიაფობს ეგ სხივი ცრემლის,

წყვდიადს ანათებს, გაჰფანტა ბნელი,
მე მას მაგონებს მსგავსება შენი“.

(ბაირონი, თარგმანი სალომე ციხისელის, 2006:28)

ოთარ ცისკაძის თარგმანში მიჩქმალულია, თუ რატომაა მელანქოლიის
გამომხატველი ვარსკვლავი გათანაბრებული უძინართა მზესთან.

„უძინართა მზევ და ვარსკვლავო მელანქოლიის!
ცრემლიან სხივით შორიდან ხარ გამოკრთომილი!
იმ წყვდიადს აჩენ, რის გაფანტვის არ შეგწევს ღონე
და ტკბილსახსოვარ წარსულის დღეთ ასე გვაგონებ.
ასე ციმციმებს გარდასული დღეთა ნათელი,
ანათებს, მაგრამ ვეღარ გვათბობს, უძალო სხივით,
შენს დანახვაზე გვეუფლება ყველას ნაღველი,
სადაც მკაფიო ხარო, რა შორი და თანაც ცივი!“
სადაც მკაფიო ხარო, რა შორი და თანაც ცივი!“

(ბაირონი, თარგმანი ო. ცისკაძის, 2015:6)

მთარგმნელი ერთგვარად ადარებს უძინართა მზესა და გარდასულ ტკბილ
მოგონებებს, რომელიც რატომღაც წყვდიადს ხსნის, რის გაფანტვაც არ შეუძლია.
მსგავსება გარდასულ დღეთა ნათელთან შედარებით გაფერმკრთალებულია და
რატომღაც იწვევს ნაღველს, თუმცა მკაფიოა, მაინც ცივია და შორი.

სხვა დატვირთვას იძლევა დონა კოლხის (დავით გაბუნიას) მიერ თარგმნილი
„უძინართა მზეო!“

„მზევ უძინართა! და მწუხარე ვარსკვლავო ცაზე,

ციმციმებს სხივი ცრემლიანი

მუდამყამ შენი!

და, როგორც ღამე უიმედო, სიბნელით სავსე,

შორს მიქანაობს ტკივილებით, ოხვრით და ქშენით!..

მაგრამ ვერ გვათბობს ის უღონო,

ფერმკრთალი სხივი.

ო, ის ვარსკვლავი გარდასული ქვითინებს მწარედ

და შორით მოჩანს ის სინათლე,

ო, მაგრამ ცივი!..“

(ბაირონი, თარგმანი დ. გაბუნიასი, 2017:51)

„უძინართა მზე“ თარგმანში თავდება მიმართვით (მაგრამ გაუგებარია რატომ, იქნებ მხოლოდ ფაქტია – უძილობის დრო). მთავარი აქცენტი გადატანილია მწუხარე ვარსკვლავზე, რომელიც ღამესავით ბნელია, უიმედო, ტკივილიანი, ოღონდ ოდნავ სხივოსანი, ფერმკრთალი. ასეთ ვარსკვლავზეა საუბარი და არა უძინართა მზეზე, რომელიც შორით ანათებს, მაგრამ ცივია. დარღვეულია თარგმანში „უძინართა მზის“ დედნის შინაარსობრივი კონცეპტი და დასასრულიც მხოლოდ ვარსკვლავს უკავშირდება, მწუხარე ვარსკვლავს! ვფიქრობთ, აქ მთარგმნელმა პოეტური სრულყოფა მოისურვა თარგმნისას და ამით დაშორდა ორიგინალსაც.

მეოთხე, ინესა მერაბიშვილის თარგმანი, რომელიც უსწრებს თარიღით ბოლო ორ თარგმანს (შექმნილია 2002 წლამდე), რომელიც შესრულებულია მისეული თეორიის გათვალისწინებით და შესაბამისად გამსჭვალულია დედნისეული „ლინგვისტური ხატის“ უზუსტესი წვდომით:

უძინართა მზევ

„უძინართა მზევ! შორეულო ვარსკვლავო სევდის!

თვალცრემლიანი სხივი შენი ანათებს კდემით,

ვაგლახ, არ ძალგიძს, რომ გააპო ღამის წყვილიაღი,

და მაინც შენით გვაგონდება განცდა დიაღი,

ბრწყინავს და ელავს სიხარული გარდასულ დღეთა,

თუმც მხურვალეა აღარ ახლავს სიუხვეს ფერთა,

ციდან დაგვნათის ღამის შუქი დარდით აღვსილი,

ის ნათლად მოჩანს, თუმცაღა შორი და ცივი“.

(მერაბიშვილი, 2002:64)

მკვლევარი ნაშრომში (“Towards Some Aspects of Linguistics of Poetic Translation”), მიჰყვება რა მეცნიერ ბრილის სისტემას, „მზეს“ წარმოიდგენს წამყვან ლექსიკურ სემად, რომელიც გარშემორტყმულია სხვადასხვა მეორადი სემით: როგორიცაა „ნათელი“ „ძლიერი“, აქტიური და სხვა. მეორადი სემების არსებობა და მათი

აქტუალობის გაზრდა იწვევს მათ გარდაქმნას გარემოდან ძირითად ბირთვამდე (მერაბიშვილი, 2022:124).

თარგმანში ნათლადაა გამოკვეთილი „უძინართა მზისა“ და „სევდის შორეული ვარსკვლავის“ კონცეპტის იგივეობა და წვდომა იმ განცდისა, რაც უძილობის დროს გააცოცხლებს ძველ განცდათ (მბრწყინავს და ელვარეს), მაგრამ ცივია, შორია, რადგან წარსულშია და მხოლოდ უძილობის პერიოდის ზმანებაა. ვფიქრობთ, რომ მთარგმნელმა ჭეშმარიტად მიაგნო დედნის ძირითად აზრს და მხატვრული სრულყოფით მიაწოდა იგი მკითხველს.

1981 წელს „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა გივი გაჩეჩილაძის რედაქციით „რჩეული თარგმანები“ (რომელშიც 1938 წლის გამოცემიდან შესულია ორი ლექსი: „სიზმარი“ და „სონეტი შილონს“). ამკარაა, გივი გაჩეჩილაძემ ხელახლა გადაამუშავა ადრინდელი თარგმანები, რასაც მოწმობს შეცვლილი სათაურები და ლექსში შეცვლილი სტრიქონები: 1938 წლის გამოცემაში გამოქვეყნებული ლექსი „ჩვენ არასდროს აღარ გავალთ“ 1981 წლის კრებულში შესულია სათაურით: „არა, ერთად აღარ გავალთ“. ამაზე ყურადღება გამახვილა ინესა მერაბიშვილმა თავის ნაშრომში „პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა“. ავტორმა ყურადღება მიაპყრო ბაირონის ლექსის შინაარსობრივ-კონცეპტუალური ინფორმაციისადმი მიძღვნილ თავში ბაირონის ლექსის “So, We’ll Go No More a Roving” ქართულ და რუსულ თარგმანებს. ლექსი გივი გაჩეჩილაძემ თარგმნა და შეიტანა 1938 წლის გამოცემულ წიგნში „ბაირონი“. მოგვიანებით, სხვა გამოცემაში მთარგმნელმა მკითხველს შესთავაზა ამ ლექსის განსხვავებული ვარიანტი, რომელიც აკადემიკოსმა ინესა მერაბიშვილმა მიიჩნია მთარგმნელის მიერ ლექსის ახლებურ აღქმად და გასწორებად. აქვე მოჰყავს რუსულად შესრულებული ს. მარშაკისა და ნ. გერბელის თარგმანები და ასაბუთებს მათ სუსტ მხარეებს ორიგინალთან მიმართებასა თუ ლექსის არასწორ ინტერპრეტაციაში.

ზემონათქვამიდან გამომდინარე, სხვადასხვა დროის სხვადასხვა ავტორის მიერ თარგმანთა კრიტიკულმა ანალიზმა გამოკვეთა აზრი, რომ შინაარსობრივი თუ მხატვრული რეტროსპექციის პროცესით მკითხველი შორდება დედანს, რომელიც უშუალოდ ინგლისური ენიდან არის შესრულებული, თუნდაც მხატვრულად

სრულყოფილი, ასევე შეიძლება იყოს ჭეშმარიტი-ადეკვატური. ორიგინალიდან თარგმნილ ტექსტამდე მხოლოდ ღრმა მეცნიერული შესწავლის შედეგად შეიძლება მიაღწიოს თარგმანმა მიზანს. შინაარსობრივ-კონცეპტუალური ცნებიდან გამომდინარე, ინესა მერაბიშვილი არასწორად მიიჩნევს ბაირონის ლექსის “So, We’ll Go No More a Roving“ გივი გაჩეჩილაძისეულ თარგმანებს. ეს ეხება ლექსის პირველი თარგმანის მეორე სტროფის გივი გაჩეჩილაძისეულ ინტერპრეტაციას. ქვემოთ მოგვყავს ბაირონის დედანი და გივი გაჩეჩილაძის თარგმანის ორი ვარიანტი:

ჯერ წარმოვადგენთ დედანს და შემდგომ გივი გაჩეჩილაძის თარგმანებს:

So, We’ll Go No More a Roving

“So, we’ll go no more a roving

So late into the night,

Though the heart be still as loving,

And the moon be still as bright.

For the sword outwears its sheath,

And the soul wears out the breast,

And the heart must pause to breathe,

And love itself have rest.

Though the night was made for loving,

And the day returns too soon,

Yet we’ll go no more a roving

By the light of the moon“.

(Poetry Foundation (2019))

გივი გაჩეჩილაძის I ვარიანტი

ჩვენ არასდროს აღარ გავალთ

(“So, we’ll go no more a roving”)

„ჩვენ არასდროს აღარ გავალთ

სასეირნოდ ღამით გარეთ,

თუნდ გულს ტრფობა სურდეს კვალად
და დაადგეს ჩვენ გზას მთვარე.

უკვე ქარქაშს ნატრობს ხმალი,
სული მკერდში იწვევს დაღლას,
გულს სიმშვიდის იპყრობს ძალი,
შესვენების გრძნობა ახლავს.
და თუმც სწრაფად სიყვარულში
ჩნდება დილა ღამის მიღმა,
მაინც მთვარის ცისფერ რულში
სასეირნოდ ნულარ მიხმობ!“
(ბაირონი,1938:34)

გივი გაჩეჩილაძის II ვარიანტი

არა, ერთად აღარ გავალთ
„არა, ერთად აღარ გავალთ
სასეირნოდ ღამით გარეთ,
თუნდ გულს ტრფობა სურდეს კვალად
და დაადგეს ჩვენს გზას მთვარე.

ხმალი ქარქაშს სცვეთავს თუმცა,
თუმც მკერდსაც ღლის სულის ყოფა,
ამოსუნთქვა უნდა გულსაც,
დასვენება უნდა გრძნობას.

თუმც ტრფიალში ღამეს კვალად
მაღე შესცვლის დილის არე -
მაინც ერთად აღარ გავალთ

მთვარიანი ღამით გარეთ“.

(ბაირონი, 1981:150)

ინესა მერაბიშვილი, სიღრმისეულად მიმოიხილავს რა ბაირონის ბიოგრაფიას, გამოკვეთს ერთ საინტერესო ფაქტს მისი წერილიდან ტომას მურისადმი:

„მე ვპოულობ ხმალს, დაღლილს უქარქაშოდ,

თუმცა ახლახან გადავუხვით ოცდაცხრა წლის კუთხეს“.

გივი გაჩეჩილაძის თარგმანის პირველ ვარიანტში ლექსის კონცეპტი საპირისპიროდ შეცვლილია. როგორც ინესა მერაბიშვილი შენიშნავს, ნაცვლად ქარქაშის გაცვეთისა და ხმლისა, ვით სულის მარადიული ომისა, აქ დაღლილი ხმალი თვითონ ნატრობს ქარქაშსო (მერაბიშვილი, 2005: 228).

მკვლევრის აზრით, ბაირონი მთელი თავისი ცხოვრება ებრძოდა დროს და მთელ მის არსებას, შემოქმედებასა და სულს, რაც გამოიხატა სტროფში “For the sword outwears its sheath”. ამრიგად რუსული თარგმანების კრიტიკის საფუძველზე ი. მერაბიშვილი გვთავაზობს ლექსის მისეულ თარგმანს:

დე, ნულარ გავალთ ჩვენ სასეირნოდ

„დე, ნულარ გავალთ ჩვენ სასეირნოდ,

ამიერიდან მთვარიან ღამეს,

თუმცა გულს ტრფობა კვლავ არ დაინდობს,

ან რა მოაკლებს ღამით ეშხს მთვარეს.

ხმალს ხომ უცვდება თვისი ქარქაში,

სულის წრიალით იღლება მკერდიც,

გულთან თვით სუნთქვის წყდება თამაში,

და სიყვარულიც ხომ შვებას ელტვის.

თუმც სიყვარული ღამით ზეიმობს,

თუმც აღმოხდების მზე, ვიცით, მალე,

მაინც არ გავალთ ჩვენ სასეირნოდ ამიერიდან მთვარიან ღამეს“.

(ლორდ ბაირონი, თარგმანი ინესა მერაბიშვილის, 2013:215)

ინესა მერაბიშვილი ასკვნის, რომ „ბაირონის“ შემოქმედებაში სულის ამაღლება დროსთან შერკინებას და დროის კატეგორიაზე გამარჯვებას ნიშნავსო (მერაბიშვილი, 2005:231).

1968 წელს მთარგმნელი გურამ კვიციანიძე ხელს ჰკიდებს კიდევ ბაირონის ცნობილი ლექსის “So, We’ll Go No More a Roving” თარგმნას და აქვეყნებს მას გორის ალმანახ „ლიახვში“. თარგმანი პოეტურად საკმაოდ სრულყოფილია, თუმცა გაურკვეველია ცნობილი ფრაზა ბაირონისა “For the sword outwears its sheath, And the soul wears out the breast“. აზრობრივად ბუნდოვანია თარგმანში ფრაზა „ვერ გაუძლებს მახვილს თავის ბუდე მუდამ“, სამაგიეროდ, დედანთან ახლოს დგას ახალგაზრდა მთარგმნელის, თინათინ ზოდელავას თარგმანი ლექსისა (გაზ. „ენგურის ჩირაღდანი“, 1983, N136) „აწ ერთად ველარ ვიხეტილებთ“:

„თუკი ქარქაშში ხმალი ჩლუნგდება
და სული ხშირად ეყრება სხეულს“.

(ბაირონი, თარგმანი გურამ კვიციანიძის, 1983:1)

ვფიქრობთ, ინესა მერაბიშვილის თარგმანი წარმოადგენს საუკეთესო ნიმუშს ლექსის შინაარსობრივ-კონცეპტუალური აღქმისა და სწორი ინტერპრეტაციის თვალსაზრისით.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ XX საუკუნის 80-იან წლებში, ქართველმა კომპოზიტორმა სანდრო (ბიბი) კვაჭაძემ (1962-) სტუდენტობის პერიოდში, ლექციაზე ორიგინალში მოსმენილი ბაირონის ლექსის – “So, We’ll Go No More a Roving” – მოსმენის შემდგომ შექმნა მუსიკალური სინგლი, რომელიც მოხვდა 2024 წლის გრემის დაჯილდოების განსახილველ ნომინანტთა სიაში (Grammy Consideration) და წარდგა ნომინაციაში „საუკეთესო არანჟირება, ინსტრუმენტალი და ვოკალი“ 2024 წლის 4 თებერვალს გრემის კონკურში. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს დიდი ინგლისელი რომანტიკოსი პოეტის, ბაირონის პოპულარობაზე XXI საუკუნეშიც. (<https://billboard.com.ge/2023/11/02/bibi-kvawazis-simrera-gremis-nominantobis-kandidatia/>)

ქართული პოეზიის გენიოსი გალაკტიონ ტაბიძეც არაერთგზის დაინტერესდა ბაირონის შემოქმედებით. ოლია ოკუჯავასადმი გაგზავნილ წერილებში ხშირად

იხსენებდა ბაირონს. თუმცა გალაკტიონი ბაირონის პოეზიას არ იცნობდა ორიგინალში, სავარაუდოდ, მან ისარგებლა ტურგენევისეული რუსული თარგმანით. ამაზე მიაწინა ინესა მერაბიშვილმა წერილში „ბაირონიდან გალაკტიონამდე, ანუ ვინ იყო გალაკტიონის მერი“ („ლიტერატურული საქართველო“, 1993, N49). მკვლევარი შალვა საბაშვილი წერილში „ზოგიერთი ლექსის ინტერპრეტაციისათვის“ („გალაკტიონის სემინარის დღიურები“) აღნიშნავს, რომ გალაკტიონმა თარგმნა ნაწყვეტი ბაირონის „წყვდიადიდან“, ხოლო ქართული, რუსული, ინგლისური ტექსტების შედარების საფუძველზე დაასკვნა:

1. ი. ტურგენევის თარგმანი სრულყოფილად გადმოსცემს დედნის შინაარსს და ამასთან ლექსიკურადაც თითქმის სიტყვა სიტყვით მისდევს მასსო;
2. გალაკტიონის ტექსტი აზრობრივად ემთხვევა როგორც ინგლისურ, ისე რუსულ ტექსტებს, მაგრამ ლექსიკური თვალსაზრისით ორივესთან შედარებით უფრო თავისუფალი და გამდიდრებულიაო;
3. ქართული თარგმანი შესრულებულია სწორედ რუსული ტექსტიდანო (საბაშვილი, 1998:268).

აღნიშნული წერილის ავტორს, მოჰყავს რა ქართულ-ინგლისური ფრაზეოლოგიზმები დაასკვნის, რომ გალაკტიონის ტექსტი უფრო რუსულ თარგმანთან იჩენს სიახლოვესო. ამით იგი ცდილობს გამოთქვას ეჭვი გალაკტიონის ლექსის ორიგინალობის შესახებ. ამავე დროს ყურადღებას ამახვილებს „წყვდიადის“ თარგმანის ფორმაზე. და, თუ ბაირონის ლექსის ორიგინალი (რუსული თარგმანიც) ურითმოა, გალაკტიონს ჩვეული რითმით აქვს გაწყობილი. შ. საბაშვილი გამოთქვამს ეჭვს, იყო თუ არა ეს თარგმანი ბაირონისეული „წყვდიადისა“ და იქვე ადასტურებს: „არა, არ იქნებოდა!“ შ. საბაშვილი მთარგმნელობით პრინციპებზეც ამახვილებს ყურადღებას და ვარაუდს, რომ დედნის თარგმანი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ორიგინალის ეკვივალენტური, თუ მკითხველს მიიყვანს ისეთივე სულიერ მდგომარეობამდე, დედანი რომ განაცდევინებსო. მაგრამ ამის გაზომვა შეუძლებელიაო (საბაშვილი, 1998:275).

იგივე ლექსი გალაკტიონისეულადაა მიჩნეული პოეტის საარქივო მასალების VIII ტომში (გვ. 646), რომელიც ლიტერატურის ინსტიტუტის მიერაა გამოცემული.

ჩვენ კი ვეთანხმებით მკვლევარ შ. საბაშვილს, რომ „მე დამესიზმრა მწარე სიზმარი“ მართლაც თარგმანია და არა ორიგინალური ლექსი (შ. საბაშვილი, 1998:269) სავარაუდოა, რომ გალაკტიონმა იგი რუსულიდან თარგმნა, მაგრამ მხოლოდ დასაწყისი ბაირონის ვრცელი ლექსისა „სიბნელე“ (“The Darkness”). თუმცა იქვე შ. საბაშვილი მიუთითებს, რომ ამ ფაქტს ჯერ კიდევ ვახტანგ ჯავახიძემ მიაქცია ყურადღება. მკვლევარს დაეხება კითხვა, რატომ არ თარგმნა გალაკტიონმა ეს ლექსი ბოლომდე? და იქვე განმარტავს, რომ ბაირონის ლექსი მხოლოდ ბიძგი იყო ამ შედეგის ქართულად ასაქდერებლად, ან, სავარაუდოდ, გალაკტიონმა გადაჭრით ვერ აირჩია თარგმანის ფორმა, რადგან იგი რუსულიდან იყო შესრულებული, გაწყობილი საკუთარი რითმებით, არჩეული გრძელი ოცმარცვლიანი საზომი ერთეულებით მისი გადმოქართულებისათვის. შ. საბაშვილმა დასვა კითხვა: თუკი ორიგინალი, რომელიც თავისუფალი, ურიტმო ლექსია, ითარგმნებოდა რითმებით გაწყობილ კონვენციურ ლექსად, ჩაითვლებოდა თუ არა იგი ბაირონისეულად? მაგრამ ამ კითხვას თვითონაც ვერ გასცა პასუხი და გამოთქვა მხოლოდ ვარაუდი, რომელშიც აშკარად მოჩანს მისი შეხედულება მხატვრულ თარგმანზე. და, რამდენადაც ლექსი სხვა ფორმაშია ჩასმული, იგი ორიგინალს მაინც არის დაშორებული, ანუ შ. საბაშვილი გაუცნობიერებლად ემყარება მკვლევარ გ. გაჩეჩილაძის თვალსაზრისს, ფორმისა და შინაარსის ერთიანობის დაცვის აუცილებლობის შესახებ. ალბათ, ამიტომ არ შევიდა აღნიშნული ლექსი, როგორც თარგმანი წინანდელ გამოცემებში.

საყურადღებოა ბაირონის ლირიკული ლექსის “And Wilt though weep, when I am low?” ორი ქართული თარგმანი, რომელთაგანაც ერთი სახელწოდებით: „მაშ შენ დაღვრი მდუღარე ცრემლს?“ შესრულდა იოსებ ბაქრაძის მიერ XIX საუკუნეში და მეორე „მიტირებ, მიწა დამფარავს როცა?“ უშუალოდ ინგლისურიდანაა თარგმნილი, გურამ კვიციანიძის მიერ. ლექსი დედანში საკმაოდ ვრცელია, კონტენტი შეიცავს პოეტის შეკითხვას სატრფოსადმი, თუ როგორ მოიქცევა ის მისი სიკვდილის შემდგომ, მაგრამ იქვეა ოცნებაც, რომ იქნებ სატრფომ გააღვიძოს მასში კვლავ თანაგრძნობა და დაუამოს გულისტკივილი. პოეტი თითქოს წარმოიდგენს მტირალ სატრფოს, რომელიც დარდობს გარდაცვლილ გულის სწორზე. ტექსტში იგრძნობა პატიების თხოვნაც, მარტოობის დაამების სურვილიც და ობოლი სულის ნუგეში, რომ

სიკვდილის შემდგომ მაინც შეინდობს. მთარგმნელი გ. კვიციანი ამჟამად დედანში გაცხადებულ იმ გულისტკივილს, რომელიც მან მიაყენა საყვარელ არსებას. მოგვყავს დედნის, ი. ბაქრაძისა და გ. კვიციანის თარგმანებიდან ფრაგმენტები:

And Wilt though weep, when I am low?

“Sweet lady! speak those words again:

Yet if they grieve thee, say not so--

I would not give that bosom pain.

My heart is sad, my hopes are gone,

My blood runs coldly through my breast;

And when I perish, thou alone

Wilt sigh above my place of rest “.

(And Wilt Thou Weep When I Am Low, n.d.)

მაშ შენ დაღვრი მდუღარე ცრემლს?

„განიმეორე, ჰოი ქალო! ეს დაპირება!

მაგრამ თუ გულში მწუხარებას ეს გაგიცხოვლებს!

ნუ იტყვი - ძვირად მიღირს შენი ბედნიერება.

გული მიკვნესის; აღარ ვეძებ ბედნიერებას.

ძარღვებში სისხლი სრულიად მაქვს გაცივებული.

და შენ, როს მოგვკვდე, ნუ დაიწყებ დიდ მწუხარებას,

მხოლოდ გახსოვდეს მარად შენთვის თავდადებული!“

(ბაირონი, თარგმანი ი. ბაქრაძის, 1878:1)

გთავაზობთ გურამ კვიციანის თარგმანს ზემოდასახელებული ლექსის:

„მიტირებ, მიწა დამფარავს როცა?“

„შენს თვალებში რომ წუხილი მოჩანს,

ეგებ გატკინე გული რითიმე.

უიმედობა და სულის ოხვრა

ტკბილ-მწარე ნაღველს გულში მიგროვებს.

როცა მოგვკვდები, მარტო შენ მოხვალ
ტკბილ-მწარე ნალველს გულში მიგროვებს“.

(ბაირონი, თარგმანი გ. კვიციანიძის, 1986 :204,205)

ი. ბაქრაძემ სცადა ქართულად აეჟღერებინა ბაირონის სტრიქონები და თუმცა აღნიშნული თარგმანი ქართულად ყველაზე მხატვრულია ი. ბაქრაძის თარგმანებს შორის, თუმც, საკმაოდაა, დაშორებული დედანს. სანიმუშოდ მოგვყავს ამონარიდი თარგმანიდან:

„განიმეორე, ჰოი ქალო! ეს დაპირება!

მაგრამ თუ გულში მწუხარებას ეს გაგიცხოვლებს!

ნუ იტყვი - ძვირად მიღირს შენი ბედნიერება“.

(ბაირონი, თარგმანი ი. ბაქრაძის, 1878:1)

გ. კვიციანიძის თარგმანი ჟღერს მხატვრულად, კარგად გამოხატავს მარტოსული პოეტის გულისტკივილს, თანაც რომ ნატრობს სიკვდილის შემდგომ დაიტიროს სატრფომ. ეს თარგმანი უფრო მიბაძვას ბაირონის ლექსისა.

ბაირონის თხზულებების იოსებ ბაქრაძის თარგმანებიდან სადისერტაციო ნაშრომში შევეცადეთ ყურადღება გაგვემახვილებინა რამდენიმეზე („დონ ჟუანსა“ და „ჩაილდ ჰაროლდზე“), რომლებზედაც საკმაოდ საფუძვლიანად უმუშავია ავტორს. საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ი. ბაქრაძის თარგმანები. მათზე დაკვირვებამ ცდადჰყო, როგორ მუშაობდა მთარგმნელი, როგორ იღვწოდა, ლექსი ბუნებრივი და სრულყოფილი გამხდარიყო ქართველი მკითხველისთვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ არსადაა მითითებული, თუ რატომ აირჩია ი. ბაქრაძემ ეს ნაწარმოებები სათარგმნად. ამის პასუხი შეიძლება ვეძიოთ თავად ბაირონის მიერ აღნიშნული თემების შერჩევაშიც.

პოემა „ჩაილდ ჰაროლდი“ და მისი ქართული თარგმანები. 1812 წელს გამოქვეყნდა „ჩაილდ ჰაროლდის“ პირველი ორი სიმღერა. პოემა წლების განმავლობაში იქმნებოდა, მაგრამ მისი სიმღერები, თუმცა სხვადასხვა პერიოდშია დაწერილი, თემატურად თუ ჟანრული ნიშნებით ერთ მთლიანობას წარმოადგენს. პოემამ დიდი აღიარება პოვა, რამდენადაც შეეხო ეპოქის ყველაზე მტკივნეულ საკითხებს და ასახა ის საყოველთაო

გულგატეხილობა, რამაც განაპირობა რომანტიზმის, როგორც მიმართულების, აღმოცენება. მასში აირეკლა საფრანგეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდგომი იმედგაცრუება, რომელიც გამოიწვია ტირანიის რესტავრაციამ. აქ ბაირონი წარმოჩნდა, როგორც მხატვარ-ნოვატორი, ლირიკულ-ეპიკური, რევოლუციურ-რომანტიკული პოემის შემქმნელი. „ჩაილდ ჰაროლდით“ დაიწყო ახალი ეტაპი ევროპის სულიერ ცხოვრებაში. გაჩნდა მტკივნეული კითხვაც: რამ გამოიწვია იდეალების მსხვრევა? ამ კითხვაზე პასუხს პოეტი ყველგან ეძებს: გაბატონებულ უმეცრებასა თუ მონურ მორჩილებაში. ამავე დროს ბაირონი მიიჩნევს, რომ ხალხების ბედს განაგებს ადამიანთა ნებისყოფისაგან დამოუკიდებელი ობიექტური კანონი, რომელსაც იგი „უწყალო ბედისწერას“ უწოდებს, თუმცა პოემის მე-4 სიმღერაში უკვე გამოსჭვივის პოეტის ოპტიმისტური რწმენა, რომ ისტორიის კანონები მუშაობს ხალხის საკეთილდღეოდ. პოემის პირველ ორ სიმღერაში წარმოდგენილია პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობა, რომელიც XIX საუკუნეში უკვე აქტუალურ პრობლემას წარმოადგენდა. თუმცა ეს დაპირისპირება რომანტიკულად არის ასახული, რამდენადაც მთავარი გმირი, ჩაილდ ჰაროლდი, ტოვებს მშობლიურ კუთხეს გაურკვეველი იმედით, რომ სადმე მაინც ჰპოვოს სულიერი სიმშვიდე. აქედან გამომდინარე, ჩაილდ ჰაროლდი ჩაგრული ხალხის აპოლოგეტია და ყველგან თანაუგრძნობს მას. უნდა აღინიშნოს, რომ ჰაროლდი ინდივიდუალისტია და ეგოისტი, თუმცა მაინც მომღერალი თავისუფლებისა.

„ჩაილდ-ჰაროლდი“ რომანტიკული პოემის ახალი ჟანრია, რაც საშუალებას იძლევა, დაუპირისპირდეს რეაქციული რომანტიკოსების მისტიკურ სიმბოლოებს. აქ პროტესტიც შეინიშნება მონარქიის მიმართ. ამდენად, თითქოს იგრძნობა ბაირონის მსოფლმხედველობის შეცვლა ნაპოლეონის თაყვანისცემიდან მჩაგვრელ-ტირანის უარყოფამდე. პოემის სპეციფიკურობას განსაზღვრავს ისიც, რომ გამსჭვალულია ისტორიზმის სულით და აცოცხლებს ხალხის ცხოვრებისა და გმირობის სურათებს წარსულიდან.

ქართველ ლიტერატურათმცოდნეებს ნ. გაფრინდაშვილსა და მ. მირესაშვილს „ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლებში“ (2008) ახალი პოემის პირველ ნიმუშად მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში შეაქვთ ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდის

მოგზაურობა“. როგორც ცნობილია, ახალი პოემა განეკუთვნება ლირიკო-ეპიკურ ჟანრს და მისი აღმოცენება რომანტიზმის განვითარებასთანაა დაკავშირებული. ბუნებრივია, ზემოდასახელებული პოემა განიცდის ინგლისურ პოეზიაში აღიარებულ კლასიკურ „სპენსერული სტროფის“ გამოყენების მცდელობას, რამდენადაც, როგორც ლიტერატურათმცოდნენი შენიშნავენ, „ბაირონისთვის მნიშვნელოვანია აზრობრივი ასოციაციები, რომელსაც სპენსერის სახელი იწვევს. იგი, უპირველესად, ცნობილია, როგორც უკანასკნელი სარაინდო პოემის – „ფერიების დედოფლის“ – ავტორი და პოეტი, რომელიც შეგნებულად მიმართავდა მხატვრული ენის არქაიზაციას.“ (გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, 2008:321). ამისდა სამწუხაროდ, რუსული თარგმანებიდან სარგებლობამ ქართველ მთარგმნელებს არ მისცა საშუალება შეენარჩუნებინათ ბაირონის სტილი.

იოსებ ბაქრაძემ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, სხვადასხვა პერიოდში (1871-1878) შექმნა ბაირონის პოემა „ჩაილდ ჰაროლდის“ თარგმანები. თავდაპირველად ი. ბაქრაძემ (ჟურ. „მნათობში“ 1871 წლის #2, თებერვალი) გამოაქვეყნა ნაწყვეტი „ჩაილდ-ჰაროლდის“ პირველი გალობისა, XIII-XIV თავს შორის მოქცეული ათი სტროფის თარგმანი, რომელსაც მკვლევარი მ. კუჭუხიძე უწოდებს „დამშვიდობებას“, რადგან მასში გადმოცემულია ჩაილდ ჰაროლდის გამომშვიდობება თავის ქვეყანასთან. თარგმანში მხოლოდ მიწერილია „ჩაილდ-ჰაროლდის სიმღერა“ (ბაირონით). იმავე თარგმანს ი. ბაქრაძე აქვეყნებს 1878 წლის გაზ. „დროების“ ფურცლებზე (1878, #137, გვ. 1, 2), მაგრამ უკვე „სოსიკო ბაქრაძის“ ხელმოწერით. 1880 წელს ჟურ. „ივერიაში“ (#3) იბეჭდება ბაირონის პოემა „ჩაილდ-ჰაროლდის“ პირველი სიმღერის სრული თარგმანი თავისი კომენტარებით, რომელიც წარმოდგენილია შემდეგნაირად: „ჩაილდ-ჰაროლდი. გალობა პირველი“. მესამე გალობის ნაწყვეტები (LXIII-LXXXIV ჩათვლით) ქვეყნდება გაზ. „ივერიაში“ 1898 წლის 22 აპრილს (#86, გვ. 1), რუბრიკა „ფელეტონში“. პოემის IV გალობის ნაწყვეტები კი ქვეყნდება გაზ. „ივერიის“ (#62, გვ. 2) „ფელეტონის“ რუბრიკაში; იბეჭდება IV გალობის ნაწყვეტები (I-X) გაზ. „ივერიის“ (1899 წლის #2, გვ. 1) რუბრიკა „ფელეტონში“ სათაურით „კოლიზიის ნანგრევებზე“ (CXXX-CXLI). მეორე სიმღერას, ანუ მეორე გალობას იოსებ ბაქრაძე თარგმნის უკვე 1900-იან წლებში (გაზ. „ივერია“, 1903 წ. 14 ნოემბერი, #244, გვ. 2).

მ. კუჭუხიძის აზრით, „ჩაილდ ჰაროლდი“ იოსებ ბაქრაძეს უნდა ეთარგმნა დ. მინაევის რუსული თარგმანიდან. როგორც ნ. გერბელი წერს ბაირონის რუსულ ენაზე მთარგმნელთა შესახებ, „ჩაილდ ჰაროლდის“ რუსული თარგმანები დ. მინაევს გამოუქვეყნებია «Русское Слово»-ში(1864, # 1, 3, 5 и 10, отд. I, стр. 79, 1, 86 и 213). გარდა სრული თარგმანისა, ყოფილა აგრეთვე 36-ოდე ნაწყვეტი, რომლებიც გამოქვეყნებულა გაზეთებში «Русь» (1864, # 2, стр. 27) და «Модный магазин» (1864, #19, стр. 289). ეს შესწორებული ვარიანტით, ბაირონის შესავლითა (1812-1813) და კომენტარებით შევიდა ნ. გერბელისეულ გამოცემაში, რითაც ი. ბაქრაძეს უმთავრესად უნდა ესარგებლა თარგმნისას. თუმცა მივანიშნებდით, რომ ნ. გერბელის კრებული 1874 წელს გამოიცა. ასე რომ, ჩვენი აზრით, ი. ბაქრაძეს ხელთ ჩაუვარდა, სავარაუდოდ, 1864 წლების სხვადასხვა კრებულში გამოქვეყნებული ნაწილები. ჯერ ნაწყვეტები თარგმნა, ხოლო 1880 წელს კი, უკვე ისარგებლა ნ. გერბელის კრებით, რომელშიც რუსმა მთარგმნელმა დ. მინაევმა სრულად გამოაქვეყნა პოემა. მკვლევარ მ. კუჭუხიძის აზრით, რომელმაც შეადარა დ. მინაევის, ი. კოზლოვის, მ. მიხაილოვისა და ქართული თარგმანები (ი. ბაქრაძისა), დაასკვნა, რომ აღნიშნული პოემა ქართულად შესრულებული უნდა იყოს დ. მინაევის თარგმანიდან (კუჭუხიძე, 1992:91). ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ი. ბაქრაძემ 1880 წელს პოემის პირველი სიმღერა იმავენაირად დაასათაურა, როგორც დ. მინაევმა: «Роман²⁵ в четырех частях» (დ. მინაევი „რომანი ოთხს ნაწილად“ – ი. ბაქრაძე).

მკვლევარი მ. კუჭუხიძე ცდილობს სიღრმისეულად გააანალიზოს დედანთან შედარებით დ. მინაევისა და ი. ბაქრაძის თარგმანები, გამოკვეთს იმ ფაქტს, რომ ორივე მთარგმნელთან შენარჩუნებულია ორიგინალის დედააზრი და ინტონაცია, თუმცა დ. მინაევი ხშირად ზედმიწევნით გადმოსცემს დედნის შინაარსს და ბაქრაძეც მიჰყვება მას. დ. მინაევისეული 8-სტრიქონიანი თარგმანები მან განავრცო 12 სტრიქონამდე და ჩაუმატა სიტყვები: „ოხრად დამრჩება“, „გაზაფხულზედა“, „გამვლელ-გამომვლელს“, რის გამოც ქართულმა თარგმანმა ნაწილობრივად დაკარგა რუსული ლექსისათვის

²⁵ დედანში ბაირონს „ჩაილდ ჰაროლდის“ ქვესათაურად მოყვანილი აქვს „A Romaunt“, რაც ერგვარად მიგვანიშნებს ნაწარმოების ჟანრობრივ სპეციფიკაზე, ანუ ეს არის „რომანი ლექსად“, რაც რუსმა მთარგმნელმა დ. მინაევმა გადმოიღო დედნის შესაბამისად, მაგრამ შენიშვნებშიც თუ საერთოდაც მთარგმნელი **პოემას** უწოდებს. ამ პოემით ბაირონი წარმოჩინდა, როგორც მხატვარი-ნოვატორი, ახალი ლირიკულ-ეპიკური ჟანრის ფუძემდებელი.

დამახასიათებელი დახვეწილობა (კუჭუხიძე, 1992:13). მკვლევარი მიანიშნებს იმ ფაქტსაც, რომ ი. ბაქრაძე უფრო მძაფრად თარგმნის ადგილებს შუალედური თარგმანიდან, თვლის, რომ პირველი სიმღერა პოემისა ი. ბაქრაძის მიერ დიდი მონდომებით არის შესრულებული, თუმცა გვხვდება ალაგ-ალაგ დაუხვეწავი ფრაზები და რუსიციზმები (ფრანცუზი, კოროლევა, კაროლი, ამაზონკა, შარფი, ტრაქტირი და სხვანი), დაკარგულია დედნის მეტაფორებიც. მ. კუჭუხიძის აზრით, ი. ბაქრაძეს თარგმანის მთავარი ღირსება ისაა, რომ სავსებით შენარჩუნებულია ბაირონის პოემის რევოლუციური სულისკვეთება (მ. კუჭუხიძე, 1992:95.). მეორე სიმღერაში, ერთ ადგილას, ი. ბაქრაძე განიცდის ნ. ბარათაშვილის ლექს, „სული ობოლის“ გავლენასაც.

მ. კუჭუხიძის მინიშნებით, „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობაში“ გამოყენებულ ლექსთწყობას (სპენსერისეული) ქართველი მთარგმნელი არ ითვალისწინებს და თარგმნის 10-მარცვლიანი სალექსო ფორმით. მკვლევარი დიდ დამსახურებად უთვლის მთარგმნელს, რომ მეტ-ნაკლებად შეუნარჩუნა პოემას აქტუალური თემატიკა, მკვეთრად საღბეჭდა მისი პოლიტიკური ხასიათი (კუჭუხიძე, 1992:97).

სხვათა შორის, ძალზე პოპულარული ყოფილა ნაწყვეტი ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდიდან“ სათაურით „მშვიდობით“, რომელიც შეასრულა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ და პედაგოგმა მიხეილ ყიფიანმა და გამოქვეყნდა 1880 წლის #44-ის. გვ:1, გაზ. „დროებაში“.

1911 წელს „სახალხო გაზეთის“ #225-ში გამოქვეყნდა ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდის“ ალექსანდრე (სანდრო) შანშიაშვილის მიერ შესრულებული თარგმანი. კერძოდ, პოემის ქებამდელი ნაწილი და პირველი ქება, მიძღვნით „იანტას“. მიძღვნა გადმოცემულია ხუთსტროფიანი ლექსებით. დედანში „მიძღვნა“ წარმოდგენილია განსხვავებული (8-10) სალექსო ფორმით. ა. შანშიაშვილს კი აქვს 8-11 ტაეპიანი სალექსო ფორმით გადმოცემული. ისე, რომ არ მისდევს დედანს ლექსთწყობით, სადაც სალექსო ტაეპები არის 14-მარცვლიანი. ჩვენთვის უცნობია, რომელი ენიდან თარგმნა ა. შანშიაშვილმა ბაირონის „მიძღვნა“, მაგრამ თვით პოეტი ცდილობს მხატვრულად წარმოაჩინოს თარგმანი. პირველ სტროფში დედნის მიხედვით ბაირონი აღტაცებულია ქალბატონ იანტას მშვენიერებით. მოგვყავს დედნიდან პირველი სტროფი:

“Not in those climes where I have late been straying,
Though Beauty long hath there been matchless deemed,
Not in those visions to the heart displaying
Forms which it sighs but to have only dreamed,
Hath aught like thee in truth or fancy seemed:
Nor, having seen thee, shall I vainly seek
To paint those charms which varied as they beamed—
To such as see thee not my words were weak;
To those who gaze on thee, what language could they speak?”

(*Childe Harold's Pilgrimage*, by Lord Byron, 2013)

ჩაილდ ჰაროლდი

იანტას

„არც იმ მხარეში, სადაც ერთხელ ვმოგზაურობდი,
სადაც სიტურფე დღემდის მეფობს, სწორ უპოვარი,
არც ჩვენებაში, რომლის შემდეგ სული ვალალებს,
რადგან იგია მომხიბლავი ტკბილი სიზმარი -
ვერ ვნახე არსი შესადარი შენს მშვენებასთან.
ერთხელ გიხილე და არ ძალმიძს გულით არ გიძღვნა
შენის მშვენების შესაფერი შესხმადა ქება.
ვინც კი ვერ გიცნობს, ჩემი სიტყვა, რას აგრძნობინებს?
ან რას მოვუთხრობ, ვინც მარად ჟამს შენ ერთს არ გიმზერს?“

(ბაირონი, თარგმანი ა.შანშიაშვილის, 1911:1)

ანალიზი აღნიშნული თარგმანისა ვერ მოხერხდა, რადგან არ არის მითითებული, თუ საიდან ითარგმნა იგი. სამაგიეროდ, XXI საუკუნის მთარგმნელმა ნინო რამიშვილმა ჟურ. „ამერ-იმერში“ გამოქვეყნებულში მიანიშნა, რომ თარგმანი უშუალოდ ინგლისური ენიდან არის შესრულებული. მან თარგმნა „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობის“ პირველი სიმღერა მიძღვნის გარეშე (13 სტროფი). მთარგმნელის სალექსო სტროფები თანაბარია, 9-ტაეპიანი, რაც განსხვავდება დედნის ტაეპთა

რაოდენობისაგან (5-10). აქაც მთარგმნელი იცავს 14-მარცვლიან სალექსო ფორმას და არაიშვიათად იყენებს მოსაზღვრე რითმებს, ქალურ რითმას. მოგვყავს დედნის პირველი კანტოს პირველი სტროფი და რამიშვილისეული თარგმანი:

“Oh, thou, in Hellas deemed of heavenly birth,
Muse, formed or fabled at the minstrel's will!
Since shamed full oft by later lyres on earth,
Mine dares not call thee from thy sacred hill:
Yet there I've wandered by thy vaunted rill;
Yes! sighed o'er Delphi's long-deserted shrine
Where, save that feeble fountain, all is still;
Nor mote my shell awake the weary Nine
To grace so plain a tale—this lowly lay of mine“.

(*Childe Harold's Pilgrimage, by Lord Byron, 2013*)

ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა

სიმღერა პირველი

„მუზავ ციურო, ბინადარო დიდი ელადის,
მგოსანთა ჰანგზე მოგოგმანევ, ზღაპრადქცეულო,
ულირს პოეტთა სარეველებს ფიქრით ვცელავდი
და ვერ დავლაშქრე აპოლონის აპოლონის საგანძეულო.
თუმცა ვიხილე შენი წყარო, ასე ქებული,
და დელფოს ტაძარს ჩემი სევდა აწვა ნისლეზად -
სამარის სუნთქვით დაყურსული, გარინდებული,
და ვერ შევიძელ ცხრავე მუზის გამოფხიზლება,
რომ თვისი ეშხით ამ სიმღერებს ჰმატონ ღირსება“.

(ბაირონი, 2013:247)

თარგმანი მხატვრულად გამართულია, მაგრამ რამდენადმე დაშორებულია დედანს. მაგ.: დედანში არ არის ნახსენები „საგანძეულო“, „სარეველებს“, გადმოტანილია უბრალოდ მუზა, სავარაუდოდ, მთარგმნელი უფრო მხატვრულობამ გაიტაცა, ვიდრე ავტორის ჩანაფიქრის წვდომამ.

XX საუკუნეში „ჩაილდ ჰაროლდის“ თარგმანები ეკუთვნის პოეტსა და მკვლევარს, კონსტანტინე ჭიჭინაძეს, რომელმაც ჯერ სხვადასხვა პერიოდულ პრესაში გამოაქვეყნა ნაწყვეტები „ჩაილდ ჰაროლდიდან“, ხოლო შემდეგ ცალკე წიგნად გამოსცა ბაირონის პოემები: „მანფრედი“, „კაენი“, „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა“ („სახელგამი“, 1948). ცალკე გამოცემას უძღვის ინფორმაცია ბაირონის ბიოგრაფიის შესახებ. კონსტანტინე ჭიჭინაძე აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა. მას ეკუთვნის დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ თარგმანი, 1948 წლის კრებულში შესულია ფრაგმენტები ბაირონის „ჩაილდ-ჰაროლდის მოგზაურობის“ მე-3 ქებიდან.²⁶

რუსულიდან თარგმნილ (მ. ე. ელიზაროვა, ს. პ. გიჟდეუ, ბ. ი. კოლესნიკოვი, ნ. პ. მიხალსკაია) „XIX საუკუნის საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიაში“ ფ. გოკიელმა „ჩაილდ ჰაროლდის“ ანალიზისას სანიმუშად მოიყვანა ვ. ჭიჭინაძის და ო. შალამბერიძის თარგმანები.

მსოფლიო ლიტერატურაში პოეტები არც თუ იშვიათად ქმნიდნენ ლექსებს, რომლებიც ეძღვნებოდა სასურველ სატრფოს, თუ უცნობ ქალს, ან საყოველთაოდ აღიარებულ ქალებს. ასეთები არიან სამი დიდი პოეტის ჯ. გ. ბაირონის, ტომას ჰუდისა და გალაკტიონ ტაბიძის ლექსის ადრესატები, რომლებიც ატარებდნენ ვარიაციულ სახელწოდებებს, თუ „To Ines“, „Fair Ines“, „ინიესა“. სახელი **ინეს**²⁷ ლეგენდის ბურუსითაა მოცული და დაკავშირებულია პორტუგალიის დედოფლის, ინეს დე კასტროს სახელთან, რასაც მიუძღვნა რომანტიკოსმა პოეტმა, ტომას ჰუდმა ლექსი „Fair Ines“ (1827). თითქმის საუკუნის შემდეგ გალაკტიონ ტაბიძე წერს იმავე ასოციაციით ლექსს „**ინესა**“ (1917). გალაკტიონის ლექსში წარმოჩენილია ის რომანტიკული განცდა, რომელიც ეუფლება პოეტს ამ მშვენიერი ქალბატონის სახელის ხსენებისას,

²⁶ საყურადღებოა, რომ ბაირონის პოემა „ჩაილდ ჰაროლდის“ ძირითად ნაწილებს დედანში აწერია „canto“, რაც ქართველი მთარგმნელებიდან ი. ბაქრაძემ „გალობად“ გადმოიღო, ხოლო ვ. ჭიჭინაძემ კი „ქება“ უწოდა. სიტყვა „canto“ ლათინური წარმოშობისაა და ქართულად „სიმღერას“ ნიშნავს. ჩვენი აზრით, უფრო ზუსტი შესატყვისი იქნებოდა ორივე მთარგმნელს დაესათაურებინა როგორც „სიმღერა“.

²⁷ „ინესა კასტრო - შუა საუკუნეების პორტუგალიის სამეფო სახლის ცნობილი ქალბატონთაგანი, რომელიც 10 წლის განმავლობაში იმყოფებოდა საიდუმლო ქორწინებაში ტახტის მემკვიდრესთან. ინესას მოწინააღმდეგეებმა, შეშინებულმა მისი გავლენის გაძლიერებით ტახტის მემკვიდრეზე, მიაღწიეს მეფე ალფონს IV-ის თანხმობას ინესას მოკვლის შესახებ, რის შემდეგ მეფის მრჩეველებმა ინესა მოკლეს მისსავე საწოლ ოთახში (მერაბიშვილი, 2003:301-302).

რაც ნათლად გამოიკვეთა ინესა მერაბიშვილის „გალაკტიონის ენიგმებში“ განხილულ ლექსის კომენტარში:

„ინესა ირგვლივ ლეგენდებსა ფენს,
არა ერთს აღრჩობს სიბრაზის კვნესა...
იგი უყვარდათ კუბელსს, კამონსს...
ინესა - ისმის ყველგან ინესა“.

(მერაბიშვილი, 2003:301)

ამჯერად ჩვენთვის აქტუალურია ჯ. გ. ბაირონის მიერ პოემა „ჩაილდ ჰაროლდის“ პირველი სიმღერის 84-ე სტროფის სახით წარმოდგენილი ლექსი, რომელიც ეძღვნება ბებიას (ბაირონის დედის მხრიდან), ქეთრინ ინესს. ი. მერაბიშვილმა თარგმნა “To Ines”. მთარგმნელი შთამბეჭდავად გადმოსცემს, როგორ უზიარებს პოეტი თავის მარტოობის ტრაგიზმს წინაპარს, ლეგენდარული სახელის, **ინესის** მატარებელს. აღნიშნული ლექსი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა და მასში ასახულია ის სულიერი სიცარიელე, რომელმაც დაისადგურა პოეტის ლირიკულ გმირში.

ი. მერაბიშვილმა აღნიშნული ნაწყვეტის თარგმნისას თანამედროვე ტრანსლატოლოგიური თეორიის დახმარებით ამოიციო „ხატი“ ლექსისა. როგორც ი. მერაბიშვილი აღნიშნავს ლექსის კომენტარებში, პოემა „ჩაილდ ჰაროლდის“ აღიარებას მოჰყვა ბაირონის განცხადება: „ერთ მშვენიერ დღეს მე სახელგანთქმულმა გავიღვიძეო“ (მერაბიშვილი, 2013:248). სწორედ აქ პოულობს მთარგმნელი იმ „ჯადოსნურ ხატს“, რომელიც ლექსის ისტორიიდან და კონტენტიდან გამომდინარე, მარტოობის გარდა, ამავედროულად სახელგანთქმულობის აღიარებაა. მიუხედავად აღიარებისა, პოეტი უბედურია, რადგან ეულია ამქვეყნად და ვერც სიყვარული, ვერც სიძულვილი ვერ ბადებს მასში ცხოვრებისადმი სიყვარულს. ამიტომ გულის საიდუმლო პოეტისთვის „ჯოჯოხეთია“, რომელსაც თავის წინაპარსაც ვერ უმხელს. ი. მერაბიშვილმა თარგმანი შეასრულა 10-მარცვლიანი სალექსო ფორმით, გამოყენებულია მოსაზღვრე რითმებიც, მაგ.: ღიმილი-ტკივილი, ტანჯავს-გარჯავს, გონებას-გოდებას. ქართველი მთარგმნელის ღირსება ისა, რომ, მიუხედავად ბაირონის პოემა „ჩაილდ-ჰაროლდიდან“ ფრაგმენტი ითარგმნა, სულაც არ არის

ამოგლეჯილი იდეული მრწამსიდან. ლექსში გაშიფრულია საბაბი , თუ რატომ გარბის პოეტის ლირიკული გმირი მშობლიური კუთხიდან:

„ჩემშიც იმ დარდმა დაისადგურა,
რომ აწვალებდა დევნილ აჰასფერს,
განგებამ შვება აქ არ არგუნა,
კარგს არ უქადდა არც იქ არაფერს“.
“It is settled, ceaseless gloom
The fabled Hebrew wanderer bore;
That will not beyond the tomb,
But cannot hope for rest before”.

(მერაბიშვილი, 2003:104,105)

მიუხედავად იმისა, რომ დედნის მოცემულ სტროფში არსადაა ნახსენები „აჰასფერი“ და მოცემული სიტყვა ებრაელი ერის განზოგადებად წარმოგვიდგება, მთარგმნელმა მიუსადაგა ეკვივალენტად ბიბლიური ლეგენდარული პერსონაჟი „მარადი ურია“ – აჰასფერი, რაც სინონიმურია თვით ბაირონის პიროვნების ბედისწერისა.

იოსებ ბაქრაძე თარგმნის პოემას შუალედური ენიდან (რუსულიდან). ჩვენთვის უცნობია, რომელი ენიდან თარგმნა კონსტანტინე ჭიჭინაძემ, თუმცა მისი თარგმანი გამოირჩევა პოეტური მაღალმხატვრულობით. მოგვყავს დედნიდან III კანტოს XVIII სტროფები კ. ჭიჭინაძის თარგმანისა.

XVIII

“And Harold stands upon this place of skulls,
The grave of France, the deadly Waterloo;
How in an hour the power which gave annuls?
Its gifts, transferring fame as fleeting too!
In `pride of place' here last the eagle flew,

Then tore with bloody talon the rent plain,
Pierced by the shaft of banded nations through;
Ambition's life and labours all were vain;
He wears the shatter'd links of the world's broken chain “.
(*Childe Harold's Pilgrimage -- Canto III, n.d.*)

„აჰა გაშლილა ჰაროლდის წინ ვატერლოს ველი,
ფრანგთა სამარე მოკირწყლული თავის ქალებით.
აქ ერთ საათში გაცამტვერდა დიდება მთელი
სრულიად მისის ძლიერებით და ბრწყინვალებით!
უკანასკნელად აქ ეკვეთა არწივი გნოლებს!
მაგრამ წააწყდა მოზღვავებულ მტერთა სიაფთრეს.
პატივმოყვარე, რომ იხდიდა სისხლიან ბრძოლებს,
დაშვრა ამოდ. ის დამსხვრეულ ბორკილის რგოლებს,
რომლითაც მიწა შემოჯაჭვა, თავად მიათრეს“.

(ბაირონი, თარგმანი კ. ჭიჭინაძის, 1941:117)

ლექსში ნაპოლეონი სიმბოლურად განასახიერებს „არწივს“, რომელსაც კლანჭებში მოუქცევია მსხვერპლი. მთარგმნელმა მსხვერპლისათვის მოძებნა იდენტური სიმბოლო „გნოლის“ სახით. არ არის დარღვეული კონტექსტი. ყოველი ტირანი, სხვათა მპყრობელი, თვით იქცევა მსხვერპლად, თუმცა აშკარაა, რომ კ. ჭიჭინაძის თარგმანი დედნიდან არ შესრულებულა.

ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი და მისი ქართული თარგმანები. ბაირონის პიროვნებიდან გამომდინარე, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მისი სწრაფვა თავისუფლებისაკენ ერთგვარად უპირისპირდება განდიდებისაკენ ლტოლვასაც. მსოფლიო რანგის დიდი ლიტერატურისა და ხელოვნების კორიფეები (გოეთე, ჰაინე, ბეთჰოვენი და სხვანი.) აღტაცებით შეხვდნენ ევროპის მბრძანებლის, საფრანგეთის იმპერატორის, ნაპოლეონ ბონაპარტის (1769-1821) წარმატებებს, რაც დიამეტრულად შეიცვალა მისი დამარცხების შემდგომ. მოაზროვნეებმა ნაპოლეონში დაინახეს

როგორც მსოფლიოს მბრძანებლის მარცხი, ასევე ბედისწერის ძალაც სამომავლოდ მის მსგავს ხელმწიფეთა მიმართ.

თუ ბაირონის პოემის „ჩაილდ ჰაროლდის“ პირველ სიმღერაში ესპანეთსა და საფრანგეთს შორის ომის დაწყებასთან კავშირში არაა ნახსენები **ნაპოლეონის** სახელი „იგი მისთვის გმირია ჯერ არ დამდგარა ამ პიროვნებით იმედგაცრუების ჟამი.“ (გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, 2008:321). მომდევნო სიმღერებში აღწერილია მოგზაურობა საბერძნეთსა და ბელგიაში სადაც პოეტი ვატერლოოს ველზე ხვდება. საინტერესოა, რომ ამ დროისთვის პოეტის წარმოდგენა ნაპოლეონზე უკვე შეცვლილია; იგი აღარ სახავს მას ევროპის განმათავისუფლებელ გმირად. თუმცა, ბაირონი არ იტყუებს თავს: მას არ სჯერა, რომ ნაპოლეონთან ერთად ევროპაში სამუდამოდ დასამარდა ტირანია. ამიტომაც იგი გაოცებულია ადამიანთა სიბეცით და სვამს კითხვას : როგორ შეიძლება ეპირფერო მგელს, რომელიც ლომის ნაცვლად მოვიდაო? ცხადია, ლომში პოეტი ალეგორიულად ნაპოლეონს გულისხმობს, ხოლო მგელში – მათ, ვინც იგი შეცვალა. (გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, 2008:322.) .

ბაირონი აღტაცებულია იმპერატორით, ამსგავსებს მას პრომეთეს, რომელმაც ღმერთს მოსტაცა ცეცხლი, რისთვისაც დაისაჯა. მიუხედავად ამისა, პოეტმა მაინც მისი მარადიულობა იწამა და წარმოაჩინა კიდევაც პოემაში „პრომეთე“ (1816). როგორც მკვლევარი ი. მერაბიშვილი აღნიშნავს, პოეტის დამოკიდებულება ნაპოლეონისადმი რთულია. პოეტი ნაპოლეონს აიგივებს ხშირად პრომეთესთან, ამავე დროს მისწრაფვის მისკენ. დასტურად მას მოჰყავს ნაპოლეონის ცნობილი მკვლევრის, დევიდ მარკჰამის ციტატა, რომ ბაირონი მიზნად ისახავს შექმნას მისგან გმირი და ამავე დროს თვალყურს ადევნებს ნაპოლეონის კარიერის ისტორიულ განვითარებასაც (მერაბიშვილი, 2005:118). ამის ჩვენება ბაირონმა მხატვრულად შეძლო ნაპოლეონისადმი მიძღვნილ ლექსების ციკლში (“Poems of Napoleon”), რომელიც 1815-1816 წლებში შექმნა. უფრო ადრე, 1814 წელს კი დაწერა ლექსი „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი“ (“Ode to Napoleon Buonaparte”).

ინესა მერაბიშვილს მოჰყავს ფრაგმენტი ბაირონის დღიურიდან: „ყოველდღიურად ვვარჯიშობ კრივში ჯექსონთან ერთად... რაც უფრო მეტად ვიღლები, მით უფრო უკეთესი განწყობილება მეუფლება! დღეს ერთი საათის

მანძილზე ვივარჯიშე, დავწერე ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი – გადავწერე – შევჭამე ექვსი გალეტი –დავლიე ოთხი ბოთლი სოდიანი წყალი...“ (მერაბიშვილი, 2005:119-120). ზემოდასახელებული ლექსი XIX საუკუნის პირველ ნახევარში არ თარგმნილა რუსულად, შესაბამისად ვემყარებით ი. მერაბიშვილის მოსაზრებას, რომ იგი მხოლოდ XX საუკუნეში ითარგმნა ცნობილი რუსი პოეტის, ვალერი ბრიუსოვის მიერ. მაგრამ, სავარაუდოდ, „ოდა ნაპოლეონისადმი“ ნათარგმნი იქნებოდა ფრანგულად XIX საუკუნეში. ლექსი ბრიუსოვისეული რუსული თარგმანის ტრანსლატოლოგიურად გაანალიზებულია ი. მერაბიშვილის ნაშრომში, „თარგმანი კულტურათა დიალოგი“. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ბაირონის დედნის მე-19 სტროფის არასწორ ინტერპრეტაციაზე. აღნიშნულია, რომ ბაირონმა ეტლით განვლო სიმპლონის ნაპოლეონისეული გზა ალპებზე.

ბაირონის პოეზიიდან 1965 წელს „ლიტერატურული საქართველოს“ #6-ში დაიბეჭდა ორი ლექსის თარგმანი, რომელიც შესრულდა პოეტ გრიგოლ აბაშიძის (1914-1994) მიერ. აქედან ყურადღებას გავამახვილებთ მეორე ლექსზე „ოდა ფრანგულიდან“. ჩვენი ვარაუდით, ეს ლექსი კი არ წარმოადგენს ლექსის „ოდა ნაპოლეონისადმი“ პატივსაცემ (“Ode to Napoleon Buonaparte”) თარგმანს, არამედ ბაირონის მეორე ლექსისას “Ode from the French” [‘We do not curse thee, Waterloo’), რომელიც ხუთი ნაწილისაგან შედგება, ქართველმა მთარგმნელმა კი თარგმნა 4 ნაწილად. დედნის მე-4, მე-5 ნაწილები აზრობრივად გააერთიანა ქართულ თარგმანში მეოთხე ნაწილად.

მოგვყავს დედანი და გრიგოლ აბაშიძის თარგმანი:

Ode (From the French)

IV.

“O’er glories gone the invaders march,
Weeps Triumph o’er each levell’d arch–
But let Freedom rejoice,
With her heart in her voice
But, her hand on her sword,
Doubly shall she be adored

France hath twice too well been taught
The 'moral lesson' dearly bought
Her safety sits not on a throne,
With Capet or Napoleon!
But in equal rights and laws,
Hearts and hands in one great cause—
Freedom, such as God hath given
Unto all beneath his heaven,
With their breath, and from their birth,
Though guilt would sweep it from the earth;
With a fierce and lavish hand
Scattering nations' wealth like sand;
Pouring nations' blood like water,
In imperial seas of slaughter!

V.

But the heart and the mind,
And the voice of mankind,
Shall arise in communion—
And who shall resist that proud union?
The time is past when swords subdued
Man may die - the soul's renew'd:
Even in this low world of care
Freedom ne'er shall want an heir;
Millions breathe but to inherit
Her forever bounding spirit—
When once more her hosts assemble,
Tyrants shall believe and tremble
Smile they at this idle threat?

Crimson tears will follow yet “.

(“Ode (from the French) - Poem de George Gordon Lord Byron”)

ოდა ფრანგულიდან

I

„ვატერლოო! წყევლას არ გითვლით, არა,
თუმცა შენს ველზე სისხლი დაღვარა
თავისუფლებამ, მაგრამ სრულიად
იმ სისხლს ამაოდ არ ჩაუვლია,
იგი ამოჩქევს ჭრილობებს მკერდში.
ვით ოკეანის სიღრმიდან სმერჩი.
და მალლა ჰაერს შეარყევს ძლიერ,
რომ შეუერთდეს ლაზღდოიერს.

რომ მკვდარ სხეულში ჩქროლვით უვლიდეს
მამაცთა შორის მამაცს უდიდესს.

ჰგავს ცად აჭრილი ეს სისხლი ვულკანს,
რომ დაუბრუნდეს მიწასვე უკან.

და როს იქცევა უდიდეს ღრუბლად,
საშინელ მეხად გასკდება უცბად.

ამგვარი მეხი ქვეყნად ნამდვილად
ჯერ არასოდეს არ გავარდნილა.

არვის ექნება ელვა ნახული,

ასე ბრწყინვალე, ასე ზღაპრული.

იგი კუდიან ვარსკვლავის მსგავსად
ღრუბლიდან ზეცას გაეკვრის ნავსად,

მიწას აწვიმებს ცეცხლის აღმასებს
და მდინარეებს სისხლით აღავსებს.

II

ნაპოლეონი აქ დაცემულა,
მაგრამ მტრის ხელით როდი ძლეულა
ვატერლოს ველზე, მან არ უწყოდა
მარცხი რა იყო, სანამ უძლოდა
თავისუფალ ხალხს გმირული ბრძოლით,
მაშინ არ ჰყავდა მას ქვეყნად ტოლი.
მას ფრანგი ხალხის სწრაფვა ესმოდა,
სანამ არ იქცა თვითონ დესპოტად
და არ გაცვალა მტრების მსახვრელი
მეფის გვირგვინზე გმირის სახელი.
მაშინ დაემხო, როგორც ყოველი
ემხოზა ხალხის დამამხოზელი.

III

შენ, მბრძანებლო ბევრი ქვეყნისა,
სამშობლოს მიწაც კი არ გელირსა.
გერჩია ფრანგ ხალხს ომში ბოლომდის
მტრის წინააღმდეგ რომ გაძლოლოდი.
ოლონდ დიდების ყალბი ფიტული,
არ შეგეძინა მეფის ტიტული.
ერთი მოკვდავი მეფის სახელი
შენთვის პატარა და სამრახველი,
შენ არც ფიქრობდი მეფობას, ალბათ,
როცა ცხენდაცხენ მიჰქროდი სწრაფად
მტრის ლაშქრისაკენ ძლევა მოსილი
და ჩაჩქნებს ლეწდი ხმალამოწვდილი,
მაშინ ბრძოლაში იყავ მედგარი,
ვით შლეგი ტალღა ყალყზე შემდგარი.
მტერს ბალახივით ხმლისქვემ აფენდი

და არ გახსოვდა ბედი შავბედი,
რომ გიმზადებდა იქვე მახლობლად
შენივე მონის ხელით დამხობას.
ვით ტალღებს მთვარე და ვარსკვლავთ
გუნდი
ერთდროს უძლოდა ჯარს შენი ქუდი,
ეგ თეთრფრთიანი ქუდი ქათქათა,
ვით გზის გამკვლევი ბნელში ლაშქართა.
მას შეჰყურებდა მებრძოლი შორით,
კვამლი ბურავდა თუ წვიმის თქორი
და თუ თეთრი ფრთა კვლავ წინ მიჰქროდა
მებრძოლიც სულ წინ ქროლვას ფიქრობდა.
წინ მიიწევდნენ თავგამეტებით,
სასტიკ ბრძოლაში მტერზე კვეთებით.
მიუხაროდათ ცეცხლში, ვით ლხინში
და არ იცოდნენ სიკვდილის შიში.
ხმლის ელვაში და დროშების ტყეში
თუმც ირგვლივ იყო ტყვიების თქეში,
მათ იფარავდათ რაღაც განგებით
არწივიანი დროშა ფრანგების
(ძირს ვინ დახრიდა დროშას მაშინ,
სულ წინ მომავალს დიდების მარშით,
იმ არწივის ფრთებს ძირს ვინ დახრიდა,
მტერს რომ ცეცხლსა და რისხვას
აყრიდა!)
სადაც მტრის ძალას სტეხავდნენ ძალით,
იქ მიურატის ბრუნავდა ხმალი.
ისიც დაეცა თვალდახუჭული,
ადარ იქუხებს ხმალდაბლუჯული.

IV

თაღები იქცნენ ლოდების გროვად,
მტერს ზეიმი აქვს, საფრანგეთს - გლოვა.
და მის მოთქმაში, ვით ნისლში სხივი,
თავისუფლების იმედი ღვივის.
ხმაღს თვით აიღებს თავისუფლება
და თაღხით აღარ დაიდრუბლება.
საფრანგეთისთვის ხსნა სადმე თუა,
ეს არის, ფრანგმა ისწავლა ჭკუა!
მვირად დაუჯდა მას გაკვეთილი,
გმინავს დაჭრილი და დაფლეთილი.
ერთგვარად გლეჯდნენ მას გამეტებით
ნაპოლეონი და კაპეტები,
სამართალს უნდა დაეყრდნოს იგი,
რომ დაამყაროს წესი და რიგი.
თავისუფლების მოთხოვნილება
თვით ღვთისგანა აქვს ყველა ქმნილებას.
თუმც ბოროტება მას ებრძვის მუდამ
და ყველგან მისი მოსპობა უნდა.
სურს გადაჰხუროს ცოდვილი ხელით
სამყაროს ნგრევის ღრუბელი ბნელი;
რომ ხაღხთა სისხლის ვრცელ ზღვას
მმვინვარეს
ემატოს კვლავაც სისხლის მდინარე.
მაგრამ კაცთმოდგმის გულს და გონებას
ქვეყნად რა ძალა გაუტოლდება?!
თუ ორივ ერთი ფიქრით აღდგება,
რა ძალა დასძლევს მას, რა განგება?!
ხმლის დრო წავიდა, ამ დღემდე მისულს,

კაცს მოჰკლავ, მაგრამ ვერ მოჰკლავ მის
სულს.

რომ არ ჰყოლია, ახლა იმდენი,
თავისუფლებას ჰყავს მემკვიდრენი.
თვით დაამკვიდრებს ხალხი სამართალს,
თავისუფლების დროშას აღმართავს
და გაბრწყინდება ვით სასწაული.
მაშინ მტარვალებს ძრწოლა დაუვლით.
ძირს დაინთხევა მტარვალთა შხამი,
მათი განკითხვის დადგება ჟამი“.

(ბაირონი ,თარგმანი გრ. აბაშიძის, 1965:4)

თარგმანი საერთოდ თავისუფალია და უცნობია, თუ რომელ ენაზე არსებული ტექსტიდან შესრულდა. (სავარაუდოდ, რუსული თარგმანიდან – თ. ს.) აღსანიშნავია, რომ კვლავაც გამოსჭვივის ილიასეული ოცნება ქვეყნის თავისუფლებაზე, რომელსაც შესანიშნავად მიესადაგა ბაირონის ლექსი „ოდა ფრანგულიდან“.

ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ორი მკვლევრის, მ. კუჭუხიძისა და ე. ვარდოშვილის ნააზრევზე, კერძოდ, თუ როგორი რემინისცენცია მოხდა ნაპოლეონისადმი მიძღვნილი ლექსისა ქართველ რომანტიკოს პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილთან (რომელმაც უძღვნა მას ლექსი „ნაპოლეონ“ – 1838). მ. კუჭუხიძე აღნიშნავს, რომ, როგორც ბაირონთან, ისე ნ. ბარათაშვილთანაც ნაპოლეონი წარმოჩენილია გენიალურ პიროვნებად და ნაჩვენებია მისი ხვედრი. ე. ვარდოშვილი ფიქრობს, რომ ბარათაშვილმა კარგად იცოდა ნაპოლეონის საბრძოლო წარმატებებისა და მარცხის ისტორია, პეტრე მამაცაშვილისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის მონათხრობებიდან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლებში, ამიტომ ლექსი „ნაპოლეონ“ მხოლოდ მიღებული ინფორმაციის გონივრული გაანალიზებით შეიქმნა. ნ. ბარათაშვილისა და ბაირონის ნაპოლეონისადმი მიძღვნილი ამ ორი ლექსის შედარებამ აშკარად ჰხადჰყო, რომ ბარათაშვილი კარგად იცნობდა ბაირონის ტექსტს, თუნდაც ფრანგული თარგმანის მეშვეობით. ამისათვის მოგვყავს ბაირონისეული და ბარათაშვილისეული

პარალელური გააზრებანი ნაპოლეონის პიროვნებისადმი დასახელებული ლექსებიდან. ბაირონთან უფრო გასაუბრებაა პოეტისა გვირგვინოსანთან, ხოლო ბარათაშვილთან კი ნაპოლეონის მონოლოგია. ბაირონისათვის ნაპოლეონი არ არის ერთადერთი გენიალური მმართველი და ამიტომ თავის ლექსში მოჰყავს მსგავსი მაგალითები საბერძნეთის, რომის, ესპანეთის ისტორიიდან, ხოლო ბარათაშვილთან ნაპოლეონი ბედისწერით გამორჩეული პიროვნებაა, რომელსაც სწამს, რომ მისი მსგავსიც აღარავინ დაიბადება. სრულიად საპირისპიროა ბაირონის მთლიანი ტექსტის დედააზრი ბოლო, მე-19 სტროფში, რომელიც ვალერი ბრიუსოვის თარგმანში სათანადოდ არ არის ნათარგმნი. ასევე საპირისპიროა ბარათაშვილის ბოლო სტროფი.

ი. მერაბიშვილის აზრით, ბარათაშვილის ლექსის ბოლო ტაეპი ნაპოლეონისადმი ბაირონის ტექსტის ალუზიაა, რომლის ინტერპრეტაციაც ვერ მოახერხა ვ. ბრიუსოვმა მისეულ თარგმანში (ი. მერაბიშვილი, 2005:126). აქედან გამომდინარე, ინესა მერაბიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს უზუსტეს გააზრებას ბაირონის ძირითად ქვეტექსტზე და მიანიშნებს, რომ ბრიუსოვის თარგმანში ქვეტექსტი, რომელიც მე-16 სტროფში იკითხება, თარგმნისას არასათანადოდ იქნა რეალიზებული, მხოლოდ იმიტომ, რომ ტექსტი თარგმანში გაყალბებულია არა მის შესაბამის მე-16 სტროფში, არამედ მე-19 სტროფში, რომელიც ანალიზის შედეგად მთელი ნაწარმოების კონცეპტს იტევსო (მერაბიშვილი, 2005:125).

მიუხედავად იმისა, რომ ნ. ბარათაშვილის ლექსის „ნაპოლეონ“ ხელნაწერი (მეექვსე კრებულის ვარიანტი) 1838 წლით თარიღდება, ჩვენი აზრით, წინამორბედი 5 სტროფი ადრე დაწერა პოეტმა, ხოლო ბოლო სტროფი უკვე ნაპოლეონის სიკვდილის შემდგომ პოეტის იდეის გამოხატულებაა. მოგვყავს ამონარიდი ნ. ბარათაშვილის ლექსიდან:

„ბევრი დღე გავა, რომ ჯერ ბევრი ვერ ვცნათ ჩვენ მისი!
თვითონ სიკვდილიც მას უებროდ აღმოგვიჩინებს:
დამქრალი ცეცხლი და ზღვის ღელვა წარმოგვიდგინებს
მისს ცეცხლსა სულსა და ზღვა გულსა განსაკვირველებს!“

(ბარათაშვილი, 1968:100)

მკვლევარი ი. მერაბიშვილი, რომელმაც პირველმა თარგმნა „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი“, მთარგმნელთა შორის ასახელებს გალაკტიონ ტაბიძესაც, რომელმაც თარგმნა ბრიუსოვის „ოდის“ (ნაპოლეონ ბონაპარტისადმი) ორი სტროფი რუსული თარგმანიდან. მოგვყავს დედანი და ინესა მერაბიშვილის მიერ თარგმნილი მე-19 სტროფის უნაკლო თარგმანი:

“Where may the wearied eye repose
When gazing on the Great;
Where neither guilty glory glows,
Nor despicable state?
Yes -one-the first-the last-the best-
The Cincinnatus of the West,
Whom envy dared not hate,
Bequeth'd the name of Washington,
To make man blush there was but one! “

((Lord Byron (1788-1824). Ode to Napoleon Buonaparte. William Stanley Braithwaite, Ed. 1909. The Book of Georgian Verse, n.d.)

„დიდ პიროვნებებს წარსულისას შევავლოთ თვალი!
სამაგალითოს და საგმიროს ცოტა გვიამბოს!
შეუბღალავი ვინ დატოვა დიდების კვალი,
აროდეს იყო ვინ უღირსი და უნიათო?“
გამორჩეული სიმამაცით,სინდის-ნამუსით
მოჩანს ბნელეთში დასავლეთის ცინცინატუსი —
ჯორჯ ვაშინგტონი — ვით ანდერძი, მარად კიაფობს!
ქვეყნად ის იყო ერთადერთი, პირველიც, ბოლოც,
შემარცხვენელი კაცთა მოდგმის ერთია მხოლოდ!“
(მერაბიშვილი, 2005:147)

როგორც ე. ვარდოშვილი აღნიშნავს, ლექსით „ნაპოლეონ“ ბარათაშვილი დასავლეთევეროპულ ლიტერატურულ ტრადიციის გამგრძელებელია, რითაც კიდევ უფრო სრულყოფს ბაირონის „ნაპოლეონის ციკლის“ ლექსთა მხატვრულ აღქმას ქართველი მკითხველისათვის (ვარდოშვილი, 2018 :58).

ნაპოლეონის თემამ კვლავ გაიჟღერა ბაირონის ლექსში “On Napoleon’s Escape from Elba”. როგორც ი. მერაბიშვილი შენიშნავს, ლექსი მიემდგვნა ნაპოლეონის გაქცევას კუნძულ ელბადან 1815 წელს, მან ჯერ გაილაშქრა ლიონზე, შემდგომ კი პარიზზე, რითაც დასრულდა მისი ცნობილი „ასი დღე“. ი. მერაბიშვილმა თარგმნა ეს ოთხსტროფიანი ლექსიც, რომელშიც გამოიკვეთა ქვეტექსტურად ყოფილი მონარქის პოზიცია. მოგვყავს მოცემული ლექსის დედანი და ი. მერაბიშვილისეული თარგმანი:

On Napoleon’s Escape from Elba

“Once fairly set out his party of pleasure,

Taking towns at his liking, and crowns at his leisure,

From Elba to Lyons and Paris he goes,

Making balls for the ladies and bows to his foes”.

(“On Napoleon’s Escape from Elba, by Lord Byron”)

ნაპოლეონის გაქცევა კუნძულ ელბადან

„ერთხელაც მოხდა, გზას გაუდგა ელბადან პარიზს,

თუ მოიცლიდა დაამხოზდა მონარქებს გავლით,

გზად ის მშვენიერ ქალბატონებს მეჯლისს უხდიდა,

მტერს შეხვდებოდა, არც ცბეზოდა, და თავს უხრიდა“.

(ლორდ ბაირონი, 2013:164, 165)

ინესა მერაბიშვილისეული თარგმანი, მართლაც, დედნის ეკვივალენტურია.

„პრომეთე“ და მისი ქართული თარგმანები. მონოგრაფიაში („თარგმანი კულტურათა დიალოგი“), ინესა მერაბიშვილი ეხება რა ნაპოლეონის თემას, მესამე ნაწილს უძღვნის ნაპოლეონსა და პრომეთეს. მკვლევარი ი. მერაბიშვილი ჯ. გ. ბაირონის ბიოგრაფიიდან გამომდინარე, განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას ჰაროუს სკოლაში სწავლისას როგორ ინტერესდება ბაირონი „პრომეთესა“ და „მედეას“

მითით: მკვლევარს მოჰყავს ნაწყვეტი წერილიდან გამომცემელ ჯონ მარისადმი, რომელშიც ბაირონი გამოხატავს აღფრთოვანებას ანტიკური ეპოქის ტრაგიკოსის, ესქილეს „პრომეთეით“, რაც რამდენჯერმე წაუკითხავს „მედეასთან“ ერთად. აი რას წერს ბაირონი: „თუ პრომეთეს მონაწილეობა მე ყოველთვის არ დამისახავს შემოქმედებითი გეგმებით, ის იმდენადაა ჩემში გამჯდარი, რომ დღეს არცთუ ძნელი მისახვედრია, რაოდენ დიდია მისი გავლენა ყველაფერზე, რაც კი ოდესმე დამიწერია“ (მერაბიშვილი, 2005:116).

ზოგიერთი კრიტიკოსი ბაირონის „მანფრედზე“ ესქილეს „პრომეთეს“ გავლენის საკითხსაც აყენებდა.

ბაირონის პოემა „პრომეთეოსი“ დაიწერა 1816 წელს ვენეციაში ყოფნის პერიოდში. მისი მთავარი თემა წარმოდგენილია პოემის პირველ ნაწილში – ტირანთან ტიტანის დაპირისპირების საკითხი. „პრომეთეოსის“ მეორე ნაწილში ბაირონი ავითარებს მსჯელობას, რომ პრომეთეოსი ვერ გატყდა იმ საშინელი ტანჯვის შედეგად, რომელიც ზევსმა დაატეხა თავს, ხოლო ბოლო ნაწილში ავტორი მიანიშნებს მკითხველს, რომ პრომეთეოსი არის ადამიანი ადამიანებისათვის, რათა ისინი იყვნენ მამაცები, გაბედულები და შეუდრეკელნი. რამდენადაც პრომეთეოსი განასახიერებს სიმბოლოს მეზრძოლისა, რაც ასე იყო დამახასიათებელი რომანტიზმის ეპოქისათვის. სწორედ ამიტომ დაინტერესდა ილია ბაირონის პოემა „მანფრედით“, ერთი მხრივ, იგი ძლიერ, თავისუფლებისმოყვარე პიროვნებას წარმოადგენს, ხოლო, მეორე მხრივ, პრომეთეოსს აგონებს.

„პრომეთეს“ თარგმნა ქართულ კულტურულ სივრცეში წარმოადგენდა ერისთვის ძალზე ახლობელ თემატიკასთან მიახლოებას, რაც აიხსნებოდა „პრომეთესა“ და „ამირანს“ შორის არსებული ტიპოლოგიური მსგავსებით მითოლოგიაში (მერაბიშვილი; 2005:107). თავისუფლებისმოყვარე პრომეთესა და ამირანს შორის მსგავსება ქართველს მოაგონებდა იმპერიის ჯაჭვებით დასჯილ საქართველოს ბედს, რასაც კიდევაც აღნიშნავდა ქართველი 60-იანელი აკაკი წერეთელიც.

ამკარაა, ბაირონი ცდილობდა საქართველოსთან დაეკავშირებინა „პრომეთეს“ მითი. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში აკაკი წერეთელი ცდილობდა

გამოეკვეთა ის ფაქტი, რომ ბერძნულ მითოლოგიაში არსებული ლეგენდარული პრომეთე და ქართული მითოლოგიის გმირი ამირანი ერთი და იგივეა. შესაბამისად აკაკი წერეთელი თავის ისტორიულ პოემაში „თორნიკე ერისთავი“ (1884) ქართველ მებრძოლთა სიმღერას უძღვნის ამირანს და მის ბედს აიგივებს საქართველოს ბედთან (პოემის IV კარში, ქართველი მხედრების სიმღერაში):

„კავკასიის ქედზე იყო
ამირანი მიჯაჭვული,
ყვავ-ყორანი ეხვევოდა,
დაფლეთილი ჰქონდა გული.

...

კავკასიის მაღალ ქედზე
მიჯაჭვული ამირანი,
არის მთელი საქართველო
და მტრები კი - ყვავ-ყორანი.
მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი!..
სიხარულად შეეცვლება
იმდენი ხნის გასაჭირი!“

(წერეთელი, 1956:78)

აშკარაა, ეს თემა იმდენად პოპულარული იყო ქართულ საზოგადოებრიობაში, რომ ბაირონის „პრომეთედან“ თარგმნილ ნაწყვეტს (გაზ. „ივერია“, 1903: #262) XIX საუკუნის ქართველი მთარგმნელი იოსებ ბაქრაძე ასე მიაწერს „პრომეთეოსი“ („ამირანი“). ბაირონის მთარგმნელს არა აქვს გამოკვეთილი, პოემის რომელი მონაკვეთით ისარგებლა, მაგრამ გადმოსცემს მთლიანი პოემის კონტენტს. თუმცა დასაწყისი და დასასრული ქართული თარგმანისა უახლოვდება ბაირონის ტექსტს. მოგვყავს დედნიდან პირველი სტროფის ფრაგმენტი და ი. ბაქრაძის თარგმანი:

Prometheus

“Titan! to whose immortal eyes
The sufferings of mortality,
Seen in their sad reality,
Were not as things that gods despise;
What was thy pity's recompense?
A silent suffering, and intense;
The rock, the vulture, and the chain”,

...

(Prometheus by Lord Byron (George Gordon), 2022)

პრომეთეოსი (ამირანი)

ბაირონისა

„ღმერთებივითა გულგრილად, ცივად
შენ, ბუმბერაზო, არ უყურებდი
კაცობრიობის ტანჯვას ბედშავად,
მის კვნესაზედ ყურს არ იყრუებდი,
შენ ჩვენ გიყვარდით; რა გერგო ჯილდოთ?
მხოლოდ ტანჯვა და ბრძოლა მუდმივი,
ბრძოლა იღუმლად და უნუგეშოდ -
ბორკილები და კლდე და არწივი...“

(ბაირონი (თარგმანი ი. ბაქრაძის), 1903:2)

მოგვეყვას მესამე სტროფის ფრაგმენტი დედნიდან და ი.ბაქრაძის თარგმანი:

“To which his Spirit may oppose
Itself — and equal to all woes,
And a firm will, and a deep sense,
Which even in torture can descry
Its own concenter'd recompense,
Triumphant where it dares defy,
And making Death a Victory “.

(Prometheus by Lord Byron (George Gordon), 2022)

„მასაც აქვს სურვილი და შეგნება
უმალღესისა თვისის უფლების -
გრძნობა, რომელიც ტანჯვით შორისი
უჯილდოვოდა არა დაშთების -
ეს ჯილდო არის შეგება სულისა;
იგი დღითი-დღე უფრო მაგრდება,
სურს მოეწიოს თვის გულის წადილს,
ყიჟინით ბრძოლას შეეგებება
და გამარჯვებად გადაჰქმნის სიკვდილს“.

(ბაირონი ,თარგმანი ი. ბაქრაძის, 1903:2)

ი. ბაქრაძის თარგმანით დასტურდება კიდევ ერთი ქვესახეობა უცხოური ენიდან თარგმნისას, როდესაც უშუალოდ გადმოიცემა დედნის შინაარსი მთარგმნელისეული ინტერპრეტაციით. პოემა „პრომეთეოსით“ ბაირონმა კიდევ ერთხელ ნათელყო პათოსი აღტაცებისა ანტიკური ეპოქის გმირისადმი, რასაც ქართველი მთარგმნელის (ი. ბაქრაძე) ცნობიერებამ ქართული მითოსური პერსონაჟი ამირანი მიუსადაგა.

ბაქრაძის თარგმანი მისივე ჩვეული მანერით არის შესრულებული, სავარაუდოდ, მან ისარგებლა შუალედური თარგმანიდან, რომელიც ეკუთვნის რუს მთარგმნელ ვასილი მარკოვს (XIX საუკუნის ბოლო) და შესულია ბროკჰაუზ-ეფრონის მიერ გამოცემულ ბაირონის თარგმანების კრებულების მეორე ტომში. ბაირონის დედანში გამოყოფილია პოემის სამი ნაწილი, რაც არის მარკოვის თარგმანში. ამის დასადასტურებლად მოგვყავს ბაირონის პოემის მარკოვისეული თარგმანის დასაწყისი:

Прометей

„Не съ равнодушиемъ, какъ боги,
Титанъ безсмертный, ты глядел
На человеческий удель,
Его напасти и тревоги“.

(Венгерова, т II, 1905:26)

რამდენადაც ი.ბაქრაძემ ბაირონის პოემაში დაინახა საბრძოლო განწყობილება, მცისვე ჩაურთო მგზნებარე პათოსით გამსჭვალული სტრიქონები:

„წინა აღვუდგეთ მარად მტარვალთა
გამოვიჩნდეთ სულის სიმტკიცეს,
რომელიც ცის და ქვეყნისა ძალთა
ვერ გასტეხეს, ვერ დააძაბუნეს“.

(თარგმანი იოსებ ბაქრაძის)

(ბაირონი , 1903 :2)

„Въ отпоръ стойкомъ злобе дикой
И въ твердости души великой,
Сломить которой не могли
Все грозй неба и земли“.

(Венгерова, т II, 1905:26)

2014 წელს გამოცემულ ბაირონის ლექსების კრებულში ოთარ ცისკაძემ შეიტანა ბაირონის „პრომეთეს“ თარგმანი, რომელიც ზუსტად სამ ნაწილადაა გაყოფილი და შენარჩუნებულია ბაირონისეული ტონალობა. თუ პოემის დასკვნით ნაწილში ი. ბაქრაძე იძლევა თავისუფალ თარგმანს, ო. ცისკაძე სწვდება დედნის კონტექსტს და ასე გადმოსცემს ამ ნაწილს:

“In the endurance, and repulse
Of thine impenetrable Spirit,
Which Earth and Heaven could not convulse,
A mighty lesson we inherit: “

„და გაუმელი ღმერთების რისხვას,
უდრეკი სული წამებით, ტანჯვით
ვერ შეგირყიეს ვერც ცამ, ვერც მიწამ
და ახლაც გვაძლევ ბრძოლის მაგალითს:“

(ბაირონი (თარგმანი ო. ცისკაძის) 2015: 163,165)

ბაირონის პოემა „პრომეთეოსის“ XX-XXI საუკუნეებში შექმნილი თარგმანები ნაწილობრივ იმის გამო, რომ პირველი რუსული თარგმანიდან არის შესრულებული, ხოლო მეორე – დედნიდან (თუმცა პოეტური ფანტაზიით გამდიდრებული) არ წარმოადგენს ღირებულ თარგმანს.

პოემა „შილონელი ტუსადი“ და მისი ქართული თარგმანები. ²⁸ ინგლისელი რომანტიკოსი პოეტის, ჯორჯ გორდონ ბაირონის პოეტური ბუნება არაიშვიათად გამოიხატებოდა მის მხატვრულ ქმნილებებში. შილონის ციხე-სიმაგრის დათვალიერების დროს სავოიის შვეიცარიელი პატრიოტის, ფრანსუა ბონივარის საკნის ხილვით აღძრულმა შთაბეჭდილებამ ბაირონს 1816 წლის ივნისში დააწერინა „შილონელი ტუსადი“. ბუნებრივია, ბაირონი გაეცნო ლეგენდებს ბონივარის შესახებ. ბაირონის პოემამ მრავალს გაუღვიძა ცნობისმოყვარეობა, ენახათ ბონივარის საკანი, მათ შორის იყვნენ ვიქტორ ჰიუგო, ალექსანდრე დიუმა, ჟორჯ სანდი, გუსტავ ფლობერი, ალფონს დოდე, მარკ ტვენი, ნიკოლაი გოგოლი და სხვანი. (Merabishvili, 2022:129). ლეგენდები ბონივარის ისტორიასთან დაკავშირებით იქმნებოდა შილონის ციხესიმაგრეში ბაირონის იქ ყოფნის შემდეგაც, რაზედაც მეტყველებს ერთი ფაქტიც: 1905 წელს აკაკი წერეთელი (რომელიც XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან უკვე იცნობს ბაირონის შემოქმედებასა და თარგმნის კიდევ მის რამდენიმე ლექსს) სამკურნალოდ გაემგზავრა საფრანგეთსა და შვეიცარიაში. 16 ივლისს მან მოინახულა შილონის ციხესიმაგრე. ინფორმაციას („შილონის ციხე-დარბაზი“) აკაკი აქვეყნებს ჟურ. „ივერიაში“ (1905 წლის 11 სექტემბერს, #162), რომელშიც დაწვრილებით აღწერს იმ საკანს, სადაც „ლორდ ბაირონის აღწერილი „ტყვე იყო მიჯაჭვული და იმან მიიპყრო ყველას ყურადღება“ (წერეთელი, 1961:304,305). ასეთია აკაკის მიერ მოსმენილი „შფოთის ოთახის“, ანუ საკნის ლეგენდა გიდი ქალბატონის მონაყოლის მიხედვით: საკანში მტრის მიერ დამწყვდეული იყო ოთხი ძმა და აკაკი ირონიულად შენიშნავს,

²⁸ (იხ. ჩვენი პუბლიკაცია: “THE PRISONER OF CHILLON BY GEORGE GORDON BYRON AND GEORGIAN TRANSLATIONS”. ABSTRACTS OF I INTERNATIONAL SCIENTIFIC PRACTICAL CONFERENCE. The World of Science and Innovation. AUGUST 19-21, LONDON, 2020. pp.73-79).
<chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://sci-conf.com.ua/wp-content/uploads/2020/08/THE-WORLD-OF-SCIENCE-AND-INNOVATION-19-21.08.20.pdf>.

თუ ისინი კედლიდან თითო ქვას გამოიღებდნენ, ტუსალობის პერიოდში მოახერხებდნენ კიდევ გაქცევას. მათ კი ეს დრო ერთმანეთთან დავაში გაატარეს და იმის ნაცვლად, რომ გათავისუფლებულიყვნენ, ისე დაბერდნენ და დაიხოცნენ, რომ მიზანს ვერ მიაღწიეს. ამით აკაკი ერთგვარ ანალოგს აკეთებს საქართველოსთან (წერეთელი, 1961:305).

სავარაუდოდ, შილონის ციხესიმაგრის „შგოთის ოთახის“ ლეგენდასაც იცნობდა თავის დროზე ბაირონი, რომელმაც თავისუფლებისმოყვარე სულისკვეთება მისეულ პოემაში გამოხატა მოსიყვარულე უფროსი ძმის ძმებზე დარდით.

სავარაუდოდ, აკაკი წერეთელი სწორედ ბაირონის პოემის წაკითხვის შემდგომ (რომელსაც, ალბათ, უკვე იცნობდა რუსულიდან ან ნ. ლომოურის ქართული თარგმანის, „შილონის პატიმარი“ მეშვეობით), ციხესიმაგრის საკნის ნახვის შემდეგ კიდევ ერთხელ ჩაფიქრდა საქართველოს ბედზე. ესეც ერთი გამოძახილია ბაირონის სულისკვეთებისაკენ სწრაფვით მამულის ბედზე გულატკივებულ პოეტში.

მაგრამ, რამდენადაც პოეტურმა ინსპირაციამ უბიძგა ბაირონს, სწრაფად შეექმნა პოემა, ის მხატვრულ ნაწარმოებში მეტ-ნაკლებად განსხვავებულად აისახა, რაც შეავსო მოგვიანებით ლექსში (1816 წლის ივნისი-ივლისი) „სონეტი შილონს“. პოემამ კი თავისი პირვანდელი სახით უკვე გაიკაფა გზა როგორც ინგლისელი, ისე უცხოელი მკითხველისაკენ მისი თარგმანების მეშვეობით.

დამოუკიდებლობადაკარგული საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობა ბაირონს და მის შემოქმედებას პოეტის სიცოცხლეშივე იცნობდა და დიდი ინტერესი აღძრა იმ ახალი ნაწარმოებებისადმი, რომლის პირველი თარგმანი ქართულ ენაზე შესრულდა XIX საუკუნის 60-იან წლებში. როგორც ინესა მერაბიშვილი წერს, ეს შეასრულა მთარგმნელმა ფსევდონიმით ი. კ. 1868 წელს ჟურ. „ცისკრის“ ფურცლებზე (ინესა მერაბიშვილის აზრით, მთარგმნელი უნდა იყოს თვით ჟურნალის რედაქტორი ივანე კერესელიძე). მეორე თარგმანი ეკუთვნის ნიკო ლომოურს (ნ. ლომაურს) (თარგმანის ქვეშ მიწერილია ნ. ლომაური), რომელიც, ლიტერატურათმცოდნე იზოლდა ბერამის აზრით, ვ. ჟუკოვსკის 1821 წლის თარგმანიდან შესრულდა.

ნიკო ლომოურის²⁹ „შილონის პატიმრის“ თარგმანს გამოქვეყნებიდან სულ მოკლე ხანში გამოეხმაურა ჟურნალი „კრებული“. (გ.წერეთელი). გ. წერეთლის ამ მცირე რეცენზიაში აღნიშნულია, რომ მთარგმნელმა ლიტერატურულ ასპარეზზე გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი: „უფ. ლომაურს ბოლოს მიუგნია თავისი ხელობა (მას ხომ ლექსებს უწუნებდნენ და სხვა სფეროში მოღვაწეობას ურჩევდნენ). როგორც ჩანს, უფ. ლომაურს სცოდნია ქართული ენა და საკმაოდ იყო გავარჯიშებულია ლექსთა თხზვაში. ამ ორი თვისების შემწეობით მას შეეძლო წაკითხვები და გაცნო მკითხველისათვის საუკეთესო პოემები ევროპის ლიტერატურისა“ (ბერაძე, 2002:92).

თარგმანი დაიბეჭდა ჟურ. „მნათობში“ (1872 წ. #4-5). როგორც მ. კუჭუხიძე შენიშნავს, ქართველმა მთარგმნელმა შეძლო რელიეფურად წარმოეჩინა ნაწარმოების საერთო განწყობილება და ემოციური მოტივი, ტანჯვა ადამიანისა (კუჭუხიძე, 1992:72). რუსულ ოთხტერფიან იამბს კი ქართული ათმარცვლიანი ლექსი მიუსადაგა. მიუხედავად იმისა, რომ თარგმანში გვხვდება ცალკეული ნაკლოვანებები (ზოგიერთი რუსიციზმი და ამ შემთხვევაში გაუმართლებელი სასაუბრო ენის გამოყენება), უნდა ითქვას, რომ მთლიანად ლომოურის თარგმანი შესრულებულია თავისი დროისათვის საკმაოდ მაღალ დონეზე – დაასკვნის მკვლევარი (კუჭუხიძე, 1992:72).

რაც შეეხება, თამარ ერისთავის თარგმანს, გამოქვეყნებულს ჟურნალ „ხომლში“, 1970 წლის #5-ში, გვ:190. ამაზე ინესა მერაბიშვილი აღნიშნავს, „საუკუნის შემდეგ პოემის პირველი სრული პოეტური თარგმანი შეასრულა თამარ ერისთავმა. მიუხედავად მთარგმნელის მაღალი ნიჭიერებისა, გულდასაწყვეტია, რომ პოემის ისეთ საკვანძო საკითხებში, როგორცაა რწმენა და თავისუფლება, ქართველი მთარგმნელი ჟუკოვსკის ინტერპრეტაციას დაემორჩილა და ამით ასცდა ბაირონის მიერ დაპყრობილ პოეტურ მწვერვალებს“ (ლორდ ბაირონი, 2018:26). აქვე, სავარაუდოდ, ვ. ჟუკოვსკის თარგმანიც უნდა გამოეყენებინა. ამას ადასტურებს ჟუკოვსკისეული თარგმანის სათაურიც: რუსულად «Шильонский узник», ქართულად – „შილონის პატიმარი“, რუსული «Ъ», ჩაანაცვლა თარგმანში „ი“ ხმოვანმა.

მეოთხე თარგმანი ეკუთვნის ინესა მერაბიშვილს, აი, ამ თარგმანის შექმნის ისტორია:

²⁹ ნ. ლომოურის გვარი ასეა მოწერილი (ნ. ლომაური) თარგმანის ბოლოს –თ.ს.

2018 წელს ბაირონის 41-ე საერთაშორისო კონფერენციის ეგიდით ბაირონის საზოგადოების თავმჯდომარემ საქართველოში, მკვლევარმა, მთარგმნელმა ინესა მერაბიშვილმა, დაათვალიერა შვეიცარიაში შილონის ციხე-სიმაგრე და ბონივარის საკანი. შვეიცარიაში ყოფნისას მიღებულმა ღრმა შთაბეჭდილებებმა განაპირობა კიდევაც „შილონის ტუსადის“ ქართულ ენაზე ხელახლა აქლერების სურვილი, რასაც მოჰყვა 2018 წელს ორენოვანი, ქართულ-ინგლისური ილუსტრირებული წიგნის გამოცემა, „გამოკვლევებითა და კომენტარებით“. ³⁰ რუსეთში პირველი თარგმანი „შილონელი ტუსადისა“ შესრულდა ფრანგულიდან, ხოლო იმავე წელს ვ. ჟუკოვსკიმ თარგმნა ეს პოემა, რომელსაც დიდი გამოეხმაურება მოჰყვა რუსეთში. ინესა მერაბიშვილისავე ცნობით, ბაირონის ლექსების რუსული თარგმანები, პოეტის რჩეული ლექსების ტომიდან, უშუალოდ ფრანგულიდან შესრულდა 1821 წელს. იმავე წელს ვ. ჟუკოვსკიმ გამოაქვეყნა ინგლისურიდან თარგმნილი „შილონელი ტუსადი“, რომელმაც მოაღწია ქართულ საზოგადოებამდე. ეს ვერსია ითვლებოდა უბადლო ოსტატურ თარგმანად, თანაც ჟუკოვსკიმ შემოიტანა ახალი ფორმები და თემები რუსულ ლექსთწყობაშიც. ამ წერილების ავტორმა პეტრე ვიაზემსკიმ ხოტბა შეასხა ჟუკოვსკისეულ თარგმანს რუსულ მოწინავე ჟურნალში “Sin Otechestva”. ვიაზემსკის აზრით, ეს იყო ბაირონის პოემის საუკეთესო თარგმანი (Merabishvili, 2004:5).

ინგლისური და გერმანული ენებიდან დაიწყო ვ. ჟუკოვსკიმ მხატვრული ლიტერატურის თარგმნა და, როგორც ბ. ბელინსკი აღნიშნავდა, თავისი ლექსით მან სრულყოფილად გადმოსცა ინგლისური პოეზიის რომანტიკული ხასიათი და, ნაცვლად პროზაული თარგმანისა, რუსულენოვანი მკითხველი აზიარა ბაირონის, მურისა და სოუთის ჭემმარიტ შემოქმედებას (Белинский, 1948:369, 370).

ინგლისური პოეზიითა და ბაირონის შემოქმედებით დაინტერესებულმა ვ. ჟუკოვსკიმ, განსაკუთრებით შილონის ციხე-სიმაგრის ნახვის შემდეგ (1821) გადაწყვიტა ეთარგმნა პოემა „შილონელი ტუსადი“. თუმცა სტატიების ციკლში, რომელიც მიედღვნა ალ. პუშკინის შემოქმედებას, ბ. ბელინსკიმ მიმოიხილა ჟუკოვსკის

³⁰ 2019 წლის 12 ივნისს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში აკადემიკოს ინესა მერაბიშვილის მიერ ჩატარებული საჯარო ლექციის დროს დაიბადა იდეა, შეგვესწავლა ბაირონის „შილონელი ტუსადის“ ქართული თარგმანის ისტორია, რისთვისაც დიდ მადლიერებას გამოვხატავთ ქალბატონ ინესა მერაბიშვილისადმი.

თარგმანიც. მან გამოკვეთილად აღნიშნა ფაქტი, რომ თარგმანში ბაირონისეული თითქმის არაფერი იყო, რადგან მთარგმნელმა სხვა აზრი და კოლორიტი წარმოადგინა. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ მთარგმნელს მეტად თავისუფალი სტილი შეურჩევია. თუმცა იქვე ბ. ბელინსკი არცთუ ისე დადებითად აფასებს ჟუკოვსკის მიერ თარგმნილ „შილიონელ ტუსადს“ (Белинский, 1948:280).

ბ. ბელინსკი უფრო ცდილობს, სწორედ რუსული ლექსით გადმოცემულ თარგმანზე გაამახვილოს ყურადღება და ნაკლებად აინტერესებს მისი დედანთან ეკვივალენტურობა. ამდენად, პირველწყაროდ თუ შესადარებლად სამივე მთარგმნელმა („ი. კ.“-მ, ნ. ლომაურმა და თ. ერისთავმა) ვ. ჟუკოვსკის თარგმანით ისარგებლეს. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ორიგინალს შევუდაროთ ქართული თარგმანი, რაზედაც ი. მერაბიშვილი შენიშნავს: „თუ ბაირონთან ბონივარის რწმენა ურყევია, ვ. ჟუკოვსკისთან რწმენა სათუოა“ (ლორდ ბაირონი, 2018:26). ამიტომ სავსებით მართალია მკვლევარი, როდესაც ზემოდასახელებულ თარგმანებს უშუალოდ ჟუკოვსკის ან უშუალოდ მისი გავლენით შესრულებულად მიიჩნევს.

ივანე კერესელიძეც, რომელიც თვით იყო სუსტი პოეტი და მთარგმნელი, დაეყრდნო ვ. ჟუკოვსკის თარგმანს „შილიონელი ტუსადი“. ი. კერესელიძემ თარგმნა მხოლოდ ცხრა თავი ამ პოემიდან (ვმსჯელობთ ჟურ. „ცისკრის“ პუბლიკაციაზე დაყრდნობით). თუმცა ვფიქრობთ, ამ თარგმანშიც ორიგინალთან შედარებისას ერთგვარი აღრევია (განსაკუთრებით IX თავში).

„სამთ ძმაზედ დიდი თვით მე ვიყავი,
ვივიწყე ჩემი მე ბედი შავი,
და მქონდა მხოლოდ ეს მზრუნველობა,
რომ გამემხნია ძმათ სულგრძელობა!
სულ პატარა ძმა, მრავალთ ცრემლთ მღვრელი,
იყო მამისა ის საყვარელი...
ახ! სახე მისი გამოკეკლული,
ვით მთვარე სრული გამოზადრული;
თვალნი ციაგნი და მშვენიერნი,
მოგვაგონებდნენ ჩუენსას დედასა,

მით უხშირებდათ ცხარეთ ცრემლთ ღვრასა!
იგი ძმა იყო ჩემთვის პირველი,
ვარდებრ გახმა ჩემს წინ ვით ურწყველი;
იგი ძმა იყო მზეზე მავალი,
რომელს ვჭკვრეტდი მე თავისუფალი,
და იყო წმიდა, ვითარცა დილა,
მისებრივ ჩუენში არვინ ყოფილა,
იყო უზრუნველ და მხიარული,
ცელქი და ჰქონდა უნაღვლო გული,
გარნა იხილა რა მწუხარება,
გარდაივიწყა მხიარულება,
და იმა დღიდგან ციაგნი თვალნი
ეცვალნენ, ცრემლნი რბოდენ ვით წყალნი“.

(ბაირონი (ი. კერესელიძის თარგმანი), 1868:34, 35)

მკვლევარ მაყვალა კუჭუხიძეს სიღრმისეულად აქვს შედარებული ნ. ლომოურის თარგმანი ჟუკოვსკის თარგმანთან წიგნში „ბაირონი და XIX საუკუნის ქართული მწერლობა“. ჩვენ მხოლოდ მოვიხმობდით მკვლევრის იმ მინიშნებას, აქ რუსულ ოთხტერფიან იამბებს ქართული 10-მარცვლიანი ლექსი აქვს მისადაგებულიო (მ. კუჭუხიძე 1992:77).

მ. კუჭუხიძე ეთანხმება აზრს, რომ ნ. ლომოურის რიგით მეორე თარგმანი იმ დროისათვის საკმაოდ მაღალ დონეზე შესრულდა. ნ. ლომოური ჟუკოვსკის ტექსტს ბოლომდე თარგმნის, თუმცა ნაკლებმხატვრულია, თუმცა შენარჩუნებულია დედნისთვის დამახასიათებელი ხატოვანი სტილი (მ. კუჭუხიძე 1992:73).

მართალია ლომოურის თარგმანს იმდროინდელმა ქართულმა პრესამ მაღალი შეფასება მისცა (ს. მგალობლიშვილი, გ. წერეთელი და სხვანი), მაგრამ, ჩვენი აზრით, თარგმანი სტილისტურად ძალზე დაუხვეწავია, ქართული ლექსიკა გამოყენებულია იმის შესაბამისად, რამდენად ჭირდება იგი პოეტს გართმვისათვის, მაგ.:

„შემომხედევით – მე ვარ ჭადარა,

მაგრამ სიბერის გამო კი არა -

არცარა შიშმა ბნელსა ღამესა

მიმცა უდროვით მე სიბერესა.

მე ვარ წელშია საწყლად მოხრილი,

მაგრამ ნუ ჰფიქრობთ - სენისაგანა,

სიყრმით ტკბილ დღესა მოშორებული,

მე საპყრობილემ დამამაბუნა“.

(ბაირონი ,ნ. ლომოურის თარგმანი, 1872:1)

„შილონის პატიმრის“ ნ. ლომოურისეული თარგმანი ნაკლებად ეკვივალენტურია დედნისა და უფრო მცდელობაა, შეძლებისდაგვარად გადმოსცეს თავისუფლებისმოყვარე პოეტის სულისკვეთება.

მესამე თარგმანი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეკუთვნის თამარ ერისთავს, პოეტს, მთარგმნელს. ბაირონის პოემა მან გამოაქვეყნა XX საუკუნეში. თამარ ერისთავს, რომელიც მიიჩნევა ცნობილი ინგლისელი პოეტის, რობერტ ბერნსის პოეზიის უბადლო მთარგმნელად, შეეძლო იმავე ოსტატობით ჩაექსოვა ამ თარგმანისთვისაც თავისი პოეტური ნიჭი. ჩვენთვის უცნობია, ბაირონის „შილონის პატიმრის“ რომელი ინგლისური გამოცემით (ან თუ) ისარგებლა თამარ ერისთავმა, მაგრამ, მისი სახელწოდებიდან გამომდინარე, ის იცნობდა რუსი პოეტის, ვ. ჟუკოვსკის, თარგმანსაც, რომელშიც რუსული ტრანსკრიფციით არის «Шильонский узник», აქედან მივიღეთ „შილონის პატიმარი“. თამარ ერისთავმა დასახელებული პოემა 10-მარცვლიანი სალექსო ფორმით თარგმნა, გამოიყენა როგორც მოსაზღვრე, ისე სხვა რითმები, რაც დამახასიათებელია ქართული ლექსთწყობისათვის. მაგრამ მთარგმნელი, როგორც ინესა მერაბიშვილი შენიშნავს, ვერ მიჰყვება ორიგინალის შინაგან დატვირთვას – ბონივარის, პოემის მთავარი გმირის, რწმენის ურყეობას. VIII თავის ერისთავისეული თარგმანით ბონივარის რწმენა მერყევია.

ლორდ ბაირონი: “I had no earthly hope-but faith,

And that forbade a selfish death.”

ვ. ჟუკოვსკი: “Не знаю вера ль то была,

Иль хладность к жизни жизнь спасла?”

თ. ერისთავი: „ან მომისაჯა სიცოცხლე რწმენამ
ან სიკვდილს ჩემთვის აღარ სცალია“.

(ლორდ ბაირონი, 2018:26)

გარდა ამისა, მეტად მნიშვნელოვანია პოემის დასასრულს ბოლო სიტყვის ჭეშმარიტი ინტერპრეტაცია ქართულად, რომელშიც თამარ ერისთავთან, როგორც ინესა მერაბიშვილი შენიშნავს, წინამორბედი მთარგმნელების ანალოგიით, თითქოს სინანულია გადმოცემული ჩვეული საპყრობილის, საკნის დატოვების გამო. ინესა მერაბიშვილი, ინგლისური ენისა და მთარგმნელის პოზიციებიდან სწვდება თავისუფლებისმოყვარე ბაირონისეული სიტყვის **sigh**-ის სწორედ იმ მნიშვნელობას, რომელსაც გამოკვეთს თარგმანში, რაც ქართულ ენაზე „შვებით ამოსუნთქვას“ ნიშნავს და არა „ამოოხვრას“ (როგორც ეს ჟუკოვსკისთანაა – «я о тюрьме своей вздохнул», ნ. ლომოურთან „საპყრობილეზედ ამოვიოხრე“). ი. მერაბიშვილი აქ გასაოცარი სკრუპულოზობით, მეცნიერული ჩაღრმავებით განმარტავს, რომ, თუ ზემოდასახელებული სიტყვა არსებითი სახელია, მაშინ „შვებით ამოსუნთქვას“ ნიშნავს, ზმნის ფორმის გამოყენებისას კი აღნიშნავს რამეზე ოხვრასა და წუხილს. მკვლევარი ფიქრობს, რომ სიტყვა **sigh** მხოლოდ არსებითი სახელის ფუნქციით გამოიყენა ბაირონმა (ლორდ ბაირონი, 2018:27). აქვე მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს რა ზმნიზედებზე, ამას გულისხმობს: „მეც კი, რომელიც მივეჩვიე ციხესა და ტყვეობას, შვებით ამოვისუნთქეო“ (ლორდ ბაირონი, 2018:27).

რამდენადაც თამარ ერისთავის თარგმანი ვ. ჟუკოვსკის თვით რუსული თარგმანის გავლენითაა შექმნილი, როგორც ი. მერაბიშვილი აღნიშნავს, ვ. ჟუკოვსკის ვერ გაუცნობიერებია და ყურადღების მიღმა დარჩენია ზმნიზედა “even” (ც-კი, „დაჟე“), რომელიც წარმოადგენს სემანტიკურ მარკერს და ბონივარის ბოლო სიტყვებიც სწორედ ამას გულისხმობს, რომ „მეც კი, რომელიც შევეჩვიე ციხესა და ტყვეობას, შვებით ამოვისუნთქეო“, რასაც იმოწმებს 2021 წლის გამოქვეყნებულ ინგლისის “International Journal of Linguistics and Translation”-ში (ლორდ ბაირონი, 2018 :27).

ვფიქრობთ, სავსებით სამართლიანია ეს შენიშვნა მესამე თარგმანის მიმართ, რამდენადაც თარგმანს სწორედ ასეთი ჩაკვირება სჭირდება, რაც გამორიცხავს ან სხვისი თარგმანის გავლენის ქვეშ მოხვედრას, ან არასწორ ინტერპრეტაციას.

სწორედ მეცნიერულად გამართული და ორიგინალთან ჭეშმარიტად მიახლოებული, პოეტურად სრულყოფილი თარგმანია ინესა მერაბიშვილის „შილონელი ტუსაღი“, რომელიც უშუალოდ შილონის ციხე-სიმაგრის მონახულების, ბაირონის შემოქმედების, ინგლისური ენის ბრწყინვალე ცოდნისა და მხატვრული გარდასახვის მეშვეობით ავტორის ნააზრევის სიღრმისეული შესწავლის ნაყოფია. ნამდვილად, რომ საჩუქარია მკითხველისათვის. მთარგმნელი აქაც როგორც სჩვევია ზოგადად, საკუთარი მთარგმნელობითი მოდელის გათვალისწინებით **სპობს ყოველგვარ ბუნდოვანებას უცხო ტექსტის ქართულ ენაზე გადმოღებისას.**

ბაირონის პოემა “The Prisoner of Chillon” (1816) ჩვენში შემდეგი სათაურებითაა თარგმნილი: „შილონის პატიმარი“ (თ. ერისთავი, ნ. ლომოური, პ.ჩხეიძე), ხოლო ინესა მერაბიშვილმა თარგმნა – „შილონელი ტუსაღი“. ჩვენი აზრით, მისაღები უნდა იყოს ი. მერაბიშვილის თარგმანის სათაური „შილონელი ტუსაღი“, რაც გამართლებულია როგორც შინაარსობრივად, ასევე ქართული გრამატიკისა და ორთოგრაფიის პრინციპებიდან გამომდინარედ.

პოემები „კაენი“, „მანფრედი“ და მისი ქართული თარგმანები. XIX საუკუნის 60-იან წლებში ილია ჭავჭავაძე თავის წერილში „ორიოდე სიტყვა...“ ყურადღებას ამახვილებს ბაირონის ნიჭის უკვდავებასა და მისი შემოქმედების მნიშვნელობაზე. ბაირონის „კაენმა“ ევროპულ ლიტერატურაში დიდი გამოხმაურება პოვა. უოლტერ სკოტმა „კაენს“ უწოდა დიადი და გულში ჩამწვდომი დრამა, ხოლო გოეთემ ხაზგასმით მიანიშნა ნაწარმოების დიდ მშვენიერებაზე, რომ მის მსგავსს მსოფლიო მეორედ ვეღარ იხილავსო (ელიზაროვა, 1973:132). ილია ჭავჭავაძეს იზიდავდა ბაირონის „მანფრედი“ და „კაენი“, რომელთა მხოლოდ ნაწყვეტები არის შემონახული, სრული თარგმანი კი ვერ მოასწრო.

1860 წელს ილიამ თარგმნა ნაწყვეტი ბაირონის „კაენიდან“. „კაენის“ თარგმანი რუსულ ლიტერატურაში მოგვიანებით გამოჩნდა, რამდენადაც, სავარაუდოდ, იკრძალებოდა იმპერიის ცენზურის მიერ, ხოლო, როგორც რუსი მკვლევარი ნ. პ.

აზბელევი შენიშნავს, მისი პირველი თარგმანი ორიგინალის შექმნიდან (1821) 45 წლის შემდეგ გამოქვეყნდა დ. მინაევის მიერ. მკვლევარ მ. კუჭუხიძის აზრით, ილიას „კაენიდან“ ნაწყვეტი პწკარედიდან უნდა ეთარგმნა 1860 წელს. იგი ხასიათდება ხალხურ მეტყველებასთან სიახლოვით. როგორც ილიას თხზულებათა სრული კრებულის ტექსტის კომენტატორები აღნიშნავენ, ხელნაწერი პირი შავი ავტოგრაფია, „ავტოგრაფი უთარილოა“, კომენტატორებმა 1860 წელი პირობითად აიღეს, რამდენადაც „მის გვერდით მოთავსებული ლექსების შავები 1860 წელს განეკუთვნება“. „ხელნაწერში ჩასწორებების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ ილიას რამდენჯერმე უმუშავია ამ ნაწერზე“ (ი. ჭავჭავაძე, ტ. III, 1988:679). მან თარგმნა მხოლოდ ფრაგმენტები „კაენიდან“ და „მანფრედის“ პირველი მოქმედების პირველი სცენიდან.

მკვლევარ მ. კუჭუხიძის ვარაუდით, „კაენი“ დედნიდან კი არ შესრულდა, არამედ რუსული თარგმანიდან. როგორც კვლევამ გვიჩვენა, ილია ჭავჭავაძემ ისარგებლა რუსი პოეტისა და ბაირონის მთარგმნელის, ეფიმ ფედოროვიჩ ზარინის (1829-1892) თარგმანით, რასაც ადასტურებს ქართველი მთარგმნელის მიერ გამოყენებული სიტყვა „იელოვა“. მოგვყავს ნ. გერბელის კრებულიდან ბაირონის „კაენის“ ზარინისეული თარგმანის ფრაგმენტი:

Абель

„Иегова! Кто повельль стихиямь

Быть воздухомь, огнемь,водой, землей,

И вместе съ днемь, и ночью, и мирами,

Доступны ихь свету и ихь мгль,

Создаль еще и существа, что могуть

Любить ихь и любить Тебя-хвала!“

(Гербель, 1894 :1)

ილიას ყურადღება გაუმახვილებია ბაირონის ნაწარმოებში ღვთის თაყვანისცემის აღმნიშვნელ სტრიქონებზე, რომელსაც წარმოთქვამს აბელი. ილია ჭავჭავაძემ, როგორც

კაცთმოყვარესა და ჰუმანისტს, სავარაუდოდ, აღელვებდა კაენისა და აბელის ბიბლიური თემა. რაც შემდგომ გამოიხატა მის გამოსვლაშიც რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს სხდომაზე ადამიანის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

ჩვენმა კვლევამ დაადასტურა, ილიასეული თარგმანი „კაენის“ პირველი მოქმედების პირველი სცენის ფრაგმენტი. დედანში ბაირონი წარმოადგენს იმ დიალოგს, რომელიც გამართულია ადამს, ევასა და აბელს შორის, ეს ძირითადად, ერთგვარი ლოცვაა, გამოხატული ყოვლისშემქმნელი ღმერთის, იეღოვას მიმართ. ილია ჭავჭავაძემ ყურადღება მიაქცია ბაირონის პერსონაჟების ღვთისადმი აღვლენილ ლოცვას, სადაც იკვეთება აღიარებული ჭემმარიტება, რომ ღვთისადმი სიყვარულით ადამიანები ემსგავსებიან შემოქმედს. მოგვყავს ფრაგმენტი აბელის სიტყვებისა დედნიდან:

„Abel. God! who didst call the elements into
Earth, ocean, air and fire — and with the day
And night, and worlds which these illuminate,
Or shadow, madest beings to enjoy them,
And love both them and thee—All Hail! All Hail! “

(Lyrics.lol :: Cain: A Mystery (Act 1) by Lord Byron, n.d.)

აბელი

„ღმერთო! ვინცა არაფრით შექქმენი
მიწა, ჰაერი, ოკეანე, ცეცხლი, სივრცენი,
რომელმაც შექქმენ სინათლე დღის, ბნელი ღამისა, -
რადგანც ქვეყნებსა ეფინება შენივ ნათელი
და შენი ჩრდილი; შემდეგ ღამის-დღის გაჩენისა,
ღმერთო, რომელმაც შექქმენ ფორმა ყოველ არსისა,
რათა იხაროს, იტრფიალოს და შეიყვაროს,
რათა შენ თითონ, იეგოვავ, მან შეგიყვაროს,
ღმერთო! თაყვანს გცემ! თაყვანს გცემ მე!“

(ბაირონი, თარგმანი ილია ჭავჭავაძის, 1988:64).

თუმცა შინაარსობრივად ილიასეული თარგმანი ახლოს დგას ბაირონის დედანთან, მხატვრულობით ნაკლებად გამოირჩევა. ალბათ ამიტომ ილიამ აღარ განაგრძო ბაირონის „კაენზე“ მუშაობა, მაგრამ XX საუკუნეში, 1936 წელს, პოეტმა კონსტანტინე ჭიჭინაძემ თარგმნა და გამოსცა ბაირონის ორი პოემა: „მანფრედი“ და „კაენი“. 1948 წელს კი ეს გამოცემა გაიმეორა „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობასთან“ ერთად. ჩვენთვის ასევე უცნობია, რომელი შუალედური ენიდან ითარგმნა ბაირონის პოემები, მაგრამ მის თარგმანში უფრო კომპაქტურადაა წარმოდგენილი ბაირონისეული ტექსტი, რაც შეიძლება ემყარებოდეს თითქმის ერთი საუკუნის შემდგომი მთარგმნელობითი პრინციპების გათვალისწინებას, აგრეთვე მის პოეტურ ოსტატობას. მოგვყავს ფრაგმენტი კონსტანტინე ჭიჭინაძისეული თარგმანიდან:

„აბელი“

„ო, იელოვა! სტიქიონებს ვინაც უბრძანე,
რომ ყოფილიყვნენ წყალი, ცეცხლი, ჰაერი, მიწა,
დღე და ღამესთან, შიგ გახვეულ ქვეყნებთან ერთად,
ვინც სულდგმულები გააჩინე, რომლებსაც ძალუძთ
მათი და შენი სიყვარული - დიდება შენდა!“

(ბაირონი, თარგმანი კ. ჭიჭინაძის, 1936:79,80)

ხოლო 1948 წლის გამოცემაში („ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობასთან“ ერთად) იგრძნობა ტექსტის ზოგიერთი ადგილის ცვლილება. მოგვყავს იმავე სტროფის თარგმანი 1948 წლის გამოცემიდან:

„აბელი“

„ო, იელოვა! სტრიქონებს ვინაც უბრძანე,
რომ ყოფილიყვნენ წყალი, ცეცხლი, ჰაერი, მიწა,
დღე და ღამესთან, შიგ მოქცეულ ქვეყნებთან ერთად,
ვინც არსებანი გააჩინე, რომელთაც ძალუძთ
მათი და შენი სიყვარული - დიდება შენდა!“

(ბაირონი, თარგმანი კ. ჭიჭინაძის, 1948:73)

დედანში არ არის ნახსენები სიტყვა „იელოვა“ და ნახსენებია “God” („ღმერთი“), რაც, სავარაუდოდ, ილია ჭავჭავაძის და კონსტანტინე ჭიჭინაძის შემთხვევაშიც შუალედური ენის გამოყენებით უნდა იყოს გამოწვეული.

1910 წელს მწერალმა გრიგოლ რობაქიძემ წაიკითხა ლექცია, რომელსაც მოჰყვა პასუხად გაზეთ „დროებაში“ (72) ვინმე დადვადის წერილი, რომელშიც, განიხილავს რა გრ. რობაქიძის ლექციას, დაასკვნის, რომ ზოგიერთი გენიოსი პოეტის ნაწარმოები, მათ შორის ბაირონის „მანფრედი“ და „კაენი“, არისო „ბაირონის სულის დეკადანსი“-ო. (გრ. რობაქიძე, 2012: წ.II:434). პასუხად გრ. რობაქიძე შენიშნავს, რომ თუმცა დეკადანსი გახრწნას გულისხმობს, „თვითონ პროცესი ამგვარი გარდაქმნისა ერთგვარი ავადმყოფობააო და ამით აბათილებს ოპონენტის მოსაზრებას“(რობაქიძე, 2012.წ.II :434).

1860 წელს ილია ჭავჭავაძემ დაიწყო მუშაობა ბაირონის „მანფრედზე“, რომელიც არ არის დასრულებული. მ. კუჭუხიძემ მიაკვლია იმ ფაქტსაც, რომ „მანფრედი“ ილიას თარგმნილი აქვს 14-მარცვლიანი სალექსო ზომით, რომელიც შემდგომ დამკვიდრდა ქართულ მთარგმნელობით პრაქტიკაში. ნაწყვეტი თარგმანისა ბაირონის „მანფრედიდან“ 1860 წელს განეკუთვნება. „მანფრედის“ პირველი ნაწილები ბაირონმა ჟენევის ტბის ნაპირზე ყოფნის დროს დაწერა. იგი დაიბეჭდა 1817 წელს და კრიტიკის ქარცეცხლში აღმოჩნდა, რამდენადაც ედინბურგელი რეცენზენტის აზრით, მის წყაროს წარმოადგენდა ქრისტოფერ მარლოს „დოქტორ ფაუსტის ისტორია“. ბაირონმა გადაჭრით გაილაშქრა მის მიერ მარლოს თუ გოეთეს „ფაუსტით“ სარგებლობის წინააღმდეგ, რამდენადაც ამ დროისათვის არცერთი წაკითხული არ ჰქონდა. „მანფრედი“ საინტერესო იქნებოდა ილიასათვის, რამდენადაც ეს დრამატული პოემა აჩვენებდა იმედების იმ შემზარავ მსხვერველს, რაც განიცადეს XVIII საუკუნის შემდგომ ადამიანებმა, ახალი საუკუნის კარიბჭეს „თავისუფლების, ერთობისა და ძმობის ლოზუნგები რომ დააწერესო“ (ა. ვინოგრადოვი). მანფრედი განიცდის იდეალების მსხვერველს და საკუთარ თავში იკეტება. ეს დაემართა თვით ბაირონსაც, თუმცა მისი სულიერი სამყარო იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ შეძლო საკუთარი „მანფრედიზმიდან“ დაეღწია თავი „მისთვის ჩვეული გზით – შინაგანი სულიერი

განცდების ძლიერ პოეტურ სახეებში შემოქმედებითი გადამუშავების გზით“ (ვინოგრადოვი, 1973: 117).

ბაირონის „მანფრედის“ ილია ჭავჭავაძისეული თარგმანი ვერ შეგვიქმნის წარმოდგენას იმაზე, თუ შემდგომში როგორ ფიქრობდა ის ბაირონის გენიალური ნაწარმოების ქართულად აჟღერებას, მაგრამ ზოგიერთი ტაეპი ილიას შესანიშნავად აქვს თარგმნილი. მოგვყავს „მანფრედიდან“ დედანი, ილიასეული და კონსტანტინე ჭიჭინაძისეული თარგმანის სათანადო ფრაგმენტები:

“Philosophy and science, and the springs
Of wonder, and the wisdom of the world,
I have essayed, and in my mind there is
A power to make these subject to itself--
But they avail not: I have done men good,
And I have met with good even among men--
But this avail'd not: I have had my foes,
And none have baffled, many fallen before me--
But this avail'd not: -- Good, or evil, life,
Powers, passions, all I see in other beings,
Have been to me as rain unto the sands “

(*Manfred, Act I, n.d.*)

„მე აღმოვსწურე უძირო ტბა ქვეყნის სიბრძნისა,
ფილოსოფიის ზღვა, წყარონი გრძნეულებისა,
და ჩემს ჭკვასაცა ჰქონდა ძალა ეტვირთნა ისა -
მაგრამ ამითა ვერა გავხდი. მე მოვინდომე
კაცთათვისა ქმნა სიკეთისა, და ვნახე რომე,
კაცთა შორისაც სიკეთეცა ყოფილა თურმე, -
მაგრამ ამანაც ვერრა მმატა, მტრებიც მომეცნენ,
მათ მე ვერ დამცეს, და თვითონვე ჩემ წინ დაეცნენ, -
მაგრამ ამანაც ვერრა მმატა. ტანჯვა, წვალება,
სურვილი, ბრძოლა და სიკეთე, და ბოროტება,

ყოველიფერი - რასაც ვხედავ სხვა არსებაში, -
როგორცა წვიმა ქვიშაზედა იყო ჩემთვისა...“

(თარგმანი ი. ჭავჭავაძისეული)

(ბაირონი, 1888: 65-66)

„ფილოსოფია, დედამიწის ყოველი სიბრძნე,
ყოველი ნივთის იდუმალი საკვირველება,
მე შემძლიან გადუმალო გონებას ჩემსას;
მაგრამ ნაყოფი? მიტაცებდა ქმნა სიკეთისა,
და შემხვედრია მეც სიკეთე სხვებისგან წილად,
მყოლია მტერი, ჩამიშლია მისი ფანდები,
და ხშირად იგი მოდრეკილი მინახავს ჩემს წინ;
მაგრამ ნაყოფი? შემძლეობა, ვნებათა ღელვა,
ბოროტებანი, სიკეთენი-სულყველაფერი,
რაც კი ქვეყანას გულს უბგერებს, გათავდა ჩემთვის“.

(თარგმანი კ. ჭიჭინაძის)

(ბაირონი, 1936:5, 6)

ბაირონი, 1936. მანფრედი კაენი. ტფილისი: ფედერაცია.

„ფილოსოფია, დედამიწის ყოველი სიბრძნე,
ყოველი ნივთის იდუმალი საკვირველება,
მე ავითვისე, დაფუმონე გონებას ჩემსას;
მაგრამ ნაყოფი? მიტაცებდა ქმნა სიკეთისა,
და შემხვედრია მეც სიკეთე სხვებისგან წილად,
მყოლია მტერი, ჩამიშლია მისი ფანდები,
და ხშირად იგი მოდრეკილი მინახავს ჩემს წინ;
მაგრამ ნაყოფი? შემძლეობა, ვნებათა ღელვა,
ბოროტებანი, სიკეთენი - ეს სულყველაფერი,
რაც სხვებს აღელვებს, იმგვარადვე უქმნია ჩემთვის
ვითარცა წვიმა ქვიშისათვის - იმა წამიდან“.

(ბაირონი, თარგმანი კ. ჭიჭინაძის, 1948 :15,16)

დედანთან ილიასეული და კ. ჭიჭინაძისეული (1936, 1948) თარგმანების ფრაგმენტების შედარებამ ცხადყო, რომ ილიამ სცადა გამოეყენებინა **სიტყვასიტყვით** თარგმანი დედანთან. რაც შეეხება კ. ჭიჭინაძისეულ 1936 წლის გამოცემას, თარგმანში ჩანს პოეტის ჩარევა დედნის კონტენტში, რაზედაც მიგვანიშნებს კიდევაც 1936 წელს გაზეთ „კომუნისტის“ #295 „ქ. რ.-ს“ ინიციალებით გამოქვეყნებული რეცენზიის ავტორის მინიშნებაც: „კ. ჭიჭინაძეს ბაირონის ორივე ეს შესანიშნავი ნაწარმოები დიდი გულმოდგინებით უთარგმნია თეთრი, ხოლო, საცა ტექსტი მოითხოვს, იქ რითმიანი ლექსით. თარგმანი შესრულებულია ფრიად კარგი ქართულით. სტრიქონები ერთმანეთს მისდევს სრულიად ბუნებრივად და, რაც მთავარია, მკითხველი ყოველთვის გრძნობს პოეტის უდიდეს შინაგან პათოსს“ (ქ. რ. გაზ. „კომუნისტი“, 1936, #295:4)

ჟურნალ „საზრისის“ 2013 წლის #28-ში გამოქვეყნებულ თამარ კვარაცხელიას წერილში „ბაირონის „მანფრედი“ ქართულ თარგმანში (შეპირისპირებითი ანალიზი)“ ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ 1936 წლის თარგმანის გამოცემაზე და მინიშნებულია, რომ კონსტანტინე ჭიჭინაძისეულ თარგმანში დაცულია ორიგინალის სალექსო ზომის თანაფარდობაო. პოემის თარგმანი თოთხმეტმარცვლიანი სტრიქონით არის შესრულებული და გამოირჩევა შინაგანი რიტმითო (კვარაცხელია, 2013: 67).

ილიასეულ და კონსტანტინე ჭიჭინაძისეულ თარგმანებში მეტ-ნაკლებად დაცულია დედნის თოთხმეტმარცვლიანი სალექსო ზომა და შეიძლება ჩაითვალოს აღნიშნული პერიოდისათვის ერთ-ერთ საუკეთესო თარგმანებად.

პოემა „ოსკარ დ' ალვა“ და მისი ქართული თარგმანები.³¹ პოემა „ოსკარ დ' ალვა“ ბაირონის ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებია, რომელსაც მკვლევარი მ. კუჭუხიძე მიიჩნევს, ქართული ლიტერატურული საზოგადოების ბაირონის შემოქმედებასთან ზიარების ერთ-ერთ ადრეულ ფაქტს. თუმცა პოემა „ოსკარ დ' ალვას“ ეს თარგმანი არ გამოქვეყნებულა და შემონახულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდში (H-359). ხელნაწერი წარმოადგენს სამუშაო ვარიანტს, უცნობია საბოლოოდ სრულყვეს თუ არა

³¹ (იხ. ჩვენი პუბლიკაცია: „სარდიონ ალექსი-მესხიშვილი XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი მთარგმნელი“. რეცენზირებადი ბილნგვური ჟურნალი. „სპეკალი“ 2023, #17). <https://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/17/310>

ეს თარგმანი. დასახელებულ თარგმანს ახლავს სქოლიო, რომ „ოსკარ დ'ალვა“ არის ერთი პირველი თხზულება ლორდ ბაირონისა, რომელიც შეიტანა თავად ავტორმა კრებულში სახელწოდებით “Hours of idleness” („თავისუფალნი ჟამნი“) და რომელიც თავის დროზე გააკრიტიკეს “Edinburgh Review”-ში. საიდან უნდა ეთარგმნა სარდიონ ალექსი-მესხიშვილს ზემოდასახელებული ნაწარმოები? ნ. გერბელის კრებულში შეტანილია „ოსკარ დ'ალვას“ რუსული თარგმანი, რომელსაც თან ახლავს შენიშვნა, რომ სიუჟეტი პოემისა მომდინარეობს შექსპირის „მაკბეტის“ პირველი მოქმედებიდან, რომელიც შილერმა გამოიყენა თავის პირველ წიგნში „Der Geisterseher“ და რომლის გავლენაც, სავარაუდოდ, განიცადა ბაირონმა „იერონიმოსა“ და „ლორენცოს“ ტრაგიკული ლეგენდიდან გამომდინარე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოემა შეტანილია ნ. გერბელის კრებულში და ეთარგმნა მეამბოხე პოეტსა და მთარგმნელს, ა. პოლეჟაევს (1804-1838), მაგრამ ჩვენი ვარაუდით, სარდიონ ალექსი-მესხიშვილის თარგმანი არ უნდა იყოს შესრულებული რუსულიდან (Гербель, 1874:14). კვლევამ მიგვიყვანა შემდეგ დასკვნამდე: სარდიონ ალექსი-მესხიშვილის ეპოქაში რუსულ ლიტერატურულ სამყაროში მიღებული იყო ფრანგული ენიდან თარგმნა, ამ პერიოდში, 1819-1821 წლებში, გამოვიდა კიდევაც ბაირონის შემოქმედება ფრანგულ ენაზე ათ ტომად, ფრანგი ისტორიკოსისა და მთარგმნელის ამიდი პიშუს მიერ (1795-1877) ეზებ დე სალთან თანამშრომლობით. ეს თარგმანები, ვ. ვ. ნაბოკოვის აზრით, იყო მონუმენტურიც და ამავდროულად უნიჭო. სწორედ ამ წიგნებით გაიცნეს ბაირონის შემოქმედება საფრანგეთსა და რუსეთში.

(Переводчик, 2012) <https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9F%D0%B8%D1%88%D0%BE>

თავად პიშუ მედიცინის მუშაკი იყო, სარდიონ ალექსი-მესხიშვილი კი პირველი ქართველი, რომელმაც დაამთავრა პეტერბურგის „მედიკო-ქირურგიული“ აკადემია. დავით კასრაძის ინფორმაციით, ის იყო დიპლომატიც და შესაფერისი ცოდნით აღჭურვილი ადამიანი, რომელიც გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ევროპიდან რუსეთში შემოსული ყოველი კულტურული სიახლე დანერგილიყო საქართველოში.

სარდიონ ალექსი-მესხიშვილმა თარგმნა მარმონტელის, ა. დიუმა მამის, ეჟენ სიუს, რასინისა და სხვათა შემოქმედება. მან იცოდა რუსული და ფრანგული ენები და, ჩვენი ვარაუდით, მანვე თარგმნა ფრანგულიდან ბაირონის „ოსკარ დ'ალვა“ უშუალოდ

პიშუს ფრანგული კრებულიდან (“Ouvres complètes de Lord Byron”) XIX საუკუნის 30-
იან წლებში, პეტერბურგში სწავლის პერიოდში.

შევუდარეთ ერთმანეთს ფრაგმენტი დედნიდან, ფრანგული თარგმანიდან და
სარდიონ ალექსი-მესხიშვილისეულიდან. პირველი სტროფი:

How sweetly shines through azure skies,
The lamp of heaven on Lora’s shore;
Where Alva’s hoary turrets rise,
And hear the din of arms no more!

(Oscar of Alva: A Tale, by Lord Byron, n.d.)

— Le flambeau des nuits brille au milieu des cieux
d’azur, et répand une douce lumière sur le rivage de
Lora. Les vieilles tours d’Alva élèvent jusqu’aux nues
leurs créneaux grisâtres. Le bruit des armes ne retentit
plus, dans le château solitaire.

(Byron & University of Ottawa, 1877)

„კანდელი ღამეთა ბწყინუალებს საშუალ ლაჟვარდოვანთა ცათა,
და გარდამი განცვენს ნაზსა ნათელსა კიდესა ზა ლორასა. ძველნი კომკნი
ალვასნი აღიმაღლებენ ღრუბელთადმდე უამრალთა კბილთა თვისთა.
ხმაი საჭურველთა უმეტეს არღარა განეცემის სასახლესასა განშორებულსა“.

(სარდიონ ალექსი-მესხიშვილი, ხელნაწერი. ფონდი H359)

ასევე ბოლო სტროფის (78) დედნის, ფრანგული თარგმანის და სარდიონ
ალექსი-მესხიშვილისეულიდან:

“No lyre of fame, no hallow’d verse,
Shall sound his glories high in air:
A dying father’s bitter curse,
A brother’s death-groan echoes there “.

(Oscar of Alva: A Tale, by Lord Byron, n.d.)

LXXIX.

“— Aucune lyre, aucun chant de gloire, ne
feront résonner les airs de son nom. L'écho répète à
côté de sa tombe la malédiction d'un père expirant et
les accents de mort de son frère “.

(Byron & University of Ottawa, 1877)

„რომელიმე ქნარი რომელიმე გალობა დიდებისა,
არა დაუკვრენ ხმათა სახელისა მისისათვის. ეხო მისისა განამეორებს.
გვერდით საფლავსა მისისა წყევასა სულთმთქმელის მამისა სათქმელთა და
ხმათა სიკუდილისათა ძმისა მითა ძმისა მისისათა“.

(სარდიონ ალექსი-მესხიშვილი, ხელნაწერი. ფონდი H359)

თუმცა ბაირონს არ მოსწონდა თავისი ფრანგული გამოცემები, მაგრამ აშკარაა, სარდიონ ალექსი-მესხიშვილმა ისარგებლა იმ პერიოდისთვის ერთადერთი და მიღებული ფრანგული გამოცემით. თარგმანი დასრულებულია, რაც დასტურდება ხელნაწერის ბოლოს თანდართული მინაწერით – „დასასრული ოსკარ დ' ალვასი“. ბუნებრივია, სარდიონ ალექსი-მესხიშვილის თარგმანის სტილი საკმაოდ მძიმეა და, როგორც მკვლევარი მ. კუჭუხიძე აღნიშნავს, იგი შესრულებულია პროზად, დარღვეულია ფორმისა თუ შინაარსის ერთიანობა.

ჩვენი აზრით, სარდიონ ალექსი-მესხიშვილი არამცთუ პირველი მთარგმნელია ქართველ ბაირონისტთა შორის, არამედ პირველია, რომელმაც შუალედური ფრანგული ენიდან შეასრულა თარგმანი თითქმის ეკვივალენტურად.

პოემა „დონ ჟუანი“ და ქართული თარგმანები. „დონ ჟუანის“ თემა XVII (1616) საუკუნიდანაა პოპულარული მსოფლიო ლიტერატურაში. დონ ჟუანი იყო ესპანური ლეგენდის პერსონაჟი, როგორც სასიყვარულო თავგადასავლების მაძიებელი კაცისა. ლეგენდა პირველად დაამუშავა ესპანელმა ტირსო დე მოლინამ, („სველიელი მაცდური და ქვის სტუმარი“), შემდგომ ამავე ლეგენდით დაინტერესდნენ ჟ. ბ. მოლიერი, პ. მერიმე, ა. დიუმე, ჯ. გ. ბაირონი, ა. ს. პუშკინი და სხვანი. (რამონ მარია დელ ვალიე-ინკლანი, 2016:34). ესპანეთის ძველი ლიტერატურა ამ თავქარიან

პერსონაჟს საბოლოოდ ჯოჯოხეთში ისტუმრებს. ბაირონი, სავარაუდოდ, დაინტერესდა მხოლოდ მთარეული სიუჟეტით, მაგრამ, აღნიშნავდა როგორც თავის წერილში გამომცემლისადმი, იგი უნდა ყოფილიყო თანამედროვე ეპოპეა. სწორედ „დონ ჟუანში“ მოგვევლინა ბაირონი მთელი თავისი სიდიადით როგორც მტრების, ისე მოყვრების წინაშე. აქ განსაკუთრებული სიმძაფრით გამოიკვეთა მისი სატირა. მტრებმა დაინახეს რომანტიკოსი რეალისტი მწერალი, რომელიც არაფრით ჰგავდა არც ბაირონს და არც რომანტიკულ გმირს. ბაირონი, აქ როგორც, ავტორი, არც მორალს ქადაგებს და არც არავის კიცხავს.

ბაირონის შემოქმედებაში ერთ-ერთ მთავარ ნაწარმოებადაა მიჩნეული ლექსად დაწერილი რომანი „დონ ჟუანი“, რომლის XVII სიმღერის დასრულება პოეტმა ვერ მოასწრო. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, „დონ ჟუანი“ დაწერილია ხუთ-ტერფიანი ოქტავით, რომელიც მოითხოვდა გართიმვას მეხუთე და მეექვსე სტრიქონებში. ეს შესაძლებლობას აძლევდა ავტორს, ზოგადად მიმოეხილა პოლიტიკური ვითარება და თანაც ჩაეწნა თავისი შეხედულებებიც პოემაში გმირის ბედის გადმოცემის პარალელურად (ელიზაროვა...1973: 143-144).

ბაირონის „დონ ჟუანის“ გამოცემას რუსეთში იმპერიის ცენზორის უკმაყოფილება მოჰყვა. იგი ურწმუნოებას უნერგავს ახალ თაობასო, მაგრამ მაინც გაიკვალა თარგმანმა გზა და ამეტყველდა რუსულ ენაზეც. რაც შეეხება ქართულ თარგმანს, სავარაუდოდ, მიგვაჩნია, რომ „დონ ჟუანის“ ისტორია ბაირონამდე იყო ცნობილი ქართულ ლიტერატურულ სამყაროში (ჟ. ბ. მოლიერის „დონ ჟუანიდან“).

1924 წელს ჟურნალ „დროშაში“ გამოქვეყნდა პოეტ სანდრო შანშიაშვილის მიერ თარგმნილი ნაწყვეტი ბაირონის პოემიდან „დონ ჟუანი“. თარგმანს არ ერთვის მინიშნება თუ რომელი სიმღერიდან არის გადმოღებული. უნდა ითქვას, რომ თარგმანი მხატვრულად საკმაოდ დაუხვეწავია და უფრო მთარგმნელის ემოციური განცდები ჩანს:

„გემზე მით უფრო ცუდი იყო მდგომარეობა,
რომ მათ ვერ შესძლეს სანოვაგე გადაერჩინათ,
იმდენი, რაც კი გააძლობდათ ამ უბედურს დროს.

დალუპვის დროსაც ადამიანს უყვარს შენაყრდეს“.

(ბაირონი, თარგმანი ს. შანშიაშვილის, 1924:25)

მკვლევარი ინესა მერაბიშვილი აღნიშნავს, რომ ბაირონი მემუარების პარალელურად „დონ ჟუანზეც“ მუშაობდა და იზმაილის აღების ეპიზოდში („დონ ჟუანის“ VIII-XII სიმღერებში) აღწერილი დონ ჟუანის მიერ თურქი ობოლი გოგონას, ლეილას, პოვნა თითქოს ესატყვისება თავად ავტორის ურთიერთობას ქართველ გოგონა თირზასთანო (ლორდ ბაირონი, 2013:41).

როგორც ზემოთ აღინიშნა, იოსებ ბაქრაძემ ნაწყვეტი „დონ-ჟუანიდამ“ გამოაქვეყნა ჯერ ჟურ. „მნათობში“ (1871წ. #8), შემდგომ იმავე ჟურნალში 1872 წელს #10,11,12 („დონ-ჟუანი“, ხმა მეორე), ხოლო დაასრულა 1872 წელს (ჟურ. „მნათობის“ #10,11,12-ში). მოგვიანებით კიდევ ქვეყნდება „ჯულიას წერილი“ („დონ-ჟუანიდან“) (ც. ნ. ფ. 1902 #2000).

გ. გაჩეჩილაძე თავის „წერილებში ინგლისური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნის საკითხები“ ცდილობს გამოიკვლიოს, რამ მიიზიდა ი. ბაქრაძე „დონ ჟუანი“ , ეთარგმნა ქართულად. ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რამ განაპირობა ი. ბაქრაძის არჩევანი ეთარგმნა ბაირონის ეს პოემა. ყველაზე შესაძლო მიზეზად იგი თვლიდა ბაირონის პოემის მომხიბლობასა და პოეტურ ძალას (გაჩეჩილაძე, 1956:3). გივი გაჩეჩილაძე იქვე დაასკვნის, რომ, საერთოდ, თარგმანი ტექნიკური შესაძლებლობის მხრივ , იმ დროისთვისაც საშუალოზე დაბალ დონეზე იდგაო (გაჩეჩილაძე, 1956:3).

ჩვენი ვარაუდით, პოემა „დონ ჟუანის“ ის ნაწილი, რომელიც თარგმნა ი. ბაქრაძემ, ინსპირირებული იყო ბაირონის მიერ ძველი აღთქმის „მეოთხე მაკაბელთა“ ნაწილის პირველი და მეორე თავებიდან, რომელშიც საუბარია ვნებებსა და გულისთქმაზე და ვნებების გამომწვევ მიზეზებსა და მათ დათრგუნვაზე: „ხოლო თავიანთი ბუნების მიხედვით ვნებათაგან უძლიერესია: ტკივილი და სიამოვნება, ამათგან ერთი სულისთვის არის თანდაყოლილი, მეორე კი - სხეულისათვის“ (ბიბლია, 1989:918).

როგორც ზემოთ აღინიშნა, იოსებ ბაქრაძე XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყებს მთარგმნელობით მოღვაწეობას და მას ეკუთვნის ჯ. გ. ბაირონის ნაწარმოებებთა უმეტესი თარგმანი ქართულ ენაზე, ბუნებრივია, შესრულებული ასევე შუალედური ენიდან. გასაკვირი არაა, იმ დროინდელი ეპოქის გათვალისწინებით,

გადაწყვიტა ი. ბაქრაძემ „დონ ჟუანის“ თარგმნა თუმცა აქტუალობა ამ ნაწარმოებს დღესაც არ დაუკარგავს. XXI საუკუნეშიც აღიარებენ ქართველი მწერლები თუ ბაირონის მკვლევარნი.

როგორც მწერალი ო. ჩხეიძე („იტალიური დღიურები ბაირონისა“) შენიშნავს, ბაირონის პერსონაჟი დონ-ჟუანი დღეს სხვაგვარად მოჩანს, მაგრამ მკვლევრები ვერასოდეს გამოტოვებენ მას, თუმცა თავის დროზე ბევრი თავსატეხი გაუჩინა თვით ავტორსაცო (ო. ჩხეიძე, 1996:190).

თარგმანთმცოდნე ინესა მერაბიშვილი „დონ-ჟუანს“ მიიჩნევს ბაირონის შემოქმედების მწვერვალად, რომელიც ვერ თავსდება რომანტიზმის პირობით ჩარჩოებში და უფრო რეალისტური ნაწარმოებია, რამდენადაც ესაა სატირა თანამედროვე სამყაროზე, რომელიც იმავდროულად უნივერსალური იყო ნებისმიერი ცივილიზებული საზოგადოების ასახვის თვალსაზრისითო (მერაბიშვილი, 2002:216, 217).

ჯ. გ. ბაირონის პოემა-შედევი „დონ-ჟუანი“ წარმოადგენს ორმაგად მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენას. პირველ ყოვლისა ნაწილობრივ სახიერდება პოეტის ბიოგრაფიული მომენტები, ხოლო მეორე, საყოველთაოდ გავრცელებული ლეგენდა ქალების მაცდუნებელ რაინდზე, დონ-ჟუანზე, ბაირონთან გარდაისახა ეროტიკულ გრძნობათა გამომხატველ პერსონაჟად, რასაც პრეცედენტი უნდა ეწოდოს XIX საუკუნეში, ქრისტიანული მსოფლმხედველობისა და რელიგიური დოგმების წინაშე.

ბაირონის „დონ-ჟუანისათვის“ დამახასიათებელი ეროტიკულობა ზუსტად, რომ გამოსახავდა ქრისტიანულ სამყაროში სიღრმისეული სულიერების სიმწიფეს. ფილოსოფოსი კირკეგორი „დონ-ჟუანის“ სახეს მიიჩნევდა სპეციფიკურად ქრისტიანული კულტურის ნაყოფად, რის გამოც წარმოიშვა ეროტიკული მგრძნობიარობაც, რაც გაიშალა საუკუნეების განმავლობაში მოარული პერსონაჟის, დონ-ჟუანის სახეშიო (ევგენიძე, მინაშვილი, ტ. II, 2013 :53-54).

პოემის I სიმღერა ბაირონმა დაიწყო 1818 წლის 6 სექტემბერს ვენეციაში, დაასრულა იმავე წლის 1 ნოემბერს. მეორე სიმღერა დაიწყო 13 დეკემბერს და კვლავ ვენეციაში დაასრულა 1819 წლის 20 იანვარს. ორივე სიმღერა ლონდონში იმავე წლის

ზაფხულში გახმაურდა, მაგრამ ავტორისა და გამომცემლის მინიშნების გარეშე. დარჩენილი სიმღერები (მესამე, მეოთხე, მეხუთე) იწერებოდა რავენაში და ერთად გამოქვეყნდა 1821 წელს. ბაირონმა არ გაიზიარა გრაფინია ტერეზა გვიჩიოლის რჩევა, რომ იქვე დაესრულებინა ნაწარმოები. ასე დაიწერა კიდევ 11 სიმღერა, რომელთაგან ზოგი პიზაში შეიქმნა. მეთორმეტე, მეცამეტე და მეთოთხმეტე სიმღერები ერთად გამოიცა ლონდონში 1824 წლის იანვარში, ხოლო ბოლო ორი - მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე კი - გამოიცა პოეტის გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე, 1824 წლის მარტში. მეჩვიდმეტე სიმღერის ნაწყვეტი დაწერილი უნდა იყოს გენუაში 1823 წლის 8 მაისს, მაგრამ ვერ მოუსწრია გადათეთრება. პირველად კი გამოუქვეყნებია ჯონ მარის, 1903 წელს. მისი თარგმანი არ შედის არც ა. სოკოლოვსკის, არც პ. კოზლოვისეულ თარგმანებში (1839). ქართულად პროზაულად თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა 2016 წელს.

ბაირონს განზრახული ჰქონია, მთავარ პერსონაჟს, დონ-ჟუანს მოეწყო იტალია, გერმანია და აღსრულებულიყო საფრანგეთის რევოლუციის დროს. როგორც თავად განმარტავს, წინასწარ არ იცოდა რამდენ სიმღერად გაიშლებოდა პოემა „დონ-ჟუანი“, ან მოასწრებდა თუ არა ოდესმე დაასრულებინა. ავტორს მიზნად კი დაუსახავს, მთავარი პერსონაჟი cavalier servente - განხეთქილების მიზეზად ინგლისში და სენტიმენტალური გერმანელი ვერტერის ტიპის ბატონად მოეაზრებინა, რითაც სურდა წარმოეჩინა თითოეული ამ ქვეყნის სატირული იერსახე, როგორადაც იქცეოდა კიდევ თვით მთავარი პერსონაჟი - წლების მატებასთან ერთად, უფრო და უფრო ზნედაცემულად. მაგრამ, საბოლოოდ ვერ გადაუწყვეტია როგორი დასასრული მოერგო ნაწარმოებისთვის - ჯოჯოხეთი, უბედური ქორწინება, თუ უფრო უარესი(Гербель, т. I, 1874:V).

თავისი დროისათვის „დონ ჟუანი“ ითარგმნა სხვადასხვა ენაზე, მათ შორის რუსულადაც. ნ. გერბელი ასევე ყურადღებას ამახვილებს ბაირონის „დონ-ჟუანის“ რუსული თარგმანების შეფასებებზე. პოემა პირველად ლიუბიჩ-რომანოვიჩს უთარგმნია 1842-1847 წლებში, თუმცა მას უფრო მთარგმნელის ავტორობის კვალი ეტყობა, ვიდრე ინგლისურ ორიგინალთან მიახლოების. ამ გამოცემიდან 10 წელი ისე გასულა სხვა რაიმე თარგმანი არ გამოჩენილა. ეს პროცესი განახლებულა 1860 წლიდან

და ქვეყნდებოდა «Библиотека для чтения»-ში. 1869 წლიდან რუსულ ჟურნალში «Современник» დაიბეჭდა ბაირონის ნაწარმოებთა ახალი თარგმანები, მათ შორის „დონ-ჟუანიც“ შესრულებული დ. დ. მინაევის მიერ. ამ თარგმანს დაეთმო «Современник»-ის 1865 წლის 1, 2, 3, 4, 5, 7, 8 და მე-10 ნომრები და 1866 წლის #1 და #4. აგრეთვე გამოიცა კრებული „ბაირონი რუსი პოეტების თარგმანებში“ (1867 წლის ტ. IV-V). მაგრამ მინაევის ამ თარგმანს ნ. გერბელი მიიჩნევს სუსტად, რადგან მთარგმნელს ზოგიერთი ნაწილი პოემისა წვრილმანად მიუჩნევია და გამოუტოვებია. ამიტომ ისინი უფრო სუსტი აღმოჩნდა პირველ ორ თარგმანთან შედარებით. ამის მთავარ მიზეზად დასახელებულია ორივე ვრცელი რომანი, (ნ. გერბელი რომანებად მიიჩნევს „ჩაილდ-ჰაროლდსა“ და „დონ-ჟუანს“ – თ. ს.) მათ მიერ შერჩეული, საკმაოდ რთული სალექსო ფორმაა, თანაც ბატონმა მინაევმა დაამთავრა ორივე რომანის თარგმანი დაახლოებით ორ წელიწადში. ასეთი აჩქარება კი უარყოფითად აისახა ორივე ქმნილების თარგმანზე, განსაკუთრებით „დონ-ჟუანზე“ (ხაზი ჩვენია – თ. ს.). მთარგმნელი იძულებული გამხდარა, სიდიდის გამო, გამოეხშირა დედნისეული დეტალური ნიუანსები, რაც დიდი გოეთეს აზრით, „დონ-ჟუანის“, ამ უსაზღვროდ გენიალური ქმნილების, მთელ ღირსებას წარმოადგენს. ამგვარი მცდელობის მიუხედავად მინაევის თარგმანი ძალზე გაჭიანურებულია, განსაკუთრებით ზოგიერთი ფრაგმენტი. ამგვარმა ლაფსუსებმა გვაიძულა შეგვეცვალა მინაევის თარგმანი ახალ გამოცემაში სხვა, უფრო სანდო თარგმანით. „დონ-ჟუანის“ ახალ, ლექსად გაწყობილ თარგმანში რამდენადაც შეუძლებელი იყო იმდროინდელი ეპოქის წარმოჩენა, იძულებული გავხდით, უპირატესობა მიგვენიჭებინა პოემის პროზაული თარგმანისთვისო. სადღეისოდ „დონ-ჟუანის“ ახალი თარგმანი, შესრულებული შექსპირის ნიჭიერი მთარგმნელის, ა. ლ. სოკოლოვსკის მიერ, უკვე დამთავრებულია და იბეჭდება. ეს ნაწარმოები შევა ჩვენი გამოცემის მე-2 ტომშიო და რომელიც არ დაყოვნდებო (Гербель, т. I, 1874: VII-VIII).

აშკარაა, მინაევის პოეტური თარგმანი უნდა ყოფილიყო წყარო, საიდანაც უსარგებლია ქართველ მთარგმნელს, ი. ბაქრაძეს. მისი თარგმანი 1871 წლიდან 1872 წლამდე იბეჭდებოდა ჟურნალ „მნათობში“. სამწუხაროდ, ხელთ არ გვაქვს მინაევის თარგმანის გამოცემები, მაგრამ, ჩვენი ვარაუდით, თვით ნ. გერბელის 1867 წლის

კრებულიც უნდა გაეთვალისწინებოდა ი. ბაქრაძეს, რადგან წინამდებარე თარგმანი ლექსადაა წარმოდგენილი.

ი. ბაქრაძის თარგმანი ორიგინალთან შედარებით ვერ იქნებოდა ზუსტი, ამიტომ ვამჯობინეთ მეორე სიმღერის ბოლო, CCXV ნაწილი შეგვედარებინა სხვადასხვა თარგმანთან შინაარსობრივი სიზუსტის თვალსაზრისით.

რუსულ თარგმანში: «Печень-есть лазаретъ жолчи, но очень редко исполняющий, какъ следуетъ, своё назначение. Первая страсть поселяется въ насъ такъ крепко, что все другіе присасываются къ ней, переплетаясь, какъ гнѣздо змей в куче навоза. Бешенство, страхъ, ненависть, ревность, мщенъе, угрызения совести кишатъ тамъ и потомъ вырываются наружу, какъ удары землетрясения, пораждаемые скрытымъ внутреннимъ огнѣмъ» (Гербель, т.1, 1874:62).

ი. ბაქრაძე ასე თარგმნის ამ თავს:

CCXV

„ნაღვლებისათვის ჩვენი გული არს ლაზარეთი
მაგრამ ჩვენ იგი ძიელ ძვირათ გვაშორებს სენებს:
პირველ გულის თქმა იმაშია დიდხანსა სცხოვრებს
და სხვა გულისა თქმასაც სრულად თავს არ ანებებს,
ბოროტება და შიში, შური, მასში ჰლელვენ
და თვის გარშემო მომაკვდინელ შხამსა აქცევენ,
ესრედ, როდესაც ვულკანიც ამოვარდება
ცეცხლი და ლავა აქეთ-იქით გაიფანტება“.

(ბაირონი ,თარგმანი ი. ბაქრაძის, 1872:37)

ამკარაა აქ, რუსულთან შედარებით ი. ბაქრაძე უფრო თავისუფალ თარგმანს მიმართავს.

მოგვყავს მოცემული თავის დედანი:

“The liver is the lazaret of bile,
But very rarely executed its function,
For the first passion stays there such a while,
That all the rest creep in and form a junction,

Life knots of vipers on a dunghill's soil, _
Rage, fear, hate, jealousy, revenge, compunction, -
So that all mischiefs spring up from this entrail,
Like earthquake from the hidden fire call'd central”.

(*DON JUAN Canto 1 Written.* (n.d.)

აღნიშნული თავი საინტერესოა მთარგმნელის ტექსტთან დამოკიდებულების თვალსაზრისით. ტექსტის შინაარსობრივი შესწავლა მიგვანიშნებს, რომ ბაირონის პოემის II სიმღერის დასასრულს ავტორი გამოთქვამს თავის შეხედულებებს სიყვარულსა და ვნებაზე, ერთგულებასა და დაუდგრომლობაზე, რათა გახსნას გმირის ხასიათი. მისთვის კონტექსტურად ადამიანის გრძნობათა გამომხატველ სტროფში სწორედ გულზეა საუბარი (CCXIV). გული შედარებულია ცასთან, განწყობილებების ცვლასთან, ხოლო ღვიძლი კი წარმოდგენილია, როგორც ერთგვარი განსაწმენდელი ან სამკურნალო (ლაზარეთი), რომელშიც გროვდება პირველი და შემდგომი ვნებების გველივით გადახლართული განცდები. მათი გამოხატულებაა სწორედ ღვიძლი. მაგრამ დროდადრო იგი ამოიფრქვევა მსგავსად მიწისძვრის შემდგომი ცეცხლისა. **უძლიერესი, ანუ პირველი ვნება** (ასე ვთვლით ამ ფრაზის თარგმანს – “Like earthquakes from the hidden fire call “central“ – თ. ს) ა. სოკოლოვსკის, პ. კოზლოვისა და ქართულ (ჩხეიძეების) თარგმანებში თითქმის იგივე ინტერპრეტაციაა ორიგინალის ტექსტისა, მხოლოდ ი. ბაქრაძესთან, რომელშიც აქცენტი გადატანილია სევდაზე, ნალველზე და, რომლისთვისაც გულია სწორედ ის ლაზარეთი, იშვიათად რომ ხსნის ავადმყოფობას, რამდენადაც გულისთქმა (ასე უწოდებს ი. ბაქრაძე ვნებას, ხოლო პირველ განცდას პირველ გულისთქმას) იბუდებს არა ღვიძლში, როგორც ეს ავტორთანაა, არამედ გულში. ასევე ცვლის მიწისძვრის შედეგად ცეცხლისებრ პირველი გულისთქმის ამოხეთქვას, ვულკანის ამოფრქვევის მსგავსად. ი. ბაქრაძის მიერ გამოტოვებულია ბაირონისეული ტექსტის ის ჩამონათვალი (გაცოფება, შიში, სიძულვილი, ეჭვი, შურისძიება, სინდისის ქენჯნა), რომელიც თან ახლავს პირველ ვნებას, რაც რუსულ თარგმანში სრულად იკითხება. ი. ბაქრაძემ კი თარგმანში მხოლოდ ორიგინალიდან სამი განცდის გამომხატველი სიტყვა გამოყო (ბოროტება, შიში, შური) და ასევე „ვულკანის ამოფრქვევით“ (“volcano eruption”) ჩაანაცვლა „მიწისძვრით“ (“earthquake”),

რითაც ბაირონის დედნისეული სიყვარულის მთავარი მახასიათებლები ნაწილობრივ იგნორირებულია, მაგრამ გამმაფრებულია განცდა შედარებული „ვულკანის ამოფრქვევასთან“. ი. ბაქრაძემ, სავარაუდოდ, ისარგებლა ალექსანდრე სოკოლოვსკისეული პროზაული თარგმანითაც. ვფიქრობთ, აქ მთარგმნელმა გასაქანი მისცა სწორედ ბაირონის სტრიქონების თავისებურ ინტერპრეტაციას ქართულში, აქცია იგი თავისუფალ თარგმანად.

გარდა ამისა, ფორმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ლექსის ნაწილი თარგმანში წარმოდგენილია 14-მარცვლიანი სალექსო ზომით, განსხვავდება მხოლოდ ბოლო ოთხი სტრიქონის პირველი ტაეპი და ბოლო სამი სტრიქონი (13-მარცვლიანი სალექსო ზომით), თუმც ალაგ-ალაგ რითმაც გვხვდება: სენებს - ანებებს, ჰელეავენ - აქცევენ, ამოვარდება - გაიფანტება, მაგრამ შინაგანი რიტმულობა დარღვეულია.

საბოლოო დასკვნისათვის: ი. ბაქრაძის თარგმანი საკმაოდ თავისუფალია, თუმცა მხატვრულად სუსტი, იმ დროისათვის დამახასიათებელი დიალექტური ფორმების გამოყენებით შევსებული (ძიელ - ქართლურიზმი), თუმცა მისი ღირსება ისევ და ისევ „დონ-ჟუანის“ I-II სიმღერების ქართულად აჟღერების თვალსაზრისითაა საყურადღებო.

ნ. ბარათაშვილის ცხოვრება-შემოქმედების მიმოხილვისას, იონა მეუნარგია ყურადღებას ამახვილებს რა ბაირონისა და ბარათაშვილის მსგავსება-განსხვავებაზე, რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელ მხოლოდ „ბუნებასთან თანაზიარობას“, მიიჩნევს ბაირონის შემოქმედების არსებით წყაროდ, ხოლო ბარათაშვილისათვის მთაწმინდა და მტკვრის პირას სეირნობა-ხეტიალი იმის გამოხატულებაა, რომ ბარათაშვილი მარტოსულია. ამის დასტურად ი. მეუნარგიას მოჰყავს ბაირონის „დონ-ჟუანის“ ერთი „ხანის“ ფრაგმენტი, ერთ-ერთი (ჩვენთვის უცნობი) რუსული თარგმანიდან:

«Но тот, кто в шумном вихре света,
Одной усталостью томим,
Идет без ласки, без привета,
Никем не знаем, не любим,
Кто никогда любимцам счастья

Не поверял своей тоски,
Не ведал теплого участия
И честной дружеской руки,
Кто посреди льстецов холодных,
Ханжей бесчувственных живет,
Для всех чужой, - лишь толка тот
В своих мучениях бесплодных
Сказать бы с тайным вдохом мог,
Что он на свете одинок».

რითაც ასაბუთებს ქართული მწერლობის სინამდვილეში, რომ ბარათაშვილი ყველა ჩვენს პოეტზე უფრო დიდიაო (მეუნარგია, 1945:54).

წერილებში „ჩვენი მწერლობა“ ნიკო ნიკოლაძე, დიდად აღიარებს რა ბაირონის „დონ-ჟუანს“, მკაცრად აკრიტიკებს ი. ბაქრაძის თარგმანს. ამდენად, როგორც მკვლევარი მ. კუჭუხიძე შენიშნავს, XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ნ. ნიკოლაძემ პირველად წარმოუდგინა მკითხველს ბაირონის სტროფები ორიგინალში (შესაბამისი ზუსტი პწკარედით), შეადარა რა თარგმანი ორიგინალს, ნათელყო მთარგმნელის შეცდომები, „ლექსთა წყობის“ ნაკლოვანებანი და დასძინა, რომ ისეთი გენიოსის თარგმნისას, როგორცაა შილერი ან ბაირონი, თავი უნდა იმტვიროს კაცმა თითოეულ სიტყვაზე, თითოეულ წერტილზეო (კუჭუხიძე, 1992:10).

2017 წელს მედია ზაალიშვილმა გამოსცა ბრიტანელი და ამერიკელი პოეტების თარგმანები, რომელშიც შევიდა ნაწყვეტი პოემა „დონ ჟუანიდან“ - „მიძღვის“ ჩვიდმეტევე სტროფი. პოემის აღნიშნული ნაწილი ეძღვნება ტორების პარტიაში შესულ პოეტ-ლაურეატ ბობ სოუთის³² (1774-1843). მთარგმნელი შეეცადა ბაირონის სატირული სტილი შეენაარჩუნებინა და გადმოეცა ქართული ფრაზეოლოგიზმებით თუ მეტაფორებით. ტაეპების რაოდენობა სტროფში შეესაბამება დედნისას. ბუნებრივია, მთარგმნელს გაუძნელდებოდა ქართული ტრადიციული ლექსთწყობის

³² თუ ახალგაზრდობაში სოუთი ილაშქრებდა ფეოდალური უღლისა და მეფის წინააღმდეგ, მოწიფულობაში რეაქციონერი გახდა. რადიკალური იდეებისაგან განდგომის შემდეგ მან მეფისაგან მიიღო პოეტ-ლაურეატის საპატიო წოდება, რის გამოც ბაირონმა არაერთხელ მწარედ დასცინა „დონ ჟუანის“ „წინასიტყვაობასა“ და „სამსჯავროს ხილვაში“ (ელიზაროვა მ. ე. 1973:91-92).

შენარჩუნება. ამიტომ ტაეპებში მახვილიან-უმახვილო მარცვალთა რაოდენობა ნაკლებად დარღვეულია, ძირითადად გადმოცემულია 14-მარცვლიანი სალექსო ფორმით. რაც შეეხება დედნის ქვეტექსტს, მთარგმნელმა კარგად ამოიცნო და გამოიყენა სათანადო ლექსიკაც. მოგვყავს პირველი სტროფის ერთი ტაეპი დედნიდან: “With all the lakers, in and out of place?” ქართველი მკითხველისათვის გაუგებარი იქნებოდა დედანში ავტორის მიერ ნაგულისხმევი ფრაზა, რომელშიც „ტბის სკოლელებთან“ ვითომდა ახლობლობა უნდა იყოს ნაგულისხმევი. ამიტომ მთარგმნელს ასე გადმოაქვს ეს ტაეპი: „ტბის სკოლელებს“ რომ ეტმასნები, რას ელი მათგან?“ და ემოციას ამდაფრებს ჩამატებული ფრაზით „რას ელი მათგან?“, რითაც გამოხატავს მიძღვნის ავტორის მომხვეჭელურ ბუნებას, რაც უკეთ იშლება მომდევნო ორ ტაეპში, როცა ავტორი იმ მაგალობელთა ანუ მგოსანთა მიდრეკილებას გამოხატავს, რომლებიც მხოლოდ მაშინ იწყებენ პოეტურად ამღერებს, როდესაც რაიმე სარგებელს მოელონ. მოგვყავს დედანის ფრაგმენტები:

“A nest of tuneful persons, to my eye

Like four and twenty blackbirds in a pye“.

ქართულად:

„ჩემს თვალში ახლა მაგალობელთა საბუდარს გავხარტ.

იმ ოცდაოთხ შაშვს, მოუთმენლად რომ ელის ქადას“.

(ზაალიშვილი, 2017:161)

ამგვარად თარგმანების მეშვეობით ახასიათებს მ. ზაალიშვილი „ტბის სკოლის“³³ რეაქციულ რომანტიკოსებს: უორდსვორთს, კოლრიჯსა და სოუთის და პოეტურად გადმოსცემს ბაირონის პოემის „მიძღვნის“ დედაარსს.

ბაირონის ნაწარმოებთა სათაურების მთარგმნელობითი გააზრება. როგორც ცნობილია, მხატვრული ტექსტი წარმოადგენს მთლიან კომპოზიციას, რომლის შემადგენელ ნაწილებს შორის მნიშვნელოვანია ავტორის სტილის, თუ მხატვრული

³³ იგულისხმება XVIII საუკუნის 90-იანი წლებიდან პროგრესული რომანტიზმის წარმომადგენელთა გვერდით რეაქციული რომანტიზმის მიერ ჩამოყალიბებული სკოლა, რომელსაც „ტბის სკოლა“ ანუ „ლეიკისტები“ (“Lakers”) ეწოდათ. „ლეიკისტები“ მისტიროდნენ წარსულს და უარყოფდნენ რევოლუციურ ძალდატანებას, ქადაგებდნენ კლასობრივ კომპრომისს.

აზროვნების ამსახველი სათაური, რაც შესაძლებლობას იძლევა, წარმოჩინდეს ავტორის ორიგინალურობა. დედნისეული სათაური შეიძლება იყოს ემოციური, გააზრებული, შინაარსიდან გამომდინარე, ზოგჯერ შემთხვევითი. მისი მნიშვნელობა მკითხველისათვის კარგად აღიქმება თუ არა? ბაირონისათვის სათაური ერთფეროვნების, ან შემთხვევით ხასიათისა არ არის. ბევრი მისი ლექსის ან პოემის სათაური მიძღვნაა ამა თუ იმ უსულო საგნისა ან ფაუნისადმი (მაგ.: „ქურციკი“, „ენსლის სერები“), ზოგი იწყება აქცენტირებული ფრაზით შესაბამისი ლექსიდან (მაგ.: „მიტირებ, მიწა დამფარავს როცა?“, „ჩვენ აღარ გავალთ ერთად სასეირნოდ“), ზოგს ავტორის გუნება-განწყობილების გამომხატველი სათაური აქვს (მაგ.: „მოწყენილობის ჟამს“), პოემებიდან კი მეტწილად მთავარი პერსონაჟის სახელითაა დასათაურებული. მაგ.: „დონ ჟუანი“, „აბიდოსელი პატარძალი“ და სხვანი. მათი გადმოტანა თარგმნისას ისევ და ისევ დამოკიდებულია შუალედურ ენაში გაჟღერებული ან მთარგმნელის ნება-სურვილის შესაბამისი სათაურებით. პირველი უფრო რუსულიდან ან ფრანგულიდან ნათარგმნს ახასიათებს, მეორე კი – უშუალოდ დედნიდან ნათარგმნს.

მაგრამ რასთან გვაქვს საქმე დედნიდან თარგმანის შემთხვევაში? დისერტაციაში შევეცადეთ, ყურადღებით გაგვეაზრებინა ბაირონის ზოგიერთი ლექსის სათაურის ქართულ თარგმანში, იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ არის გამოხატული უცხოელი ავტორის ჩანაფიქრი ქართულად. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა XIX-XX-XXI საუკუნეების ერთი და იმავე ნაწარმოების სათაურის თარგმანის გააზრება. მოგვყავს რამდენიმე ნიმუში სათაურის თარგმნის ქართული ინტერპრეტაციისა.

XIX საუკუნის 60-იან წლებამდე ბაირონის ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმნისას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სათაურები მიესადაგება შუალედური ენიდან ნათარგმნ სათაურებს, ზოგჯერ, მთარგმნელის შეხედულებიდან გამომდინარე, იგრძნობა მცირეოდენი სახეცვლილება, მაგ.: როგორ არის ბაირონის ლექსის სათაური მიხეილ თუმანიშვილის თარგმანში: **“Lines Inscribed Upon a Cup Formed From a Skull”**, ბაირონის ნაწარმოებების ამიდი პიშუს ფრანგულ თარგმანთა კრებულში ამ ლექსს ასეთი სათაური აქვს: **“GRAVÉS SUR UNE COUPE FORMÉE D'UNE TÊTE DE MORT”**, რაც თითქმის ეკვივალენტურია ბაირონის ლექსის სათაურისა, რუსულ თარგმანში კი, რომელიც შესრულებულია დ. მიხალოვსკის მიერ,

ნათარგმნი სათაურია „Надпись на кубке из черепа“. სავარაუდოდ, მ. თუმანიშვილის თარგმანის სათაურში სრულიად ამოვარდნილია წარწერა/გრაფირება და მთარგმნელმა მოგვცა ბაირონისეული ლექსის სათაურის მისეული თარგმანი – „თასი თავის სარქველი“, რომელიც აზრობრივად აცდენილია დედნის სათაურს. XXI საუკუნეში ი. მერაბიშვილის მიერ უზუსტესადაა თარგმნილი ბაირონისეული სათაური – „წარწერა თავის ქალასაგან დამზადებულ სასმისზე“.

სარდიონ ალექსი-მესხიშვილი პირდაპირ მთავარი პერსონაჟის სახელს არქმევს პოემას, რაც ეკვივალენტურია ბაირონის დედნის სათაურისა “Oscar of Alva”, ქართულად „ოსკარ დ'ალვა“. ქართულად სათაურის თარგმანში გამოტოვებულია ბაირონის მინიშნება, რომ ის გამოგონილი ამბავია (თქმულება). იდენტური სათაური, პერსონაჟის სახელით არის გადმოცემული ა. პოლუჟაევის რუსულ თარგმანში “Оскар Альвский“.

ილია ჭავჭავაძემ ჯორჯ გორდონ ბაირონის ლექსის სათაური საგანგებოდ გადმოაქართულა. მაგ.: ბაირონის ლექსის „Oh! Weep For Those“ ილიას თარგმანში სათაური აქცენტირებულია მიმართვაზე მთელი ებრაელი ერისადმი, რომ ისინი უნდა ტიროდნენ, მაშინ, როდესაც დედანში ავტორი მიმართავს ებრაელ ერს, იტირონ იმათთვის, რაც ინესა მერაბიშვილმა თარგმნა დედნის ეკვივალენტურად - „იტირეთ მათთვის“.

აკაკი წერეთლის მიერ ბაირონიდან თარგმნილ ლექსს “Jephthah’s daughter” ჰქვია „იეფი ფასის ასული“. საინტერესოა ამ ლექსის სათაურის ქართული ინტერპრეტაცია, რაც ნაწილობრივ განხილულ იქნა დისერტაციის წინა თავებში.

თუ აკაკი წერეთელმა ამ ლექსის თარგმნისას ისარგებლა ნ. გერბელის კრებულით, რუსულად დასათაურებულია “Дочь Иефея”. ჩვენი ვარაუდით, ქართველ ებრაელთა გამოთქმაზე დაყრდნობით, აკაკიმ ლექსის სათაურად გამოიყენა „იეფი ფასის ასული“.

საყურადღებოა ბაირონის ერთი ლექსის “Sun of the sleepless” ქართული თარგმანების სათაურები. იოსებ ბაქრაძის თარგმანში ამ ლექსის სათაურია „ძილგამკრთალთ მზევ“, რომელიც ითარგმნა რუსულიდან “О солнце глаз бессонных”

(ა. ფეტის თარგმანიდან). 1992 წლიდან რეჟისორი, თემურ ბაბლუანის ფილმის გავლენით პოპულარული გახდა შესიტყვება „უძინართა მზე“, რაც პირველად გამოყენებული იყო ინესა მერაბიშვილის ლექსის სათაურის თარგმანში „უძინართა მზევ“ (2002), რაც ეკვივალენტურია ჯ. გორდონ ბაირონის ლექსის სათაურის, მის შემდგომ კი გამოიყენა ოთარ ცისკაძემ (2015 წელს და ძახილის ნიშანი დაურთო სათაურს თვითნებურად), იგივე სათაური აქვს ლექსს დონა კოლხის (დავით გაბუნიას) თარგმანშიც (2017).

საყურადღებოა ბაირონის ლექსის „From the Portuguese“ სათაურის გააზრება, რომელიც თარგმნეს მამია გურიელმა და რ. ალისუბნელმა (რაჟდენ ჩიკვაძემ). მამია გურიელმა ამ ლექსს სათაურად უწოდა „პორტუგალიურიდან“, რაც აბუნდოვნებს დედნის ავტორის ჩანაფიქრს, რომ ეს ლექსი პორტუგალიურის მიბაძვით ან გავლენით არის შექმნილი. სამაგიეროდ რ. ალისუბნელისეული სათაურის თარგმანია „მიბაძვა პორტუგალსკისადმი“ (ბაირონიდან), რომელიც კალკირებულია ი. კოზლოვის რუსული თარგმანის სათაურიდან „Подражение Португальскому“. სამწუხაროდ, მეორე თარგმანში სრულიად გაუგებრად ჩაჯდა მიბაძვა პორტუგალსკისადმი, რაც თავისდაუნებურად მიმართვას გულისხმობს.

მოყვანილი მაგალითებით კიდევ ერთხელ გაცხადდა გამომდინარე სათაურების ადეკვატური თარგმანის მნიშვნელობა დედანთან შედარებისას, რაც უთუოდ გასათვალისწინებელია მაღალოსტატური შედეგის მისაღწევად.

ბაირონის ქართულ ენაზე ახმოვანება მხოლოდ მის შემოქმედებაზე დაყრდნობით ვერ შემოიფარგლებოდა, თუ არა ის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რომელიც დაგვიტოვა პოეტმა თავისი მეგობრებისა და გამომცემლებისადმი სხვადასხვა დროს გაგზავნილი ბარათების სახით. ბუნებრივია, შინაარსობრივ-კონცეპტუალური ანალიზისთვის ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების შექმნის საბაზს თუ გარშემომყოფებთან დამოკიდებულებას, ან მათ გარდასახვას მხატვრულ შემოქმედებაში და ამ პროცესის გაშიფვრას განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება. ამ რთულ მისიას შესანიშნავად ართმევს თავს ი. მერაბიშვილი საკუთრივ თარგმნილი ლექსების კომენტარებში.

მხატვრული ნაწარმოების, ძირითადად, ლექსის სრული გააზრებისათვის აუცილებელია ის ფართო და ღრმა ცოდნა, რომელსაც მკითხველის თეზაურუსი ჰქვია. რაც გულისხმობს არა მარტო მკითხველის ზოგადინტელექტუალურ თვალსაწიერს თუ ესთეტიკურშემეცნებით გამოცდილებას, არამედ კონკრეტულ ცოდნას სათარგმნი ტექსტის ავტორის და ნაწარმოების შესახებ. ასეთი ცოდნა მკვლევარი ი. მერაბიშვილის აზრით, მიეწოდება მხატვრული ლექსის კომენტარიდან, რომელიც აიკრიბება პოეტის ბიოგრაფიული გამოკვლევებიდან (თუკი ერთად არსებობს). კომენტარებში მოცემული ინფორმაცია აუცილებელია არა მარტო იმ ენის მატარებელი საზოგადოებისათვის, რომელზედაც ტექსტი შეიქმნა, არამედ იმ მკითხველისთვისაც, რომელიც ეცნობა ნაწარმოებს თარგმანში. ასეთი ცოდნის გარეშე შეუძლებელია ლექსის თარგმნა (მერაბიშვილი, 2005: 50).

კომენტარების პრაქტიკას კარგად იცნობდა ქართული ლიტერატურული სამყარო, მაგრამ ი. მერაბიშვილის მიერ 2013 წელს გამოცემულ თარგმანების კრებული „ლორდი ბაირონი“ განსაკუთრებულად საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ მეცნიერისა თუ წიგნიერი მკითხველისათვის უფრო ექსპლიციტურად არის წარმოდგენილი თითოეული ლექსის დაწერის თარიღები საკითხის კომპაქტურად წარმოდგენასთან ერთად, რასაც თან ახლავს მთარგმნელის შენიშვნებიც. მაგალითისათვის გამოდგება ბაირონის ლექსი „Written After Swimming from Sestos to Abydos“ („სესტოსიდან აბიდოსამდე“). მთარგმნელ-კომენტატორი ი. მერაბიშვილი დასაწყისშივე მოუთხრობს მკითხველს ბაირონის სურვილზე ლეგენდარული ტროას ადგილების მონახულებისა და ამავე დროს, აღწერს რა დარდანელის სრუტეს, ურთავს ლეგენდას. აქვე წარმოდგენილია ბაირონის გმირული და გაბედული გადაწყვეტილება, გადაელახა ჰელესპონტი 1810 წლის 3 მაისს ე.-სთან ერთად (იგულისხმება ეკენ ჰენდი). მანძილი, რომელიც მათ უნდა გადაელახათ, 4 მილს აღემატებოდა, რაც ცურვით ერთმა საათსა და 5 წუთში გადალახა, მეორემ – საათსა და 10 წუთში. სავარაუდოდ, წერილის ინფორმაციაში ბაირონი არ ამჟღავნებს მცურავების უპირატესობის წარმოდგენას აღნიშნულ კომენტარში მთარგმნელ-კომენტატორი ურთავს ინფორმაციას ჰეროსა და ლეანდრის შესახებ მითის ისტორიით, რომელიც დაცულია რომაელი პოეტის, ოვიდიუსის (43 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) და

ინგლისელი დრამატურგის, კრისტოფერ მარლოს (1564-1593) ნაწარმოებებში. აღნიშნულ ინფორმაციებს ამდიდრებს ი. მერაბიშვილის შენიშვნაც, რომ „ამ ლექსის ქართული პარალელია თქმულება „თავფარავნელი ჭაბუკისა“ (ლორდი ბაირონი, 2013:246). ეს საინტერესო დაკვირვება, შემდგომ განავრცო კიდევ თავის გამოკვლევებში (ი. მერაბიშვილი, თარგმანი კულტურათა დიალოგი, საქართველოს ბაირონის საზოგადოება, 2005:110-115). კომენტატორი იქვე მიანიშნებს იმ ფაქტსაც, რომ ეს ყველაფერი აღიწერა მოგვიანებით „დონ ჟუანშიც“ (მეორე სიმღერა, ლექსი CV). ამდენად ლექსის კომენტარმა ფართო ინფორმაცია მოგვაწოდა უძველეს მითებში წარმოდგენილი ჰერასა და ლეანდროს ისტორიის გაცოცხლებისა რეალობაში, რაც შემლო ბაირონმა შემდგომ მისი ტრანსფორმაციით მხატვრულ ნაწარმოებში (ლექსსა და პოემაში). გარდა ამისა, წარმოჩნდა მთარგმნელის მეცნიერული ჰიპოთეზა პარალელის მოძიებისა „თავფარავნელ ჭაბუკთან“. კომენტარი დაიბადა, ჩვენი ვარაუდით, ლექსის თარგმნის პროცესში, მისი შინაარსობრივი კონტექსტის ადეკვატური გააზრებით. ეს კარგად მოჩანს ი, მერაბიშვილის ლექსის „სესტოსიდან აბიდოსამდე“ მესამე სტროფის ქართულ თარგმანში:

“For me, degenerate modern wretch
Though in the genial month of May,
My dripping limbs I faintly stretch,
And think I’ve done a fear to-day”.

„მე უბადრუკი ამ დროის შვილი,
მხოლოს უწყინარ მაისს მივენდე,
თხემით ტერფამდე ვარ გათოშილი,
და ამ გმირობით თავს ვიიმედებ“.

(ლორდ ბაირონი, 2013:90-91)

ზემოთ მოყვანილი კომენტარის გარეშე მკითხველისათვის გაუგებარი დარჩებოდა ჰეროსა და ლეანდროს მითის კონტექსტი, რომელშიც მთარგმნელმა ჭეშმარიტად იპოვა ავტორისეული „ხატი“.

ბაირონის წერილების ერთ-ერთი პირველი თარგმანები პაატა და როსტომ ჩხეიძეების მიერ. ბაირონის ქართულ ენაზე თარგმნის სამი საუკუნის განმავლობაში

ეპისტოლარული მემკვიდრეობის ნაწყვეტები სხვადასხვა დროს ჩნდება თვით პუბლიკაციის სქოლიოებსა თუ პოეტების საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილ ქართველ თარგმანთმცოდნეთა გამოკვლევებში. კომენტარებთან ერთად მნიშვნელობა ენიჭება მკვლევარ-მთარგმნელების, პაატა და როსტომ ჩხეიძეების მიერ შესრულებულ ბაირონის წერილების ერთ-ერთ პირველ თარგმანებს, რომლებიც გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1988 წლის 29 იანვრის ფურცლებზე. ითარგმნა აგრეთვე თომას მურისადმი (1813 წლის 25 ივლისის, 1814 წლის 9 აპრილის, 1814 წლის 3 აგვისტოს), სამუელ ტეილორ კოლრიჯის, ლი ჰანტის და სერ უოლტერ სკოტისადმი მიწერილი ბარათები. წერილის თარგმნა რთულიც არის და მარტივიც მთარგმნელობით არეალში. რასაკვირველია, რთულია, ადეკვატურად გადმოიცეს ავტორის მიერ ადრესანტისადმი გამხელილი სულიერი თუ ფიზიკური განცდა ადეკვატურად გადმოიცეს და იმავე დროს დაფარული და ნაგულისხმევი აზრიც გაიშიფროს, ხოლო სიმარტივე, სავარაუდოდ, მხოლოდ შინაარსის რელევანტურობას უნდა გულისხმობდეს. აღნიშნული წერილები სათარგმნად, ვფიქრობთ, პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა საგანგებოდ შეარჩიეს, რამდენადაც ჩვენთვის საინტერესოა იმ დროისთვის უკვე ცნობილი მწერლის, უოლტერ სკოტისადმი გაგზავნილი ბარათი, რომელიც გამოხატავს ბაირონის საოცრად გულწრფელ დამოკიდებულებას ადრესანტისადმი, რასაც მოწმობს ბაირონის მიერ დაწერილი წერილიც (ჩხეიძე პ. და რ., გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1988:11). მოგვყავს დედნის ამონარიდი და პაატა და როსტომ ჩხეიძეების თარგმანი წერილისა სერ უოლტერ სკოტისადმი:

Byron to Scott, from Pisa, January 12th 1822:

“My dear Sir Walter / I need not say how grateful I am for yr. letter – but I must own my ingratitude in not having written to you again long ago. – Since I left England (and it is not far off the usual term of transportation) I have scribbled to five hundred blockheads – on business &c . without difficulty though with no great pleasure; and yet, with the notion of addressing you a hundred times in my head – and always in my heart – I have not done what I ought to have done. – I can only account for it on the {same} principle of tremulous anxiety with which one sometimes makes love to a beautiful woman of our own degree with whom

one is {enamoured} in good earnest; – whereas we attack a fresh=coloured housemaid without (I speak of course of earlier times) any sentimental remorse or mitigation of our virtuous purpose“.

(The Correspondence between Byron and Walter Scott, 1812-22, n.d.)

სერ უოლტერ სკოტს

პიზა, 1822 წ., 12 იანვარი

ძვირფასო სერ უოლტერ,

„ზედმეტია იმის თქმა, თუ რარიგ მადლიერი გახლავართ თქვენი წერილის გამო, მაგრამ ჩემი უმადურობა უნდა ვაღიარო, რადგან რა ხანია, თქვენთვის ბარათის მოწერა ვერ მოვახერხე. მას შემდეგ, რაც ინგლისი დავტოვე (და ეს სულაც არ ყოფილა უბრალო გამგზავრება), ხუთასამდე სულელს მაინც ვწერდი წერილებს საქმეებისა და სხვათა გამო და სულაც არ გამძნელებია; თუმცა დიდ სიამოვნებასაც არ განვიცდიდი; მაგრამ ისე მოხდა, რომ თუმცა გონებაში ასჯერ მაინც და გულში გამუდმებით გესაუბრებოდით, არ მიქნია ის, რაც უნდა მექნა. ეს ისეთივე რამ მგონია, ხანდახან მგზნებარე სიყვარულს რომ ვგრძნობთ ჩვენივე წრის მშვენიერი ქალისადმი და ჭეშმარიტი კდემით ვექცევით; მაშინ, როცა გამმაგებულნი ვეტანებით ლოყებდაბრაწულ მოახლეს (ცხადია, ადრეულ წლებს ვგულისხმობ) და არც სინდისი გვქეჯნის და არც ღირსება გველახება“.

(ჩხეიძეები, პ. და რ., 1988:11)

ქართველმა მთარგმნელებმა მოიძიეს რელიევანტური ფორმა პოეტის განცდების გადმოსაცემად, რომელშიც სათანადო მხატვრული ხერხებია შერჩეული თავაზიანობის გამოსახატად. აღნიშნულ წერილს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბაირონის ბიოგრაფიის ანალიზისათვის.

დასკვნები

დიდი ინგლისელი, რომანტიკოსის რომანტიკოსი ჯორჯ გორდონ ბაირონის ქართულ ენაზე თარგმანების შესწავლამ და მათმა ტრანსლატოლოგიურმა ანალიზმა მიგვიყვანა შემდეგ დასკვნებამდე:

1. ბაირონის შემოქმედების თითქმის ყველა ძირითადი ტექსტი ითარგმნა ქართულ ენაზე როგორც სიცოცხლეში, ისე მისი გარდაცვალების შემდგომ სამი საუკუნის განმავლობაში (XIX, XX, XXI). რაც, ძირითადად, იბეჭდებოდა მხოლოდ ქართული პრესის ფურცლებზე 1860-იანი წლების შემდგომ. მანამდე ქართული რეგულარული გამოცემების სიმწირის გამო;
2. ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი თარგმანების გარდა, არსებობს სარდიონ ალექსი-მესხიშვილის, მიხეილ თუმანიშვილის ადრეული თარგმანების ხელნაწერები, რომლებიც ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში. აღნიშნული თარგმანები მდარეა მხატვრული თვალსაზრისით, რამდენადაც, ძირითადად, შესრულებულია შუალედური (ფრანგული, რუსული) ენებიდან და აქვს მხოლოდ ისტორიული ღირებულება;
3. უშუალოდ ინგლისური ენიდან ბაირონის ნაწარმოებების ქართული პირველი თარგმანები XX საუკუნის 40-იან წლებამდე დავით ონიაშვილისა და გივი გაჩეჩილაძის სახელებთანაა დაკავშირებული;
4. ბაირონის ქართულ ენაზე პოპულარობის საკითხს თავის დროისათვის შეეხნენ სამივე საუკუნის (XIX, XX, XXI) მკვლევრები. განსაკუთრებით საყურადღებოა მაყვალა კუჭუხიძისა და ქეთევან ბურჯანაძის ნაშრომები, რომლებშიც დაწვრილებით არის შესწავლილი XIX საუკუნეში შუალედური ენებიდან (ფრანგული, ან რუსულიდან) შესრულებული თარგმანები არსებულის მოძიებითა და ანალიზით;

5. XX-XXI საუკუნეებში გამოქვეყნებული თარგმანების ანალიზისა და კრიტიკული მიდგომის თვალსაზრისით, აღსანიშნავია თვით მთარგმნელისა და თეორეტიკოსის, ინესა მერაბიშვილის, არაერთი დასაბუთებული, სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციაზე აპრობირებული გამოკვლევები, რომლებშიც ნათლადაა გამოკვეთილი მისი თეორიული თვალსაზრისის, ე. წ. „ლინგვისტური ხატის“ მიდგომით ამა თუ იმ თარგმანების შეფასება-ანალიზის სისწორე, რაც ჩვენ სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთ თავში **„თარგმანის თეორიის შესწავლის საკითხისათვის“** გავითვალისწინეთ და გამოვიყენეთ;
6. ბაირონის დიდი შემოქმედების აღიარება და გათავისება საქართველოში გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, ინგლისელი პოეტის დაინტერესებით აღმოსავლური თემატიკით, რომლის არეალში საქართველოც განისაზღვრა, მეორე მხრივ, სახელმწიფოებრიობა დაკარგული საქართველოს მოწინავე საზოგადოების სწრაფვით, ევროპული თავისუფლებისმოყვარე იდეალების გახმაურება-გათავისების სურვილით და, თუმცა თვით ბაირონის ცხოვრების წესი მიუღებელი იყო როგორც ევროპული, ისე ქართული მოწინავე საზოგადოებისათვის, სწორედ მისმა მებრძოლმა ბუნებამ აღაფრთოვანა, უპირველესად, ჯერ ქართველი მთარგმნელები და შემდგომ მკითხველი; ამდენად გამოიკვეთა აზრი, რა აინტერესებს ქართველ მწერალს, პოეტსა თუ მთარგმნელს ბაირონის შემოქმედებაში:
- ა. თავისუფალი აზრის დაფიქსირება, რაც შეესატყვისება ქართული მწერლობის ტენდენციას;
 - ბ. ქართველისათვის უცნობი, მაგრამ „ევროპეიზმის“ პოეტური გამორჩეულობით საზოგადოების დაინტერესება;
 - გ. რომანტიზმის იდეალების გათავისების სურვილი.
7. XIX საუკუნის ლიტერატურულ სივრცეში 50-იანი წლებიდან შემოდის ტერმინი „ბაირონიზმი“ ვიწრო და ფართო გაგებით. ვიწრო გაგებით ის უტოლდება რომანტიზმს, ხოლო ფართო გაგებით – მსოფლიო რანგის შემოქმედის, ბაირონის ქართულ სინამდვილეში დამკვიდრების მნიშვნელობას;

8. XIX საუკუნის ბაირონის თარგმანების მხატვრული თვალსაზრისით ნაკლებმნიშვნელოვანია, რაც გამოწვეული იყო შუალედური ენიდან (ფრანგული თუ რუსულიდან) თარგმნით, მაგრამ, მათ შორის რჩეულია ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის თარგმანები, რომელთაც თავისი კვალი დატოვეს „ქართული ბაირონიზმის“ ისტორიაში;
9. ბაირონის შემოქმედებიდან XIX საუკუნეში ქართველ მთარგმნელებს ძირითადად ხიბლავდათ „ებრაული მელოდიები“, „დონ ჟუანი“, „ჩაილდ ჰაროლდი“, „მანფრედი“, „პრომეთე“, „კაენი“, „გიაური“, ხოლო ლექსები იმისდა მიხედვითაა შერჩეული, რამდენად შეესატყვისებოდა ეროვნულ სულისკვეთებას;
10. XIX საუკუნის ქართველი მწერლები, კრიტიკოსები თუ ლიტერატურათმცოდნენი „ბაირონიზმს“ უკავშირებენ რომანტიზმის ეპოქის მწერლობას და ეძიებენ მათში იდეურ ანალოგებს; ხანდახან იყენებენ ტოლფასი მნიშვნელობით, რაშიც, ვფიქრობთ, „მერანისეულ“ პრეცედენტს, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანია მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში;
11. XIX საუკუნის II ნახევრის ქართველ კრიტიკოსთა ნააზრევში ბაირონთან ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია არაერთხელაა შედარებული და განხილული, თუმცა, ვფიქრობთ, შეინიშნება გადაჭარბებაც;
12. XX საუკუნე ჭეშმარიტად ახალი ეტაპია ბაირონის ქართულ ენაზე თარგმნის საქმეში, რამდენადაც თარგმანების 95%-ზე მეტი უშუალოდ დედნიდან არის შესრულებული და გამახვილებულია ყურადღება თარგმანების მეცნიერული შეფასება-კრიტიკის თვალსაზრისით;
13. მაშინ, როდესაც XX საუკუნის თარგმანთმცოდნეებისა თუ ლიტერატურათმცოდნეების მიერ საფუძვლიანად იქნა შესწავლილ-განხილული XIX საუკუნის ბაირონის ნაწარმოებების ქართული თარგმანები, თვით XX საუკუნეში მიმდინარეობს მათი შესწავლა-კრიტიკა ძირითადად დაკავშირებული თარგმანთმცოდნეების, გივი გაჩეჩილაძისა და ინესა მერაბიშვილის სახელებთან. ჩვენ მიერ კი პირველად იქნა განხილული XX

საუკუნის მეორე ნახევრისა და XXI საუკუნის ქართული თარგმანები, მათი ღირსება-ნაკლოვანებათა დემონსტრირებით;

14. ნაშრომში პირველად წარმოჩინდა დავით ონიაშვილის დამსახურებული, ლიტერატურათმცოდნეობითი ღვაწლი როგორც ბაირონის პიროვნებისა და მისი შემოქმედებისადმი, ისე ქართული თარგმანების ეკვივალენტურობის თვალსაზრისით. თუმცა იგი საკუთარ თარგმანებში, რომლებიც უშუალოდ დედნიდან შესრულდა, იცავს თავისუფალი თარგმანის პრინციპს, ამავე დროს, შეაპირისპირებს რა აქვე ბაირონისა და ნიცშეს მსოფლმხედველობას, უპირატესობას ანიჭებს ბაირონს;
15. აკაკი წერეთელი, როგორც მთარგმნელი, საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა თარგმანთმცოდნეობის თვალსაზრისით, რამეთუ, შუალედური ენიდან სარგებლობის მიუხედავად, პოეტი შეეცადა სიღრმისეულად ჩასწვდომოდა, რაც განსაკუთრებულად შეინიშნება „ებრაული მელოდიების“ ციკლის ორი ლექსის („იეფი ფასის ასული“, „გოდება ებრაელთა“) თარგმანებში;
16. ლექსის „გოდება ებრაელთა“ თარგმანის მეორე პუბლიკაცია (1901) ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ აკაკი წერეთელმა არამცთუ თარგმნა ბაირონის ეს პოეტური ნიმუში „გოდება ებრაელთა“ (“By the rivers of Babylon we sat down and wept”), არამედ შეავსო იგი 136-ე ფსალმუნიდან, რითაც უფრო გაამძაფრა და გამოხატა ჩაგრული ერის გულისტკივილი;
17. ჩვენი აზრით, ლექსის „გოდება ებრაელთა“ აკაკისეული თარგმანის ორივე ვარიანტისა მხოლოდ და მხოლოდ მიზამკვამ, იმიტაციაა ჯ. გ. ბაირონის დედნისა და აკაკი წერეთელმა, როგორც მთარგმნელმა დაუფარავად მიუთითა კიდევ ქვესათაურით – „ბაირონით“;
18. აკაკი წერეთლის ნააზრევი მთარგმნელობით საკითხებთან დაკავშირებით კარგად წარმოჩინდა მისი „თვითი კრებულის“ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებში გამოქვეყნებულ პატარა წერილში „ბერანჟეს ლექსები ქართულად“. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული წერილი მკვლევარ ქ. ბურჯანაძის მიერ უავტოროდ იყო მოხსენიებული, ჩვენ მიერ დადგინდა, რომ მისი ავტორია

თვით აკაკი წერეთელი, რომელიც საკმაოდ საფუძვლიან კომენტარს აკეთებს თარგმანის საკითხებთან დაკავშირებით;

19. საქართველოში ბაირონის პოპულარობის თემას არაერთგზის შეეხნენ მკვლევრები ნ. ორლოვსკაია, მ. კუჭუხიძე, ნ. ზედგენიძე, დ. ლაშქარაძე, ი. მერაბიშვილი, ი. ადამია. 1977 წელს მკვლევარი მაყვალა კუჭუხიძემ დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის კვალიფიკაციის მისაღებად თემაზე – „ბაირონი XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკასა და თარგმანებში“, რომლის მონაკვეთები სხვადასხვა კრებულში დაიბეჭდა თუ სრულადაც გამოიცა ცალკე წიგნად. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი პირველია ბაირონის ნაწარმოებების ქართული თარგმანების შეფასება-ანალიზის თვალსაზრისით;

20. ბაირონის ერთ-ერთი ადრეული ნაწარმოების „ოსკარ დ'ალვას“ პროზაული თარგმანი ეკუთვნის სარდიონ ალექსი-მესხიშვილს, რომელიც, ჩვენი აზრით, შესრულდა შუალედური თარგმანიდან. კერძოდ, ამიდი პიშუს ფრანგული თარგმანების კრებულიდან “Ouvres complètes de Lord Byron”. ბუნებრივია, რომ სარდიონ ალექსი-მესხიშვილის თარგმანის სტილი საკმაოდ მძიმეა და თანაც შესრულებულია პროზად. შესაბამისად, დარღვეულია დედნისათვის დამახასიათებელი ფორმისა და შინაარსის ერთიანობა.

ჩვენი აზრით, სარდიონ ალექსი-მესხიშვილი არამცთუ პირველი მთარგმნელია ქართველ ბაირონისტთა შორის, არამედ პირველია, რომელიც შუალედური, ფრანგული ენიდან თარგმნის თითქმის ეკვივალენტურად;

21. პირველი კრიტიკული წერილი ილია ჭავჭავაძის თარგმანის შესახებ კერძოდ, ლექსისა – „სტიროდეთ“ ბაირონის „ებრაული მელოდიებიდან“ გამოაქვეყნა გიორგი ბარათოვმა ჟურ. „ცისკრის“, 1861 წლის N#6-ში, „წერილი რედაქტორთან“ (ბარათაშვილი);

22. სადისერტაციო ნაშრომში, ჩვენი კვლევის პროცესში პირველად წარმოჩინდა ბაირონის სხვა ნაწარმოები („დანტეს წინასწარმეტყველება“), რომლის შესახებაც ვიმსჯელებთ ჩვენს პუბლიკაციაშიც;

23. სადისერტაციო ნაშრომში შერჩეული მასალის საფუძველზე, პირველად შესრულდა ბაირონის XIX-XX-XXI საუკუნეების ქართული თარგმანების შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი;
24. სადისერტაციო ნაშრომში ჩვენ მიერ პირველად იქნა განხილული ინესა მერაბიშვილის მიერ ინგლისურიდან თარგმნილი ბაირონის ლექსის „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი“ ტრანსლატოლოგიური ანალიზი;
25. სადისერტაციო ნაშრომში ვიზიარებთ ლიტერატურათმცოდნე ქ. ბურჯანაძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მიხეილ თუმანიშვილის მიერ 1838 წელს თარგმნილი ლექსი „უდაბნო“ შესრულებული უნდა იყოს პუშკინის „ანჩარიდან“, თუმცა მთარგმნელის საკუთარი სულიერი განწყობილების გაღრმავებით;
26. ბაირონის „კაენის“ ილია ჭავჭავაძისეული თარგმანი შესრულებულია არა პწკარედიდან, არამედ ზარინისეული თარგმანიდან, რომელიც შესულია ნ. გერბელის კრებულის მესამე ტომში. კვლევით დადასტურდა, რომ კ. ჭიჭინაძის თარგმანიც, რუსული თარგმანის გავლენით შესრულდა;
27. სადისერტაციო ნაშრომში ჩვენ მიერ პირველად იქნა წარმოდგენილი მ. თუმანიშვილისეული, სავარაუდოდ, ფრანგულიდან თარგმნილი და ინესა მერაბიშვილის მიერ ინგლისურიდან თარგმნილი ბაირონის ლექსის „წარწერა თავის ქალასაგან დამზადებულ სასმისზე“ შედარებითი, ტრანსლატოლოგიური ანალიზი. გამოიკვეთა XXI საუკუნის ქართული თარგმანის უპირატესობა. მ. თუმანიშვილის „თასი თავის სარქველი“, ჩვენი კვლევის შედეგად, შესრულებული უნდა იყოს XIX საუკუნის ფრანგი მთარგმნელის, ამიდი პიშუს კრებულიდან, ისევე, როგორც სარდიონ ალექსი-მესხიშვილის გამოუქვეყნებელი თარგმანი პოემისა – „ოსკარ დ'ალვა“;
28. ჩვენი აზრით, ი. მერაბიშვილის მიერ შემოთავაზებული სათაური ბაირონის ლექსისა “The Chillon Prisoner” – „შილონელი ტუსადი“ წინამორბედ მთარგმნელებთან შედარებით ყველაზე მისაღებია, რადგან გამართულია როგორც ლექსის შინაარსიდან გამომდინარე, ისე ლინგვისტური თვალსაზრისით;

29. XX საუკუნის დასაწყისში შესრულდა ბაირონის პოემა „პრომეთეოსის“ ორი თარგმანი, რომელთაგან პირველი – ი. ბაქრაძისა – ჩვენი კვლევის მიხედვით ვასილი მარკოვის რუსული თარგმანიდანაა გადმოღებული;
30. სათარგმნი ტექსტის მკითხველისათვის უკეთ აღსაქმელად მნიშვნელოვანია კომენტარი, რომელსაც ი. მერაბიშვილი ხშირად ურთავს თავის თარგმანებს;
31. ბაირონის შემოქმედებითი გზის თვალის გადევნებისათვის მნიშვნელოვანია ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რისი ადეკვატური თარგმანი პირველად განხორციელდა XX საუკუნის დასასრულს.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

1. აბაშიძე, ვ. (1898). ეტიუდები ქართული ლიტერატურიდან (დიდი გრ. ორბელიანი), ჟურნალი მოამბე. #5, მაისი.
2. აბაშიძე, ვ. (1971). ცხოვრება და ხელოვნება, თბილისი: თსუ.
3. აბზიანიძე, ზ. (2012). ქართული რომანტიზმი: ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები/შოთა რუსთაველი ქართ. ლიტ. ინს-ტი. შოთა რუსთაველის ეროვნ. სამეცნ. ფონდი. თბილისი: საარი.
4. ადამია, ი. (2012). საქართველო ბაირონის შემოქმედებაში (ტრანსლატოლოგიური ანალიზის თვალსაზრისით), სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი: თსუ.
5. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელთნაწერი ადაპებით/საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა. (1901). თბილისი: გრ. ჩარკვიანის სტ. გვ: 26, 27.
6. ალექსიევ-მესხიევი, სარდიონ (1861). უსტარი ანტიკრიტიკული. თბილისი: ჟურნალი ცისკარი #6. გვ: 255, 265, 266.
7. ალიბეგაშვილი, გ., დულაშვილი, ე., მღებრიშვილი, თ. (2017). თარგმანის ისტორია. თბილისი: ქართული უნივერსიტეტი.
8. ალიმბარაშვილი, ი. (2022). ხიდისთავის ისტორია. გორი: გორის უნივერსიტეტის გამ-ბა.
9. ასათიანი, ლ. (1974). ლიტერატურული წერილები, ნარკვევები. თბილისი: მერანი.
10. ბაირონი, ჯ. (1859). სტიროდეთ. თარგმანი ილია ჭავჭავაძის. ჟურ. ცისკარი, #9. გვ. 3.
11. ბაირონი, ჯ. (1863). ადარ მაქვს ძალი, ადარ მაქვს ღონე (თარგმანი ა. ფურცელაძისა), ჟურ. ცისკარი, #3 გვ. 398-399.
12. ბაირონი, ჯ. (1865). იეფი ფასის ასული. თარგმანი აკაკი წერეთლის. ჟურ. ცისკარი, N11 გვ. 4.
13. ბაირონი, ჯ. (1868). შილონის პატიმარი. თარგმანი ი. კ.-სი. ჟურ. ცისკარი, # 12. გვ. 27, 35.
14. ბაირონი, ჯ. (1868). ძილგამკრთალთ მზევე (თარგმანი ი. ბაქრაძის). გაზ. ივერია. 28 თებერვალი. #46 გვ. 1.

15. ბაირონი, ჯ. (1872). შილონის პატიმარი. თარგმანი ნ. ლომაურის. ჟურ. მნათობი, აპრილი-მაისი, #4-5. გვ. 1.
16. ბაირონი, ჯ. (1872). დონ-ჟუანი (ხმა მეორე). თარგმანი იოსებ ბაქრაძის. ჟურ. მნათობი, ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი, N10, 11, 12. გვ. 37.
17. ბაირონი, ჯ. (1878). მაშ შენ დაღვრი მდულარე ცრემლს? თარგმანი იოსებ ბაქრაძის. გ. დროება, 5 დეკემბერი, #249. გვ:1.
18. ბაირონი, ჯ. (1880). ჩაილდ ჰაროლდი: რომანი ოთხს ნაწილად გადმოთარგმნილი/ბაირონი. თარგმანი იოსებ ბაქრაძის. გაზ. ივერია. #3 გვ. 196.
19. ბაირონი, ჯ. (1880). ფელეტონი „მშვიდობით (ბაირონისა)“. თარგმანი ტუსალი ი-ს. გაზ. დროება, 26 თებერვალი, #44. გვ. 1.
20. ბაირონი, ჯ. (1901). გოდება ებრაელთა. თარგმანი აკაკი წერეთლის. გაზ. ივერია, 3 ოქტომბერი, #213. გვ. 1.
21. ბაირონი, ჯ. (1903). პრომეთეოსი: ამირანი/ბაირონისა. თარგმანი იოსებ ბაქრაძის. გაზ. ივერია, 9 დეკემბერი. #262. გვ. 2.
22. ბაირონი, ჯ. (1911). ჩაილდ ჰაროლდი იანტას. თარგმანი ა. შანშიაშვილის. სახალხო გაზეთი. 6 თებერვალი, #225. გვ.1.
23. ბაირონი, ჯ. (1924). დონ-ჟუანი, ნაწყვეტი პოემიდან. თარგმანი ს. შანშიაშვილის. ჟურ. დროშა, #13. გვ. 25.
24. ბაირონი, ჯ.(1936). ის მიდის. თარგმანი გივი გაჩეჩილაძისა. ჟურ. მნათობი, #7. გვ.117-118.
25. ბაირონი, ჯ. (1936). მანფრედი და კაენი. თარგმანი კონსტანტინე ჭიჭინაძისა. თბილისი: ფედერაცია.
26. ბაირონი, ჯ. (1936). მანფრედი. კაენი/ მთარგ. კონსტანტინე ჭიჭინაძე. გაზ. კომუნისტი. #295. გვ. 4.
27. ბაირონი, ჯ. (1941). ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა (ნაწყვეტი მესამე ქეზიდან/ჯორჯ გორდონ ბაირონი თარგმნილი კ. ჭიჭინაძისა). გაზ. ლიტერატურული საქართველო, #2. გვ. 3.
28. ბაირონი, ჯ. (1948). მანფრედი, კაენი, ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა. თარგმანი კონსტანტინე ჭიჭინაძისა. თბილისი: სახელგამი.

29. ბაირონი, ჯ. გ. (1963). დაისი, სილამაზეში მიცურავს იგი. ლენინის გზით, 22 იანვარი. გურჯაანი. გვ. 4.
30. ბაირონი, ჯ. (1965). დასრულდა შენი სიცოცხლის გზა; ოდა ფრანგულიდან. თარგმანი გრიგოლ აბაშიძის. გაზ. ლიტერატურული საქართველო, 5 თებერვალი, #6. გვ. 4.
31. ბაირონი, ჯ. (1965). ოდა ფრანგულიდან. თარგმანი გრ. აბაშიძის. ლიტერატურული საქართველო, 5 თებერვალი, #6. გვ. 4.
32. ბაირონი, ჯ. (1968). ძილ-გამკრთალთ მზევ. თარგმანი იოსებ ბაქრაძის. გაზ. ივერია. 28 თებერვალი, #46. გვ. 1.
33. ბაირონი, ჯ. გ. (1970). შილიონის პატიმარი. თარგმანი თამარ ერისთავის. ჟურ. ხომლი: უცხოური ლიტერატურის აღმანახი. თბილისი: #5 გვ. 191-199.
34. ბაირონი, ჯ. (1972). დღეს შემისრულდა ოცდათექვსმეტი წელი. თარგმანი გურამ კვიციანიძის. გამარჯვება. გორი. 9 მარტი. გვ. 3.
35. ბაირონი, ჯ. (1974). დღეს შემისრულდა ოცდათექვსმეტი წელი. თარგმანი თამარ ერისთავის. ჟურ. საუნჯე, #2. გვ. 17, 18.
36. ბაირონი, ჯ. (1979). ანესლის მთაო, ცივო და ბერწო. თარგმანი გიორგი ნიშნიანიძის. ჟურ. საუნჯე, #2. გვ. 117.
37. ბაირონი, ჯ. (1982). მზეო უძილოთა! თარგმანი თამარ ვეფხვაძის. პირველი სხივი, N16 გვ. 117.
38. ბაირონი, ჯ. (1983). აწ ერთად ვეღარ ვიხეტიალებთ. თარგმანი თინათინ ზოდელავასი. გ. მეგრძოლი, 12 ნოემბერი, #136. გვ. 3.
39. ბაირონი, ჯ. (1986). მიტირებ, მიწა დამფარავს როცა? თარგმანი გ. კვიციანიძის. ჟურ. ლიახვი. გვ. 204, 205.
40. ბაირონი, ჯ. (1987). წყვდიადი. თარგმანი თამარ ერისთავისა. ლიტერატურული საქართველო, 30 იანვარი, #1. გვ. 3.
41. ბაირონი, ჯ. (1987). გნახე მტირალი. თარგმანი ლელა ებრაელიძის. ახალგაზრდა კომუნისტი. გვ. 8.

42. ბაირონი, ჯ. (1988). წერილები (ტომას მურისა და უოლტერ სკოტისადმი). თარგმანი პაატა და როსტომ ჩხეიძეების. ლიტერატურული საქართველო, 29 იანვარი. გვ. 11.
43. ბაირონი ქართულად (2002). ლექსები; სიმართლე ბაირონის შესახებ/თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები ინესა მერაბიშვილისა. თბილისი: საქართველოს ბაირონის საზოგადოება.
44. ბაირონი, ჯორჯ გორდონ (2004). დღეს შემისრულდა ოცდათექვსმეტი წელი. თარგმანი გიორგი ნიშნიანიძის. ჟურ. საუნჯე. მაისი-აგვისტო, #3-4. გვ. 70-71.
45. ბაირონი, ჯ. (2006). უძინართა მზევ! თარგმანი სალომე ციხისელის. ლიტერატურული ჟურნალი: ზღვაში წვეთი #1. გვ. 28.
46. ბაირონი, ჯ. (2013). ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა. ჟურ. ამერ-იმერი, #1. გვ. 247.
47. ბაირონი, ჯორჯ (2013). ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა. თარგმანი ნინო რამიშვილისა. დამოუკიდებელი ლიტერატურული ჟურნალი, ამერ-იმერი. გვ. 247-250.
48. ბაირონი, ჯ. გ. (2015). ლექსები=verse/ჯორჯ გორდონ ბაირონი; მთარგმნელი ოთარ ცისკაძე. თბილისი: შპს. მუსიკალური ფონდის საბეჭდი საამქრო.
49. ბარათოვი, თ. გ. (1861). წერილი რედაქტორთან II. ჟურ. მნათობი, ივნისი, #6. გვ. 151, 152.
50. ბარათაშვილი, ნ. (1968). თხზულებანი. საბჭოთა საქართველო: 100.
51. ბერაძე, ი. (2002). ნიკო ლომოური: ცხოვრება და შემოქმედება. თბ: სახ. უნ.-ტის გამ-ბა.
52. ბიბლია, (1989). თბილისი: საქართველოს საკატორიარქო.
53. ბურჯანაძე, ქ. (1992). მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხები. თბილისი: თსუ.
54. გამეზარდაშვილი, დ. (რედ) (1956). ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია (ტ I). თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა.
55. გამსახურდია, კ. (1928). გოეთეს „ფაუსტი“. გერმანულიდან თარგმ. დ. ონიაშვილის მიერ. ჟურ. მნათობი. მარტი, #3. გვ. 237.

56. გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ. (2008). ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები. თბილისი: მერიდიანი.
57. გაფრინდაშვილი, ვ. (1990). ლექსები, პოემა, თარგმანები, ესეები, წერილები, მწერლის არქივიდან. თბილისი: მერანი.
58. გაჩეჩილაძე, გ. (1937). უცხოელი და რუსი პოეტები. თბილისი: ფედერაციის გამომცემლობა და სტ.
59. გაჩეჩილაძე, გ. (1938). ბაირონი. თბილისი: სახუნტის გამ-ბა და სტ.
60. გაჩეჩილაძე, გ. (1938). ბაირონი. თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
61. გაჩეჩილაძე, გ. (1942). ინგლისელი პოეტები. თბილისი: ფედერაცია.
62. გაჩეჩილაძე გ. (1966). მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი, თბილისი: განათლება.
63. გაჩეჩილაძე გ. (1956). ინგლისური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნის საკითხები. ლიტერატურული გაზეთი, 20 იანვარი, #1. გვ. 1, 3.
64. გაჩეჩილაძე, გ. (1981). რჩეული თარგმანები. თბილისი: საბჭ. საქართველო.
65. ებრალიძე, ლ. (1987). გაზ. ახალგაზრდა კომუნისტი, 24 იანვარი. გვ. 8.
66. ებრალიძე, ლ. (2014). (დისერტაცია-ავტორეფერატი) „პოეტური ხატი და მისი ტრანსფორმაცია თარგმანში (ხელნაწერის უფლებით)“, გვ. 13.
67. ევგენიძე, ი., მინაშვილი. ლ. (2013). ქართული ლიტერატურა. ტ. II. თბილისი: საქართველოს მაცნე.
68. ელიზაროვა, მ. და სხვ. (1973). XIX საუკუნის საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია. თბილისი: განათლება.
69. ერისთავი, თ. (1988). ბაირონი (მცირე მოზაიკა). ლიტერატურული საქართველო, # 5. გვ. 10,11 .
70. ვაჟა-ფშაველა (1967). ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ. თბილისი: თსუ.
71. ვარდოშვილი, ე. (2018). ახალი ქართული ლიტერატურა და ევროპული მწერლობა. უნივერსალი.
72. ვეზირიშვილი, მ. (1889). ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია. გაზ. ივერია, 19 ნოემბერი, #247. გვ. 1-3.

73. ვერძაძე, ნ. (1995). პოეტური ენა და თარგმანი. დისერტაცია. ბათუმი.
74. ვინოგრადოვი ა. (1973). ბაირონი. თბილისი: ნაკადული.
75. ზედგენიძე, ნ. (1989). ინგლისელ მწერალთა ნაწარმოებების თარგმანები გაზეთ ივერიის ფურცლებზე. ჟურ. კრიტიკა, #4. გვ. 129-134.
76. ზაალიშვილი, მ. (2017). ბრიტანელი და ამერიკელი პოეტები. თბილისი: არტანუჯი.
77. თაქთაქიშვილი-ურუშაძე, ლეილა (1965). მარჯორი უორდროპი (ინგლისელი მთარგმნელი ქალი. ქართული კულტურის მოამაგე. მონოგრაფია.). თბილისი: ლიტერატურა და ხელოვნება. გვ. 21-23.
78. ინგლისური და ამერიკული პოეზიის მცირე ანთოლოგია (1985). თბილისი: საბჭოთა საქართველო/ინგლ. თარგმნა და შენიშვნები დაურთო გ. ნიშნიანიძემ. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
79. კალანდაძე, ალ. (1965). ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან (მე-19 ს. 60-70-იანი წლები). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
80. კეკელიძე, ვ. (1960). ქართული ლიტერატურის ისტორია 6 ტომად (ტ. I). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
81. კვარაცხელია, თ. (2013). საზრისი - შრომების კრებული #28, „ბაირონის მანფრედი ქართულ თარგმანში (შეპირისპირებითი ანალიზი)“. თბილისი.
82. კვერენჩილაძე, რ. (2014). წამების გზა: დევნა, გადასახლება, დახვრეტა, წ. I. თბილისი: უნივერსალი.
83. კოლხი დონა (ნარმანია, დოდო) (2017). კლასიკური პოეზია. თარგმანები: გოეთე, შელი, ბაირონი.../ დონა კოლხი, დავით გაბუნია. თბილისი: უნივერსალი.
84. კუჭუხიძე, მ. (1973). ბაირონი XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მაცნე ენისა და ლიტერატურის სერია, #3. თბილისი. გვ. 56, 58.
85. კუჭუხიძე, მ. (1975). XIX საუკუნის ქართული ლიტერატურული კრიტიკა და ბაირონის შემოქმედება. წიგნში: ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები. კრ. 6. თბილისი.

86. კუჭუხიძე, მ. (1976). ბაირონის პირველი ქართული თარგმანები (ხელნაწერების მიხედვით). წიგნში: ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები. კრ. 1. თბილისი: შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი.
87. კუჭუხიძე, მ. (1977). ქართველი სამოციანელები და ბაირონის შემოქმედება. კრებულიდან: ნარკვევები მე-19 საუკუნის ქართული ისტორიიდან, I. თბილისი: მეცნიერება.
88. კუჭუხიძე, მ. (1977). ბაირონი XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო კრიტიკასა და თარგმანებში. თბილისი.
89. კუჭუხიძე, მ. (1992). ბაირონი და XIX საუკუნის ქართული მწერლობა. თბილისი: საქართველო.
90. ლაშქარაძე, დ. (1988). ლიტერატურული მერიდიანები. თბილისი: საბჭოთა საქართველო. გვ. 20.
91. ლომიძე, გ. (2016). ქართული ლიტერატურა, ისტორია საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების პრიზმაში. ნაწილი II. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. გამომცემლობა: საარი (სტატიის სათაური: რომანტიზმის წარმოშობის წინაპირობები და მიზეზები).
92. ლორდ ბაირონი (2013). ლექსები (ინგლისურიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ინესა მერაბიშვილმა), თბილისი. გვ. 50-51.
93. ლორდ ბაირონი (2018). შილონელი ტუსადი, თარგმანი ინგლისურიდან ინესა მერაბიშვილის, თბილისი: თსუ.
94. მერაბიშვილი, ი. (2005). პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა, თბილისი.
95. მერაბიშვილი, ი. (2005). თარგმანი კულტურათა დიალოგი. თბილისი.
96. მერაბიშვილი, ი. (2002). ბაირონი ქართულად. ლექსები, სიმართლე ბაირონის შესახებ. თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები ინესა მერაბიშვილისა. თბილისი: საქართველოს ბაირონის საზოგადოება.
97. მერაბიშვილი, ი. (2003). გალაკტიონის ენიგმები. თბილისი: საქართველოს ბაირონის საზოგადოება.

98. მეუნარგია, ი. (1893). ცხოვრება და პოეზია თ. ნიკოლოზ ბარათაშვილისა. გაზ. ივერია, 25 აპრილი, #85. გვ. 1-3.
99. მეუნარგია, ი. (1945). ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა. თბილისი: ტექნიკა და შრომა.
100. მეუნარგია, ი. (1954). ქართველი მწერლები, ტ. I, თბილისი: სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა.
101. მიქაძე, თ. (2007). იოსებ ბაქრაძის ცხოვრება და შემოქმედება, თბილისი: უნივერსალი.
102. ნაიდა, ი. (1982). თარგმნის ხელოვნებისათვის. თარგმანი თ. ჩხენკელის. გაზ. ლიტერატურული საქართველო. გვ. 15.
103. ნატროშვილი, მ. (2014). უილიამ შექსპირის სიყვარულის თემაზე დაწერილი სონეტები და მათი ქართული თარგმანები. სადისერტაციო ნაშრომი. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი.
104. ნიკოლაძე, ნ. (1962). თხზულებანი (ტ. I). თბილისი: უნ-ტის გამ-ბა.
105. ონიაშვილი, დ. (1928). გაუგებრობა თუ უვიცობა? (კ. გ.-ს რეცენზიის გამო). მნათობი. ## 5-6. გვ. 253-260.
106. ონიაშვილი, დ. (1913). ბაირონიზმი და მსოფლიო მწუხარება. გორი: დ. მაჭავარიანის სტამბა.
107. ოძელი, მ. (2003). მსოფლიო ლიტერატურული, პროცესი და მისი კვლევა. ჟურ. კავკასიის მაცნე, #8. გვ. 172.
108. ჟღენტ, გ. (1961). მამია გურიელი (მონოგრაფია). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
109. რამონ მარია დელ ვალიე-ინკლანი. (2016). ბოჰემის მნათობები. თბილისი: არტანუჯი.
110. რედაქციისაგან (1897). ახალი ამბავი. ცნობის ფურცელი, 4 ოქტომბერი, #330. გვ. 2.
111. რობაქიძე, გ. (2012). ნაწერები. წ. II: დრამატურგია, პუბლიცისტიკა. თბილისი: ლიტერატურის მუზეუმი.

112. საბაშვილი, შ. (1998). გალაკტიონის ზოგიერთი ლექსის ინტერპრეტაციისათვის, კრებულში გალაკტიონის სემინარის დღიურები, თბილისი: თსუ.
113. სალარო-ცოდნისა: რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი (1898). ივ. როსტომაშვილის რედ., წ. II.
104. საყვარელიძე, ნ. (2001). თარგმანის თეორიის საკითხები. თბილისი: თსუ.
105. სურმანიძე, რ. (2004). ერს შეწირული კალმოსანი. მწერლის გაზეთი, 27 მაისი-9 ივნისი, #9. გვ. 9.
106. ტაბიძე, ტ. (1985) ლექსები. პოემები . პროზა. წერილები. თბილისი: მერანი.
107. ფანჯიკიძე, დ. (1995). თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა. თბილისი: განათლება.
108. ფსალმუნი და ლოცვანი. „ალილო“ (2011). გვ. 258-259.
109. ფურცელაძე ა. (1867). შეუსრულებელი სურათი. გაზ. დროება, #35 (ხელმოწერით „ა. ფ.“). გვ. 1.
110. ქართული ლიტერატურის ინსტ-ტი. (2016). ქართული ლიტერატურა: ისტორია საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების პრიზმაში. ნაწილი II. თბილისი. საარი. გვ. 6.
111. ჩხეიძეები, პ. რ. (1988). ლორდ ბაირონი, წერილები. ლიტერატურული საქართველო. #5. 29 იანვარი: 11.
112. ჩხეიძეები, პ. რ. (1988). ლორდ ბაირონი, წერილები. ლიტერატურული საქართველო. 11.
113. ჩხეიძე, ო. (1996). იტალიური დღიურები ბაირონისა. თბილისი: ნაკადული.
114. ჩხეიძე, რ. (2015). ქართული მწერლობა თვალის გადავლებით. თბილისი. ჩვენი მწერლობა.
115. ცაგარელი, ა. (1870). პროფესორ ალ. ცაგარელის აზრი ნ. ბარათაშვილზე. გაზ. დროება, #3. გვ. 3.
116. წიბახაშვილი, გ. (2000). თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები. თბილისი. უნ-ტის გამ-ბა.

117. წიბახაშვილი, ი. (2000). თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები. თბილისი. თბილ. უნ-ტის გამ-ბა.
118. წიკლაური, ბ. (1963). ბობოქარი ბაირონი. გ. ლენინის გზით, 22 იანვარი, #1. გვ. 4.
119. წერეთელი, ა. (1899) ჟურ. აკაკის თვითური კრებული. #2. გვ. 97, 98.
120. წერეთელი, ა. (1956). თხზულებათა სრული კრებული, ტ. V. საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა: საქართველო: 78.
121. წერეთელი, ა. (1961). თხზულებათა სრული კრებული, ტ. XIV, თბილისი: საბჭოთა საქართველო.
122. ხელთუბნელი, მ. (1988). სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან, თბილისი. ფედერაცია.
123. ხვადაგიანი, ი. (2016). საქართველოს დამფუძნებელი კრება. თბილისი. საბჭოთა კავშირის კვლევის ლაბორატორია.
124. ჭავჭავაძე, ა. (1940). თხზულებანი: ლექსები. თბილისი. ფედერაცია.
125. ჭავჭავაძე, ა. (1986). თხზულებები: ლექსები, ნარკვევები, დრამის თარგმანები, წერილები. თბილისი. მერანი.
126. ჭავჭავაძე, ი. (1988). ბაირონი. თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად. ტომი III: მხატვრული თარგმანები (გვ. 65-66). თბილისი. მეცნიერება, საბჭოთა საქართველო.
127. ჭავჭავაძე, ი. (1953). თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, ტ. III. თბილისი. სახელგამი.
128. ჭავჭავაძე, ი. (1974). რჩეული: 2 წიგნად, წ. II. თბილისი. საბჭოთა საქართველო.
129. ჭავჭავაძე, ი. (1986). რჩეული ნაწარმოებები 5 ტომად, ტ. III, თბილისი. საბჭოთა საქართველო.
130. ჭავჭავაძე, ი. (1988). თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად. ტ. II. თბილისი. მეცნიერება, საბჭოთა საქართველო.
131. ხომლედი (ფანცხავა, ი). (1897). ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი დრო. ტფილისი. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა. გვ. 44.

132. ჯოლოგუა, თ. (2013). ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. XIX საუკუნე [სახელმძღვანელო]. თბილისი. არტანუჯი. გვ. 5.
133. By the Rivers of Babylon We Sat Down and Wept, by Lord Byron. (n.d.). Monadnock.net. <https://monadnock.net/byron/babylon.html>
134. Byron, G. G. B. B. (1837). The Works of Lord Byron. Complete in One Volume. With Notes by Thomas Moore, Esq., Lord Jeffrey, Sir Walter Scott ... &c. &c. [With a Portrait.]. In Google Books. John Murray. <https://books.google.ge/books?id=t60z2KgTN2wC&pg=PA382&lpg=PA382&dq=Yet>
135. Byron, G. G. B., & University of Ottawa. (1877). Oeuvres complètes de Lord Byron. In Internet Archive. Paris: Garnier. https://archive.org/stream/oeuvrescompltesd01byro/oeuvrescompltesd01byro_djvu.txt
136. BYRON'S WRITINGS IN GREECE, 1823-4 edited by Peter Cochran: https://petercochran.files.wordpress.com/2009/03/writings_from_greece.pdf
137. Cambridge Dictionary. (2022, December 7). dove. @CambridgeWords. <https://dictionary.cambridge.org/dictionary/english-russian/dove>
138. Childe Harold's Pilgrimage -- Canto III. (n.d.). Knarf.english.upenn.edu. Retrieved December 4, 2022, from <http://knarf.english.upenn.edu/Byron/charold3.html>
139. Childe Harold's Pilgrimage, by Lord Byron. (2013). Gutenberg.org. <https://www.gutenberg.org/files/5131/5131-h/5131-h.htm>
140. dove1 | Dictionary.ge. (n.d.). Dictionary.ge. Retrieved December 12, 2022, from <https://dictionary.ge/ka/word/dove%C2%B9>

141. Lyrics. lol :: Cain: A Mystery (Act 1) by Lord Byron. (n.d.). Lyrics.lol. Retrieved December 16, 2022, from <https://lyrics.lol/artist/266919-lord-byron/lyrics/166688-cain-a-mystery-act-1>
142. Manfred, Act 1. (n.d.). Knarf.english.upenn.edu. Retrieved December 12, 2022, from <http://knarf.english.upenn.edu/Byron/manfred1.html>
143. Merabishvili, I. (2004). Liberty And Freedom And The Georgian Byron. In *The Reception of Byron in Europe* (pp. 406–418). Continuum Press.
144. Merabishvili, I. (2021). Towards Some Aspects of Linguistics of Poetic Translation. *International Journal of Applied Linguistics and Translation*, 7(4), 122. <https://doi.org/10.11648/j.ijalt.20210704.11>.
145. Munday, J. (2001). *Introducing Translation Studies. Theories and Application*. 2nd Edition. Routledge Taylor & Francis Group. London and New York. In Internet Archive. chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://ia600209.us.archive.org/4/items/vd_20231027/Munday_IntroducingTS.pdf
146. Nida, Eugene A. 1969. Science of Translation. *Language* 45, no. 3: 483. doi:10.2307/411434
147. Nida, E.A. & Taber, C. R. (1982). *The Theory and Practice of Translation*. Photomechanical Reprint (2nd), v. VIII. Published for the United Bible Societies By E. J. Brill, Leiden, Netherlands.
148. Fill the Goblet again (n.d.). Poemhunter. Retrieved December 4, 2022, from <https://www.poemhunter.com/poem/fill-the-goblet-again-a-song/>

149. Oscar of Alva: A Tale, by Lord Byron. (n.d.). Poeticous. Retrieved December 4, 2022, from <https://www.poeticous.com/byron/oscar-of-alva-a-tale>
150. Poetry Foundation. (2019). Poetry Foundation. Poetry Foundation. <https://www.poetryfoundation.org/poems/43843/prometheus-56d222b61d799>
151. Poetry Foundation. (2019). Poetry Foundation. Poetry Foundation. <https://www.poetryfoundation.org/poems/43844/she-walks-in-beauty>
152. Search Results for “DON JUAN Canto 2” – Peter Cochran’s Website – Film Reviews, Poems, Byron.... (n.d.). Peter Cochran’s Website - Film Reviews, Poems, Byron.... Retrieved December 4, 2022 from <https://petercochran.wordpress.com/?s=DON+JUAN+Canto+2>
153. The Correspondence between Byron and Walter Scott, 1812-22. (n.d.). Byron and Scott 1809-1824. <https://petercochran.files.wordpress.com/2010/03/byron-and-scott-1809-18241.pdf>
154. Snell-Hornby, M. (1988) Translation Studies: an Integrated Approach Amsterdam & Philadelphia: John Benjamin's publishing company
155. The Prayer of Nature - Poem de George Gordon Lord Byron. (n.d.). Escritas.org. <https://www.escritas.org/en/t/2641/the-prayer-of-nature>.
156. Translatology Definition & Meaning | YourDictionary. (n.d.). [Www.yourdictionary.com. https://www.yourdictionary.com/translatology](https://www.yourdictionary.com/translatology).
157. Pietro Gamba (1825)- A Narrative of Lord Byron’s Last Journey to Greece/ Monograph (n.d.) Lordbyron.org. <https://lordbyron.org/monograph.php?doc=PiGamba.1825&select=Ch.3>.

158. Ode (From The French) - Poem de George Gordon Lord Byron. (n.d.). Retrieved January 16, 2023, from Escritas.org website:
<https://www.escritas.org/en/t/2596/ode-from-the-french>
159. On Napoleon's Escape From Elba, by Lord Byron. (n.d.). Retrieved January 16, 2023, from Poeticous website:
<https://www.poeticous.com/byron/on-napoleon-s-escape-from-elba>
<https://www.poeticous.com/byron/on-napoleon-s-escape-from-elba>
160. Алекси-Месхишвили, Сардион. (1857) „Антикритика“, *Кавказь*, 7 Февраля, #11, с. 4-5.
161. Белинский, Б. (1948). Собр. соч. т. II, Москва.
162. Бердзенов, Н. (1859). *учено-литературный отделъ* «ГРУЗИНСКАЯ ЛИТЕРАТУРА», #43, 4 июнь;. стр: 5,6;
163. Гербель Н. В. (1874). Сочинения Лорда Байронав, переводах русских поэтов, Том Первый, Санкт-Петербург.
164. Гербель Н. В. (1894). Сочинения Лорда Байронав, переводах русских поэтов, Т. III, Санкт-Петербург.
165. Венгерова, С. А. (1905). Библиотека великих писателей под редакцией С. А. Венгерова. В 20 тт., Т II: *Байрон*. СПб., Брокгауз - Ефрон, 1901-1915.
166. Миллера, О. О. (1878). *Лорд Байрон и его судьба*. Биографический очерк. Издательство: «Вестник Европы»,. # 2, стр. 458 .

167. Николадзе. Н. (1891). «Современники, «Князь Мамия Гуриели, ж.» «Новое Обозрение», #2614, июль 30; с:2.

168. Переводчик. (2012, March 19). Wikipedia.org; Фонд Викимедиа.
<https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9F%D0%B8%D1%88%D0%BE>

169. <https://billboard.com.ge/2023/11/02/bibi-kvawazis-simrera-gremis-nominantobis-kandidatia/>

ხელნაწერები

1. მამულაშვილი-ვასაძე, ელენე. მოგონებანი საქ. ლიტ. მუზ. ხ.ფ. #:20815.
2. მ. თუმანიშვილის ლექსები მომზადებული გამოსაცემად გ. ლეონიძის რედაქტორობით ხ.ფ.N: 26993-6 (1611-დ).
3. ქ. ი. ე. მ. ხ. ფ. #:89.
4. ოსკარ დ'ალვა, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი #:359.